

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი



იურიდიული ფაკულტეტი
სამართლის სადოქტორო
პროგრამა სადისერტაციო
ნაშრომი თემაზე:

ელექტრონული საშუალებებით დადებული
ხელშეკრულებები, მათი ბათილობის, შეწყვეტის, მათზე უარის
თქმის საფუძვლები და სამართლებრივი შედეგები

ნინო ფაჩუაშვილი

ხელმძღვანელი: მარიამ ცისკაძე
სამართლის დოქტორი

ნაშრომი წარდგენილია სამართლის დოქტორის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი,
საქართველო 2019

ს ა რ ჩ ე ვ ი

გამოყენებული აბრევიატურის ნუსხა	4
შესავალი.....	7
თავი I. სამოქალაქო ბრუნვაში ელექტრონული საშუალებების გამოყენებით დადებული ხელშეკრულების განვითარება და მნიშვნელობა	13
1.1. ხელშეკრულების დასადებად ელექტრონული საშუალებების გამოყენების ისტორიული მიმოხილვა.....	15
1.2. ელექტრონული საშუალებების გამოყენებით დადებული ხელშეკრულების არსი	21
1.3. ხელშეკრულების დასადებად გამოყენებული ელექტრონული საშუალებების კლასიფიკაცია	27
თავი II. ელექტრონული საშუალებებით ხელშეკრულების დადების წესი, ხელშეკრულების დადების მომენტის და ადგილის განსაზღვრის თავისებურებები	31
2.1. ზეპირი ფორმით ელექტრონული ხელშეკრულების დადების თავისებურება.....	31
2.2. ელექტრონული საშუალებებით ხელშეკრულების წერილობითი ფორმით დადებისა და ხელმოწერის თავისებურება.....	33
2.3. მყარი მატარებელი, როგორც ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ხელშეკრულების დადების ფორმა	42
2.4. ელექტრონული საშუალებებით ხელშეკრულების დადების ადგილისა და მომენტის განსაზღვრა.....	45
თავი III. ელექტრონული საშუალებებით დადებული ხელშეკრულების არსებითი პირობების განსაზღვრის თავისებურებები.....	51
3.1. ელექტრონული საშუალებებით დადებული ხელშეკრულების მხარეები, მათი უფლება-მოვალეობანი.....	52
3.1.1. ელექტრონული საშუალებებით დადებული ხელშეკრულების მხარეები	53

3.1.2. ხელშეკრულების მხარეთა უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა	56
3.2. ელექტრონული საშუალებებით დადებული ხელშეკრულების მხარეთა უფლება-მოვალეობანი	61
3.2.1. ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება	62
3.2.2. ინფორმაციის მიწოდებისას პერსონალური მონაცემების დაცვის ვალდებულება	79
3.3. ელექტრონული საშუალებებით დადებული ხელშეკრულების საგანი	83
თავი IV. ელექტრონული საშუალებებით დადებული ხელშეკრულების ბათილობის საფუძვლები და შედეგები	91
4.1. ნების გამოვლენის ნაკლი, როგორც ელექტრონული საშუალებების გამოყენებით დადებული ხელშეკრულების ბათილობის საფუძველი	92
4.2. ელექტრონული საშუალებებით დადებული ხელშეკრულების ბათილობა	102
თავი V. ელექტრონული საშუალებებით დადებული ხელშეკრულების მოშლის, უარის თქმისა და შეწყვეტის საფუძვლებისა და შედეგების ურთიერთმიმართება	115
5.1. ელექტრონული საშუალებებით დადებული ხელშეკრულების მოშლისა და მასზე უარის თქმის უფლება და შედეგები	116
5.2. ელექტრონული საშუალებებით დადებული ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები და წესი	131
დასკვნა	140
დანართი	150
გამოყენებული ლიტერატურა	153

გამოყენებული აბრევიატურის ნუსხა

ქართულ ენაზე:

ასოცირების შეთანხმება	ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის, 1/07/2016;
ა.შ.	ასე შემდეგ;
აშშ	ამერიკის შეერთებული შტატები;
გაერო	გაერთიანებული ერების ორგანიზაცია;
გამომც.	გამომცემლობა;
გსკ	გერმანიის სამოქალაქო კოდექსი;
ევროკავშირი	ევროპის კავშირი;
ე.ი.	ესე იგი;
ე.წ.	ეგრეთ წოდებული;
იხ.	იხილეთ;
სსკ	საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;

უცხო ენაზე:

Art.	Article (მუხლი);
Aufl.	Auflage (გამოცემა);
Az.	Aktenzeichen (სარეგისტრაციო ნომერი);
BGB	Bürgerliches Gesetzbuch Deutschlands (გერმანიის სამოქალაქო კოდექსი);
BGH	Der Bundesgerichtshof (გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლო);
B2B	Business-to-Business (ბიზნესიდან ბიზნესზე);
B2C	Business-to-Consumer (ბიზნესიდან მომხმარებელზე);
<u>CISC</u>	Convention on Contracts for the International Sale of Goods (გაერთიანებული ერების კონვენცია საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის შესახებ);
<u>col.</u>	Column (ველი, სვეტი);
DG	Directorate General for Justice and Consumers;
EU	European Union (ევროკავშირი);
GIZ	Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit

GmbH	Gesellschaft mit beschränkter Haftung (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება);
No.	Number (ნომერი);
Para.	Paragraph (პარაგრაფი);
P2P	Peer-to-Peer (თანასწორ მდგომარეობაში მყოფი ორი პირი);
Rn.	Randnummer (ტექსტის ნაწილები წიგნის გვერდის ველზე);
UETA	Uniform Electronic Transactions Act (ერთიანი ელექტრონული გარიგებების აქტი);
UK	United Kingdom;
UN	United Nations;
UNCITRAL	United Nations Commission on International Trade Law (გაეროს საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისია);
Vol.	Volume (ტომი);

*ჩვენ ყველანი ინტერნეტით ისევე ვართ დაკავშირებულნი,
როგორც ნეირონები დიად ტვინში.
სტივენ ჰოვკინსი¹*

შესავალი

უკანასკნელი რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში მსოფლიოში მიმდინარე ტექნოლოგიურმა, ეკონომიკურმა და სოციალურმა ტრანსფორმაციამ, შეუქცევადი ხასიათი მიიღო. საზოგადოება დროულად ითვისებს და ფებს უწყობს ტექნოლოგიურ განვითარებას და ამ პროცესიდან სარგებელსაც იღებს. ელექტრონული კომუნიკაციების განვითარებამ რადიკალურად შეცვალა და ბევრი მიმართულებით გაამარტივა თითოეული ჩვენგანის ყოველდღიური ცხოვრება. 21-ე საუკუნეში, რომელიც ტექნოლოგიების საუკუნედ იწოდება, თითქმის წარმოდგენელია ინტერნეტისა და სხვადასხვა დანიშნულების მქონე ელექტრონული მოწყობილობის გარეშე არსებობა. სწორედ კომპიუტერის, ტელეფონისა და სხვა ელექტრონული საშუალებების მეშვეობით არის შესაძლებელი, დროის უმცირეს მონაკვეთში, მონაცემების მოძიება, შესწავლა, თუ ადამიანებს შორის სასურველი ინფორმაციის გაცვლა; ციფრული ტექნოლოგიები ნებისმიერ სფეროში მოღვაწე ადამიანისათვის, როგორც საკუთარი შრომის, ინტერესისა თუ კვლევის დამხმარე ხელსაწყო, ისე განტვირთვის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება გახდა. ადამიანები ინტერნეტის მეშვეობით უკავშირდებიან ერთმანეთს, მათ შორის ყალიბდება საქმიანი და პირადი ურთიერთობები, სწორედ ეს გარემოებები ავითარებს ინტერნეტ-ტექნოლოგიებს და მათ უფრო და უფრო ხშირად გამოყენებადს ხდის.

ტექნოლოგიის განვითარების მრავალი მიმართულებიდან ერთ-ერთს სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალში მყოფ პირებს შორის, ელექტრონული საშუალების - ტელეფონის, კომპიუტერის, ფაქსისა და სხვა ხელსაწყოების გამოყენებით ხელშეკრულების დადება წარმოადგენს. როგორც ტელეფონის, ისე კომპიუტერის გამოყენებით ხელშეკრულების დადებისათვის ინტერნეტთან წვდომის შესაძლებლობა მთავარი წინაპირობაა.

ინტერნეტი ახალი შესაძლებლობების წარმოჩენის, მომხმარებლისათვის პროდუქტისა და მომსახურების შესახებ მრავალფეროვანი ინფორმაციის მიწოდების, ავტომატიზაციის პროცესში ფასთა რეგულირებისა და შიდა ვაჭრობის სფეროში კომუნიკაციისა და ცოდნის გაზიარების ძლიერი საშუალებაა.²

ინტერნეტის უპირველესი მიზანი უმეტესად არის ინფორმაციის დროული და დაუბრკოლებელი გაცვლა. მომხმარებელთათვის უზომოდ დიდი მოცულობის მქონე ინფორმაციაზე წვდომა, მისი გავრცელების შესაძლებლობა და შემდგომში გარკვეული სარგებლის მიღება, ცხადია

¹ „We are all now connected by the Internet like neurons in a giant brain”, სტივენ ჰოვკინსი (1942-2018) - ბრიტანელი ფიზიკოსი და ასტროფიზიკოსი.

² Ross J.W., Vitale M.R., Weill P., From Place to Space: Migrating to Profitable Electronic Commerce Business Models, Center for Information System Research, Massachusetts, November 2001, 3.

ითხოვს ამ სფეროს როგორც ტექნიკურ უზრუნველყოფას ისე სამართლებრივ რეგულაციას.

ელექტრონულმა კომუნიკაციებმა მსოფლიო აქციეს სივრცედ, სადაც სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალში მყოფ ხელშეკრულების მხარეთა შორის არ არსებობს კომუნიკაციის დეფიციტი. ტექნოლოგიების მასშტაბურმა განვითარებამ წარმოშვა ძველი საკანონმდებლო ნორმების ინოვაციის და ახლის მიღების საჭიროება. რადგან ელექტრონული ტექნოლოგიები გახდა გლობალიზაციის განუყოფელი ნაწილი და საერთაშორისო ტრანზაქციების რაოდენობამ მკვეთრად იმატა, როგორც ეროვნული ისე საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების თანმიმდევრულობა და რელევანტურობა საერთაშორისო ვაჭრობის გამართულად ფუნქციონირების წინაპირობად იქცა.³

წინამდებარე ნაშრომით, ცხადია ვერ მოხდება ინტერნეტის მეშვეობით შესრულებული ნებისმიერი ქმედების მიმოხილვა თუ შეფასება. ეს სფერო იმდენად დიდი და მასშტაბურია, რომ მისი შესწავლა ვერ განხორციელდება ერთი კონკრეტული პროფესიის მკვლევარის მიერ. სხვადასხვა დარგის მოღვაწეთა ჰარმონიული მუშაობა საბოლოოდ გამოიწვევს სასურველ შედეგს, რაც სამართლებრივ ჭრილში მოიაზრებს არა მხოლოდ ყველასათვის თანაბარი შესაძლებლობის მინიჭებას, დაუბრკოლებლად ისარგებლოს იმ სიკეთეებით, რასაც ინტერნეტი გვთავაზობს, არამედ ამ პროცესში მათი უფლებების, პერსონალური მონაცემებისა და კონფიდენციალურობის დაცვას.

სადისერტაციო ნაშრომით გათვალისწინებული კვლევის სფეროა ქართული კერძო სამართლის, მეტ-ნაკლებად ახალი ინსტიტუტი - ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადებული ხელშეკრულებები, მათი ბათილობის, შეწყვეტის, მათზე უარის თქმის საფუძვლები და სამართლებრივი შედეგები.

თემის აქტუალობა:

თანამედროვე რეალობაში ინტერნეტის მეშვეობით ყოველდღიურად მილიონობით ისეთი საკითხის გადაწყვეტა ხდება, რასაც წლების წინ უამრავი დრო და ადამიანური რესურსი ეთმობოდა. მსგავს საკითხთა შორისაა ელექტრონული საშუალების გამოყენებით ხელშეკრულების დადება. სტატისტიკის მიხედვით, მოსახლეობის 80%, რომელსაც წვდომა აქვს ინტერნეტთან კომპიუტერის, ტელეფონის ან სხვა ელექტრონული ხელსაწყოთა გამოყენებით დებს ამგვარ ხელშეკრულებას. უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოს მასშტაბით, მხოლოდ 2013 წელს ინტერნეტ ვაჭრობაში დახარჯული თანხის ოდენობამ 1.2 ხოლო 2016 წელს კი 1.9 ტრილიონი დოლარი შეადგინა.⁴ 2015 წელს, მსოფლიოს მოსახლეობის 24.3% იყო ელექტრონული საშუალებით

³A.Rawls, Contract formation in an Internet Age, The Columbia Science and Technology Law Review, 200, May 15, 2009, Colum 10, 204.

⁴ ელექტრონული ვაჭრობის სტატისტიკა და საბაზრო მონაცემთა ბაზა; სტატისტიკის პორტალი „სტატისტა“ <https://www.statista.com/markets/413/e-commerce/> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 10.04.2019.

დადებული ხელშეკრულებით მოსარგებლე. 2016 წელს ინტერნეტის მეშვეობით მოვაჭრეთა რაოდენობამ 1.8 მილიარდს მიაღწია.⁵ ინტერნეტ მოვაჭრეთა რაოდენობა წლიდან წლამდე საგრძნობლად იზრდება, თუ 2016-17 წლებში მათი რაოდენობა 1.6-1.8 მილიარდამდე მერყეობდა 2019 წელს მსოფლიო მასშტაბით 1.9 ბილიონი⁶ ადამიანი არჩევს სახელშეკრულებო ურთიერთობების დისტანციურად დამყარებას.

გასაკვირი არ არის, რომ ერთიანი ციფრული ბაზარი, ელექტრონული ვაჭრობა, ევროკომიტეტის ათიდან, ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია. ერთიანი ციფრული ბაზრის ეფექტურად ფუნქციონირების საშუალებად, ევროკომიტეტი მიზანშეწონილად მიიჩნევს გაუმართლებელი შიდა საკანონმდებლო რეგულაციებისა და შეზღუდვების მოხსნას და საერთო წესების შემუშავებას. ამ ნაბიჯებით ევროკავშირის ქვეყნებისათვის ეკონომიკის რამდენიმე მილიონი ევროთი ზრდა, ინვესტიციებისა და ინოვაციების გაღრმავება და სამუშაო ადგილების შექმნა შესაძლებელია.⁷

ელექტრონული საშუალებით დადებული ხელშეკრულების სამართლებრივი რეგულაცია სიახლეს არ წარმოადგენს ევროპული თუ ანგლო-ამერიკული სამართლის სისტემის ქვეყნებისათვის. რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ევროკავშირის ქვეყნებში არაერთი შეთანხმება, კონვენცია თუ რეგულაცია იქნა მიღებული და მოგვიანებით ეროვნულ კანონმდებლობაში რეგლამენტირებული. ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადებული ხელშეკრულების საკანონმდებლო რეგულაცია პირველად, 1996 წელს მოხდა, მოგვიანებით არაერთი საერთაშორისო თუ შიდა საკანონმდებლო ნორმა შეეხო ზემოხსენებული სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგებას.

ელექტრონული საშუალების გამოყენებით ხელშეკრულების დადება უპირველეს ყოვლისა, ხელს უწყობს დროის დაზოგვას, სავაჭრო ურთიერთობების გამყარებასა და კომერციული საქმიანობის ეფექტურობის ზრდას. სწორედ ამ და სხვა მნიშვნელოვანი მიზეზების გამო გახდა ბოლო ათწლეულებში, ხელშეკრულების ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადება მთელი მსოფლიოს მასშტაბით საკმაოდ მოთხოვნადი და გამოყენებადი მექანიზმი.

კვლევის მიზანი:

მიუხედავად იმისა, რომ როგორც მსოფლიო, ისე ქართულ სამომხმარებლო ბაზარზე საკმაოდ გავრცელდა ელექტრონული საშუალების გამოყენებით ხელშეკრულების დადება, ამ ურთიერთობის დეტალური

⁵ Zheng T.S., Xu L., Choice of Court Agreements in Electronic Consumer Contracts in China, Law and Technology, 2016, Australia, University of Queensland, 21.

⁶ ელექტრონული ვაჭრობის სტატისტიკა და საბაზრო მონაცემთა ბაზა; სტატისტიკის პორტალი „სტატისტიკა“ <https://www.statista.com/statistics/251666/number-of-digital-buyers-worldwide/> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 10.04.2019.

⁷ https://ec.europa.eu/commission/priorities/digital-single-market_en უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 16.04.2019.

საკანონმდებლო მოწესრიგება საქართველოში დღემდე არ მომხდარა. სწორედ ამ საკითხის შესწავლა, ევროპული გამოცდილების გაზიარება და მისი მისადაგება ქართულ რეალობასთან წარმოადგენს სადისერტაციო ნაშრომის მიზანს. კვლევაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ევროპარლამენტისა და საბჭოს „მომხმარებლის უფლებების შესახებ“ 2011 წლის 2011/83 დირექტივას (შემდგომში მოხსენიებული იქნება, როგორც „მომხმარებლის უფლებების შესახებ“ დირექტივა), რადგან დღეისათვის სწორედ ეს საკანონმდებლო აქტი წარმოადგენს ელექტრონული საშუალებით დადებული ხელშეკრულების სამართლებრივი რეგულაციის უმთავრეს ინსტრუმენტს, ევროკავშირის ქვეყნები ხელმძღვანელობენ ამ დოკუმენტით და მისი ნორმები იმპლემენტირებულ იქნა შიდა კანონმდებლობაში.

ელექტრონული საშუალების გამოყენებით ხელშეკრულების დადების შესახებ მრავალი საერთაშორისო საკანონმდებლო აქტის არსებობის პარალელურად, ევროკავშირთან დაახლოების გზაზე მდგომ საქართველოს კანონმდებლობაში, არც ერთი ნორმა არ არეგულირებს ამგვარი ხელშეკრულების დადებისას ან დადების შემდგომ წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებს. ეს ფაქტი მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს საქართველოსთვის, ამ მიმართულებით თეორიტიკოსი და პრაქტიკოსი იურისტების შრომა და კვლევა გადამწყვეტ როლს შეასრულებს ახალი საკანონმდებლო ნორმების დანერგვაში.

კვლევის მეთოდი:

სადისერტაციო თემაზე მუშაობისას გამოყენებულ იქნა კვლევის ისტორიული, სისტემური და შედარებითი მეთოდები. ნაშრომში განხილულია ელექტრონული საშუალებით ხელშეკრულების დადების განვითარებისა და ჩამოყალიბების ეტაპები, მიმოხილულია პირველი საერთაშორისო საკანონმდებლო აქტები, რომლებმაც გარკვეული უფლებები და მოვალეობები დააკისრა ელექტრონული საშუალებით ხელშეკრულების დადების მსურველთ, მათი განვითარება და დღეს მოქმედ რედაქციამდე ჩამოყალიბება.

სისტემური კვლევის ფარგლებში მიმოხილულია ის ეროვნული თუ საერთაშორისო საკანონმდებლო ნორმები, რომლებიც შეეხება და უკავშირდება ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადებულ ხელშეკრულებებს. მათ შორისაა ისეთი საკითხები, რომლებიც წარმოადგენს წინასახელშეკრულებო ურთიერთობას ან/და ხელშეკრულების ბათილობის, შეწყვეტის, გასვლისა (უარის თქმის) და მოშლის სამართლებრივ რეგულაციას.

კვლევის შედარებითი მეთოდის გამოყენებით განხორციელდა ელექტრონული საშუალებით დადებული ხელშეკრულებების შესახებ არაერთი საერთაშორისო აქტისა და ცალკეული ქვეყნის კანონმდებლობის შესწავლა, მათი შედარება და მიღებული ინფორმაციის შეჯერება.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია საზღვარგარეთის ქვეყნების, როგორც საკანონმდებლო ისე პრაქტიკული საკითხები, რომელთა ანალიზი, იძლევა ქართულ რეალობაში მათი დამკვიდრების შესაძლებლობას.

ნაშრომის სტრუქტურა:

წინამდებარე სადოქტორო ნაშრომი შედგება შესავლის, 5 თავის, დასკვნის, დანართისა და ბიბლიოგრაფიისაგან.

ნაშრომის **პირველი** თავი შეეხება ელექტრონული საშუალების გამოყენებით ხელშეკრულების დადების არსსა და მის განვითარებას. მასში განხილული იქნება პირველი საკანონმდებლო აქტები, რომლებმაც დაარეგულირეს ეს ურთიერთობა. ნაშრომის **მეორე** თავი შეეხება ხელშეკრულების არსებითი პირობების განსაზღვრას, განხილულ იქნება ხელშეკრულების მხარეები, საგანი, ობიექტი, საუბარი შეეხება ნების გამოვლენის თავისებურებას. მომდევნო - **მესამე** თავი შეეხება ისეთ საკითხს, როგორცაა ხელშეკრულების დადებისა და ძალაში შესვლის მომენტის განსაზღვრა. მოყვანილი იქნება სხვადასხვა ქვეყნის მაგალითები, განმარტებები, იმ საერთაშორისო აქტებიდან, რომლებშიც ვხვდებით უშუალოდ ამ კატეგორიის ხელშეკრულების დასადავად გამოყენებულ ელექტრონული საშუალებების კლასიფიკაციას. ხელშეკრულების დასადავად გამოყენებული ელექტრონული საშუალებების კლასიფიკაცია, ნათელ წარმოდგენას შექმნის უშუალოდ იმ პროცესის შესახებ, რაც ოფერტსა და აქცეპტს ახლავს თან.

ნაშრომის ფარგლებში ასევე განხილული იქნება ამგვარი ხელშეკრულებისათვის მეტნაკლებად სპეციფიური, მაგრამ ძალზედ მნიშვნელოვანი საკითხი – ხელშეკრულების დადების დრო და ადგილი. ოფერტისა და აქცეპტის გაკეთების დრო, შესაძლოა სხვა ნებისმიერი ხელშეკრულების დროსაც არ ემთხვეოდეს ერთმანეთს, მაგრამ დისტანციურ ხელშეკრულებებში, მხარეთა ნების გამოვლენა ყოველთვის სხვადასხვა დროს ხდება. შესაბამისად ზუსტი მომენტის განსაზღვრა, თუ როდიდან წარმოიშობა მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობები, ძალიან მნიშვნელოვანი ასპექტია და უკავშირდება, როგორც ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, ისე შეუსრულებლობის შემთხვევაში შესაბამისი პასუხისმგებლობის საკითხსა და ვადებს.

მხარეთა განსაზღვრა, მათი უფლებებისა და მოვალეობების გამიჯვნა და წარმოჩენა, ნებისმიერი ხელშეკრულებისათვის მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს. სადისერტაციო ნაშრომის **მეოთხე** თავი, სწორედ ელექტრონული საშუალებით დადებულ ხელშეკრულების მონაწილეთა უფლება-მოვალეობებს შეეხება. გამომდინარე იქედან, რომ ელექტრონული საშუალების გამოყენებით (დისტანციურად) ხელშეკრულების დადებისას მხარეები ერთმანეთს არ ხვდებიან, შესაძლოა მათ შორის წარმოიშვას გარკვეული სახის გაუგებრობები. სწორედ ამ გარემოების გათვალისწინებით, ორმაგად საყურადღებოა მხარეთა უფლება-მოვალეობების განსაზღვრა, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მოვაჭრის მიერ მომხმარებლისათვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას, ინფორმაციის სახეს, მოცულობასა და ფარგლებს.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ხელშეკრულების დადების ადგილის განსაზღვრა, მაშინ, როცა მხარეები ხელშეკრულების დადებისას იმყოფებიან სხვადასხვა ქვეყანაში, თუ რომელ ქვეყანაში უნდა ჩაითვალოს ხელშეკრულება დადებულად, დავის წარმოშობის შემთხვევაში რომელი ქვეყნის კანონმდებლობით და რა გზით უნდა დარეგულირდეს არსებული შეუთანხმებლობა, განხილული იქნება ამავე თავში.

თემის მეხუთე თავი შეეხება სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების გზებსა და მათ სამართლებრივ შედეგებს. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას, როგორც ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადებული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. ხელშეკრულებაზე უარის თქმის ფორმის ნიმუში დანართის სახით ერთვის წინამდებარე კვლევას.

ნაშრომი ასევე შეეხება სხვა პრობლემურ საკითხებს, რომლებმაც შესაძლოა, ელექტრონული საშუალების გამოყენებით ხელშეკრულების დადებისას იჩინონ თავი; მიმოხილული იქნება ევროპის ქვეყნების გამოცდილება მსგავსი ტიპის ხელშეკრულებების მიმართ.

დასკვნის სახით მოხდება თემის ხუთ თავში განხილული საკითხების შეჯერება, შემოთავაზებულ იქნება კვლევის ძირითადი დასკვნითი წინადადებები.

თავი I. სამოქალაქო ბრუნვაში ელექტრონული საშუალებების გამოყენებით დადებული ხელშეკრულების განვითარება და მნიშვნელობა

ხელშეკრულებას, როგორც სამართლებრივ ინსტიტუტს, უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში. ხელშეკრულების უმთავრეს მახასიათებელს მხარეთა თავისუფლება და თანასწორობა წარმოადგენს, რაც კერძო ავტონომიის განმსაზღვრელი ფაქტორია.⁸ სახელშეკრულებო სამართალი ცენტრალური სამართლებრივი მექანიზმია ბაზრის სისტემატიზაციისა და რეგულირების სფეროში. ამ გარემოების დასადასტურებლად საკმარისია ევროპის ეკონომიკური და პოლიტიკური ინტეგრაციის პროცესის გადახედვა, რამაც მე-20 საუკუნის შუა წლებში ევროპა უმსხვილეს სავაჭრო ცენტრად აქცია - ერთი წლის განმავლობაში საშუალოდ 2800 მილიონი ევროს პროდუქტის ბრუნვით. ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოსახლეობას, თითქმის 500 მილიონ მომხმარებელს დამატებითი ხარჯებისა და გადასახადების გარეშე შეუძლია მიიღოს სასურველი საქონელი ან მომსახურება.⁹

ევროპაში სახელშეკრულებო სამართალი მნიშვნელოვანი ცვლილებების ობიექტი გახდა. ეს გარემოება ეხება, როგორც კონკრეტული ქვეყნების შიდა კანონმდებლობას ისე ევროკავშირის რეგულაციებს. სიახლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაგალითია ზოგადად ელექტრონული საშუალების გამოყენებით ხელშეკრულების დადების შესაძლებლობა, მომხმარებლისათვის მასზე უარის თქმის უფლების მინიჭება, ელექტრონული ხელმოწერის პრაქტიკის დამკვიდრება. აღნიშნული და დამატებით სხვა არაერთი მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდა ევროკავშირის ქვეყნებში მოქმედი სახელშეკრულებო სამართლის ნორმებში.¹⁰

ელექტრონული საშუალების გამოყენებით ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ორ არათანმყოფ პირს შორის დისტანციურად, ფიზიკური შეხვედრის გარეშე. მხარეთა არათანმყოფობა ურთიერთობის კუმულატიური მოთხოვნაა, ვინაიდან თუ პირები ფიზიკურად შეხვდებიან ერთმანეთს, მოილაპარაკებენ ხელშეკრულების პირობებსა და საგანზე, მაშინ ის აღარ წარმოადგენს ელექტრონული საშუალებით დადებულ ხელშეკრულებას.

იმისათვის, რომ მხარეებმა შეხვედრის გარეშე შეძლონ სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლა, მათ პირველ რიგში ესაჭიროებათ წვდომა სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებაზე, იქნება ეს ტელეფონი, კომპიუტერი, ფაქსი თუ სხვა. უმეტეს შემთხვევაში ელექტრონული საშუალებით სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლა ხდება იმ საკომუნიკაციო მოწყობილობების გამოყენებით, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ინტერნეტთან. დღეისათვის, მსოფლიოს განვითარებულ სახელმწიფოთა მოსახლეობის უმეტესი ნაწილი თავისუფლად სარგებლობს

⁸ *Gofferjé E.F.S.*, Vertragsschluss und Vertragsbindung bei Verbraucherverträgen – Berlin, Duncker&Humblot, 2016, 23.

⁹ *Schulze R.*, *Zoll F.* European Contract Law, Oxford, UK, Hart Publishing, 2018,1.

¹⁰ იქვე, 1.

ინტერნეტით, მასზე წვდომა შესაძლებელია სახლიდან, ქუჩიდან, საჯარო დაწესებულებებიდან, კაფეებსა და სხვა უამრავი ადგილიდან. ინტერნეტის მეშვეობით ხელმისაწვდომია ისეთი პროდუქტისა თუ მომსახურების შესახებ ინფორმაციის დროული მიღება, რომელიც შესაძლოა მომხმარებლისგან ათასობით კილომეტრით შორს მდებარეობდეს. სწორედ ამ მიზეზით უფრო და უფრო მეტი ადამიანი არჩევს ელექტრონული საშუალების გამოყენებით ხელშეკრულების დადებას.

ინტერნეტი, როგორც კომუნიკაციის ერთ-ერთი საშუალება, გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან იღებს სათავეს, როდესაც აშშ-ს თავდაცვის დეპარტამენტმა, შტატებისა და სამხედრო დანაყოფების მარტივად დაკავშირების მიზნით, შექმნა სისტემა, რომელიც ერმანეთთან ორ სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალში მყოფ პირს დააკავშირებდა. იმ დროისათვის ინტერნეტს არ გააჩნდა კომერციული დატვირთვა და ის მხოლოდ ინფორმაციის სწრაფი გაცვლის მიზნით გამოიყენებოდა.¹¹

მოგვიანებით, როცა ინტერნეტის გამოყენება გასცდა მკაცრად შეზღუდულ ფარგლებს და პერსონალური კომპიუტერი გახდა ხელმისაწვდომი საზოგადოების ფართო მასებისათვის, ინტერნეტ-მომხმარებელთა რაოდენობაც საგრძნობლად გაიზარდა და მისი გამოყენება საყოფაცხოვრებო მიზნებისთვისაც გახდა შესაძლებელი, მათ შორის იყო ისეთი, როგორიცაა ადამიანებს შორის კომუნიკაცია, სხვადასხვა საკითხზე ინფორმაციის მოძიება, ენციკლოპედიური, შემეცნებითი და საგანმანათლებლო ფუნქციები. მომხმარებელთა ოდენობის ზრდასთან ერთად, გაჩნდა იდეა, პლატფორმას დამატებით შეეძინა ახალი - კომერციული ფუნქცია, რაც გამოიხატა კომპანიების პროდუქციის რეკლამირებასა და ვაჭრობაში.

დღეისათვის, ელექტრონული საშუალების გამოყენებით, მთელი მსოფლიოს მასშტაბით, მილიონობით ხელშეკრულება იდება, მაშინ, როდესაც სულ რაღაც რამდენიმე ათეული წლის წინ ამ გზით სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლა ყოვლად არარეალური და წარმოუდგენელი იყო.

ელექტრონული საშუალებით დადებული ხელშეკრულებების დასახელებად, სხვადასხვა ქვეყნები სხვადასხვაგვარ ტერმინებს იყენებენ, თუ მაგალითად, საფრანგეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობა¹² ამ ინსტიტუტს ელექტრონული ვაჭრობის სახელით იცნობს, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი¹³ (გსკ) მას შორ მანძილზე - დისტანციურად დადებულ ხელშეკრულებას უწოდებს. საერთაშორისო ნორმების უმეტესობაში ამგვარი მეთოდით ხელშეკრულების დადების აღსანიშნავად, გამოყენებულია ტერმინი - ელექტრონული ვაჭრობა, მათ შორისაა ევროკავშირის დირექტივები, გაეროს კონვენციები და სხვა შეთანხმებები.

¹¹ *Gofferjé E.F.S.*, Vertragsschluss und Vertragsbindung bei Verbraucherverträgen – Berlin, Duncker&Humblot, 2016, 30.

¹² *Thurlow W.*, Electronic Contracts in the United States and the European Union: Varying Approaches to the Elimination of Paper and Pen, ECJL, vol.5.3. November 2001, 7, <<http://www.ejcl.org/53/art53-1.html>> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 09.06.2018.

¹³ იხ. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 312გ (§312C).

როგორც აღინიშნა, ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადებული ხელშეკრულების მხარეებს ერთმანეთთან არ აქვთ უშუალო ფიზიკური კონტაქტი, ისინი არ იმყოფებიან თანაბარ პირობებში და მომხმარებელი, მოვაჭრესთან შედარებით არახელსაყრელ მდგომარეობაშია, ვინაიდან მოვაჭრისთვის ამ ფორმით სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლა არ წარმოადგენს უჩვეულო ან მოულოდნელ პროცესს. რაც შეეხება მომხმარებელს, მისთვის ელექტრონული ფორმით ხელშეკრულების დადება დაკავშირებულია ერთგვარ ბარიერებთან (სასურველი ნივთის ცოცხლად ნახვის, მისი ხარისხის შემოწმების, ზუსტი მონაცემების შესაძლებლობის არ ქონა). სწორედ ამიტომ ამგვარ ხელშეკრულებებს ხშირად სამომხმარებლო ხელშეკრულებებსაც უწოდებენ. ამის მაგალითია „მომხმარებლის უფლებების შესახებ“ დირექტივა, რომლის მოქმედებაც ვრცელდება სწორედ ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადებულ და ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებებზე.

ტერმინის - „ელექტრონული ვაჭრობა“ გამოყენება შემთხვევითი არაა, რადგან თავდაპირველად, ელექტრონული საშუალების გამოყენებით სწორედ ნასყიდობის ხელშეკრულების დადება მოხდა.¹⁴ მას შემდეგ, ელექტრონული საშუალების გამოყენებით, უმეტესად ნასყიდობის ხელშეკრულების დადება ხდება. ეს ლოგიკურიცაა, ვინაიდან ნასყიდობის ხელშეკრულება ერთ-ერთი ყველაზე გამოყენებადი გარიგებაა და ცხადია მომხმარებელთა დიდი ოდენობით გამოირჩევა. თუმცა ელექტრონული საშუალების გამოყენებით შესაძლოა დაიდოს დაზღვევის, სესხის, გადაზიდვის, ნარდობისა და ნებისმიერი ისეთი გარიგება, რომელიც თავისი არსით არ მოითხოვს მხარეთა უშუალო ფიზიკურ შეხვედრას.

1.1. ხელშეკრულების დასადებად ელექტრონული საშუალებების გამოყენების ისტორიული მიმოხილვა

ინგლისელმა გამომგონებელმა და მეწარმემ მიშელ ალდრიხმა, პერსონალური კომპიუტერის მეშვეობით ტელევიზიასთან დაკავშირების გზით 1979 წელს ნასყიდობის ხელშეკრულების დადების იდეის პრეზენტაცია მოახდინა. ამ ფაქტს დიდი დაინტერესება მოჰყვა, როგორც მეწარმეების, ბიზნეს აგენტებისა და გამავრცელებლების, ისე რიგითი მოქალაქეების მხრიდან. მის ბიზნეს იდეას 1980 წლის აპრილში ხორცი შეესხა და განხორციელდა პირველი დისტანციური ვაჭრობა.¹⁵

ონლაინ-მაღაზია - www.amazon.com-მა პირველი სამეცნიერო წიგნი 1995 წლის ივლისის თვეში გაყიდა და ამით მომდევნო 20 წლის განმავლობაში ინტერნეტ-ვაჭრობას ჩაუყარა საფუძველი.¹⁶

¹⁴ http://www.aldricharchive.com/internet_online_shopping.html უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 12.06.2018.

¹⁵ იქვე.

¹⁶ Bräutigam P., Rücker D., E-Commerce München, C.H. BECK, 2017, 5 Rn.8.

ამ პერიოდის შემდეგ, ელექტრონული საშუალების გამოყენებით ხელშეკრულების დადება ძალზედ აქტუალური და მოთხოვნადი გახდა. ბოლო წლების განმავლობაში, ხელშეკრულების დადებისას ელექტრონული კომუნიკაციის საშუალების გამოყენებამ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ვაჭრობის სფეროში.

ტექნოლოგიის სწრაფ განვითარებას შედეგად, მეცნიერების სხვადასხვა სფეროში საგრძნობი ცვლილებები მოჰყვა, ამ მხრივ გამონაკლისს არც სამართალი, კერძოდ კი კერძო სამართალი წარმოადგენდა, რომელსაც სრულიად ახალი – ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადებული ხელშეკრულება დაემატა.

ბუნებრივია, მსგავს ფართომასშტაბიან, გამოყენებად და საკმაოდ წარმატებულ სამართლებრივ ურთიერთობას ესაჭიროებოდა საკანონმდებლო რეგულაცია. ტერმინი ელექტრონული საშუალებით/დისტანციურად ვაჭრობა, კანონმდებლობაში, მხოლოდ მე-20 საუკუნის ბოლოს გაჩნდა.

სამართალი, როგორც მეცნიერების დარგი, ე.წ. ცოცხალი ინსტრუმენტი და მას მუდმივად ესაჭიროება განვითარება, ეკონომიკური, კულტურულითუ ტექნოლოგიური სიახლეების გათვალისწინება. მიმდინარე მოვლენების საკანონმდებლო დონეზე არ ასახვამ და ძველებურმა საკანონმდებლო მიდგომებმა შესაძლოა წარმოშვას არაერთი პრობლემა თუ გაუგებრობა.¹⁷ ამ დაბრკოლებების აღმოსაფხვრელად კი მნიშვნელოვანია მოხდეს იმ საკითხების გამოკვეთა, რაც განახლებას, დახვეწასა და განვითარებას საჭიროებს, შემდგომ კი შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება. სწორედ ამიტომ, ევროპელმა კანონმდებელმა, საკითხის რელევანტურობიდან გამომდინარე, არაერთი დოკუმენტი მიუძღვნა შორ მანძილზე დადებული ხელშეკრულების მომხმარებელთა უფლებებს.

პირველი საერთაშორისო საკანონმდებლო აქტი, რომელიც ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადებულ ხელშეკრულებებს შეეხო, არის გაეროს საერთაშორისო სავაჭრო კომისიის (UNCITRAL) მიერ მომზადებული კონვენცია საქონლის საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეკრულებათა შესახებ. დოკუმენტი 1980 წლის აპრილში იქნა მიღებული, თუმცა მასზე მუშაობა ჯერ კიდევ 1930 წლიდან მიმდინარეობდა. კონვენციამ თავის თავში გააერთიანა საერთაშორისო ვაჭრობისა და საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეკრულების ფორმაციის შესახებ კონვენციები. კონვენცია ოთხი ძირითადი ნაწილისგან შედგება, რომლებიც არეგულირებენ მისი მოქმედების სფეროს, ხელშეკრულების ფორმირების საკითხებს, მოვაჭრისა და მომხმარებლის უფლება-მოვალეობებს. ცხადია კონვენციის მოქმედება ვრცელდება იმ ხელშეკრულებებზე, რომელთა მხარეებიც არ იმყოფებიან ერთსა და იმავე ქვეყანაში.¹⁸

¹⁷ Donnie L.K. Jr., Daughtrey W.H. Jr., Adapting Contract Law to Accommodate Electronic Contracts: Overview and Suggestions, Rutgers Computer and Technology Law Journal, 2000, 2.

¹⁸ Explanatory note by the UNCITRAL Secretariat on the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods, New York, United Nations Publications, 2010, 43-44.

1996 წელს, გაეროს საერთაშორისო სავაჭრო კომისიის მიერ მომზადებულ იქნა მოდელური კანონი ელექტრონული ვაჭრობის შესახებ.¹⁹ კანონის მიზანს წარმოადგენდა საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში ელექტრონული საშუალებების გამოყენებით დადებული ხელშეკრულებებისათვის თანაბარი იურიდიული ძალის მინიჭება და დისკრიმინაციის აკრძალვა. სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობის არქონამ ან არსებულის არარელევანტურობამ წარმოშვა აქტის მიღების საჭიროება. ზოგ შემთხვევაში, ეროვნული კანონმდებლობა არაპირდაპირ ზღუდავდა ელექტრონული საშუალებებით ხელშეკრულების დადების შესაძლებლობას, ვინაიდან მათში გამოყენებული იყო ტერმინები „წერილობითი“ „ხელმოწერილი“ ან „დედანი“. მოდელური კანონის მიღებით, დისკრიმინაციის აკრძალვა კი უზრუნველყოფდა ელექტრონულად დადებული ხელშეკრულების სამართლებრივი ძალის, ნამდვილობისა და აღსრულებადი ხასიათის ქონას.²⁰

გაეროს საერთაშორისო სავაჭრო კომისიის მოდელურ კანონს მოჰყვა ევროპარლამენტისა და საბჭოს 97/7EG 1997 წლის 20 მაისის დირექტივა, შორ მანძილზე დადებული ხელშეკრულების მომხმარებლის უფლებების შესახებ, რომლითაც განიმარტა დისტანციური ვაჭრობის, მომხმარებლისა და მიმწოდებლის ცნება;²¹ აღსანიშნავია, რომ 97/7 EG დირექტივით, მიმწოდებლად იწოდებოდა ის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც საკუთარი კომერციული ან პირადი მიზნებით მოქმედებდა. დღეს მოქმედი დირექტივისა და სხვა არაერთი საკანონმდებლო აქტის მიხედვით ამ პირს ეწოდება მოვაჭრე და არა მიმწოდებელი. დადებითად უნდა შეფასდეს ტერმინის - მიმწოდებელი, მოვაჭრით შეცვლა, რადგანაც, ეს უკანასკნელი თავის თავში მოიაზრებს პირს, რომელიც მხოლოდ კონკრეტული პროდუქციით არამედ გარკვეული მომსახურების სანაცვლოდ იღებს ფინანსურ სარგებელს.

ამერიკის შეერთებული შტატების, ერთიანი სახელმწიფო კანონმდებლობის კომისიის მიერ 1999 წელს მიღებულ იქნა ერთიანი ელექტრონული გარიგებების აქტი, რომელითაც მოხდა ელექტრონული ფორმით დადებული ხელშეკრულების, ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული აგენტის ცნებების განმარტება.²² მას 2001 წელს მოჰყვა აქტი, გლობალურ და ეროვნულ ვაჭრობაში, ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების შესახებ (ელექტრონული ხელმოწერის აქტი The U.C. Electronic Signatures in Global and National Commerce Act E-Sign Act).²³

¹⁹ იხ. საერთაშორისო სავაჭრო კომისიის მოდელური კანონი ელექტრონული ვაჭრობის შესახებ, http://www.uncitral.org/uncitral/en/uncitral_texts/electronic_commerce/1996Model.html უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 12.06.2018.

²⁰ UNCITRAL Model Law on Electronic Commerce with Guide to Enactment, New York, United Nations Publications, 1999, 24-25.

²¹ Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council of 20 May 1997 on the protection of consumers in respect of distance contracts.

²² Uniform Electronic Transactions Act (1999), drafted by National Conference of Commissioners on Uniform State Laws.

²³ Electronic Signatures in Global and National Commerce Act.

2001 წელს ძალაში შევიდა, „ელექტრონული ხელმოწერის შესახებ“ გაეროს საერთაშორისო სავაჭრო კომისიის მოდელური კანონი (UNCITRAL Model Law on Electronic Signatures). ელექტრონული ხელმოწერის, ტრადიციული მეთოდით - ხელით შესრულებული ხელმოწერის თანაბარი ძალის მქონედ ცნობისათვის საჭირო გახდა შესაბამისი საკანონმდებლო აქტის მომზადება.²⁴

კონვენციების ხელმოწერის პარალელურად, ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ხელშეკრულების დადების შესახებ, საკანონმდებლო აქტები მიიღო არაერთმა სახელმწიფომ.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსით, ვალდებულებითი სამართლის მოდერნიზაციის პროცესის ფარგლებში, დარეგულირდა ხანდაზმულობის საერთო ვადა (გსკ §195), ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის საკითხი (გსკ §275), ნივთობრივი ნაკლის მქონე საგნის პრობლემატიკა (გსკ §434). მოდერნიზაციის ფარგლებში გერმანიის სამოქალაქო კოდექსს, 2001 წელს ასევე დაემატა ახალი მუხლი – დისტანციურად დადებული ხელშეკრულებების შესახებ (გსკ §312b)²⁵, მანამდე, კი ამ ურთიერთობას სპეციალური კანონი აწესრიგებდა (კანონი დისტანციური ხელშეკრულების შესახებ). 2003 წელს, გერმანიაში მცხოვრები მომხმარებლების მიერ განხორციელებული ელექტრონული ვაჭრობის შედეგად 6,0 მილიარდი ევრო იქნა გახარჯული, მოგვიანებით კი თანხის ოდენობა საგრძნობლად გაიზარდა და 2009 წელს მან 15,5 მილიარდ ევროს მიაღწია.²⁶

2011 წლის ოქტომბერში, ევროპარლამენტისა და საბჭოს მიერ მიღებულ იქნა „მომხმარებლის უფლებების შესახებ“ ახალი დირექტივა²⁷, რომელმაც ევროსაბჭოს 28 წევრ ქვეყნას, 2013 წლის დეკემბრამდე შიდა კანონმდებლობის ახალ დირექტივასთან შესაბამისობაში მოყვანა და ჰარმონიზაცია დაავალდებულა. დირექტივა ეხება მომხმარებელთა უფლებების დაცვას არა მხოლოდ დისტანციურად - ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადებული ხელშეკრულების, არამედ ქუჩაში დადებული ხელშეკრულების შემთხვევებსაც.

²⁴ Guide to Enactment of the UNCITRAL Model Law on Electronic Signatures, 8.

²⁵ 2014 წლის ივნისამდე მოქმედი რედაქციით, გსკ-ს §312g მუხლით, დისტანციურ ხელშეკრულებებს წარმოადგენდა საქონლის მიწოდებისა თუ მომსახურების, მათ შორის, ფინანსური მომსახურების გაწევის შესახებ ხელშეკრულებები, რომლებიც იდებოდა მეწარმესა და მომხმარებელს შორის მხოლოდ და მხოლოდ კავშირგაბმულობის საშუალებების გამოყენებით გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელშეკრულების დადებას ადგილი აქვს სხვაგვარად, ვიდრე იგი ხორციელდება დისტანციურად ორგანიზებული ნასყიდობისა თუ მომსახურების გაწევის ფარგლებში. 1-ლი წინადადების გაგებით ფინანსურ მომსახურებას მიეკუთვნება საბანკო მომსახურება, ისევე როგორც კრედიტის გაცემასთან, დაზღვევასთან, ცალკეული პირებისათვის სავალდებულო უზრუნველყოფასთან, ფულადი თანხების განთავსებასა თუ გადახდასთან დაკავშირებული მომსახურება.

²⁶ Hörmann M., Der Internethandel und die neue Richtlinie über die Rechte der Verbraucher, München, C.H. Beck, 2014, 13.

²⁷ Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council;

„მომხმარებლის უფლებების შესახებ“ ახალი დირექტივის მიღების საჭიროება წარმოშვა ევროკავშირის ქვეყნებში მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ არაერთგვაროვანმა მიდგომამ. კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პროცესში გამოიკვეთა რიგი საკითხები, რომლებსაც 1997 წლის 97/7EG დირექტივა სხვაგვარად არეგულირებდა, მათ შორის უმთავრესი გახლავთ წინასახელშეკრულებო ვალდებულებები და ხელშეკრულებაზე უარის თქმის ვადა. ახალმა დირექტივამ გაზარდა მომხმარებელთა და მოვაჭრეთა ნდობა, თუმცა რიგი საკითხები კვლავ გამოწვევად დარჩა. არაერთი მცდელობის მიუხედავად მომხმარებლებს კვლავ არ აქვთ სათანადოდ მაღალი ცნობიერება ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების შესახებ. მოვაჭრეები კი ისევ არ იცავენ ინფორმაციის სრულად მიწოდების ვალდებულებას.²⁸ „მომხმარებლის უფლებების შესახებ“ დირექტივამ ასევე შეამცირა საზღვარგარეთ მოვაჭრე პირთა ხარჯები. სწორედ ამ ხარვეზების აღმოსაფხვრელად იქნა მიღებული ახალი დირექტივა და ასევე ევროკომისიის მიერ მომზადებულ იქნა განმარტებითი დოკუმენტი²⁹, რომელიც არ არის სავალდებულო ძალის მქონე, თუმცა წარმოადგენს დამხმარე ინსტრუმენტს, რომელიც ხელს შეუწყობს ხელშეკრულების მხარეებს, უკეთ გააცნობიერონ საკუთარი უფლება-მოვალეობები.³⁰ მომხმარებელთა უფლებების შესახებ საკანონმდებლო რეგულაციის დახვეწის პარალელურად, სასურველი იქნება საქართველოშიც მომზადდეს სხვადასხვა დოკუმენტი, საინფორმაციო ბროშურა თუ სარეკლამო რგოლი, რაც ქართველ მომხმარებელს საშუალებას მისცემს იცოდეს თავისი უფლებები და უკეთ დაიცვას თავი.

„მომხმარებლის უფლებების შესახებ“ დირექტივის მიღებამდე, საფრანგეთში, 2000-2014 წლებში მომხმარებელთა დაცვის შესახებ (დისტანციური ვაჭრობის) რეგულაცია მოქმედებდა, ზემოხსენებული რეგულაცია 2014 წელს განხორციელებული ცვლილებების შედეგად, ძალადაკარგულად გამოცხადდა და ძალაში შევიდა მომხმარებელთა ხელშეკრულებების შესახებ ახალი რეგულაცია, რომელიც „მომხმარებლის უფლებების შესახებ“ დირექტივისა და გაერთიანებული სამეფოს რეგულაციის ანალოგს წარმოადგენს.³¹

თავად გაერთიანებული სამეფო, 2014 წლამდე, საფრანგეთის მსგავსად, მომხმარებელთა დაცვის შესახებ (დისტანციური ვაჭრობის) რეგულაციის მეშვეობით აწესრიგებდა მომხმარებელსა და მოვაჭრეს შორის წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობას.³² 2015 წელს კი ძალაში შევიდა მომხმარებელთა უფლებების აქტი, რომელმაც ახლებურად დაარეგულირა

²⁸ Execurtive Summary of the Study on the application of the Consumer Rights Directive 2011/83/EU

²⁹ DG Justice Guidance Document concerning Directive 2011/83/EU of the European Parliament and the Council of 25 October 2011 on the consumer rights, amending, Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council.

³⁰ Execurtive Summary of the Study on the application of the Consumer Rights Directive 2011/83/EU

³¹ French Contract Law, <https://www.trans-lex.org/601101/french-civil-code-2016/> უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 12.06.2018

³² The Consumer Contracts (Information, Cancellation and Additional Charges) Regulations, Consumer Protection 2013 No.3134.

ელექტრონული საშუალებით დადებული მხარეების უფლება მოვალეობები, მათ შორის მომხმარებლის უფლება უარი თქვას ხელშეკრულებაზე, ასევე მხარეთა წინასახელშეკრულებო ვალდებულებები.³³

ცვლილება განხორციელდა გერმანიის სამოქალაქო კოდექსშიც, რომლის 312გ მუხლის თანახმად, დისტანციურ ხელშეკრულებას წარმოადგენს ხელშეკრულება, როდესაც მეწარმე ან მისი სახელით ან დავალებით მოქმედი პირი და მომხმარებელი მოლაპარაკებას აწარმოებენ და ხელშეკრულებას დებენ მხოლოდ დისტანციურად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელშეკრულების დადებას ადგილი აქვს სხვაგვარად, ვიდრე იგი ხორციელდება დისტანციურად ორგანიზებული ნასყიდობისა თუ მომსახურების გაწევის ფარგლებში.

საქართველოში ელექტრონული საშუალების გამოყენებით, მომხმარებელთათვის სხვადასხვა მომსახურებისა თუ პროდუქტის შეთავაზება რამდენიმე წლის წინ დაიწყო. არაერთი კომპანია საკუთარი ინტერნეტ-გვერდის მეშვეობით, მომხმარებელს სთავაზობს სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლას. მართალია, ქართული კანონმდებლობა, არაფერს ამბობს ამ გზით დადებული ხელშეკრულებების შესახებ, თუმცა ეს მომხმარებელთათვის სასურველი მომსახურების შეძენისას, დაბრკოლებას არ წარმოადგენს. მომხმარებელთა უმეტესობა მწირ ინფორმაციას ფლობს ელექტრონული საშუალების გამოყენებით ხელშეკრულების დადებისას საკუთარი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ.

საქართველოში მომხმარებელთა უფლებების დაცვას ეხება საქართველოს კონსტიტუცია, რომლის 30-ე მუხლის მე-2 ნაწილის მეორე წინადადებით მომხმარებელთა უფლებები დაცულია კანონით. თუმცა კანონი, რომელიც უნდა აწესრიგებდეს მომხმარებელთა ინტერესებს და იცავდეს მათ უფლებებს დღეის მდგომარეობით ძალადაკარგულია.³⁴ აღსანიშნავია, რომ ძალადაკარგულად აღიარების შემდეგ მომხმარებელთა უფლებების შესახებ კანონის მიღება დღემდე არ მომხდარა.

მართალია დღეისათვის მოქმედებს პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი, თუმცა ეს აქტი ეხება ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, საკუთრების ან გარემოს დაცვის საკითხებს, ასევე პროდუქტის გადაადგილების და ბაზარზე განთავსებისას კონკურენციის ხელშეწყობის სფეროს, რაც შეეხება სავაჭრო ურთიერთობებში ფიზიკური პირის მონაწილეობასა და მისი უფლებების დაცვას, ეს კოდექსის მოქმედების სფეროს სცდება.³⁵

³³ Consumer Rights Act, United Kingdom, 2015.

³⁴ საქართველოს კანონი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ, ძალადაკარგულია 08.05.2012 N615 7 კანონით.

³⁵ საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო, რეგულირების გავლენის შეფასება საქართველოს კანონის პროექტზე „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“, 2016, 9, ხელმისაწვდომია: <http://www.economy.ge/?page=reforms&s=21> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 21.06.2018.

ეკონომიკის განვითარებისა და მყარი საინვესტიციო ატმოსფეროს შექმნის მიზნით, საქართველოსთვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ელექტრონული საშუალების გამოყენებით სახელშეკრულებო ურთიერთობების დამყარება, როგორც უცხოურ კომპანიებთან, ისე ქვეყნის შიგნით არსებული ბიზნესის ხელშეწყობა. ამ კუთხით კანონმდებლობის დახვეწა, საქართველოსთვის არა მხოლოდ სასურველი, არამედ სავალდებულოც გახლავთ, ვინაიდან 2014 წლის ივნისის თვეში, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერით, სახელმწიფომ იკისრა ვალდებულება, თავის კანონმდებლობა დაუახლოვოს ევროკავშირის კანონმდებლობასა და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებს. შეთანხმება მიზნად ისახავს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შექმნას. შეთანხმების მე-6 თავის 1 ქვენაწილი ეხება ელექტრონულ კომერციას, შეთანხმების 127-ე მუხლის თანახმად, მხარეები აღიარებენ რა, რომ ელექტრონული კომერცია მრავალ სექტორში ზრდის ვაჭრობის შესაძლებლობებს, თანხმდებიან, რომ ხელი შეუწყონ მათ შორის ელექტრონული კომერციის განვითარებას. 128-ე მუხლის მიხედვით, საქართველომ ვალდებულება აიღო, აწარმოოს დიალოგი ელექტრონული კომერციიდან წარმოშობილ რეგულირების სხვადასხვა საკითხებზე, მათ შორის მომხმარებელთა დაცვის შესახებ, ელექტრონული კომერციის ფარგლებში. აღნიშნული, და შეთანხმებით გათვალისწინებული სხვა უამრავი ვალდებულების შესასრულებლად, საქართველოს, ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 5 წლიანი ვადა განესაზღვრა.³⁶

შესაბამისი კანონმდებლობის არქონა საქართველოში მოქმედი ბიზნეს სექტორის დაბალ სოციალურ პასუხისმგებლობას და მომხმარებელთა უფლებების უპატივცემულობას განაპირობებს.³⁷ სწორედ ამიტომ უკიდურესად აუცილებელი ხდება ამ სფეროში კანონმდებლობის დროული დახვეწა და მოქალაქეთათვის თანაბარი შესაძლებლობების მიცემა, რათა ისინი დაცულნი იყვნენ კანონით, იცოდნენ საკუთარი უფლება-მოვალეობები, დარღვევის შემთხვევაში ჰქონდეთ სასამართლოსთვის მიმართვისა და საკუთარი ინტერესების დაცვის შესაძლებლობა.

1.2. ელექტრონული საშუალებების გამოყენებით დადებული ხელშეკრულების არსი

ელექტრონული საშუალების გამოყენებით ხელშეკრულების დადება გულისხმობს მხარეთა შორის დისტანციურად, ერთდროული ფიზიკური

³⁶ ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის, 1/07/2016 <http://www.mfa.gov.ge/Association-Agreement.aspx> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 15.05.2018.

³⁷ საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო, რეგულირების გავლენის შეფასება საქართველოს კანონის პროექტზე „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“, 2016, 5, ხელმისაწვდომია: <http://www.economy.ge/?page=reforms&s=21> უკანასკნელად იქნა გადამწმეული 21.06.2018.

თანყოფის გარეშე გარკვეული სამართლებრივი ურთიერთობის ჩამოყალიბებას, რაც გამოიხატება კონკრეტულ პირობებზე შეთანხმებასა და თანამდევნი უფლება-მოვალეობების წარმოშობაში. ნაკისრი ვალდებულების შესრულებაც ხდება იმგვარად, რომ მხარეები ერთმანეთს არ ხვდებიან, მომხმარებლის მიერ ხდება თანხის გადარიცხვა, მოვაჭრე კი ვალდებულია გაგზავნოს შეძენილი ნივთი ან მომსახურება.

ელექტრონული საშუალებით დადებული ხელშეკრულება სხვა ფორმით და საშუალებით დადებული ხელშეკრულებებისგან განსხვავებით იდება ისე, რომ მხარეები არც ხელშეკრულების დადებამდე და არც უშუალოდ დადების მომენტში, ფიზიკურად არ იმყოფებიან ერთსა და იმავე ადგილას. ნაცვლად ფიზიკური შეხვედრისა და მხარეებს შორის ტრადიციული მეთოდით მოლაპარაკებისა, მომხმარებელს სახლიდან გაუსვლელად, ელექტრონული საშუალების გამოყენებით, შეუძლია დადოს მისთვის სასურველი ხელშეკრულება. ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადებული ხელშეკრულების მხარეები შესაძლოა იმყოფებოდნენ სხვადასხვა ქვეყანაშიც. აღნიშნული მიზეზის გამო, მომხმარებელს არ აქვს შესაძლებლობა სრულყოფილად შეაფასოს მისთვის სასურველი პროდუქტი ან მომსახურება. ერთი შეხედვით ეს გარემოება მომხმარებელს არასათანადო პირობებში აყენებს, თუმცა მას არაერთი დადებითი მახასიათებელი გააჩნია, რაზეც მეტყველებს მისი ძალიან ფართოდ გავრცელება. ელექტრონული საშუალების გამოყენებით ხელშეკრულების დადება დღეისათვის ყველასთვის კარგად ნაცნობი და მოსახერხებელი გზაა, სხვადასხვა სახის ხელშეკრულების დასადებად.

ელექტრონული საშუალებით დადებული ხელშეკრულების განმარტება მოცემულია ევროპარლამენტისა და საბჭოს „მომხმარებლის უფლებების შესახებ“ დირექტივაში, რომლის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, დისტანციური ხელშეკრულება გულისხმობს მოვაჭრესა და მომხმარებელს შორის, დისტანციურად ორგანიზებული ვაჭრობის ან მომსახურების ფარგლებში დადებულ ნებისმიერ ხელშეკრულებას, მხარეთა ერთდროული ფიზიკური დასწრების გარეშე, ექსკლუზიურად ერთი ან რამდენიმე დისტანციური საშუალების გამოყენებით, როგორც ხელშეკრულების დადებამდე, ისე უშუალოდ ხელშეკრულების დადების დროს.³⁸

„მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის ძალადაკარგულად გამოცხადების შემდგომ, საქართველოს პარლამენტის ევროინტეგრაციის საკითხთა კომიტეტის მიერ შემუშავებული იქნა „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი, რომელიც არეგულირებს მოვაჭრესა და მომხმარებელს შორის სამართლებრივ ურთიერთობებს, ადამიანის უფლებების ზოგად პრინციპებს მხარეთა

³⁸ Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council;

სახელმწიფო ურთიერთობისას.³⁹ კანონპროექტის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, დისტანციური ხელშეკრულება იდება ტექნიკური საშუალებების გამოყენებით და არ მოითხოვს მოვაჭრისა და მომხმარებლის ფიზიკურ თანყოფას.⁴⁰ მართალია კანონპროექტი წარმოადგენს „მომხმარებელთა დაცვის შესახებ“ დირექტივის ანალოგს, თუმცა მასში გარკვეული საკითხები ან არ არის ან სხვაგვარად არის ასახული.

ელექტრონულ, ტექნიკურ საშუალებაში, რომელიც ხელშეკრულების დასადავად გამოიყენება, მოიაზრება პერსონალური კომპიუტერი, მობილური, ან სხვა მოწყობილობა, რომელსაც ინტერნეტთან აქვს წვდომა, ასევე ტელეფონი, ფაქსი ან სხვა ხელსაწყო, რომლის მეშვეობითაც მხარეებს შეუძლიათ დაუკავშირდნენ ერთმანეთს და შეთანხმდნენ ხელშეკრულების პირობებზე. ამრიგად, მსგავსი ხელშეკრულების მთავარი მახასიათებელი არის ის გარემოება, რომ მხარეები ხელშეკრულების დადების მომენტში არ იმყოფებიან ერთსა და იმავე გეოგრაფიულ არეალში, ხელშეკრულების პირობებზე ისინი ელექტრონული საშუალებების გამოყენებით თანხმდებიან. როგორც უკვე აღინიშნა, ელექტრონული ხელშეკრულების დადება მოიცავს ელექტრონული საშუალებით სხვადასხვა ქმედების განხორციელებას. როდესაც საუბარია ელექტრონული საშუალების გამოყენებით ხელშეკრულების დადებაზე, მასში უმეტესწილად მოიაზრება ნასყიდობის ხელშეკრულება, თუმცა ამ გზით შესაძლებელია ასევე დაიდოს მიწოდების, გაცვლის, გადაზიდვის, დაზღვევის, დავალების ხელშეკრულებები ან გარიგება სხვადასხვა ფინანსურ მომსახურებაზე, მათ შორის სესხის ან ლიზინგის ხელშეკრულებაზე. თუმცა, ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადებული ხელშეკრულებების უმეტესობას წარმოადგენს ნასყიდობის, ფინანსური მომსახურებისა და მიწოდების ხელშეკრულება.

„მომხმარებელთა დაცვის შესახებ“ დირექტივის მიზნებისათვის ელექტრონული საშუალების გამოყენებით შესაძლებელია დაიდოს ნასყიდობის ხელშეკრულება, რაც გულისხმობს ნებისმიერ ხელშეკრულებას, რომლითაც მოვაჭრე მომხმარებელს შეძენილ ნივთზე გადასცემს საკუთრების უფლებას, ხოლო მომხმარებელი იხდის შეძენილი საქონლის ფასს, ნასყიდობის ხელშეკრულების ობიექტი შესაძლოა იყოს როგორც კონკრეტული საქონელი ისე მომსახურება.⁴¹

³⁹ საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო, რეგულირების გავლენის შეფასება საქართველოს კანონის პროექტზე „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“, 2016, 12, ხელმისაწვდომია: <http://www.economy.ge/?page=reforms&s=21> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 21.06.2018.

⁴⁰ იხ. კანონპროექტი „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/113040> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 13.06.2019.

⁴¹ DG Justice Guidance Document concerning Directive 2011/83/EU of the European Parliament and the Council of 25 October 2011 on the consumer rights, amending, Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council, 6.

ელექტრონული ვაჭრობა ხორციელდება ე.წ. ინტერნეტ-მაღაზიაში, რაც არის პლატფორმა, რომელიც საქონლით ან მომსახურებით ელექტრონული ვაჭრობის შესაძლებლობას სთავაზობს მომხმარებლებს.⁴²

მომსახურების ხელშეკრულება შესაძლოა იყოს ნასყიდობისგან განსხვავებული ხელშეკრულება, რომლითაც მოვაჭრე მომხმარებელს აწვდის სერვისს და მომხმარებელი იხდის მის საფასურს. ხშირ შემთხვევაში, ხელშეკრულებები, რომლებზეც ვრცელდება „მომხმარებლის უფლებების შესახებ“ დირექტივის მოქმედება, შეიცავს როგორც საქონლის ისე მომსახურების მიწოდების ელემენტებს. ამგვარი ხელშეკრულების მაგალითად შესაძლოა მოყვანილ იქნეს სამზარეულოს ტექნიკის ელექტრონული საშუალების გამოყენებით შექმნა, რომლის საფასურშიც შედის მომხმარებლის სახლში მისი ინსტალაცია.⁴³

როგორც აღინიშნა, მართალია ხელშეკრულების დადება მხარეთა შეხვედრის გარეშე ხდება, თუმცა ელექტრონული საშუალებით დადებულად ითვლება ხელშეკრულება იმ შემთხვევაშიც, როდესაც მომხმარებელი სასურველი საქონლის სანახავად, ან მოვაჭრის საქმიანობის შესახებ ვრცელი ინფორმაციის მისაღებად მიდის მოვაჭრის ადგილსამყოფელზე. იმისათვის რომ ამ პირობებში ხელშეკრულება ჩაითვალოს ელექტრონული გზით დადებულად, მნიშვნელოვანია მხარემ საქონლის ან მომსახურების შესახებ თავდაპირველად შეიტყოს ელექტრონული საშუალების გამოყენებით და მხოლოდ მას შემდეგ გაეცნოს პროდუქტს ან შეხვდეს მის მწარმოებელს. წინააღმდეგ შემთხვევაში ხელშეკრულება არ ჩაითვლება ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადებულად.⁴⁴ აღსანიშნავია, რომ ამგვარმა მიდგომამ, შესაძლოა წამოჭრას არაერთი პრობლემური საკითხი. რთული იქნება გაიმიჯნოს მხარეთა შორის ხელშეკრულების არსებით პირობებზე შეთანხმება მოხდა ელექტრონული საშუალების გამოყენებით, თუ მათ შორის ადგილი ჰქონდა ზეპირსიტყვიერ მოლაპარაკებას. ამ უკანასკნელის არსებობა ეწინააღმდეგება და გამორიცხავს ხელშეკრულების ელექტრონული საშუალებით დადების ფაქტს და თუ მხარეთა შორის მოხდება ფიზიკური კონტაქტი უმჯობესი იქნება ამ გზით დადებული ხელშეკრულება არ იქნეს მიჩნეული ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადებულად, იმ შემთხვევაშიც კი თუ მომხმარებელმა, სასურველი პროდუქციის ან მომსახურების შესახებ ინფორმაცია თავდაპირველად სწორედ ელექტრონული საშუალების გამოყენებით მიიღო. ელექტრონული საშუალებით ხელშეკრულების დადებისას მომხმარებელთა უფლებების მაღალ დონეზე დაცვა სწორედ იმ გარემოების გამო წარმოადგენს ერთ-ერთ საკვანძო საკითხს, რომ მომხმარებელს არ აქვს სასურველი პროდუქციის პირადად შემოწმების შესაძლებლობა. თუ ის მოახერხებს, წინასწარ,

⁴² *Gisler M., Stanoevska-Slabeva K., Greunz M., Legal Aspects of Electronic contracts, Infrastructures for Dynamic Business-to-Business Service Outsourcing, Stockholm, June 2000, 4.*

⁴³ DG Justice Guidance Document concerning Directive 2011/83/EU of the European Parliament and the Council of 25 October 2011 on the consumer rights, amending, Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council, 6.

⁴⁴ იქვე, 30.

ელექტრონული საშუალების გამოყენებით გაცნობილი პროდუქციის ფიზიკურად ნახვას და მის შეფასებას, მოგვიანებით კი ხელშეკრულებას ისევ ელექტრონული საშუალებით დადებს, მასზე გავრცელდება ამგვარი ხელშეკრულების დადების სამართლებრივი ნორმები, რომლებიც მეტ პრივილეგიას მიანიჭებს მათ იმ მომხმარებელთან შედარებით, რომელმაც იმთავითვე მაღაზიაში, საწარმოში ან ობიექტზე მისვლის გზით დადო ხელშეკრულება.

„მომხმარებლის ფინანსური მომსახურების დისტანციური მარკეტინგის შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002 წლის 23 სექტემბრის დირექტივის მე-2 მუხლის მიხედვით ელექტრონული ხელშეკრულება გულისხმობს ხელშეკრულებას, რომელიც ეხება ფინანსურ მომსახურებას და რომელიც დადებულია მიმწოდებელსა და მომხმარებელს შორის, მიმწოდებლის მიერ ორგანიზებულ დისტანციური ვაჭრობისა და მომსახურების პირობების სქემის შესაბამისად, რომელიც ხელშეკრულების მიზნებიდან გამომდინარე იდება ექსკლუზიურად ერთი ან მეტი დისტანციური კომუნიკაციის საშუალების გამოყენებით.

ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, ფინანსური მომსახურება გულისხმობს ნებისმიერი სახის საბანკო მომსახურებას, მათ შორის საკრედიტო, სადაზღვევო, საპენსიო, საინვესტიციო ან გადახდის სერვისს.⁴⁵

რაც შეეხება ნასყიდობის ხელშეკრულების დროს მიწოდების ვალდებულებას, რიგ შემთხვევებში ეს არ შეიძლება ცალკე ხელშეკრულებად იქნეს აღქმული, ვინაიდან მიწოდება წარმოადგენს დისტანციურად დადებული ხელშეკრულების შესრულების ერთადერთ საშუალებას, თუ მოვაჭრე მომხმარებელს არ გაუგზავნის შეძენილ ნივთს, იგულისხმება, რომ მან მასზე დაკისრებული ვალდებულება არ შეასრულა.

თუ მოვაჭრე თავად უზრუნველყოფს შეძენილი საქონლის მომხმარებლამდე მიწოდებას, ამ შემთხვევაში სახეზეა შერეული ხელშეკრულება - ნასყიდობისა და გადახდის ხელშეკრულება. მოვაჭრის მიერ ერთი ხელშეკრულების ფარგლებში ხორციელდება ვალდებულების შესრულება. მას შემდეგ, რაც მოვაჭრე უზრუნველყოფს საქონლის მომხმარებლის მიერ მითითებულ მისამართზე მიტანას მოვაჭრესა და მომხმარებელს შორის შესრულების გზით წყდება სახელშეკრულებო ურთიერთობა.

შერეული ხელშეკრულება არ წარმოადგენს ტიპიურ, კლასიკურ ხელშეკრულებას, ვინაიდან ისინი არ განეკუთვნებიან ერთ რომელიმე კონკრეტულ ხელშეკრულებას, არამედ მოიცავენ რამდენიმე ხელშეკრულების შემადგენელ ელემენტს.⁴⁶ შერეულია ხელშეკრულება, რომელშიც მოცემულია

⁴⁵ Directive 2002/65/EC of the European Parliament and of the Council of 23 September 2002 concerning the distance marketing of consumer financial services and amending Council Directive 90/619/EEC and Directives 97/7/EC and 98/27/EC, art.2.

⁴⁶ *ჭანტურია ლ., ზოიძე ბ.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, თბილისი, გამომც. სამართალი, 2001, წიგნი მესამე, 171.

სხვადასხვა ხელშეკრულების სხვადასხვა პირობა, თუმცა ეს პირობები ერთი ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილებია.⁴⁷

პირთა ფართო წრის მიერ ხელშეკრულების დადებისას ტრადიციული ფორმების (წერილობითი ან ზეპირი) ნაცვლად, ელექტრონული საშუალების გამოყენებას, არაერთი მიზეზი გააჩნია. მსგავს სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლას, როგორც მომხმარებლისთვის, ისე მოვაჭრისათვის აქვს ბევრი დადებითი მხარე. ერთ-ერთი ასეთი გარემოება არის დროის ეკონომია, მაშინ როდესაც ხელშეკრულების მხარეები და საგანი, სხვადასხვა ქვეყანაში ან დასახლებულ პუნქტში იმყოფებიან, ბუნებრივია ამ ვითარებაში, მათ შორის მოლაპარაკების წარმოება და ხელშეკრულების საგნის შეფასება დიდ დროსა და ფინანსურ ხარჯებს მოითხოვს. ელექტრონული საშუალების გამოყენებით ხელშეკრულების დადებისას კი, არათუ მხარეთა შეხვედრა არ არის საჭირო, არამედ მომხმარებელს ეძლევა შესაძლებლობა, სახლიდან გაუსვლელად სხვა საქონელს შეადაროს სასურველი მომსახურების ან პროდუქტის ხარისხი და ფასი. აღნიშნული კი პროცესს საკმაოდ მოსახერხებელსა და ეფექტურს ხდის.⁴⁸ აღსანიშნავია ისიც, რომ ონლაინ-მაღაზიები დღე-ღამის ნებისმიერ დროს არის ხელმისაწვდომი, შესაბამისად მოვაჭრე სარგებელს იღებს მაშინაც კი როდესაც სძინავს.⁴⁹

ელექტრონული საშუალებით ხელშეკრულების დადება განსაკუთრებით მეწარმეს ასევე საშუალებას აძლევს გაზარდოს და ბაზრის ფართო მასებისთვის ხელმისაწვდომი გახადოს საკუთარი ბიზნესი. ერთ კონკრეტულ ან თუნდაც რამდენიმე ადგილზე მაღაზიის ფლობა, ვერ იქნება ისეთი მასშტაბური ხასიათის, როგორც მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან განხორციელებული ელექტრონული ვაჭრობა.

ამ გზით ხელშეკრულების დადებას, იმ მხრივაც აქვს მხარეთათვის მნიშვნელოვანი ფუნქცია, რომ როგორც წესი ინტერნეტ-მაღაზიებში განთავსებულ თითოეულ პროდუქტს აქვს, მომხმარებლის მიერ შეფასების გაკეთების შესაძლებლობა. ეს გარემოება პოტენციურ მომხმარებლებს აძლევს საშუალებას გაიზიაროს სხვების გამოცდილება და მხოლოდ მას შემდეგ მიიღოს სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლის გადაწყვეტილება, როცა დარწმუნდება, რომ ეს პროდუქცია ზუსტად შეესაბამება მის მოთხოვნებს. მოვაჭრისათვის კი მომხმარებელთა მიერ გაკეთებული შეფასება, სამომავლოდ წარმოებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და კონკურენტუნარიან ბაზარზე დამკვიდრების კარგი საშუალებაა. უნდა აღინიშნოს, რომ შეფასების სისტემის არარსებობა პირდაპირ აისახება ამა თუ იმ ინტერნეტ-მაღაზიის იმიჯზე, რეპუტაციასა და მათ მიმართ მომხმარებლის ნდობის ხარისხზე.

ელექტრონული ხელშეკრულების არსის უკეთ გასაცნობად, უმჯობესი იქნება განხილულ იქნეს უშუალოდ ის ელექტრონული საშუალებები, რაც გამოიყენება ხელშეკრულების დასადებად.

⁴⁷ ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, გამომც. მერიდიანი, 2014, 177.

⁴⁸ http://europa.eu/youreurope/citizens/consumers/shopping/pricing-payments/index_en.htm

უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 23.06.2018.

⁴⁹ <https://www.entrepreneur.com/article/251386> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 23.06.2018.

1.3. ხელშეკრულების დასადავად გამოყენებული ელექტრონული საშუალებების კლასიფიკაცია

ხელშეკრულების დასადავად, ელექტრონული საშუალების გამოყენება გულისხმობს, ინფორმაციის გაცვლისთვის ინტერნეტის, ტელეფონის, ფაქსის, ტელეგრამის ან სხვა მსგავსი ელექტრონული, მაგნიტური ან მსგავსი საშუალების გამოყენებას. გამომდინარე იქედან, რომ დისტანციურად დადებული ხელშეკრულებების უმეტესობა სწორედ ინტერნეტთან წვდომის მქონე კომპიუტერის ან/და ტელეფონის მეშვეობით ხდება, პირველ რიგში უნდა მოხდეს ხელშეკრულების დადებისას ინტერნეტის როლისა და ფუნქციის განსაზღვრა.⁵⁰

ინტერნეტი წარმოადგენს, მსოფლიო მასშტაბით მილიონობით კომპიუტერის ერთმანეთთან დაკავშირებისა და მათ შორის ინფორმაციის გაცვლის უნიკალურ საშუალებას. მისი გამოყენება სხვადასხვა მიზნით ხდება – კომუნიკაცია, მონაცემთა გაცვლა, ინფორმაციის გაზიარება, ასევე საქონლის ან მომსახურების გაყიდვა. მაგალითად, აშშ-ში ელექტრონული ხელშეკრულებების გაფორმების გზით ფინანსურმა ბრუნვამ, მხოლოდ ერთი - 2001 წლის განმავლობაში 32 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, ევროპის ქვეყნებში, 2002 წელს, ელექტრონულ ვაჭრობაში 86 მილიარდი აშშ დოლარი გაიხარჯა. ზემოხსენებული მაგალითები ცხადყოფს, რომ ინტერნეტის მეშვეობით დადებული ხელშეკრულებები მზარდი ტენდენციით გამოირჩევა და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საბაზრო ეკონომიკის ზრდაზე. ინტერნეტ ვაჭრობა, მასში მონაწილე პირთა მიხედვით, იყოფა სამ კატეგორიად:

- მოვაჭრეთა შორის დადებული ხელშეკრულება (B2B);
- მოვაჭრესა და მომხმარებელს შორის დადებული ხელშეკრულება (B2C);
- თანაბარ მდგომარეობაში მყოფ პირთა შორის დადებული ხელშეკრულება (P2P);⁵¹

ამ სამი კატეგორიის მარტივად აღსაქმელად, შესაძლოა მოხდეს კონკრეტული მაგალითების მითითება; მოვაჭრეთა ან/და იურიდიულ პირებს შორის (B2B) დადებული ხელშეკრულების ნიმუშს წარმოადგენს ინტერნეტ-მაღაზია „კვილი“ (www.quill.com), რომელიც მომხმარებელს, მაგრამ მხოლოდ მოვაჭრეს ან/და იურიდიულ პირს, სთავაზობს მილიონამდე დასახელების სხვადასხვა პროდუქტს. მითითებული მაღაზია, სწორედ მოვაჭრეთა შორის ვაჭრობის მიზნით შეიქმნა და ის დღეისათვის ამგვარი სპეციფიკით მოვაჭრე, ერთ-ერთი უმსხვილესი ინტერნეტ-მაღაზიაა.

ინტერნეტ-მაღაზია „ამაზონი“ (www.amazon.com) მომხმარებლებს აძლევს საშუალებას სახლიდან გაუსვლელად, ინტერნეტის მეშვეობით, შეიძინონ სხვადასხვა დასახელების პროდუქცია. ინტერნეტ-მაღაზიაში,

⁵⁰ Explanatory note by the UNCITRAL Secretariat on the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods, New York, United Nations Publications, 2010, 38.

⁵¹ Hill J. E., The Future of Electronic Contracts in International Sales: Gaps and Natural Remedies under the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods, Northwestern Journal of Technology and Intellectual Property, 2003, vol. 2, 9.

როგორც წესი, მოვაჭრე წარმოადგენს იურიდიულ და არა კერძო პირს. შესაბამისად თუ პირი გადაწყვეტს ისარგებლოს „ამაზონის“ მომსახურებით, ინტერნეტ მაღაზიასა და მომხმარებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება იქნება ზემოხსენებული კატეგორიის მეორე პუნქტით გათვალისწინებული – მოვაჭრესა და მომხმარებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება (B2C);

ანალოგიურ ფუნქციას ასრულებს, ასევე კარგად ნაცნობი ინტერნეტ-მაღაზია „იბი“ (www.ebay.com), რომელიც უზრუნველყოფს როგორც მოვაჭრესა და მომხმარებელს შორის, ისე თანაბარ მდგომარეობაში მყოფ პირთა შორის ხელშეკრულების დადებას. თუ სხვა ინტერნეტ მაღაზიაში, მოვაჭრე აუცილებად უნდა იყოს იურიდიული პირი, „იბი“-ს მეშვეობით ნებისმიერ პირს შეუძლია აუქციონზე გაიტანოს მისთვის სასურველი ნივთი (P2P).⁵²

ინტერნეტის მეშვეობით, ხელშეკრულების დადება შესაძლოა ორგვარად განხორციელდეს, პირველი – ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მეორე – ე.წ. დილაკზე ხელის დაჭერის გზით.

ელექტრონული ფოსტა, ხელშეკრულების დადების კარგად ცნობილი და აპრობირებული მეთოდია. ეს უკანასკნელი წერილის ციფრულ ანალოგს წარმოადგენს და იმავე ფუნქციას ასრულებს, რასაც ფოსტა. ხშირ შემთხვევაში, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ხდება ოფერტისა და აქცეპტის გაკეთება, ასევე სარეკლამო განცხადებების მხარისათვის გაგზავნა. მხარის მიერ ოფერტზე, ელექტრონული ფოსტით, აქცეპტის გაკეთება, სახელშეკრულებო ვალდებულებების წარმოშობის საფუძველია.

ელექტრონული მეილის მსგავსად, მხარეთა მიერ ნების გამოვლენა შესაძლოა მოხდეს ისეთი სოციალური ქსელებისა და საკომუნიკაციო პროგრამების მეშვეობით, როგორცაა ფეისბუქი (Facebook), ვაიბერი (Viber), ვოტსაფი (WhatsApp) და ა.შ.

ხელშეკრულების დადების მეორე გზა ე.წ. დილაკზე ხელის დაჭერის მეთოდი, ძირითადად გამოიყენება ინტერნეტ-მაღაზიების მიერ. მსგავსი ფორმით ხელშეკრულების დადებისას, ხდება მომხმარებლის პერსონალური კომპიუტერის, მოვაჭრის სერვერთან დაკავშირების გზით მონაცემთა გაცვლა. მაგალითად, ინტერნეტ-მაღაზია, რომელიც მომხმარებელს სთავაზობს კონკრეტულ საქონელს ან/და მომსახურებას, ოფერტში, სავალდებულო ინფორმაციასთან ერთად, მომხმარებელს სთავაზობს დილაკზე ხელის ერთი დაჭერით ხელშეკრულების გაფორმების შესაძლებლობას. როცა მომხმარებელი ხელს აჭერს ამ დილაკს, ის ამ გზით ადასტურებს ხელშეკრულების დადებას.⁵³

ტელეფონის მეშვეობით ხელშეკრულების დადებას მობილურ კომერციასაც უწოდებენ და მასში მოიაზრება მობილური ტელეფონის, სმარტფონის ან ე.წ. ტაბლეტის გამოყენებით ხელშეკრულების დადება. ეს

⁵² Murray D.A., Entering into Contracts Electronically, ელექტრონულად გამოქვეყნებული სტატია, 2, <http://old.leginet.eu/articles/Entering%20Into%20Contracts%20Electronically.pdf> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 24.06.2018.

⁵³ იქვე, 2.

ხელსაწყოები მომხმარებელს საშუალებას აძლევს სხვადასხვა სიტუაციაში დაუკავშირდეს ნებისმიერ ლოკაციაზე მდებარე მაღაზიას. სწორედ ამიტომ მობილურ კომერციას „ყველგან ვაჭრობის“ (Anywhere Commerce) სახელითაც მოიხსენიებენ.⁵⁴

ევროპარლამენტისა და საბჭოს 2011 წლის „მომხმარებლის უფლებების შესახებ“ დირექტივის პრეამბულის მე-(20) პუნქტის მიხედვით: დისტანციური ხელშეკრულების განმარტება მოიცავს ყველა შემთხვევას, როდესაც ხელშეკრულება დადებულია მოვაჭრესა და მომხმარებელს შორის, დისტანციურად ორგანიზებული ვაჭრობის ან მომსახურების გაწევის სქემით, დისტანციური კომუნიკაციის კონკრეტული საშუალების გამოყენებით (ისეთი, როგორცაა მეილით შეკვეთა, ინტერნეტი, ტელეფონი ან ფაქსი) ხელშეკრულების დადების დროს.¹ დირექტივის მე-8 მუხლის მე-6 პუნქტში, რომელიც დისტანციური ხელშეკრულების ფორმალურ მოთხოვნებს ადგენს, ვკითხულობთ: როდესაც დისტანციური ხელშეკრულება დადებულია ტელეფონის მეშვეობით, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ რომ მოვაჭრემ დაადასტუროს (მიიღოს) მომხმარებლის ოფერტი, რომელიც ოფერტით იბოჭება მხოლოდ მასზე ხელმოწერის ან წერილობითი თანხმობის გაგზავნის შემთხვევაში.²

ანალოგიურ აზრს განამტკიცებს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 312გ პარაგრაფის მეორე ნაწილი, რომლის თანახმად, ამ კანონის (BGB) მიზნებისათვის შორ მანძილზე ხელშეკრულების დადების საშუალებად მიიჩნევა კომუნიკაციის ყველა საშუალება, რომელიც იძლევა ხელშეკრულების ინიცირების და დადების შესაძლებლობას, ხელშეკრულების მხარეთა ერთობლივი ფიზიკური შეხვედრის გარეშე, ასეთი საშუალებებია წერილი, კატალოგი, სატელეფონო ზარი, ფაქსი, მეილი, მობილური ტელეფონით გაგზავნილი ტექსტური შეტყობინება და სხვა სატელეფონო სერვისების გამოყენებით გაგზავნილი ტექსტური შეტყობინება.

მობილურის/ტელეფონის გამოყენებით ელექტრონული ხელშეკრულების დადების შესაძლებლობაზე საუბარია: მომხმარებელთა უფლებების შესახებ დირექტივის, ევროკომისიის მიერ მომზადებულ განმარტებით დოკუმენტში სადაც მე-8 მუხლის კომენტარის სახით მოცემულია შემდეგი მსჯელობა:...“თუ მოვაჭრე სატელეფონო ზარს ახორციელებს მომხმარებელთან ელექტრონული ხელშეკრულების დადების მიზნით, საუბრის დასაწყისშივე, მან მომხმარებელს უნდა აცნობოს მისი ვინაობის ან იმ პირის ვინაობის თაობაზე, ვისი სახელითაც ის უკავშირდება მომხმარებელს და რომ ზარი ატარებს კომერციულ ხასიათს.

უნდა აღინიშნოს, რომ შვეიცარიის ვალდებულებითი კოდექსის, მე-4 მუხლის მეორე ნაწილი მოიაზრებს სწორედ ამგვარ შემთხვევას, რადგან მასში

² Bräutigam P., Rücker D., E-Commerce München, C.H. BECK, 2017, 17, Rn.3.

ვკითხულობთ: „ტელეფონის მეშვეობით დადებული ხელშეკრულებები მიიჩნევა თანამოგ პირებს შორის დადებულ ხელშეკრულებად, როდესაც მხარეები ან მათი წარმომადგენლები ხვდებიან ერთმანეთს.“ ამ ნორმაში იგულისხმება სწორედ ის შემთხვევა, როდესაც მხარეები ხელშეკრულების დადებისას ერთდროულად იყენებენ როგორც დისტანციური კომუნიკაციის ისე ფიზიკური შეხვედრის შესაძლებლობას.

ერთადერთი გამონაკლისი, რასაც ტელეფონთან მიმართებით დირექტივა ადგენს, არის საჯარო ტელეფონები, რომელიც იძლევა აპარატში ფულის მოთავსების შესაძლებლობას. ამგვარი მოწყობილობით განხორციელებულ ქმედებაზე, არ ვრცელდება ელექტრონულ ხელშეკრულების წესები, ვინაიდან საჯარო ტელეფონები (ტელეფონის აპარატები) მოვაჭრესა თუ მომხმარებელთან იმგვარად არ არის დაკავშირებული, რომ სწორედ ამ აპარატის მეშვეობით მოხდეს მხარეთა იდენტიფიცირება.

ტელეფონის მეშვეობით დადებული ხელშეკრულების მაგალითად შესაძლოა მოყვანილ იქნეს, ბოლო დროს საკმაოდ გავრცელებული სატელეფონო შეთავაზებები, როდესაც მოვაჭრე უკავშირდება პოტენციურ მომხმარებელს და სთავაზობს პროდუქციის ან მომსახურების შექმნას.

- **მაგალითი:** გამომცემლობა „მარიხი“ ტელეფონის მეშვეობით, ავთანდილს სთავაზობს უცხოური ლიტერატურის შექმნას და აქცეპტის შემთხვევაში მას შენაძენის მიწოდებას ჰპირდება. ავთანდილი ინტერესდება შეთავაზებით და მოლაპარაკების შემდეგ ის, გამომცემლობასთან აფორმებს ნასყიდობისა და გადაზიდვის ხელშეკრულებებს.

როგორც ელექტრონული ხელშეკრულების არსიდან ჩანს, მხარეთა შორის უშალო ფიზიკური კომუნიკაციის გარეშე ხელშეკრულების გაფორმება, გულისხმობს მათ შორის ინფორმაციის სხვა გზით, საშუალებით გაცვლას. თუ რას ნიშნავს ან როგორ ხდება ელექტრონულად ინფორმაციის გაცვლა, ამაზე საუბარია „საერთაშორისო ხელშეკრულებებში ელექტრონული კომუნიკაციების გამოყენების შესახებ“ გაეროს კონვენციაში.

კონვენციის მე-4 მუხლის „ბ“ პუნქტის მიხედვით, ელექტრონული კომუნიკაცია გულისხმობს ნებისმიერ კომუნიკაციას, რომელსაც მხარეები ახორციელებენ ციფრულ მონაცემთა (data message) გაცვლის გზით. ციფრული მონაცემები გულისხმობს ელექტრონული, მაგნიტური, ოპტიკური ან მსგავსი საშუალებებით, მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ, ელექტრონულ მონაცემთა გაცვლის, ელექტრონული მეილის, ტელეგრამის, ტელექსის (ტელეტაიპი) ან ტელეკოპის საშუალებით შექმნილ, გაგზავნილ, მიღებულ ან დაცულ ინფორმაციას.³ ტერმინი „ციფრული მონაცემები“ გულისხმობს ყველა ტიპის ცნობას, რომელიც შექმნილი დაცული ან მხარეთა შორის მიმოცვლილი იქნა ციფრულად და არა ფურცელზე გადმოტანის გზით.

განმარტებაში ჩამოთვლილი ელექტრონული საშუალებები –

³ UN Convention of the Use of Electronic Communications in International Contracts, art.4.

ელექტრონული, ოპტიკური და მაგნიტური საშუალებები არ არის ამომწურავი, რაც ბუნებრივიცაა, ვინაიდან ტექნოლოგიების განვითარების შედეგად დღითი-დღე ჩნდება ახალი ხელსაწყოები, რომლებსაც გააჩნიათ ციფრული მონაცემების მიმოცვლის შესაძლებლობა. სხვა „მსგავსი საშუალებებში“ მოაზრება ფუნქციურად მსგავსი მოწყობილობები. ზემოხსენებულის გათალისწინებით, მხარეები არ არიან შეზღუდული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენონ სხვაგვარი, მაგრამ ფუნქციურად შესაბამისი საშუალება.

ციფრული მონაცემების გაცვლა ასევე არ მოიცავს მხოლოდ ელექტრონული მეილის მეშვეობით გაგზავნილ/მიღებულ ინფორმაციას, არამედ მოიაზრებს სხვა ტექნიკურ საშუალებებს, მათ შორის ტელექსსა და ტელეკოქსს. ციფრული მონაცემების გაცვლა, გულისხმობს ინფორმაციის ერთი კომპიუტერიდან მეორეში, მონაცემის სტრუქტურის დადგენილი სტანდარტის მიხედვით, გადასვლას.⁵⁶

„მომხმარებელთა უფლებების შესახებ“ დირექტივის დანაწესით, ციფრული მოცულობა, ნიშნავს მონაცემს რომელიც წარმოებულია ისეთი ციფრული ფორმით, როგორცაა კომპიუტერული პროგრამები, აპლიკაციები, მუსიკა, ვიდეო ან ტექსტი, რომელიც მათი განთავსების ადგილიდან გადმოწერის ან გაცნობის შესაძლებლობას იძლევა.⁵⁷

გერმანიის სამოქალაქო კოდექსში, განხორციელებული ცვლილებების შედეგად, ხელშეკრულების დისტანციურად დადებისთვის გამოყენებულ ელექტრონულ საშუალებებს წარმოადგენს წერილი, კატალოგი, სატელეფონო ზარი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, ტექსტური შეტყობინების გზით, ასევე რადიოსა და ტელე-მედიის გზით მიღებული ინფორმაცია.

„მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი არ განსაზღვრავს კონკრეტულ მოწყობილობებს, რომელთა მეშვეობითაც შესაძლოა დაიდოს ელექტრონული ხელშეკრულება. პროექტი ზოგად დათქმას აკეთებს თუ რა საშუალების გამოყენებით არის შესაძლებელი დისტანციურად ხელშეკრულების დადება. კანონპროექტის მე-8 მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, დისტანციური ხელშეკრულება იდება ტექნიკური საშუალებების გამოყენებით და არ მოითხოვს მოვაჭრისა და მომხმარებლის ფიზიკურ თანყოფას.⁵⁸

⁵⁶ UN Convention of the Use of Electronic Communications in International Contracts, New York, United Nations Publication, 2007, 38-39.

⁵⁷ Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/ECC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/ECC and Directive 97/7/EC of the European Parliament on the Council, Preamble (19).

⁵⁸ იხ. კანონპროექტი „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/113040> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული

13.06.2019.

თავი II. ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ხელშეკრულების დადების წესი, ხელშეკრულების დადების მომენტის და ადგილის განსაზღვრის თავისებურებები

არათანმყოფ პირებს შორის ხელშეკრულების დადების მომენტის, ძალაში შესვლისა და დადების ადგილის განსაზღვრას განსაკუთრებული დატვირთვა გააჩნია.

ხელშეკრულების დადების მომენტიდან მხარეები შებოჭილნი არიან ნაკისრი ვალდებულებებით, ამ დროიდან მათი ქმედებები მიმართული უნდა იყოს ურთიერთმოთხოვნათა ჯეროვანი შესრულებისაკენ. ჩვეულებრივ, თუ მხარეები სხვაგვარად არ თანხმდებიან, ხელშეკრულება ხელმოწერის, ანუ დადების მომენტიდან შედის ძალაში. სწორედ ამიტომ, თუ პირმა ვალდებულების შესრულებისთვის კონკრეტული კალენდარული თარიღი დაადგინა, მისთვის ვადის დინება ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე იწყება. თუმცა ვინაიდან ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადებული ხელშეკრულების დროს არ ხდება დოკუმენტის ხელმოწერა სხვა გარემოებებით უნდა დადგინდეს რა მომენტიდან ითვლება ის დადებულად და როდიდან წარმოშობს სახელშეკრულებო ვალდებულებებს.

ზემოხსენებული საკითხის გარკვევამდე, უნდა მოხდეს ელექტრონული ხელშეკრულების ფორმისა და მისი ხელმოწერის მეთოდის განხილვა.

2.1. ზეპირი ფორმით ელექტრონული ხელშეკრულების დადების თავისებურება

ხელშეკრულება ხშირად ასოცირდება დოკუმენტთან, რომლითაც პირი იძენს ამა თუ იმ ქონებას, იწყებს სამუშაოს შესრულებას ან აზღვევს გარკვეულ ნივთს. ცხადია ეს ქმედებები წარმოადგენს სახელშეკრულებო ურთიერთობას, რომელსაც მხოლოდ ეფექტი გააჩნია, თუმცა კანონი უფრო ფართოდ განმარტავს ხელშეკრულების არსს. სამართლის ნებისმიერი სისტემა ხელშეკრულებად მიიჩნევს სავალდებულო ძალის მქონე შეთანხმებად, მიუხედავად იმისა ის დადებულ იქნა ზეპირად თუ წერილობით. ეს ნიშნავს იმას, რომ ადამიანები ხელშეკრულებას დებენ როდესაც მაღაზიაში ყიდულობენ სურსათს, აზღვევენ ქონებას, მიდიან ექიმთან ან ინტერნეტის მეშვეობით საკუთარ ტელეფონში ან კომპიუტერში გადმოიწერენ პროგრამას. ხელშეკრულება შესაძლოა მხარეთა შორის უსიტყვოდ დაიდოს, მაგალითად ავტომატური მანქანიდან ყავის შეძენის შემთხვევაში.⁵⁹

ხელშეკრულების ნამდვილობის ერთ-ერთი წინაპირობა სსკ-ის 68-ე მუხლის თანახმად, შესაძლოა იყოს ხელშეკრულების დადების ფორმა.

⁵⁹ *Smith J.M.*, *Contract Law: A Comparative Introduction*, Edward Elgar Publishing, October 2014, 4, https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=2669692 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 17.07.2018.

მოქმედი კანონმდებლობა გარიგების ორ ფორმას იცნობს – ზეპირს და წერილობითს.

მხარეებს უმეტეს შემთხვევაში აქვთ არჩევანის თავისუფლება, საკუთარი ნების შესაბამისად ხელშეკრულება დადონ - ზეპირად ან წერილობით. ეს წესი არ ვრცელდება ფორმასავალდებულო ხელშეკრულების დადების შემთხვევებზე.⁶⁰ კანონი ერთ შემთხვევაში განამტკიცებს ფორმის იმპერატიულ, ხოლო მეორე შემთხვევაში დისპოზიციურ თვისებას.⁶¹

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, სამისდღემშო რჩენის ხელშეკრულება, საკუთრების მინდობისა და სხვა არაერთი ხელშეკრულება იმპერატიულად უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით.

ხელშეკრულების ფორმის საკითხი განსაკუთრებით საჭირო როტო ხდება იმ შემთხვევაში, თუ მხარეებმა არაჯეროვნად, ან სრულებით არ შეასრულეს ერთმანეთისთვის მიცემული პირობები და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით სამართლებრივი დავის წამოწყება უწევთ.

არათანმყოფ პირებს შორის დადებული ხელშეკრულების ფორმის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია დადგინდეს კონკრეტული ელექტრონული საშუალება, რომლის მეშვეობითაც განხორციელდა მოწვევა ოფერტზე, ოფერტი, აქცეპტი, მხარეთა შორის მოლაპარაკება თუ ხელშეკრულების არსებით პირობებზე შეთანხმება. თუ მაგალითად მხარეები ტელეფონზე საუბრის გზით განახორციელებენ ზემოხსენებულ ქმედებებს, ითვლება, რომ მათ შორის ზეპირი ფორმით მოხდა ხელშეკრულების დადება. ზეპირი ფორმით, ხელშეკრულების დადებისას, სავალდებულო არაა მხარეთა მიერ ზედმიწევნით მოხდეს ხელშეკრულების ფორმის დაცვა, მაგალითად მხარეები შესაძლოა არ შეთანხმდნენ ისეთ პირობებზე, როგორცაა ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძვლები, ვალდებულების შესრულების ვადა და სხვა დათქმები. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შესაძლოა მხარეთა მიერ ხელშეკრულების დადება მოხდეს კონკლუიდენტური მოქმედებით – მხარეთა მიერ ხელშეკრულების დადების სურვილის სიტყვით თუ უსიტყვოდ გამოხატვის გზით.⁶²

ზეპირი ფორმით დადებული ხელშეკრულებები ყველაზე ხშირად გამოიყენება თითოეული ჩვენგანის ცხოვრებაში, როდესაც წიგნს ვყიდულობთ მაღაზიაში, ან როდესაც შევდივართ კაფეში და ვუკვეთავთ სასურველსაკვებს, ვიჭრით თმას, ვმგზავრობთ საზოგადოებრივი ტრანსპორტით, ჩვენ ზეპირი ფორმით ვდებთ ხელშეკრულებას თითოეულ პირთან/კომპანიასთან. XXI საუკუნეში, როდესაც დროის დეფიციტი თითოეული ადამიანისათვის მნიშვნელოვან გამოწვევად იქცა, წარმოუდგენელია ყველა ზემოხსენებული

⁶⁰ ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, გამომც. მერიდიანი, 2014, 104.

⁶¹ თუმანიშვილი გ., გარიგებანი, თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2012, 71.

⁶² ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, გამომც. მერიდიანი, 2014, 88.

ხელშეკრულება გაფორმდეს წერილობით. ეს არც სამართლებრივად და არც ფაქტობრივად არ წარმოადგენს აუცილებლობას.

2.2. ელექტრონული საშუალებებით ხელშეკრულების წერილობითი ფორმით დადებისა და ხელმოწერის თავისებურება

ხელშეკრულების წერილობითი ფორმა შეიძლება იყოს მარტივი ან რთული – ანუ სანოტარო. ხელშეკრულების რთული ფორმის შემთხვევაში, მხარეთა მიერ ნების წერილობითი გამოვლენისა და მისი ხელმოწერით დადასტურების გარდა, ასევე სავალდებულოა ნოტარიუსის მიერ მისი დამოწმება.⁶³

მაგალითად, უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება შესაძლოა დაიდოს მხოლოდ წერილობითი ფორმით, სხვა შემთხვევაში ის ჩაითვლება ბათილად. იგივე წესი მოქმედებს საქორწინო ხელშეკრულების დადების შემთხვევაში.

წერილობითი ფორმით ხელშეკრულების დადება ემსახურება რამდენიმე მიზანს, ესენია: მტკიცების, გაფრთხილების, გამიჯვნისა და საინფორმაციო მიზანი; თითოეული მიზანი საბოლოო ჯამში ემსახურება ხელშეკრულების მონაწილეთა უფლებების დაცვას.

მხარეთა შორის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით დავის წარმოშობის შემთხვევაში წერილობითი დოკუმენტი მტკიცების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა.

რაც შეეხება გაფრთხილების მიზანს, მხარეს წერილობითი ფორმით ხელშეკრულების გაფორმებამდე ეძლევა საშუალება კარგად გააცნობიეროს სურს თუ არა იმ ვალდებულებების ტვირთვა, რაც ხელშეკრულების დადებას თან სდევს;

გამიჯვნის მიზანი გულისხმობს იმ საკითხების მკაფიოდ განსაზღვრას, რაც ხელშეკრულების დადების მომენტში არსებობდა. საინფორმაციო მიზანი კი თავის თავში მოიცავს, როგორც მხარეთა უფლება-მოვალეობების, ისე სხვა პირობებს, რომელიც მხარეთათვის მნიშვნელოვანი და საყურადღებოა;⁶⁴

თუ ფორმასავალდებულო ხელშეკრულების დადებისას დაირღვა კანონის მოთხოვნა, ასეთი გარიგება სსკ-ს 59-ე მუხლის თანახმად ითვლება ბათილად.

საქორწინო ხელშეკრულებების დადების შემთხვევაში ფორმის სავალდებულობა გათვალისწინებულია ესპანეთის სამოქალაქო კოდექსითაც. უძრავი ქონების გასხვისებისას ხელშეკრულების წერილობითი ფორმის დადების სავალდებულობაზე საუბრობს იტალიის, ირლანდიისა და ჩეხეთის სამოქალაქო კოდექსები.⁶⁵

⁶³ ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, გამომც. მერიდიანი, 2014, 104.

⁶⁴ იქვე, 104.

⁶⁵ იქვე, 104.

წერილობითი ფორმით ხელშეკრულების გაფორმებისას, მხარეებმა უნდა დაიცვან გარკვეული მოთხოვნები, მათ შორისაა ხელშეკრულების დადების ადგილი, დრო, ხელშეკრულების საგანი, მხარეთა უფლება-მოვალეობანი და ა.შ. როგორც წესი, წერილობითი ფორმით დადებული ხელშეკრულების ბოლო პუნქტი, მხარეების მიერ, მისი ხელმოწერით დადასტურებაა.

ხელშეკრულებაზე ხელმოწერა მხარეების მიერ ხდება ცოცხლად, საკუთარი ხელით, წერილობითი გზით. ხელშეკრულების ხელმოწერა რამდენიმე მიზანს ემსახურება, პირველ რიგში ის ადასტურებს მხარის ვინაობას; გარდა ამისა ასევე დასტურდება გამოვლენილი ნების ნამდვილობა, ნაკისრი უფლებებისა და ვალდებულებების შესრულების მზაობა. დავის შემთხვევაში, შესაძლოა შემოწმდეს ხელშეკრულება ნამდვილად მისი მონაწილე პირის მიერ იქნა ხელმოწერილი თუ მოხდა მისი გაყალბება.

სახელშეკრულებო სამართლის უნიფიკაციის პროცესში, ევროპელი ცივილისტების მიერ შემუშავებულ იქნა ნაშრომი „ევროპული კერძო სამართლის პრინციპები, დეფინიციები და მოდელური წესები“, რომლის მიხედვით, „ხელნაწერი“ ხელმოწერა ნიშნავს უშუალოდ ხელშეკრულების მონაწილე პირის მიერ ხელმოწერას, რაც მიზნად ისახავს მის იდენტიფიცირებას.⁶⁶

რთული წერილობითი ფორმით ხელშეკრულების შედგენის შემთხვევაში, პირის მიერ ნების გამოვლენისა და შემდგომში მისი ხელმოწერის ფაქტი დასტურდება მოწმეებისა და ნოტარიუსის მიერ. შესაბამისად, ასეთ დროს ხელმოწერის გაყალბების შანსი გაცილებით ნაკლებია.

როგორც წესი, წერილობითი ფორმით ხელშეკრულების დადების ფაქტს, მხარეები ხელმოწერით ადასტურებენ. თუმცა მეტად აქტუალური და საინტერესოა საკითხი, როდესაც საქმე ეხება ელექტრონული ხელშეკრულების ხელმოწერას. თავისთავად ცხადია, რომ ამგვარი ხელშეკრულების ხელმოწერა არ ხდება ტრადიციული გაგებით, ხელით, არამედ ის ელექტრონული ფორმით ხორციელდება.

ვინაიდან ელექტრონული ფორმით ვაჭრობამ ფართომასშტაბიანი ხასიათი მიიღო, წარმოიშვა ელექტრონული ოპერაციების სამართლებრივი ადაპტირების აუცილებლობა. ამ სფეროში კი ქალაქდზე შედგენილმა დოკუმენტებმა, ელექტრონულთან შედარებით, დაკარგა ეფექტური ფუნქციონირების შესაძლებლობა. მით უმეტეს, როცა დისტანციურ ვაჭრობას, სხვა არაერთი მიზეზის გარდა, უპირატესობა სწორედ იმიტომ ენიჭება, რომ ის ამცირებს ქალაქდის გამოყენებას, რაც დროის ეკონომიას უწყობს ხელს.⁶⁷

⁶⁶ Bar Von Ch., Clive E., Schulte-Nölke H., Study Group on a European Civil Code, Principles, Definitions and Model Rules of European Private Law: Draft Common Frame of Reference (DCFR), Munich, GmbH European Law Publishers, 2009,197.

⁶⁷ Smith M. Facilitating Electronic Commerce Through the Development of Laws to Recognize Electronic Documents and Transactions, Parliament of Canada, Law and Government Division, November 2000, PRB 00-12E, 5.

„ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლი ელექტრონულ ხელმოწერას პირადი ხელმოწერის თანაბარ იურიდიულ ძალას ანიჭებს. ამავე კანონის მე-2 მუხლის „ა“ პუნქტით ელექტრონული დოკუმენტი არის ელექტრონული ფორმით შენახული ტექსტობრივი, ხმოვანი, ვიზუალური ან აუდიოვიზუალური ინფორმაციის ან/და მონაცემთა ერთობლიობა. მითითებულ ნორმათა ერთობლივი ანალიზის შედეგად შესაძლოა აღინიშნოს, რომ ელექტრონული დოკუმენტი, რომელზედაც ხელმოწერა ასევე ელექტრონულად არის შესრულებული, ისეთივე სამართლებრივი ძალის მატარებელია, როგორც მატერიალური დოკუმენტი. მართალია სპეციალური კანონი იცნობს ელექტრონულ დოკუმენტს, თუმცა საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არაფერს ამბობს ამგვარ დოკუმენტზე ან ხელმოწერაზე. რაც შეეხება სამოქალაქო საპროცესო კოდექსს, 134-ე მუხლის 1¹ ნაწილი მტკიცებულების ძალას ანიჭებს და შესაბამისად აღიარებს ელექტრონულ დოკუმენტს, როგორც დოკუმენტის ახალ ფორმას, რომელიც შესაძლოა ადასტურებდეს მხარეთა შორის გარკვეული უფლება-მოვალეობების წარმოშობას.⁶⁸

ელექტრონული ხელმოწერით დოკუმენტის დადასტურების ცნებას ევროკავშირის წევრი ქვეყნები ჯერ კიდევ, 1999 წელს იცნობდნენ. ევროპარლამენტისა და საბჭოს 1999/93EC დირექტივის მე-3 მუხლის მიხედვით, ელექტრონული ხელმოწერა განმარტებული იყო როგორც ელექტრონული მონაცემი, რომელიც მიმაგრებულია ან ლოგიკურად არის დაკავშირებული ელექტრონულ შეტყობინებასთან და გამოიყენება მხარის იდენტიფიცირების მიზნით.⁶⁹ მოგვიანებით, ძველი დირექტივა ახალმა ჩანაცვლა და დღეის მდგომარეობით, ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული გადარიცხვების შემთხვევაში ავტორიზაციის დადასტურების საკითხებს ევროპარლამენტისა და საბჭოს „ელექტრონული ტრანზაქციისა შიდა ვაჭრობის ფარგლებში, ელექტრონულად იდენტიფიცირებისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ N910/2014 რეგულაცია ადგენს. ელექტრონული ხელმოწერა შესაძლოა სხვადასხვა ფორმით იყოს გამოხატული და ის არ მოიცავს ელექტრონულ დოკუმენტზე მხოლოდ სახელის და გვარის მითითებას.⁷⁰ ელექტრონული ხელმოწერა შესაძლოა იყოს ხმის ჩანაწერი, სიმბოლო ან პროცესი, რომელიც მიმაგრებულია ან სხვაგვარად არის დაკავშირებული იმ პირთან, რომელიც ივარაუდება რომ ასრულებს მას.⁷¹ ელექტრონული ხელმოწერის ერთ-ერთი ფორმაა „ვეთანხმები პირობებს“ დილაკზე ხელის დაჭერა, რითაც მომხმარებელი გამოხატავს ნებას შევიდეს სახელშეკრულებო ურთიერთობებში ელექტრონულად.⁷²

⁶⁸ იხ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 134.

⁶⁹ Directive 1999/93/EC of the European Parliament and of the Council of 13 December 1999 on a Community framework for electronic signatures, art.2.

⁷⁰ *Mason St.*, *Electronic Signatures in Law*, London, Institute of Advanced Legal Studies for the SAS Humanities Digital Library, 2016, 200.

⁷¹ იქვე, 202.

⁷² იქვე, 205.

„ელექტრონული ტრანზაქციის შიდა ვაჭრობის ფარგლებში, ელექტრონულად იდენტიფიცირებისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ N910/2014 რეგულაცია ადგენს ელექტრონულად ხელმოწერილი დოკუმენტის თავისუფალი ცირკულაციის პრინციპს, რომელიც თავის მხრივ მომდინარეობს საქონლისა და მომსახურების თავისუფალი მიმოსვლის ძირითადი პრინციპიდან და ის ფუნქციონალურად თანაბარია ცოცხალ ხელმოწერასთან.⁷³

რეგულაციამ მარტივი ელექტრონული ხელმოწერის გარდა, დაადგინა განვითარებული და კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის ცნებები. განვითარებულ ელექტრონულ ხელმოწერაში იგულისხმება ხელმოწერა, რომელიც შესრულებულია იმგვარად, რომ უნიკალურად არის დაკავშირებული ხელმოწერთან, იძლევა ხელმოწერის იდენტიფიცირების საშუალებას, შესრულებულია იმგვარ მონაცემებზე დაყრდნობით, რომელზე წვდომაც, კონფიდენციალობის დაცვით, აქვს მხოლოდ ხელმოწერს და რომელიც შესრულებულია იმგვარად, რომ მასზე შემდგომში განხორციელებული ცვლილება ხილვადია.⁷⁴ კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა კი არის განვითარებული ელექტრონული ხელმოწერა, რომელიც შესრულებულია სპეციალურად კვალიფიციური ხელმოწერის მიზნით შექმნილი მოწყობილობით.⁷⁵

ელექტრონული ხელმოწერის ცნება მოცემულია გაეროს საერთაშორისო სავაჭრო კომისიის მოდელურ კანონში „ელექტრონული ხელმოწერების შესახებ“. კანონის მე-2 მუხლის თანახმად, ელექტრონული ხელმოწერის ქვეშ იგულისხმება, ელექტრონული მონაცემი, რომელიც მიზნულია ან ლოგიკურად არის დაკავშირებული ელექტრონულ შეტყობინებასთან და ის გამოიყენება, როგორც პირის მაიდენტიფიცირებელ და მის მიერ გამოვლენილი ნების დამდასტურებელ საშუალებად.⁷⁶

ელექტრონული გზით ხელშეკრულების დადების დროს, არ არსებობს ხელშეკრულების დედანი ან ასლი, ვინაიდან ხელმოწერა არ სრულდება ხელით; არსებული ტექნიკური ხელსაწყოები, რომლებიც იძლევიან ხელშეკრულების დადების საშუალებას, მიზნად ისახავენ ცოცხალი ხელმოწერის ანალოგის შექმნას.⁷⁷

გაეროს საერთაშორისო სავაჭრო კომისიის, ელექტრონული ვაჭრობის შესახებ მოდელური კანონის მე-7 მუხლის დეფინიციის მიხედვით, ელექტრონული ხელმოწერა გამოიყენება იმისათვის, რომ მოხდეს ხელმოწერ-

⁷³ *Bierekoven Ch., Bazin Ph., Kozlowski T.*, Electronic Signatures in German, French and Polish Law Perspective. Digital Evidence and Electronic Signature Law Review, 2004, 1, 4, ელექტრონულად გამოქვეყნებული სტატია, <http://sas-space.sas.ac.uk/5381/1/1719-2303-1-SM.pdf> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 24.06.2018.

⁷⁴ Regulation (EU) No 910/2014 of the European Parliament and of the Council of 23 July 2014 on Electronic Identification and Trust Services for Electronic Transactions in the Internal Market and Repealing Directive 1999/93/EC, art. 3 (11), art. 26.

⁷⁵ იქვე, მუხლი 3 (12).

⁷⁶ UNCITRAL Model Law on Electronic Signatures, art.2.

⁷⁷ UNCITRAL Model Law on Electronic Signatures with Guide to Enactment, New York, United Nations Publication, 2002, 29.

ის იდენტიფიცირება, მის მიერ გამოვლენილი ნების ნამდვილობის დადასტურება და საიმედო ციფრული საშუალებით მიღებული და გენერირებული თანხმობის წარმოჩენა.⁷⁸

მოდელური კანონი ელექტრონული ხელმოწერების სამ ძირითად მიზანს გამოყოფს, ესენია:

1. ხელმოწერის იდენტიფიცირება;
2. ხელმოწერის უშუალო ჩართულობა ხელმოწერის პროცესში;
3. ხელმოწერის დაკავშირება (ასოცირება) ხელმოსაწერ დოკუმენტთან;⁷⁹

მართალია ევროპარლამენტისა და საბჭოს და გაეროს „ელექტრონული ხელმოწერების შესახებ“ მოდელურ კანონში მოცემული ელექტრონული ხელმოწერის დეფინიცია ერთმანეთისგან განსხვავდება, თუმცა როგორც ზემოხსენებული ისე სხვა მარეგულირებელი აქტები, თანხმდებიან იმაზე, რომ ელექტრონული ხელმოწერის მიზანს პირის იდენტიფიცირება წარმოადგენს და ის მიმართულია პირის მიერ გამოვლენილი ნების დადასტურებისკენ.

ამერიკის შეერთებული შტატების, ერთიანი სახელმწიფო კანონმდებლობის კომისიის მიერ 1999 წელს მიღებულ იქნა ერთიანი ელექტრონული გარიგებების აქტი, რომლის მიხედვითაც, ელექტრონული ხელმოწერა უფრო ფართოდ არის გაგებული. აქტის მეშვიდე სექციის თანახმად, ხელშეკრულების ნამდვილობის საკითხი არ შეიძლება საექვო გახდეს იმ მიზეზით, რომ მასზე ხელმოწერა შესრულებულია ელექტრონული გზით ან სხვაგვარი ხმოვანი ჩანაწერით.⁸⁰

ელექტრონულ ხელმოწერას ეხება აშშ-ს კოდექსის მე-15 თავიც, 7006-ე არტიკლის თანახმად, ელექტრონული ხელმოწერა გულისხმობს ელექტრონულ ჩანაწერს, სიმბოლოს, ან პროცესს, რომელიც მიმაგრებულია ან ლოგიკურად არის დაკავშირებული ხელშეკრულებასთან და შესრულებულია იმ პირის მიერ, რომლისგანაც ელოდებიან ხელმოწერას.⁸¹

ელექტრონული ხელმოწერის ცნება, აქტის მიხედვით მოიცავს არა მხოლოდ წმინდა გაგებით ხელმოწერას, არამედ ხმის ჩანაწერსაც. თუ ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება ტელეფონი, ავტომოპასუხის მეშვეობით, ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის გაცხადებაც ჩაითვლება ხელმოწერად.⁸²

ევროკავშირის სახელმწიფოები, როგორც „ელექტრონული ტრანზაქციისა შიდა ვაჭრობის ფარგლებში, ელექტრონულად იდენტიფიცირებისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ N910/2014 რეგულაციის ხელმოწერები, შიდა საკანონმდებლო ნორმებითაც არეგულირებენ ელექტრონული ხელმოწერის ავთენტურობის საკითხს.

⁷⁸ UNCITRAL Model Law on Electronic Commerce, art. 7.

⁷⁹ UNCITRAL Model Law on Electronic Commerce with Guide to Enactment, New York, United Nations Publications, 1999, 38.

⁸⁰ Uniform Electronic Transactions Act, drafted by the National Conference of Commissioners on Uniform State Laws, Section 7, 27.

⁸¹ აშშ კოდექსი, არტიკლი 7006.

⁸² Uniform Electronic Transactions Acts, National Conference of Commissioners on Uniform State Laws, Chicago, 1999, 10.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 126ა მუხლის თანახმად, თუ კანონით დადგენილი წერილობითი ფორმა უნდა შეიცვალოს ელექტრონული ფორმით, მაშინ ნების გამოძღვლენმა ამ ფორმას უნდა დაურთოს საკუთარი სახელი, ხოლო ელექტრონულ დოკუმენტს კი დაუმატოს კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა.⁸³

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ელექტრონული ხელმოწერის შესახებ, 2017 წლის აპრილამდე მოქმედებდა „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის“ შესახებ კანონი. ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ, მიღებულ იქნა ახალი კანონი

„ელექტრონული დოკუმენტისა და სანდო მომსახურების შესახებ“, რომლის მიზანსაც წარმოადგენს ელექტრონული დოკუმენტის, ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული სანდო მომსახურების გამოყენების სამართლებრივი საფუძვლების განსაზღვრა. კანონის მე-2 მუხლის „ე“ პუნქტის მიხედვით, ელექტრონული ხელმოწერა გულისხმობს ელექტრონულ მონაცემთა ერთობლიობას, რომელიც დაერთვის ან ლოგიკურად უკავშირდება ელექტრონულ დოკუმენტს და ელექტრონული დოკუმენტის ხელმოსაწერად გამოიყენება;⁸⁴ ახალმა კანონმა შემოიტანა განვითარებული და კვალიფიციური ხელმოწერის ცნებები, რომლებიც წარმოადგენენ „ელექტრონული ტრანზაქციისა შიდა ვაჭრობის ფარგლებში, ელექტრონულად იდენტიფიცირებისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ N910/2014 რეგულაციის მოცემული განმარტების ანალოგს⁸⁵. კვალიფიციურ ელექტრონულ ხელმოწერას, „ელექტრონული დოკუმენტისა და სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, აქვს პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალა.⁸⁶

კანონი მომხმარებელთათვის ერთგვარ გარანტორს წარმოადგენს ელექტრონული ხელმოწერის განხორციელების შემთხვევაში თავი დაცულად იგრძნონ და არჩევანის შესაძლებლობის შემთხვევაში უარი არ თქვან მასზე, მხოლოდ იმიტომ, რომ მათთვის ეს ელექტრონული ხელმოწერა არ წარმოადგენს ტრადიციული გაგებით, ხელით ქაღალდზე შესრულებულ ხელმოწერას.

ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადებული ხელშეკრულების ფორმა წმინდა გაგებით არ მიესადაგება არც ზეპირი და არც წერილობითი ფორმით დადებულ ხელშეკრულების ფორმას. არათანმიოფი პირების მიერ ხელშეკრულების დადება, უმეტეს შემთხვევაში გამორიცხავს მის ზეპირ ფორმით დადებას.

ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადებული ხელშეკრულებისას ხდება გარკვეული წერილობითი დოკუმენტაციის მხარისათვის მიწოდება, მაგალითად, ინტერნეტ-მაღაზიიდან საქონლის გამოწერის შემთხვევაში, ელექტრონული ფოსტის ან მოკლე ტექსტური შეტყობინების მეშვეობით ხდება ხელშეკრულების დადების შესახებ

⁸³ გსკ, მუხლი 126ა, ნაწილი (1).

⁸⁴ იხ. საქართველოს კანონი ელექტრონული დოკუმენტისა და სანდო მომსახურების შესახებ.

⁸⁵ იქვე, მუხლი 2, „ლ“ „მ“ ქვეპუნქტები.

⁸⁶ იქვე, მუხლი 3.

ინფორმაციის წერილობითი ფორმით მიწოდება, მაგრამ ეს არ შეიძლება ჩაითვალოს ცალსახად წერილობითი ფორმით დადებულ ხელშეკრულებად. ინტერნეტისა თუ სხვა სახის საკომუნიკაციო საშუალების, როგორც ხელშეკრულების დადების მეთოდის გამოყენებისას, არ ხდება ხელშეკრულების ტექსტის შედგენა, რომელშიც მითითებული იქნება ხელშეკრულების დადების დრო, ადგილი, მხარეების ვინაობა, პირობები, მათი უფლება-მოვალეობანი და დამოწმებული არ იქნება მხარეთა ხელმოწერით. შესაბამისად ერთი შეხედვით, მსგავსი ხელშეკრულება ვერ აკმაყოფილებს წერილობითი ფორმით დადებულ ხელშეკრულებისათვის დადგენილ კრიტერიუმებს.

- **მაგალითი:** ინტერნეტ-მაღაზია „სქაილაინი“ მომხმარებელს სთავაზობს, სახლიდან გაუსვლელად, შეიძინოს მისი პროდუქცია. სალომე, რომელიც დაინტერესებულია კონკრეტული პროდუქტით, შესაბამისი პროცედურების გავლის შემდეგ იწერს მისთვის სასურველ ნივთს. რამდენიმე წუთში, მას ავტომატურად, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მოდის შეტყობინება მის მიერ ნასყიდობის ხელშეკრულების წარმატებით დადების შესახებ.

როგორც მოყვანილი მაგალითიდან ირკვევა, სალომემ ნასყიდობის ხელშეკრულება გააფორმა გამყიდველთან უშუალო კონტაქტისა და მასთან წინასახელშეკრულებო მოლაპარაკების წარმოების გარეშე. მხარეებს შორის ასევე არ მომხდარა ხელშეკრულების წერილობითი ფორმით დადება და მისი ხელმოწერა.

მიუხედავად, იმისა, რომ ელექტრონული საშუალების გამოყენებით ხელშეკრულების დადებისას, არ ხდება ტრადიციული გაგებით, ქალაქის გამოყენება, ის მაინც ითვლება წერილობით დადებულ ხელშეკრულებად.

სსკ-ს 328-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ მხარეები შეთანხმდებიან წერილობით ფორმაზე, ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მხარეთა მიერ ხელმოწერილი ერთი დოკუმენტის შედგენით; ფორმის უზრუნველსაყოფად ასევე საკმარისია სატელეგრაფო შეტყობინება, ტელეასლი ან წერილების ურთიერთგაცვლა.

ტერმინში „წერილების ურთიერთგაცვლა“ შეიძლება მოიაზრებოდეს, როგორც ქალაქში შესრულებული წერილი, ისე ელექტრონული ფოსტის მეშვეობით შედგენილი წერილი. შესაბამისად, მხარეთა შორის შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, ელექტრონული საშუალებით შედგენილი წერილი იმავე იურიდიული ძალის მატარებელი იქნება, როგორისაც ქალაქში შედგენილი წერილი.

გამომდინარე იქედან, რომ ელექტრონული საშუალებით ხელშეკრულების დადებისას ხდება იმგვარი დოკუმენტაციის შედგენა, რომლითაც შესაძლებელია მისი შემდგენის ვინაობისა და გამოვლენილი ნების დადგენა, უნდა ითქვას, რომ ამგვარი მეთოდით დადებული ხელშეკრულება განეკუთვნება მარტივი წერილობითი ფორმით დადებულ გარიგებათა ნუსხას.

რაც შეეხება იმგვარი ხელშეკრულების დადებას, სადაც აუცილებელია რთული წერილობითი ფორმის დაცვა, სადავოა საკითხი რამდენად შესაძლებელია ამ მიზნის მიღწევა ელექტრონული საშუალების გამოყენების გზით.⁸⁷ ვინაიდან, რთული სანოტარო წესით ხელშეკრულების დადასტურება მოითხოვს ორივე მხარის ფიზიკურ თანყოფას, ის არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადებულ ხელშეკრულებად, იმ შემთხვევაშიც კი თუ მხარეებმა ხელშეკრულების ხელმოწერამდე, ყველა ეტაპი სწორედ ელექტრონული საშუალების გამოყენებით გაიარეს.

ელექტრონული კომუნიკაციის საშუალების გამოყენებით გარიგების ნოტარიუსის მიერ დადასტურების შესაძლებლობას იძლევა მოქმედი კანონმდებლობა. „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის“ 54-ე მუხლის თანახმად, გარიგება, რომელშიც მონაწილეობს ორი ან მეტი მხარე, შეიძლება დამოწმდეს საჯარო აქტის ფორმით ორი ან მეტი ნოტარიუსის მონაწილეობით, პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით, იმგვარად, რომ გარიგების მონაწილე ერთი ან რამდენიმე მხარე წარდგეს ნოტარიუსთან, ხოლო სხვა მხარე წარსდგეს შესაბამისად სხვა ნოტარიუსთან, თუ პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაცია იძლევა გარიგების ყველა მხარის და ნოტარიუსების ერთდროული პირდაპირი ვიზუალური კონტაქტის საშუალებას (ტელეკომუნიკაცია).⁸⁸ თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით დადასტურების შემთხვევაშიც, გარიგების ძალაში შესვლას ესაჭიროება შემდგომი სამართლებრივი პროცედურების განხორციელება (საჯარო რეესტრში დარეგისტრირება), რაც მხარეთა შეხვედრას საჭიროებს. იგულისხმება მხარეთა მიერ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში საკუთრების უფლების რეგისტრაციისათვის ერთდროული ფიზიკური გამოცხადება. თუ მხარეები (ან მათი კანონიერი წარმომადგენლები) არ მოახდენენ უძრავი ქონების რეგისტრაციას, საკუთრების უფლებაც არ წარმოიშობა. შესაბამისად მათ უწევთ ურთიერთშეხვედრა, რაც ელექტრონული საშუალების მთავარ არსს ეწინააღმდეგება.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ ამ გარემოების გამო (მხარეთა მიერ საკუთრების რეგისტრაციისას შესაბამის უწყებაში გამოცხადება) არ არის შესაძლებელი ელექტრონული საშუალების გამოყენებით უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების დადება. როგორც არაერთხელ აღინიშნა, ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივის, ისე მომხმარებელთა უფლებების შესახებ საქართველოს კანონის პროექტი და ყველა სხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივი საკანონმდებლო აქტი გამორიცხავს უძრავ ქონებაზე ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადებას, თუნდაც მხარეებმა საკუთრების რეგისტრაცია მოახდინონ საჯარო რეესტრში ცალ-ცალკე გამოცხადების გზით. აღნიშნული შეზღუდვა გამოწვეულია სწორედ იმ

⁸⁷ *ზამბახიძე თ.*, ელექტრონული ვაჭრობის სამართლებრივი რეგლამენტაციის საფუძვლები (პრობლემები და პერსპექტივა), ქართული სამართლის მიმოხილვა, 8/2005-1/2 118.

⁸⁸ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის ბრძანება N71 „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“.

სპეციფიური რეგულაციებით, რაც უძრავი ქონების შეძენას ახლავს თან (მათ შორის ნასყიდობის ობიექტის დათვალიერება, აზომვითი ნახაზის გაკეთება, ხელშეკრულების რთული სანოტარო წესით გაფორმება, საკუთრების რეგისტრაციის ვალდებულება და ა.შ.). დირექტივის პრეამბულის 26-ე ციტატაში ვკითხულობთ: ხელშეკრულებები, რომლებიც შეეხება უძრავ ქონებას ან უძრავი ქონების საკუთრების უფლებას, ან უძრავი ქონების შექმნის ან მიმატების უფლებას, ხელშეკრულებები, რომლებიც შეეხება ახალი ნაგებობის მშენებლობებს ან უკვე აშენებული ნაგებობის არსებითი ცვლილებებს, ასევე ქირავნობის ხელშეკრულებები უკვე წარმოადგენენ ეროვნული კანონმდებლობების სპეციფიური რეგულაციების ობიექტს. დირექტივის დებულებები არ ვრცელდება ამგვარ ხელშეკრულებებზე და უნდა მოხდეს მათი დირექტივიდან გამორიცხვა.

აქვე აღსანიშნავია, რომ საქართველოში დღეისათვის მოქმედი კანონმდებლობით პირდაპირ არის დადგენილი რა შემთხვევაში არის სავალდებულო წერილობითი ფორმით ხელშეკრულების დადება, რაც გამორიცხავს კონკრეტულ ობიექტზე, ხელშეკრულების ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადებას.

„ხელშეკრულების დადებისას ელექტრონული კომუნიკაციის საშუალების გამოყენების შესახებ“ გაეროს კონვენციის, მე-9 მუხლი ადგენს ხელშეკრულების ფორმებს. მითითებული ნორმის საფუძველზე მხარეები არ არიან შეზღუდული ხელშეკრულების ფორმის განსაზღვრაში. ისეთ შემთხვევებში როდესაც, კანონით პირდაპირაა განსაზღვრული ხელშეკრულების მხარეების მიერ მისი ხელმოწერა, ელექტრონული საშუალების გზით აღნიშნული უნდა განხორციელდეს იმ შემთხვევაში, თუ ხელმოწერა გამოყენებულია ხელშეკრულების მონაწილე მხარის იდენტიფიცირების მიზნით, ან თუ სხვაგვარად შეუძლებელია ხელშეკრულების მიზნის მიღწევა.⁸⁹

საერთაშორისო სავაჭრო სამართლის, გაეროს კომისიის მიერ, ელექტრონული ვაჭრობის სფეროს დახვეწისა და სრულყოფის მიზნით, 1996 წელს მომზადებულ იქნა მოდელური კანონი ელექტრონული ვაჭრობის შესახებ. მოდელური კანონის მე-11 მუხლის თანახმად ხელშეკრულების შედგენისას, თუ მხარეები არ შეთანხმდებიან სხვაგვარ ფორმაზე, ოფერტი და აქცეპტი გამოხატული უნდა იყოს ელექტრონული საშუალების გამოყენებით.⁹⁰ ოფერტისა და აქცეპტის ელექტრონული საშუალებით გაკეთება გულისხმობს მხარეების მიერ ფიზიკურად შეხვედრის გარეშე, კომპიუტერის გამოყენებით მოლაპარაკებას.⁹¹

აღნიშნული დათქმა არ გულისხმობს კუმულატიურად – ოფერტისა და აქცეპტის ელექტრონული ფორმით განხორციელებას. თუ მხოლოდ ოფერტი, ან მხოლოდ აქცეპტი შესრულებულ იქნა ელექტრონული საშუალების გამოყენებით, ითვლება რომ ხელშეკრულება წერილობითი ფორმით არის

⁸⁹ United Nations Convention on the Use of Electronic Communications in International Contracts, art. 9.

⁹⁰ Model Law on Electronic Commerce, art. 11.

⁹¹ UNCITRAL Model Law on Electronic Commerce with Guide to Enactment, New York, United Nations Publications, 1999, 46.

დადებული.

მოდელური კანონის მიზანს არ წარმოადგენს, ხელშეკრულების პირობების, ეროვნული კანონმდებლობისაგან განსხვავებული ნორმების შემოღება. სწორედ, რომ ეროვნულ კანონმდებლობაში ჩაურევლობის გამოვლინება მე-11 მუხლის მეორე ნაწილის დათქმა. გამომდინარე იქედან, რომ შიდა კანონმდებლობით კონკრეტული ხელშეკრულებებისათვის შესაძლოა რთული წერილობითი ფორმა იყოს სავალდებულო ხასიათის, გაკეთდა ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც, მონაწილე მხარეს (სახელმწიფოს) შეუძლია არ გაითვალისწინოს მე-11 მუხლის პირველი ნაწილი.⁹²

სახელმძღვანელოში - ევროპული კერძო სამართლის პრინციპები, დეფინიციები და მოდელური წესები, განხილულია ხელშეკრულების ფორმა, როგორც ნამდვილობის ერთ-ერთი წინაპირობა. ნაშრომის მიხედვით, მხარეებს თავად შეუძლიათ გადაწყვიტონ ხელშეკრულების რომელ ფორმას გამოიყენებენ. ევროპის ყველა ქვეყნის კანონმდებლობა განამტკიცებს ხელშეკრულების ფორმის თავისუფლებას. თუმცა არის შემთხვევები, როდესაც მხარე ვალდებულია კონკრეტული ფორმით დადოს ხელშეკრულება. კანონმდებლობაში ამგვარი დათქმის გაკეთება განპირობებულია ერთის მხრივ მხარეთა დაცვის, ხოლო მეორეს მხრივ ხელშეკრულებაში უსამართლო ჩანაწერების თავიდან აცილების მიზნით. ისეთ შემთხვევაში, როდესაც ერთმა მხარემ იცის ხელშეკრულების ფორმის სავალდებულობის შესახებ, მაგრამ განზრახ მალავს ამ ფაქტს, მეორე მხარისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურებულ უნდა იქნეს მის მიერ.⁹³

ხელშეკრულების წერილობითი ფორმის სავალდებულობას სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვა საფუძველი აქვს. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, თუ მხარე არის მოვაჭრე პირი და ხელშეკრულების ფასი აღემატება 1500 ევროს – სავალდებულოა ხელშეკრულების წერილობითი ფორმა. ბელგიასა და ლუქსემბურგსაც მსგავსი დათქმა აქვთ გაკეთებული საკუთარ კანონმდებლობაში. იტალიის კანონმდებლობით, მოწმეთა დასტური მხოლოდ იმ შემთხვევაშია დაშვებული თუ ის გაკეთებულია წერილობითი ფორმით;⁹⁴ დოკუმენტზე ელექტრონული ხელმოწერის შესრულება ავტომატურად არ გულისხმობს, რომ მხარეთა შორის ელექტრონული საშუალების გამოყენებით, წერილობითი ხელშეკრულება დაიდო. დღეისათვის არაერთი კერძო თუ საჯარო უწყება აქტიურად იყენებს ელექტრონულ ხელმოწერას, მაგალითად ბანკი, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, ფოსტა და ა.შ., თუმცა ამ დაწესებულებებში მომხმარებელთა მიერ სხვადასხვა დოკუმენტებზე ხელმოწერა არ ნიშნავს,

⁹⁰ Model Law on Electronic Commerce, art. 11.

⁹¹ UNCITRAL Model Law on Electronic Commerce with Guide to Enactment, New York, United Nations Publications, 1999, 46.

⁹² იქვე, 47.

⁹³ Bar Von Ch., Clive E., Schulte-Nölke H., Study Group on a European Civil Code, Principles, Definitions and Model Rules of European Private Law: Draft Common Frame of Reference (DCFR), Munich, GmbH European Law Publishers, 2009, 195.

⁹⁴ იქვე, 196.

რომ მხარეთა შორის ელექტრონული საშუალების გამოყენებით მოხდა ხელშეკრულების დადება, სწორედ იმ მიზეზით, რომ ამ დროს მხარეები ფიზიკურად ხვდებიან ერთმანეთს და მომხმარებელს აქვს შესაძლებლობა პირადად გაესაუბროს მომსახურების მიმწოდებელს.

2.3. მყარი მატარებელი, როგორც ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ხელშეკრულების დადების ფორმა

წერილობითი ფორმის პარალელურად „მომხმარებლის უფლებების შესახებ“ დირექტივა ითვალისწინებს წერილობითი ხელშეკრულების ახალ სახეს - მყარ მატარებელს. „მომხმარებელთა უფლებების შესახებ“ დირექტივის მე-2 მუხლის მე-10 პარაგრაფის თანახმად, მყარი მატარებელი წარმოადგენს ნებისმიერ ინსტრუმენტს, რომელიც საშუალებას აძლევს მომხმარებელს ან მოვაჭრეს უშუალოდ მისთვის განკუთვნილი ინფორმაცია, შეინახოს იმგვარად, რომ ის დროის გარკვეულ მონაკვეთში ხელმისაწვდომი იყოს სამომავლო გამოყენებისათვის და რომლითაც შესაძლებელი იქნება შენახული ინფორმაციის უცვლელი რეპროდუცირება.⁹⁵

მყარი მატარებლის მეშვეობით ინფორმაციის გაცვლას ცნობდა ევროპარლამენტისა და საბჭოს 97/7EG 1997 წლის 20 მაისის დირექტივა, შორ მანძილზე დადებული ხელშეკრულების მომხმარებლის უფლებების შესახებ, თუმცა მასში არ იყო განმარტებული თუ რას მოიაზრებდა მყარი მატარებლის ცნება, რაც „მომხმარებლის უფლებების შესახებ“ ახალმა დირექტივამ შეავსო. „მომხმარებლის ფინანსური მომსახურების დისტანციური მარკეტინგის შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002 წლის 23 სექტემბრის დირექტივა ასევე ითვალისწინებს მხარეთა შორის ინფორმაციის გაცვლის ფორმად მყარ მატარებელს.⁹⁶

„მომხმარებელთა უფლებების შესახებ“ დირექტივის მიზნებისათვის მყარი მატარებელი შესაძლოა მოიცავდეს საკუთრივ ქაღალდს, ციფრული მეხსიერების მატარებელს (USB), კომპაქტურ დისკებს, ციფრულ ვიდეო დისკებს, კომპიუტერის მეხსიერების ბარათს ან მყარ დისკს, ასევე ელექტრონულ ფოსტას.

ხელშეკრულების წერილობით ფორმის სახედ მიიჩნევა მყარ მატარებელს ევროპული კერძო სამართლის პრინციპები, დეფინიციები და მოდელური წესები: საერთო სახელმძღვანელო პრინციპების პროექტი. ნაშრომის მიხედვით მყარი მატარებელი წარმოადგენს ხელშეკრულების წერილობითი ფორმის ოთხი დონიდან ერთ-ერთს. პირველია ტექსტური ფორმა, მეორე - ტექსტური ფორმა მყარ მატარებელზე, შემდეგი ფორმაა წერილობითი და ბოლო ხელმოწერით დადასტურებული.

⁹⁵ Directive 1999/93/EC of the European Parliament and of the Council of 13 December 1999 on a Community framework for electronic signatures, art.2, (10).

⁹⁶ Directive 2002/65/EC of the European Parliament and of the Council of 23 September 2002 concerning the distance marketing of consumer financial services and amending Council Directive 90/619/EEC and Directives 97/7/EC and 98/27/EC art. 2 (f).

მყარი მატარებელი მოქცეულია წერილობითი ფორმის და მსგავსი გამოხატვის საშუალების ქვეთავში და ის განმარტებულია, როგორც ნებისმიერი მატერია, რომელზედაც ინფორმაცია არის დაცული იმგვარად, რომ ის ხელმისაწვდომია განსაზღვრულ და მიზნის ადეკვატურ დროის მონაკვეთში და რაც საშუალებას იძლევა შეუცვლელად მოხდეს ინფორმაციის რეპროდუცირება.⁹⁷

მყარი მატარებლის სამ მთავარ ელემენტად მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომ, საქმეზე „კონტენტ სერვისი“ ავსტრიის ფედერალური შრომის პალატის წინააღმდეგ, მიიჩნია მომხმარებლის შესაძლებლობა:

- ჩაიწეროს ან სხვა გზით შეინახოს მიღებული ინფორმაცია;
- გარკვეული დროის განმავლობაში ჰქონდეს წვდომა უცვლელ ინფორმაციაზე;
- შეძლოს ინფორმაციის უცვლელად რეპროდუცირება;⁹⁸

მყარი მატარებლის ორ მთავარ კომპონენტად სიმყარესა და გამგზავნის მიერ შეცვლის შესაძლებლობის არქონას მიიჩნევენ სამართლის ევროპელი მკვლევარები. ტერმინი მყარი მატარებელი თავის თავში მოიცავს კომპაქტურ, ციფრულ ვიდეო დისკებს, მეხსიერების ბარათებსა და ელექტრონული ფოსტას და გამორიცხავს ინტერნეტ-გვერდებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ უკანასკნელზე ინფორმაცია ატვირთულია დროის გარკვეულ მონაკვეთში და ამ ინფორმაციის შეცვლა შეუძლებელია თავად იმ პირის მიერ, რომელმაც განათავსა ის ინტერნეტ-გვერდზე. მყარი მატარებლის მაგალითი ინტერნეტ გვერდის შემთხვევაში შესაძლოა იყოს გვერდი, სადაც იმართება ონლაინ-აუქციონი.⁹⁹

„მომხმარებლის უფლებების შესახებ“ დირექტივის მე-8 მუხლი ითვალისწინებს მოვაჭრის მიერ მომხმარებლისათვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების შესრულებას წერილობითი ფორმით ან მყარი მატარებლის მეშვეობით. „მომხმარებელთა უფლებების შესახებ“ დირექტივა ხელმოწერ სახელმწიფოებს საშუალებას აძლევს, ტელეფონის მეშვეობით დადებული ხელშეკრულების დროს მოვაჭრემ მომხმარებელს ოფერტი დაუდასტუროს ელექტრონული ხელმოწერით ან წერილობითი თანხმობით, ამგვარი დადასტურება შესაძლებელია გამოიხატოს მყარი მატარებლის მეშვეობით. ამავე მუხლით მოვაჭრემ ხელშეკრულების დადების ფაქტის

⁹⁷ Bar Von Ch., Clive E., Schulte-Nölke H., Study Group on a European Civil Code, Principles, Definitions and Model Rules of European Private Law: Draft Common Frame of Reference (DCFR), Munich, GmbH European Law Publishers, 2009, 151.

⁹⁸ Content Services Ltd v Bundesarbeitskammer, Court of Justice of the European Union, Judgment of the Court, C-49/11, 5/07/2012, 43 <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:62011CJ0049> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 12.05.2019

⁹⁹ Bar Von Ch., Clive E., Schulte-Nölke H., Study Group on a European Civil Code, Principles, Definitions and Model Rules of European Private Law: Draft Common Frame of Reference (DCFR), Munich, GmbH European Law Publishers, 2009, 153.

შესახებ მომხმარებელს შესაძლოა დაუდასტუროს მყარი მატარებლის გამოყენებით.¹⁰⁰

„მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, მოვაჭრე ვალდებულია მიაწოდოს მომხმარებელს ხელშეკრულების ასლი, მისი წერილობითი ფორმით არსებობის შემთხვევაში, ან ხელშეკრულების დადების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი. მუხლის მიხედვით, მომხმარებელს ინფორმაცია უნდა მიეწოდოს არაუგვიანეს პროდუქციის მიწოდებამდე/შესრულების დაწყებამდე, მარტივად გასაგებ ენაზე, ბეჭდური ფორმით. მომხმარებლის თანხმობის შემთხვევაში, ასევე, დისტანციური ხელშეკრულებებისას, შესაძლებელია სხვა საშუალების გამოყენებაც.¹⁰¹ მართალია, კანონპროექტი არ განმარტავს თუ რა შეიძლება იყოს სხვა საშუალება, ასევე არ იყენებს ტერმინს - მყარი მატარებელი, თუმცა „მომხმარებლის უფლებების შესახებ“ დირექტივისა და ასევე უნიფიკაციის პროცესში მომზადებული ევროპული კერძო სამართლის პრინციპების, დეფინიციები და მოდელური წესების სახელმძღვანელოს კომენტარის გათვალისწინებით შესაძლოა მიჩნეულ იქნეს, რომ ქართველი კანონმდებელი „სხვა საშუალებაში“ გულისხმობს სწორედ მყარ მატარებელს. ვინაიდან მყარი მატარებელი, როგორც ელექტრონული ხელშეკრულების დადების ფორმა ევროპული კანონმდებლობისთვის ნაცნობი და აღიარებული ფორმაა, უმჯობესი იქნება „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტში კონკრეტულად განიმარტოს მყარი მატარებლის არსი და შესაბამის მუხლში (8.4) მიეთითოს, რომ მოვაჭრისა და მომხმარებლის მიერ ერთმანეთისთვის ინფორმაციის გაცვლის ფორმად შესაძლოა გამოყენებულ იქნეს მყარი მატარებელი. აღსანიშნავია, რომ კანონმდებელმა შესაძლოა არ

მოახდინოს კონკრეტულ მატარებლებზე (ციფრული მეხსიერების მატარებელი (USB), კომპაქტური დისკები, ციფრული ვიდეო დისკები, კომპიუტერის მეხსიერების ბარათი) მითითება იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ტექნოლოგიის სწრაფი განვითარება დროის მოკლე ვადაში იწვევს ახალი მოწყობილობების, საშუალებების დანერგვას და ვერ მოხდება მათი ამომწურავი ჩამონათვალის გაკეთება. კანონმდებლობის ევროპულ სტანდარტებთან მიახლოებისა და მომხმარებელთა ინტერესების ეფექტურად დაცვის მიზნით, „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ კანონის პროექტში მოხდეს მყარი მატარებლის ცნების განმარტება.

¹⁰⁰ Directive 1999/93/EC of the European Parliament and of the Council of 13 December 1999 on a Community framework for electronic signatures, art. 8 (1) (6) (7).

¹⁰¹ იხ. კანონპროექტი „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“, მუხლი 8, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/113040> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 13.06.2019.

2.4. ელექტრონული საშუალებებით ხელშეკრულების დადების ადგილისა და მომენტის განსაზღვრა

ხელშეკრულების დადების ადგილი, თანმიყოფი პირების შეთანხმების შემთხვევაში, საყურადღებო ხდება იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ვალდებულების შესრულების ადგილს განსაზღვრავენ. სხვა მხრივ ხელშეკრულების დადების ადგილს არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, თუმცა განსხვავებული ვითარება გვაქვს სახეზე, როდესაც ხელშეკრულება არათანმიყოფ პირებს შორის იდება.

როგორც არაერთხელ აღინიშნა, ელექტრონული საშუალებით ხელშეკრულების დადების მთავარი მახასიათებელი გახლავთ ის, რომ არ ხდება მხარეთა ფიზიკური შეხვედრა. ეს მართალია ერთის მხრივ გამოწვეულია დროის ეკონომიისა და სავაჭრო ურთიერთობების გამარტივების მიზნით, თუმცა ამგვარი ხელშეკრულების დადების არსი გახლავთ სწორედ ის, რომ მხარეთა ადგილსამყოფელი ხელშეკრულების დადების მომენტში არ ემთხვევა ერთმანეთს.

ელექტრონული საშუალების გამოყენებით ხელშეკრულების დადება შესაძლოა მოხდეს ერთი ქვეყნის მასშტაბით, სხვადასხვა ტერიტორიიდან, თუმცა უმეტეს შემთხვევაში მსგავსი ხელშეკრულებების უმეტესობა იდება სხვადასხვა ქვეყანაში მყოფ პირებს შორის. ამ მხრივ პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების დადების ადგილის განსაზღვრას, ვინაიდან მხარეთა შორის უთანხმოების წარმოშობის შემთხვევაში დავა უნდა გადაწყვიტოს ერთ-ერთი ქვეყნის სასამართლო.

ელექტრონული საშუალებით დადებული ხელშეკრულებიდან წარმოშობილი დავის შემთხვევაში, განსჯადი სასამართლოს დადგენა პირდაპირ კავშირშია ხელშეკრულების დადების ადგილთან, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საკითხი მხოლოდ ერთი ქვეყნის სასამართლო თუ საკანონმდებლო სისტემის მიხედვით არ წყდება. ელექტრონული საშუალების გამოყენებით ხელშეკრულების დადების ადგილის ზუსტად განსაზღვრის უმთავრესი მიზანი მხარეთა შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში გამოსაყენებელი სამართლისა და განსჯადი სასამართლოს არჩევაა.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ელექტრონული საშუალების გამოყენებით ხელშეკრულების დადების ადგილი, როგორც წესი სხვადასხვა ქვეყნის ტერიტორიაა, „საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ გაეროს კონვენციის თანახმად, ხელშეკრულების დადების ადგილად მიიჩნევა ერთ-ერთი მხარის ადგილსამყოფელი ქვეყანა, თუნდაც ის არ იყოს „საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ გაეროს კონვენციის წევრი.

სწორედ იმის გამო, რომ პირს პერსონალური კომპიუტერის გამოყენებით, რომელსაც წვდომა აქვს ინტერნეტთან, შესაძლებლობა აქვს მსოფლიოს მასშტაბით ეწვიოს ინტერნეტ-მაღაზიებს, ინფორმაციის გაცვლის გზით მოლაპარაკება აწარმოოს ოფერენტთან და სურვილის შემთხვევაში გააკეთოს აქცეპტი, საჭიროა ზუსტად განისაზღვროს ხელშეკრულების დადების ადგილი.

მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა სამართლებრივი დავის დაწყების წინაპირობაა. როგორც

წესი, მხარეები ხელშეკრულებითვე განსაზღვრავენ დავის წარმოშობის შემთხვევაში მისი გადაჭრის გზებსა და მეთოდებს. მხარეთა ნების მიხედვით უთანხმოება შესაძლოა გადაწყდეს მედიაციის ან სასამართლოში სარჩელის აღძვრის გზით. თუ მხარეები შეთანხმდებიან დავის მხოლოდ სასამართლო გზით გადაჭრაზე, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მიმართავენ განსჯად საქალაქო ან რაიონულ სასამართლოს. სასამართლოს განსჯადი არის საქმე, რომელსაც მისი გეოგრაფიული არეალი ფარავს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის მიხედვით, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, იურიდიული პირის შემთხვევაში მისი ადგილსამყოფელის, ხოლო არასასარჩელო წარმოების დროს განსჯადობა განისაზღვრება იმ პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რომლის წინააღმდეგაც მიმართულია განცხადება.¹⁰²

სსკ-ს მიერ დადგენილი განსჯადობის წესი ეხება საქართველოში მცხოვრებ ფიზიკურ ან რეგისტრირებულ იურიდიულ პირებს. თუ მოპასუხე მხარე იქნება უცხო ქვეყნის მოქალაქე ან იურიდიული პირი, რომლის ადგილსამყოფელი არ არის საქართველო, დღის წესრიგში დადგება განსჯადობის საკითხი.

ხელშეკრულების დადების მომენტისა და ადგილის სწორად განსაზღვრა, არათუ ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადებულ, არამედ თანმყოფ პირებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების დროსაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საყურადღებო საკითხია.

ხელშეკრულების დადების მომენტიდან, მხარეები შეზოჭილნი არიან და შესაბამისი საფუძვლის არსებობის გარეშე არ აქვთ მასზე უარის თქმის ან მოშლის შესაძლებლობა.¹⁰³

მხარეთა მიერ ხელშეკრულების პირობებზე შეთანხმება, სახელშეკრულებო უფლება-მოვალეობების წარმოშობის საფუძველია, თუმცა პრაქტიკული თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ხელშეკრულების დადების მომენტს. სსკ-ს 327-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულება დადებულად რომ ჩაითვალოს, აუცილებელია მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით.

არსებითი პირობები, რომლებზეც შეთანხმება ხელშეკრულების დადებისათვის სავალდებულოა, არ არის კანონით განსაზღვრული, რადგანაც ეს საკითხი თავად მხარეების მიერ უნდა იქნეს გადაწყვეტილი. თუმცა ხელშეკრულების ობიექტი, ფასი, ვალდებულების შესრულების დრო და ფორმა, მხარეები და მსგავსი საკითხები წარმოადგენს ხელშეკრულების არსებით პირობებს.¹⁰⁴

¹⁰² იხ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 15, ნაწილი 1-ლი.

¹⁰³ *Bar Von Ch., Clive E., Schulte-Nölke H., Study Group on a European Civil Code, Principles, Definitions and Model Rules of European Private Law: Draft Common Frame of Reference (DCFR), Munich, GmbH European Law Publishers, 2009, 347.*

¹⁰⁴ *ჭანტურია ლ., ზოდუე ბ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, თბილისი, გამომც. სამართალი, 2001, წიგნი მესამე, 89-90;*

ხშირად, ხელშეკრულების სირთულისა და მოლაპარაკებების გაჭიანურების მიზეზით, მხარეებს შორის იდება წინარე ხელშეკრულება, რომელსაც ისეთივე სავალდებულო ძალა აქვს, როგორც ძირითად ხელშეკრულებას. წინარე ხელშეკრულების დადება, რა საკვირველია არ არის სავალდებულო და მხარეები არ არიან შეზღუდულნი მისი დადების ვალდებულებით. თუმცა თუ ისინი გააფორმებენ წინარე ხელშეკრულებას, ეს უნდა მოხდეს იმავე ფორმით რა ფორმითაც მხარეები გეგმავენ ძირითადი ხელშეკრულების დადებას.¹⁰⁵ შესაბამისად თუ ელექტრონული საშუალების გამოყენებით ხელშეკრულების გაფორმების მსურველები შეთანხმდებიან წინარე ხელშეკრულების დადებაზე, მათ ეს უკანასკნელიც უნდა გააფორმონ ელექტრონული საშუალების გამოყენებით.

თანმყოფ პირებს შორის ხელშეკრულების დადების მომენტად ითვლება მხარეთა შეთანხმების მომენტი. გამომდინარე იქედან, რომ ელექტრონული საშუალების გამოყენებით ხელშეკრულების დადებისას მხარეთა შორის არ ხდება არათუ ფიზიკური, ხშირ შემთხვევაში ზეპირსიტყვიერი (სატელეფონო) მოლაპარაკებაც კი, ხელშეკრულების დადების მომენტის განსაზღვრა ხდება სხვაგვარად. მხარეთა მიერ ხელშეკრულების პირობებზე შეთანხმებად ითვლება მათ შორის ელექტრონული კომუნიკაციის გზით ინფორმაციის გაცვლა. ინფორმაციის გაცვლის შემდგომ, სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლის თაობაზე, მხარის მიერ ნების გამოხატვას ადასტურებს კონკრეტული მოვაჭრის მიერ დადგენილი წესების მიღება. არათანმყოფი პირების მიერ ხელშეკრულების დადების ნების გამოვლენად ითვლება ერთის მხრივ ოფერტზე მოწვევა, ხოლო მეორეს მხრივ ოფერტის მიღება და აქცეპტის გაკეთება.

ხელშეკრულების დადების მომენტის სწორად განსაზღვრას, იმ მიზეზითაც აქვს არსებითი მნიშვნელობა, რომ სწორედ ამ მომენტიდან ხდება მფლობელობისა და რისკის ერთიდან მეორე მხარისათვის გადაცემა. ზუსტი დროის დადგენა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება მაშინ, როდესაც სახეზე ერთდროულად ორი ან მეტი (კონკურენტული) აქცეპტი გვაქვს.¹⁰⁶

ელექტრონული საშუალების გამოყენებით ხელშეკრულების დადებისას წარმოიშობა კითხვა დროის რა მონაკვეთში მოხდა ხელშეკრულების დადება. დროის სწორად განსაზღვრა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მომხმარებლისთვის, რამდენადაც მას ფასის გადახდისა და სასურველი საქონლის/მომსახურების მიღების ვალდებულება, სწორედ ხელშეკრულების დადების მომენტიდან წარმოეშობა, არამედ ასევე მოვაჭრისათვის ვინაიდან პირველ ყოვლისა ის არის ვალდებული დროულად მოახდინოს შეკვეთის მიწოდება.¹⁰⁷

¹⁰⁵ *ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ.,*

სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, გამომც. მერიდიანი, 2014, 112;

¹⁰⁶ *Kierkegaard M. S., E-Contract Formation: U.S. and EU Perspectives, Washington Journal of Law, 14.02.2007, vol.3, 10.*

¹⁰⁷ *Solmecke Ch. Handel im Netz, Berlin, CPI books GmbH, Leck, 2014, 87 Rn. 21.*

ის ფაქტი, რომ ინტერნეტის მეშვეობით ადამიანებს შორის არ ხდება პირდაპირი კომუნიკაცია, წარმოშობს ხელშეკრულების დადების ზუსტი დროის განსაზღვრის აუცილებლობას, რადგან მხარეთა უფლება მოვალეობებისათვის დადგენილი ვადის ათვლა სწორედ მასზეა დამოკიდებული. ელექტრონული საშუალებით ხელშეკრულების დადებისას, მომხმარებელს შესაძლოა ინტერნეტ-გვერდზე მოეთხოვოს ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებზე დათანხმება, ისე რომ მას სათანადოდ არ ჰქონდეს გააზრებული ის ვალდებულება, რასაც შესაძლოა აკისრებდეს ეს ხელშეკრულება. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია გაიმიჯნოს რა დროს მოხდა ოფერტისა თუ აქცეპტის გაკეთება.¹⁰⁸ ხელშეკრულების სტანდარტული პირობების გაცნობის შესაძლებლობა, მომხმარებელს უმეტესწილად ეძლევა მანამ, სანამ ის სახელშეკრულებო ურთიერთობაში შევა, სწორედ ამიტომ, როგორც წესი მომხმარებელთა უმეტესობა ან საერთოდ არ ეცნობა, ან უყურადღებოდ კითხულობს მათ. ამ გარემოებამ კი შესაძლოა გამოიწვიოს ისეთ მნიშვნელოვანი ინფორმაციის არასათანადო მიღება როგორცაა მაგალითად შეძენილი პროდუქციის მიწოდების წესები და ვადები.¹⁰⁹

„ხელშეკრულების დადებისას ელექტრონული კომუნიკაციის საშუალების გამოყენების შესახებ“ გაეროს კონვენციის მე-10 მუხლის თანახმად, ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით ინფორმაცია გაგზავნილად ითვლება, მაშინ როდესაც ინფორმაცია ტოვებს მხარის მიერ კონტროლირებად სისტემას.

ინფორმაციის მიღების დროდ ითვლება დრო, როდესაც ადრესატს აქვს შესაძლებლობა მის მიერ მითითებულ ელექტრონულ მისამართზე მოიძიოს გამოგზავნილი ინფორმაცია. ელექტრონული შეტყობინება, ადრესატის მიერ მიღებულად ივარაუდება, მაშინ როდესაც ინფორმაციამ მიაღწია ადრესატის ელექტრონულ მისამართზე.¹¹⁰

ინფორმაციის გაცვლის შემდგომ, რაც უთანაბრდება თანმყოფ პირებს შორის დადებული ხელშეკრულების პირობებზე მოლაპარაკებას, მხარეთა მიერ ხდება ოფერტისა და აქცეპტის გაკეთება. სწორედ მომხმარებლის მიერ აქცეპტის გაგზავნა და მოვაჭრის მიერ მისი მიღება ითვლება ხელშეკრულების დადების მომენტად. ელექტრონული საშუალების გამოყენებით, ხელშეკრულების დადების სპეციფიკიდან გამომდინარე, აქცეპტის გაგზავნისა და მიღების დრო არ ემთხვევა ერთმანეთს. ელექტრონული საშუალების გამოყენებით ოფერტის გაგზავნას და ადრესატამდე მისვლას იმაზე მეტი დრო სჭირდება ვიდრე თანმყოფ პირებს შორის შემდგარი მოლაპარაკებისას გაკეთებულ ოფერტს.¹¹¹

¹⁰⁸ Sankalp J., Electronic Contracts: Nature, Types and Legal Challenges, May, 2016, 7, https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=2786438 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 17.07.2018.

¹⁰⁹ Moringiello J.M., Signals, Assent and Internet Contracting, Rutgers Law Review, 2005, vol. 57, 1307, https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=859485 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 17.07.2018.

¹¹⁰ United Nations Convention on the Use of Electronic Communications in International Contracts, art. 10.

¹¹¹ ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, თბილისი, გამომც. სამართალი, 2001, წიგნი მესამე, 132.

ტექნიკური თვალსაზრისით, შესაძლოა აღინიშნოს, რომ ელექტრონული ფოსტის გაგზავნასა და მის ადრესატამდე მისვლას სულ რამდენიმე წამი სჭირდება, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ აქცეპტი ადრესატის მიერ მიღებულ იქნა. თუ მაგალითად, მხარეთა მიერ ოფერტისა და აქცეპტის გაკეთება ხდება ელექტრონული ფოსტის გამოყენებით, შესაძლოა პირმა ფოსტა, თუნდაც სხვა დროის სარტყელში ყოფნის გამო, მხოლოდ რამდენიმე საათის შემდეგ შეამოწმოს. სწორედ ამიტომ აღინიშნა, რომ ინფორმაცია მიღებულად ითვლება არა მაშინ, როდესაც მოხდა მისი გაგზავნა არამედ როდესაც ადრესატს მიეცა შესაძლებლობა მის მიერ მითითებულ ელექტრონულ მისამართზე მოეძიებია გამოგზავნილი ინფორმაცია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ელექტრონული საშუალების გამოყენებით, ხელშეკრულების დადების მომენტად ითვლება, არა მხარის მიერ აქცეპტის გაკეთების არამედ, კრედიტორის მიერ მისი მიღების მომენტი. სწორედ აღნიშნულს განამტკიცებს „საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ გაეროს კონვენციის მე-18 მუხლის მეორე პუნქტი, რომლის თანახმადაც, ოფერტზე გაკეთებული აქცეპტი ეფექტური ხდება იმ მომენტში, როდესაც თანხმობა მიაღწევს ოფერენტამდე.

რაც შეეხება ხელშეკრულების ძალამოსილების საკითხს, აქ საგულისხმოა დაცულია თუ არა ხელშეკრულების ნამდვილობის პირობები მხარეთა ადგილსამყოფელი ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით. შესაძლოა ორ სხვადასხვა ქვეყანას, შიდა კანონმდებლობით დადგენილი ჰქონდეს ხელშეკრულების ნამდვილობის განსხვავებული პირობები. ასეთ შემთხვევაში, თუ მხარეთა შორის ვერ ხერხდება შეთანხმება, დავა იურისდიქციის შესახებ უნდა გადაწყდეს სასამართლოს მიერ.¹¹² „ხელშეკრულების დადებისას ელექტრონული კომუნიკაციის საშუალების გამოყენებისა“ და „საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ გაეროს კონვენციების გამოყენების სფერო, შეეხება საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეკრულებებს, იმ მხარეთა შორის, რომელთაც საქმიანობას სხვადასხვა ქვეყანაში აწარმოებენ. შესაძლოა ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის ადგილმდებარეობის ქვეყანა, არც იყოს კონვენციის მონაწილე, მაგრამ აღიარებდეს საერთაშორისო კერძო სამართლის დადგენილ რეგულაციებს. „საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ გაეროს კონვენციის თანახმად, სურვილის შემთხვევაში, მხარეთა შორის წარმოშობილი დავის გადასაჭრელად შესაძლოა გამოყენებულ იქნეს თავად კონვენცია და არა რომელიმე ქვეყნის ან თუნდაც საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმები.¹¹³

რაც შეეხება „მომხმარებლის უფლებების შესახებ“ დირექტივას, ის არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ რომელი ქვეყნის კანონმდებლობით უნდა იქნეს გადაჭრილი დავა, თუმცა მონაწილე ქვეყნებს ავალდებულებს,

¹¹² Murray D.A., *Entering into Contracts Electronically*, ელექტრონულად გამოქვეყნებული სტატია, 11, <http://old.leginet.eu/articles/Entering%20Into%20Contracts%20Electronically.pdf> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 24.06.2018.

¹¹³ Explanatory note by the UNCITRAL Secretariat on the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods, New York, United Nations Publications, 2010, 35.

შიდა კანონმდებლობა შეუსაბამოს მის ნორმებს.¹¹⁴

„მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი არაფერს ამბობს სხვადასხვა ქვეყნის ტერიტორიაზე მყოფ პირებს შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში, გამოსაყენებელი სამართლის ან განსჯადი სასამართლოს თაობაზე. მართალია კანონპროექტი ვერ დაადგენს საერთაშორისო კერძო სამართლის წესებს და ასევე ვერ მოახდენს სხვა საკანონმდებლო ნორმათა ციტირებას, თუმცა მითითება უნდა გაკეთდეს გასაჩივრების ზოგად წესზე არამხოლოდ საქართველოში მყოფ პირთა შორის დავის, არამედ სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის ერთ-ერთი მხარის საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნის შემთხვევაში გამოსაყენებელი სამართლისა და განსჯადი სასამართლოს თაობაზე.

¹¹⁴ Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/ECC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/ECC and Directive 97/7/EC of the European Parliament on the Council, art. 8 (1).

თავი III. ელექტრონული საშუალებებით დადებული ხელშეკრულების

არსებითი პირობების განსაზღვრის თავისებურებები

ხელშეკრულებას, როგორც სამართლებრივ ინსტიტუტს ფართო მნიშვნელობა გააჩნია. ის მხარეთა შორის გარკვეული უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ შეთანხმებას წარმოადგენს. სახელშეკრულებო ურთიერთობა ერთის მხრივ სამართლით, ხოლო მეორეს მხრივ კი მხარეთა შეთანხმებით რეგულირდება. ჩვეულებითი სამართლის მიხედვით ხელშეკრულება მხარისა და პირობების თავისუფლად არჩევის შესაძლებლობაა.¹¹⁵

ხელშეკრულების ტრადიციული გაგება მოიცავს არა მხოლოდ დაპირებას შესრულდეს გარკვეული პირობები, არამედ უფლებებისა და ვალდებულებების შესრულების შესახებ ორმხრივ შეთანხმებას. ყველაზე ზუსტად, მხარეთა შეთანხმებას ლათინური ტერმინი - *consensus ad idem* - გონთა თანხვედრა გამოხატავს. ისტორიულად ეს მეტაფორა გამოიყენებოდა პირისპირ გაკეთებული შეთანხმების დროს.¹¹⁶ თუმცა ელექტრონული საშუალების გამოყენებით ხელშეკრულების დადების უმთავრეს პირობასაც მხარეთა ნების თანხვედრა წარმოადგენს.

სამართალი ადგენს ხელშეკრულების ზოგად ელემენტებს, თუმცა ის სავალდებულო ხასიათს არ ანიჭებს ერთ კონკრეტულ ფორმას ან ელემენტს. ის შესაძლოა ფორმირებული იქნეს სხვადასხვა მეთოდით.¹¹⁷ ხელშეკრულება თავისუფლების პრინციპს ეფუძნება და თავის თავში მოიცავს გარკვეულ ელემენტებს, მათ შორის და არამხოლოდ მხარეების არჩევის, შინაარსის განსაზღვრისა და ფორმის თავისუფლებას.¹¹⁸

ხელშეკრულება წარმოადგენს ორი ან მეტი პირის მიერ გარკვეულ პირობებზე შეთანხმებას, რაც სამართლებრივი ურთიერთობის დაწყების წინაპირობაა. მხარეთა შორის შეთანხმება მხოლოდ უფლებებსა და ვალდებულებებს არ წარმოშობს, მას შესაძლოა სხვაგვარი სამართლებრივი ეფექტი ექნეს, მაგალითად მოახდინოს უკვე მოქმედი ხელშეკრულების წესებისა და პირობების ცვლილება, ან მისი შეწყვეტა.¹¹⁹

მხარეთა შორის შეთანხმება ვერ იქნებოდა სამართლებრივი ძალის მქონე, მას რომ არ გააჩნდეს ე.წ. მბოჭავი ეფექტი (binding effect), რაც მხარეებს ავალდებულებს ერთმანეთის მიმართ იკისრონ გარკვეული ვალდებულებები,

¹¹⁵ Christensen Sh., Formation of Contracts by Email – Is it Just the Same as the Post? Queensland University of Technology & Justice Journal, 2001, vol.1 No. 1, 25.

¹¹⁶ Kerr I.R., Ensuring the Success of Contract Formation in Agent-Mediated Electronic Commerce, Electronic Commerce Research, 2001, 1, 190.

¹¹⁷ Christensen Sh., Formation of Contracts by Email – Is it Just the Same as the Post? Queensland University of Technology & Justice Journal, 2001, vol.1 No. 1, 25.

¹¹⁸ Goffertjé E.F.S., Vertragsschluss und Vertragsbindung bei Verbraucherverträgen, Berlin, Duncker&Humblot, 2016, 21.

¹¹⁹ Bar Von Ch., Clive E., Schulte-Nölke H., Study Group on a European Civil Code, Principles, Definitions and Model Rules of European Private Law: Draft Common Frame of Reference (DCFR), Munich, GmbH European Law Publishers, 2009, 170.

მათ შორის შეასრულონ ან თავი შეიკავონ კონკრეტული მოქმედების შესრულებისაგან. მართალია ყველა ხელშეკრულება მხარეთა ინდივიდუალური ნების შედეგია და ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისგან, თუმცა გარკვეული ნიშან-თვისებები ყველა ხელშეკრულებისათვის სავალდებულო და საერთოა.¹²⁰

სსკ-ს 327-ე მუხლის თანახმად, არსებითად ჩაითვლება ხელშეკრულების ის პირობები, რომლებზედაც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით მიღწეული უნდა იქნეს შეთანხმება, ანდა რომლებიც ასეთად მიჩნეულია კანონის მიერ.

ბუნებრივია სამოქალაქო კოდექსი იმპერატიულად ვერ მოახდენს ხელშეკრულების არსებითი პირობების მითითებას, თუმცა პრაქტიკაში მეტ-ნაკლებად ჩამოყალიბებულია ის გარემოებები, რომელთა ერთობლიობაც წარმოადგენს არსებით პირობებს.¹²¹

ხელშეკრულების ნამდვილობისათვის აუცილებელია მხარეები შეთანხმდნენ ყველა არსებით პირობაზე ე.წ. – *essentia negotii*. არსებით პირობას წარმოადგენს ხელშეკრულების საგანი, ობიექტი, ფასი, შესრულების ფორმა, ვადა, შეძენილი საქონლის ან მომსახურების მიწოდება და შეთანხმებული საფასურის გადახდა.¹²²

ხელშეკრულების არსებით პირობებს მიეკუთვნება ისეთი გარემოებები, რომელიც ორი ან მეტი ხელშეკრულებისთვის არის გამოყენებადი და რომლებსაც ერთი მხარე წარუდგენს მეორეს ხელშეკრულების დადებამდე. ეს მხარე შესაძლოა იყოს როგორც მომხმარებელი ისე მოვაჭრე, მთავარია მის მიერ შეთავაზებული პირობა, ესადაგებოდეს და გამოყენებადი იყოს სხვა ხელშეკრულებისთვისაც. ორივე მხარის მიერ ერთმანეთისთვის შეთავაზებული კონკრეტული პირობები ვერ ჩაითვლება ხელშეკრულების არსებით პირობად.¹²³ ისეთი სპეციფიური დათქმა, რომელიც მომდინარეობს კონკრეტული პირის სურვილიდან ან საჭიროებიდან ცხადია არ განეკუთვნება ხელშეკრულების სტანდარტულ პირობას.

ხელშეკრულების არსებობისათვის უპირველეს ყოვლისა აუცილებელია განისაზღვროს მისი მხარეები და ის უფლება-მოვალეობები, რაც მათ ხელშეკრულების დადების მომენტიდან წარმოეშობათ.

3.1. ელექტრონული საშუალებებით დადებული ხელშეკრულების მხარეები, მათი უფლება-მოვალეობანი

ხელშეკრულება, ზოგადი გაგებით, გახლავთ ორ ან მეტ მხარეს შორის სამართლებრივად მავალდებულებელი შეთანხმება. თანამედროვე

¹²⁰ ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, გამომც. მერიდიანი, 2014, 87.

¹²¹ ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, თბილისი, გამომც. სამართალი, 2001, წიგნი მესამე, 90.

¹²² Solmecke Ch., Handel im Netz, Berlin, CPI books GmbH, Leck, 2014, 99, Rn.69.

¹²³ Klein D., E-Commere Law in Germany, München, C.H. Beck, 2015, 42, Rn.1.

სახელშეკრულებო სამართლის თანახმად, ეს შეთანხმება ოფერტისა და აქცეპტის გზით ხორციელდება.¹²⁴

3.1.1. ელექტრონული საშუალებებით დადებული ხელშეკრულების მხარეები

ხელშეკრულების მხარეების განსაზღვრა, ნებისმიერი ფორმით დადებული ხელშეკრულების მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს. გამომდინარე იქედან, რომ თითოეული ხელშეკრულების მხარეთა დასახელება, მისი არსიდან გამომდინარეობს, უპირველეს ყოვლისა უნდა მოხდეს ელექტრონული საშუალებით დადებული ხელშეკრულების მხარეთა სწორი დასახელების განსაზღვრა.

ელექტრონული ხელშეკრულების მხარეებს, ევროპარლამენტისა და საბჭოს „მომხმარებლის უფლებების შესახებ“ დირექტივის მეორე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების მიხედვით, წარმოადგენენ მოვაჭრე და მომხმარებელი. დირექტივაში, მოვაჭრე განმარტებულია, როგორც ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, მათ შორის სხვა პირი, რომელიც მოქმედებს მოვაჭრის სახელით, სავაჭრო, საქმიანი, სამრეწველო ან პროფესიული მიზნებისათვის;

მომხმარებელი – არის ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელიც „მომხმარებელთა უფლებების შესახებ“ დირექტივით გათვალისწინებულ ხელშეკრულებებში, მოქმედებს იმ მიზნებისათვის, რომელიც არ ეხება, მის სავაჭრო, საქმიან, სამრეწველო ან პროფესიულ მიზნებს.¹²⁵ სამართლებრივი თვალსაზრისით მომხმარებელი არის პირი, რომელსაც არ აქვს სათანადო ცოდნა და შესაძლებლობა, ესაჭიროება დაცვა იმ პირისგან, რომელიც ეწევა სავაჭრო საქმიანობას და ამ სფეროში გააჩნია საკმაო გამოცდილება.¹²⁶ მომხმარებელი, მოვაჭრესთან შედარებით ყოველთვის არის არაპრივილეგირებულ მდგომარეობაში, ვინაიდან მისთვის დისტანციურად ხელშეკრულებაში შესვლა არ წარმოადგენს ჩვეულ საქმიანობას და ამგვარი ურთიერთობების წარმართვის ნაკლებ გამოცდილებას ფლობს.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, დისტანციურად დადებული ხელშეკრულების მხარის დასახელებად, „მომხმარებელთა უფლებების შესახებ“ დირექტივისგან განსხვავებით იყენებს ტერმინს მეწარმეს და არა მოვაჭრეს. გსკ-ს 312გ მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების მხარეებს მეწარმე და მომხმარებელი წარმოადგენენ. მომხმარებელი – გსკ-ს მე-13 მუხლის თანახმად, არის ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელიც დებს გარიგებას იმ მიზნით, რომელიც არ განეკუთვნება მის სამეწარმეო ან პროფესიულ საქმიანობას. ამავე კოდექსის მე-14 მუხლი მეწარმეს განმარტავს,

¹²⁴ *Gisler M., Stanoevska-Slabeva K., Greunz M.*, Legal Aspects of Electronic contracts, Infrastructures for Dynamic Business-to-Business Service Outsourcing, Stockholm, June 2000, 2.

¹²⁵ Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/ECC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/ECC and Directive 97/7/EC of the European Parliament on the Council, art. 2 (1).

¹²⁶ *Cortés P.*, Online Dispute Resolution for Consumers in the European Union, USA and Canada, Taylor & Francis e-Library, 2010, 10.

როგორც ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი ანდა უფლებაუნარიანობის მქონე ამხანაგობა, რომელიც გარიგების დადებისას მოქმედებს სამეწარმეო ან დამოუკიდებელი პროფესიული საქმიანობის ფარგლებში.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი კერძო სამართლის სუბიექტების დასახელებად კრედიტორსა და მოვალეს იყენებს. კრედიტორია პირი, რომელსაც მეორე მხარისაგან შესრულების მოთხოვნის უფლება გააჩნია, ხოლო მოვალეა პირი, რომელიც კრედიტორის მოთხოვნის შესაბამისად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას.¹²⁷ გამომდინარე იქედან, რომ სამოქალაქო კოდექსი არ შეიცავს დებულებას ელექტრონული ხელშეკრულების შესახებ, მისთვის ცნება - მომხმარებელი და მოვაჭრე ცნობილი არ არის. რაც შეეხება „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ კანონპროექტს, რომელიც „მომხმარებელთა უფლებების შესახებ“ დირექტივის ანალოგს წარმოადგენს, დოკუმენტში ცალკე მუხლი ეთმობა, მომხმარებელთა უფლებების დაცვას, დისტანციურად (ელექტრონული საშუალების გამოყენებით) დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში. კანონპროექტში მხარეთა დასახელებად ასევე გამოყენებულია ტერმინები მომხმარებელი და მოვაჭრე. პროექტის მე-3 მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტების თანახმად, მომხმარებელი არის ფიზიკური პირი, რომელსაც სთავაზობენ ან რომელიც იძენს ან შემდგომ იყენებს საქონელს ან მომსახურებას პირადი მოხმარების, და არა მისი სამეწარმეო ან სხვა პროფესიული საქმიანობის მიზნით, ხოლო მოვაჭრე არის სამეწარმეო ან სხვა პროფესიული საქმიანობის ფარგლებში საქონლის შემთავაზებელი ან/და გამყიდველი, ასევე, მომსახურების გამწევი ფიზიკური ან იურიდიული პირი.¹²⁸ მართალია ელექტრონული საშუალების გამოყენებით ნასყიდობის გარდა შესაძლოა სხვა არაერთი ხელშეკრულება დაიდოს, თუმცა საერთაშორისო სამართლებრივი აქტების მსგავსად უმჯობესი იქნება სამოქალაქო კოდექსშიც მხარეთა დასახელებად, გამოყენებულ იქნეს ტერმინები – მოვაჭრე და მომხმარებელი. მოვაჭრე შესაძლოა იყოს, როგორც ფიზიკური ისე იურიდიული პირი, რომელიც გარკვეული საფასურის სანაცვლოდ სთავაზობს სხვას საქონელს ან კონკრეტულ მომსახურებას.

როგორც გსკ-ს, ისე „მომხმარებელთა უფლებების შესახებ“ დირექტივის მიზნებისათვის, მომხმარებელი შესაძლოა იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი, რომელიც მოქმედებს პირადი მიზნებისათვის. ხელშეკრულების დადების რეალური მიზანი ატარებს კერძო თუ სამეწარმეო ხასიათს, ეს საკითხი უნდა დადგინდეს არა მომხმარებლის შინაგანი ნებით, არამედ ობიექტური გარემოებების შესაბამისად. ეჭვის შემთხვევაში, საკითხი უნდა გადაწყდეს მომხმარებლის სასარგებლოდ.¹²⁹ უნდა აღინიშნოს, რომ მომხმარებელი

¹²⁷ *კანტურია ლ., ზოიძე ბ.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, თბილისი, გამომც. სამართალი, 2001, წიგნი მესამე, 25.

¹²⁸ იხ. კანონპროექტი „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“, მუხლი 3, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/113040> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 13.06.2019.

¹²⁹ *კროფკოლერი ი.* გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, თბილისი, GIZ, 2014, 25.

უმეტეს შემთხვევაში პირადი მიზნებისთვის დებს ელექტრონული გზით ხელშეკრულებას, ბუნებრივია არ არის გამორიცხული სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლა მოხდეს სამეწარმეო მიზნით, თუმცა უნდა დადგინდეს რამდენად წარმოადგენს ამგვარი საქმიანობა მომხმარებლის ძირითადი საქმიანობის ნაწილს.

- **მაგალითი:** სარეკლამო კომპანიას რეკლამის დამზადება დაუკვეთეს. ამ მიზნით, მას ესაჭიროება პროდუქცია, რომელიც ხელმისაწვდომი მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაშია. კომპანიის წარმომადგენელი, ფინანსების დაზოგვის მიზნით, ნაცვლად საზღვარგარეთ გამგზავრებისა, ელექტრონული საშუალების გამოყენებით იწერს სასურველ პროდუქტს. მართალია ამ შემთხვევაში მომხმარებელი არის იურიდიული პირი, რომელიც მანამდეც არაერთხელ შესულა ელექტრონული საშუალების გამოყენებით სახელშეკრულებო ურთიერთობაში, მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ეს უკანასკნელი არ წარმოადგენს მისი საქმიანობის ძირითად მიმართულებას, არ უნდა მოხდეს მისთვის იმ უფლებით სარგებლობის შეზღუდვა, რაც მომხმარებელს როგორც ხელშეკრულების შედარებით დაუცველ მხარეს კანონმდებლობით აქვს მინიჭებული.

ვინაიდან ელექტრონული საშუალების გამოყენებით ხელშეკრულების დადებისას, მხარეები ფიზიკურად არ ხვდებიან ერთმანეთს, მომხმარებელი მოკლებულია შესაძლებლობას წინასწარ დაათვალიეროს ან შეამოწმოს ხელშეკრულების საგანი, მისთვის მსგავს სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლა, არ წარმოადგენს ჩვეულ საქმიანობას და ის მეტნაკლებად არასახარბიელო მდგომარეობაში იმყოფება, სწორედ ამ კუთხით არის, მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ საერთაშორისო თუ ეროვნული კანონმდებლობის სრულყოფა და გაძლიერება ერთ-ერთი ძირითადი მიზანი.

„მომხმარებელთა დაცვის შესახებ“ დირექტივის მთავარ ამოცანას მომხმარებელთა უფლებების მაქსიმალურად მაღალ დონეზე დაცვა წარმოადგენს. ანალოგიურ მიზანს ემსახურება გაეროს სახელმძღვანელო მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ, რომელშიც აღნიშნულია, რომ მომხმარებლები, სხვადასხვა მიზეზთა გამო, ხშირად, მოვაჭრეებთან შედარებით, არათანაბარ პირობებში იმყოფებიან. მათი უფლებების ადეკვატური დაცვა და ამ გზით ბაზარზე დადგენილი სტანდარტების გაუმჯობესება წარმოადგენს გაეროს წევრი სახელმწიფოების ვალდებულებას.¹³⁰

ევროპის არაერთი სახელმწიფოს მიერ ეროვნული კანონმდებლობით რეგულირდება მომხმარებელთა უფლებები, მათ შორისაა, საფრანგეთი, სადაც 2014 წელს იქნა მიღებული ახალი კანონი „მომხმარებელთა დაცვის შესახებ“, გაერთიანებული სამეფო – „მომხმარებელთა უფლებების აქტით“, პოლონეთი

¹³⁰ UN Guideline on Consumer Protection, New York and Geneva, 2016, 9.

– ასევე „მომხმარებელთა უფლებების აქტით“, შვედეთი, ნიდერლანდების სამეფო, იტალია და ა.შ.

გამომდინარე იქედან, რომ ხელშეკრულება არის ორმხრივი ან მრავალმხრივი გარიგება, იმისათვის რომ ის არსებობდეს სახეზე უნდა იყოს ორი ან მეტი პირის (ე.ი. ხელშეკრულების მხარის) ნება;¹³¹ ხელშეკრულების დადებისას კერძო სამართლის სუბიექტად, სსკ-ის მიხედვით, შეიძლება მოიაზრობდეს, როგორც ფიზიკური ისე იურიდიული პირი.

იურიდიული პირი, სსკ-ს 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი, საკუთარი ქონების მქონე, ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს და საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ ან მოპასუხედ.¹³²

ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადებული ხელშეკრულების მხარეები უმეტესად ფიზიკური და იურიდიული პირები არიან, თუმცა ასევე შესაძლებელია ორივე მხარე იყოს ფიზიკური ან იურიდიული პირი. ინტერნეტ-მაღაზიის შემთხვევაში, უმეტესწილად გამყიდველად სწორედ იურიდიული პირია, თუმცა ეს არ გამორიცხავს ფიზიკური პირების მიერ ინტერნეტ-მაღაზიაში საკუთარი პროდუქციის განთავსებას. დაზღვევის ხელშეკრულების დადების დროს, მზღვეველი ყოველთვის იურიდიული პირია, ხოლო დამზღვევი შესაძლოა იყოს როგორც იურიდიული ისე ფიზიკური პირი.

3.1.2. ხელშეკრულების მხარეთა უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა

როდესაც ხელშეკრულების მხარეს ფიზიკური პირი წარმოადგენს, ყურადსაღებია მისი სამართალსუბიექტობის საკითხი. ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა, წარმოიშობა დაბადების მომენტიდან, თუმცა ბუნებრივია ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნებისმიერი პირი შეიძლება იყოს ხელშეკრულების მხარე. ამისათვის საჭიროა ის აკმაყოფილებდეს გარკვეულ კრიტერიუმებს. პირველ რიგში კი, ის ქმედუნარიანი უნდა იყოს.

ხელშეკრულებისა და ზოგადად ნებისმიერი სამართლებრივი ურთიერთობისათვის ქმედუნარიანობის საკითხს ჯერ კიდევ რომის სამართალში ეთმობოდა დიდი ყურადღება. რომის სამართლის მიხედვით ქმედუნაროდ მიიჩნეოდა 7 წლამდე ასაკის პირი (Infantes), 7-14 წლამდე პირს უფლება ჰქონდა შეეძინა ან გაესხვისებინა ქონება, ხოლო 14-25 წლამდე პირები სრულ ქმედუნარიანებად იყვნენ მიჩნეულნი.¹³³

¹³¹ Bar Von Ch., Clive E., Schulte-Nölke H., Study Group on a European Civil Code, Principles, Definitions and Model Rules of European Private Law: Draft Common Frame of Reference (DCFR), Munich, GmbH European Law Publishers, 2009, 289.

¹³² იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 24.

¹³³ მეტრეველი ვ. რომის სამართალი, თბილისი, გამომც. მერიდიანი, 2002, 45.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მეორე კარის, მეორე თავი ხელშეკრულების ნამდვილობის ერთ-ერთ წინაპირობად პირის ქმედუნარიანობას მიიჩნევს. ქმედუნარიანობა ე.ი. ფიზიკური პირის უნარი თავისი ნებითა და მოქმედებით სრული მოცულობით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები, წარმოიშობა მის მიერ 18 წლის ასაკის მიღწევისთანავე.¹³⁴ იგულისხმება როგორც კრედიტორის, ისე მოვალის ქმედუნარიანობა. იმისათვის რომ არასრულწლოვნის მიერ დადებული ხელშეკრულება ჩაითვალოს ნამდვილად, საჭიროა მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა. ამ თანხმობის მიღებამდე, ხელშეკრულება მერყევად ბათილია. ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია წარმომადგენლის თანხმობაზე. კანონმდებლის მიერ ეს შეზღუდვა, არასრულწლოვანი პირის ინტერესების დაცვას ემსახურება. თუკი არასრულწლოვანი, გარიგებით იღებს სარგებელს, მაშინ მის მიერ გამოვლენილი ნება ნამდვილია. თუმცა იმის გარკვევა თუ რა არის მოზარდისთვის სასარგებლო და რა არა, მნიშვნელოვანი საკითხია. სარგებელში იგულისხმება არა მატერიალური სარგებელი, არამედ არასრულწლოვანის ინტერესების შესაბამისი სამართლებრივი სიკეთე. ხელშეკრულების დადებით არასრულწლოვანს არ უნდა წარმოეშვას იმგვარი ვალდებულებები, რისი შესრულებაც მისთვის რთული ან საერთოდ შეუძლებელი იქნება. თუ პირს ხელშეკრულებით არ წარმოეშობა ვალდებულებები შეიძლება ჩაითვალოს, რომ ამგვარი ხელშეკრულება მისთვის სარგებლიანია. მსგავსი მაგალითი შესაძლოა იყოს ჩუქების ხელშეკრულება, სადაც არასრულწლოვანი არის დასაჩუქრებული – შესაბამისად მას არ წარმოეშობა არავითარი ვალდებულება დამსაჩუქრებლის მიმართ.¹³⁵ თუმცა ყველა კონკრეტულ შემთხვევაში, არის თუ არა ხელშეკრულება არასრულწლოვნისათვის სარგებლის მომტანი უნდა გადაწყვიტოს მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა.¹³⁶ მხოლოდ ვალდებულების არარსებობა, ბუნებრივია არ გულისხმობს რომ გარიგება არასრულწლოვანი პირისთვის სარგებლის მომტანია. ჩუქების ხელშეკრულების დროსაც, თუ დამსაჩუქრებლის მიერ მოზარდისათვის ხდება იმგვარი საჩუქრის გადაცემა, რაც არ შეესაბამება ამ უკანასკნელის განვითარებისა და ჯანსაღ პიროვნებად ჩამოყალიბების მიზნებს გარიგებავერ ჩაითვლება სარგებლიანად.

მეტნაკლებად პრობლემური შეიძლება იყოს არასრულწლოვანი პირის მიერ ელექტრონული საშუალების გამოყენებით ხელშეკრულების დადების ნამდვილობის საკითხი. გამომდინარე იქედან, რომ დღეს კომპიუტერთან მუშაობის შესაძლებლობა უამრავ არასრულწლოვანს ეძლევა, სრულიად ბუნებრივი და მოსალოდნელია, მათ მშობლების ან სხვა სრულწლოვანი პირების ინტერნეტ და საბანკო ანგარიშებით სარგებლობის გზით, დადონ მაგალითად ნასყიდობის ხელშეკრულება. მართალია ამ შემთხვევაში თუ

¹³⁴ იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 12.

¹³⁵ *ჭანტურია ლ., ჯორბენაძე ს., ახვლედიანი ზ., ზოიძე ბ., ნინიძე თ.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, თბილისი, გამომც. სამართალი, 2001, წიგნი პირველი, 205.

¹³⁶ იქვე, 49.

ხელშეკრულების დადება მოხდებოდა თანმყოფ პირებს შორის, მისი ნამდვილობისთვის აუცილებელი იქნებოდა მშობლის თანხმობა, მაგრამ არათანმყოფი პირების მიერ ხელშეკრულების დადებისას, ფაქტობრივად შეუძლებელია იმის დადგენა არის თუ არა მხარე სრულწლოვანი. მაშინ, როდესაც ინტერნეტის მეშვეობით ხელშეკრულების დადება ხდება არასრულწლოვნის მიერ, თუნდაც ის არ იყოს მისთვის სარგებლის მომტანი, რთულად დასადგენია რამდენად ფლობდა მშობელი ინფორმაციას ხელშეკრულების დადებისა და მოსალოდნელი შედეგის შესახებ.

თუ არასრულწლოვანი პირები ინტერნეტის მეშვეობით შეეცდებიან ისეთი სერვისის მიღებას რაც მათთვის არ არის სასარგებლო, წარმოიშობა მათი დაცვის საკითხი. ცხადია ამგვარი მიზნის მისაღწევი საუკეთესო გზა არის მომხმარებლისთვის ხელშეკრულების დადებამდე საკუთარი ასაკის დადასტურების მოთხოვნა. თუმცა გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს 2007 წლის ოქტომბრის I ZR 102/05 გადაწყვეტილების თანახმად¹³⁷, მხოლოდ ასაკის მითითება ყოველთვის არ არის ეფექტური, რადგან არასრულწლოვანს თავისუფლად შეუძლია მიუთითოს მშობლის ან სხვა სრულწლოვანი პირის პერსონალური მონაცემები. უფრო მეტიც, ხშირად არასრულწლოვნები ფლობენ საბანკო ანგარიშებსა და ბარათებს, რაც ამარტივებს მათ მიერ ელექტრონული გზით ხელშეკრულების დადების შესაძლებლობას.

სწორედ ამიტომ უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ მოითხოვა მომხმარებლის მიერ ქმედუნარიანობის ასაკის მიღწევის დისტანციურად დადასტურების გარდა სხვა გზითაც მომხდარიყო ასაკის გადამოწმება, მათ შორის შეკვეთილი საქონლის მხარისათვის მიწოდების დროს კურიერის მიერ მომხმარებლის ასაკის უშუალოდ გადამოწმება.¹³⁸

მოვაჭრისათვის შეუცნობლად არასრულწლოვანთან ან მხარდაჭერის მიმღებ პირთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლის შემთხვევათა თავიდან ასარიდებლად, შესაძლებელია შემუშავდეს კითხვარი ან სისტემა, რომელიც მომხმარებლის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ მზაობას და კითხვებზე პასუხის გაცემის შესაძლებლობას. მომხმარებლის მიერ გაცემული პასუხების მიხედვით, მოვაჭრე მეტ-ნაკლებად შეძლებს გადაამოწმოს რამდენად ადეკვატური და გონივრული იყო პირის მიერ გამოვლენილი ნება, ხოლო ეჭვის შემთხვევაში გაატაროს დამატებითი ღონისძიებები, მათ შორის მოსთხოვოს მხარეს საიდენტიფიკაციო დოკუმენტის წარდგენა. აღნიშნული მოთხოვნა განსაკუთრებით საჭირო იქნება იმგვარ საგნებზე ხელშეკრულების დადების შემთხვევაში, რაც არასრულწლოვნის ან მხარდაჭერის მიმღები პირის ინტერესებს არ შეესაბამება. კითხვარი. თუ მოვაჭრის საქმიანობა უკავშირდება ისეთი საქონლით ვაჭრობას როგორცაა მაგალითად, მედიკამენტები, პიროტექნიკა ან სხვა მომატებული საფრთხის შემცველ ნივთებს, ამ შემთხვევაში მოვაჭრემ უფრო მეტი სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს, ვიდრე მაგალითად სათამაშოები, ტანსაცმელი, სამკაული და ა.შ.,

¹³⁷ Urteil Az. I ZR 102/05 BGH, 18 Oktober 2007.

¹³⁸ Klein D., E- Commere Law in Germany, München, C.H. Beck, 2015, 65, Rn.1-2.

რაც თავისი არსით არ ეწინააღმდეგება არაქმედუნარიანი პირის ინტერესებს.

ამ და სხვა არაერთი მსგავსი მიზეზის გამო, რაც ელექტრონული ხელშეკრულების მომხმარებელს, მოვაჭრესთან შედარებით, არახელსაყრელ პირობებში აყენებს, არსებობს ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესაძლებლობა. მშობლისათვის, რომელიც მხოლოდ მოგვიანებით აღმოაჩენს, რომ მისმა შვილმა, შესაბამისი ნებართვის გარეშე ელექტრონული საშუალებით გააფორმა ნასყიდობის ან სხვა ხელშეკრულება, ყველაზე მარტივ გამოსავალს სწორედ ამ უფლებით სარგებლობა წარმოადგენს.

ელექტრონული საშუალების გამოყენებით ხელშეკრულების დადების შემთხვევაში, მოვაჭრისათვის შეუცნობლად ხელშეკრულების მხარე შესაძლოა იყოს ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირი, რომელსაც მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით გააჩნია ქმედუნარიანობა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ქმედუნარიანობის საკითხთან მიმართებით განხორციელებულმა ცვლილებებმა კერძო სამართალში ნების ავტონომიის კიდევ უფრო გაძლიერება უზრუნველყო, გაფართოვდა სუბიექტის თავისუფალი მოქმედების სივრცე. კანონმდებელმა უპირატესად მიიჩნია იმის წარმოჩენა თუ რა შეუძლია ადამიანს და არა იმის თუ რა არ შეუძლია.¹³⁹

სსკ-ს მე-12 მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირი - მხარდაჭერის მიმღები, არის პირი, რომელსაც აქვს მყარი ფსიქიკური, გონებრივი/ინტელექტუალური დარღვევები, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიეთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში, თუ ამ პირმა მიაღწია 18 წლის ასაკს, ან იქორწინა 18 წლის მიღწევამდე ამასთანავე აღნიშნული დაბრკოლებები სათანადო რჩევისა და დახმარების გარეშე მნიშვნელოვნად ართულებს პირის მიერ საკუთარი ნების გამოხატვას და ინფორმირებული და გააზრებული არჩევანის გაკეთებას სასამართლოს მიერ განსაზღვრულ სფეროში.

მიუხედავად პირის ფსიქიკური, გონებრივი ან/და ინტელექტუალური დარღვევებისა, რაც მას აბრკოლებს შესაბამისი რჩევისა და დახმარების გარეშე ნების გამოვლენასა და არჩევანის გაკეთებაში, კანონმდებელი მას ქმედუნარიან პირად მიიჩნევს.¹⁴⁰

ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირს სასამართლოს მიერ ენიშნება მხარდამჭერი, რომლის მოქმედების ფარგლებსა და უფლება-მოვალეობებსაც განსაზღვრავს სასამართლო. მხარდამჭერის მიმღებს, როგორც ქმედუნარიან პირს შეუძლია დადოს გარიგება, თუმცა გარიგების დადება უნდა მოხდეს მხარდამჭერი პირის მონაწილეობით. სასამართლოს

¹³⁹ ზოიძე ბ., ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირის სამართალსუბიექტობა, თსუ სამართლის მიმოხილვა, 2016, N1 სპეციალური გამოცემა, 41, 31-41;

¹⁴⁰ ბურდული ი., გაწერელია ა., დარჯანია თ., ეგნატაშვილი დ., ზოიძე ბ., ზუბიტაშვილი ნ., კვანტალიანი ნ., კორძაია თ., მახარობლიშვილი გ., რუსიაშვილი გ., სვანაძე გ., ტაკაშვილი ს., ჩაჩავა ს., ჭანტურია ლ., ჯორბენაძე ს., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, თბილისი, 2017, 74.

მიერ განსაზღვრულ ფარგლებში მხარდამჭერი პირი ადასტურებს ხელშეკრულების დადებას. თუ მხარდამჭერის მიმღებმა პირმა დადო გარიგება, რაზედაც მას სასამართლოს მიერ არ დანიშნვია მხარდამჭერი, გარიგება შესაძლოა გახდეს საცილოდ ბათილი.¹⁴¹

მხარდამჭერის მონაწილეობის გარეშე გარიგების დადების შემდეგ, მისი ნამდვილობის საკითხი დამოკიდებულია მხარდამჭერი პირის მიერ მის მოწონებაზე. მხარდამჭერი პირი ვალდებულია შეამოწმოს მხარდამჭერის მიერ დადებული გარიგება რეალურად შეესაბამება მის ნამდვილ ნებას, არის თუ არა დაცული პირობები, რომელთა არსებობაც ივარაუდა მხარდამჭერის მიმღებმა პირმა ხელშეკრულების დადების დროს.¹⁴² მხარდამჭერის მონაწილეობის გარეშე მხარდაჭერის მიმღები პირის მიერ ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადებული გარიგება წარმოადგენს მერყევად ბათილ გარიგებას და მისი ნამდვილობა დამოკიდებულია მხარდამჭერის მიერ მის მოწონებაზე. თუ ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირი, მხარდამჭერის თანხმობის გარეშე დადებს გარიგებას, რომელიც ეწინააღმდეგება მის ინტერესებს ან ნამდვილ ნებას, მხარდამჭერ პირს გააჩნია მისი ბათილად ცნობის მოთხოვნის უფლება.

ელექტრონული საშუალების გამოყენებით ხელშეკრულება შესაძლებელია დაიდოს მესამე პირების სასარგებლოდაც, მაგალითად მომხმარებელმა ინტერნეტ-მაღაზიაში შეიძინოს გარკვეული ნივთი და მოვაჭრეს გაგზავნის ადრესატად მიუთითოს მესამე პირის მონაცემები.

უმეტეს შემთხვევებში, მესამე პირები, როგორც ხელშეკრულებით მოსარგებლენი, სამართლებრივ ურთიერთობაში მათი ნების გამოვლენის გარეშე ებმებიან. შესაძლოა ისინი არც კი ფლობდნენ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ სხვა პირმა, მათ სასარგებლოდ რაიმე სახის ხელშეკრულება დადო. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ განსაზღვრავს კონკრეტულად ვინ შეიძლება იყოს ან არ იყოს მესამე პირი, რომლის სასარგებლოდაც იდება ხელშეკრულება, შესაბამისად მესამე პირთა მიმართ არ წარმოიშობა ქმედუნარიანობის აუცილებლობის პირობა.¹⁴³

მესამე პირი არ არის ხელშეკრულების მხარე, მას დამოუკიდებლად არ გააჩნია მოთხოვნის უფლება, ის მხოლოდ სარგებელს იღებს ხელშეკრულებიდან.¹⁴⁴ იმისათვის, რომ მას წარმოემვას ეს უფლება საჭიროა მხარემ ხელშეკრულებაშივე მიუთითოს ის, როგორც შესრულების მოთხოვნის უფლების მქონე პირი.¹⁴⁵

¹⁴¹ ბურდული ი., გაწერელია ა., დარჯანია თ., ეგნატაშვილი დ., ზოიძე ბ., ზუბიტაშვილი ნ., კვანტალიანი ნ., კორძაია თ., მახარობლიშვილი გ., რუსიაშვილი გ., სვანაძე გ., ტაკაშვილის., ჩაჩავა ს., ჭანტურია ლ., ჯორბენაძე ს., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, თბილისი, 2017, 342.

¹⁴² იქვე, 343.

¹⁴³ ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, გამომც. მერიდიანი, 2014, 215.

¹⁴⁴ ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, თბილისი, გამომც. სამართალი, 2001, წიგნი მესამე, 216.

¹⁴⁵ ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, გამომც. მერიდიანი, 2014, 215.

ელექტრონული მაღაზიების ნაწილს, თვალსაჩინო ადგილას აქვს განთავსებული კითხვა, იმის თაობაზე, ხომ არ ხდება ხელშეკრულების დადება მესამე პირის სასარგებლოდ; დასტურის შემთხვევაში, მომხმარებელი ვალდებულია მიუთითოს მესამე პირის მონაცემები, რომლის მიმართაც უნდა განხორციელდეს შესრულება. ასეთ შემთხვევაში მოვაჭრე ვალდებულია შესრულება განხორციელოს მესამე პირის და არა მომხმარებლის მიმართ, თუმცა ეს არ გამორიცხავს მომხმარებლის მიერ მისთვის კანონით მინიჭებული უფლებებით სარგებლობასა და ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

3.2. ელექტრონული საშუალებებით დადებული ხელშეკრულების მხარეთა უფლება-მოვალეობანი

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შესრულება, სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრინციპს წარმოადგენს. ვალდებულების ჯეროვანი და კეთილსინდისიერი შესრულება, ნებისმიერი ხელშეკრულების მხარეთა უპირველესი ვალდებულებაა. ჯეროვანი შესრულება, გულისხმობს ვალდებულების იმგვარ შესრულებას რაც კანონით ან ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული, იმ გონიერი მოლოდინის ფარგლებში, რაც შესრულების მიმდებარე შესაძლოა ჰქონოდა კონკრეტული ვალდებულების შესრულების მიმართ.¹⁴⁶ კეთილსინდისიერება არ გულისხმობს მხოლოდ დაკისრებული ვალდებულების პასუხისმგებლობით შესრულებას, არამედ ეს ცნება მოიცავს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა უფლებებისადმი პატივისცემასა და გულისხმიერებას.¹⁴⁷

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 29 ივნისის Nას-1338-1376-2014 განჩინებით კეთილსინდისიერება გულისხმობს სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილეთა მიერ ქმედების პასუხისმგებლობით განხორციელებას, ერთმანეთის უფლებებისადმი პატივისცემას. კეთილსინდისიერების პრინციპი მოიაზრებს არა მხოლოდ ვალდებულების ჯეროვან შესრულებას, არამედ, კონტრაქტის პატივსადები ინტერესების დაცვასა და გათვალისწინებას.¹⁴⁸

სსკ-ს 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.¹⁴⁹

¹⁴⁶ *მესხიშვილი ქ.*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ-კომენტარი, gccc.ge, 25.08.2016, მუხლი 361, ველი 1,

<http://www.gccc.ge/წიგნი-მესამე/ზოგადი-ნაწილი/კარი-მეორე/თავი-პირველი/მუხლი-361/> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 25.05.2018.

¹⁴⁷ *ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ.*, სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, გამომც. მერიდიანი, 2014, 376.

¹⁴⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2015 წლის 29 ივნისის (Nას-1338-1376-2014) განჩინება, 23, <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/n81-mnishvnelovani-ganmarteba.pdf> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 20.06.2018.

¹⁴⁹ იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 361.

ბუნებრივია, ვალდებულების ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შესრულების პრინციპი ვრცელდება ელექტრონული საშუალებით დადებული ხელშეკრულების მხარეებზეც. თუ მაგალითად, ელექტრონული საშუალების გამოყენებით დაიდო ნასყიდობისა და მიწოდების ხელშეკრულება, მოვაჭრე ვალდებულია მომხმარებელს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ვადების დაცვით მიაწოდოს შეძენილი პროდუქცია; თავის მხრივ მომხმარებელიც ვალდებულია დროულად აანაზღაუროს გაწეული მომსახურების საფასური.

ელექტრონული საშუალებით დადებული ხელშეკრულების მხარეთა უფლება-მოვალეობებიდან, ერთ-ერთი უმთავრესი ვალდებულება, მოვაჭრის მიერ მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდებაა.

3.2.1. ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება

როგორც ზემოთ არაერთხელ აღინიშნა, ხელშეკრულების დადება მხარეთა შეთანხმების საფუძველზე ხდება. ისინი თავისუფალნი არიან არჩევანში და შესაბამისად მათ აქვთ სასურველი ნივთის ან მომსახურების მიღების შესაძლებლობა. მართალია, ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, როგორც ხელშეკრულების ნამდვილობის ერთ-ერთი პირობა პირდაპირ არ არის გათვალისწინებული მოქმედი კანონმდებლობით, თუმცა ამ საკითხზე ერთგვაროვანი მიდგომა არ არსებობს. აღსანიშნავია, რომ ელექტრონული ხელშეკრულების ნამდვილობისათვის არსებითად მნიშვნელოვანია ინფორმაციის მიწოდების უფლების რეალიზება.

ელექტრონული საშუალების გამოყენებით ხელშეკრულების დადებისას მოვაჭრის მიერ მომხმარებლისათვის შესაძენი პროდუქციის ან მომსახურების შესახებ ინფორმაციის მიწოდება არის სავალდებულო ხასიათის და არ შეიძლება მისი სხვა რაიმე ღონისძიებით ჩანაცვლება.¹⁵⁰ ცხადია ასევე დაუშვებელია, თუნდაც მხარეთა მიერ მოხდეს შეთანხმება მის ნაწილობრივ მიწოდებაზე ან სრულად მიუწოდებლობაზე.

„მომხმარებელთა დაცვის შესახებ“ დირექტივა და მონათესავე დირექტივები ითვალისწინებენ ინფორმაციის მიწოდების სავალდებულობას. ამ ვალდებულების დაცვა ხელშეკრულების ორივე მხარისათვის არის ეფექტური და შედეგის მომცემი. ინფორმირებული მომხმარებელი დარწმუნებულია საკუთარ გადაწყვეტილებაში და მარტივად იღებს გადაწყვეტილებას შევიდეს თუ არა სახელშეკრულებო ურთიერთობაში, საქონლის ადგილმდებარეობის მიუხედავად.¹⁵¹ ხოლო მოვაჭრეს უჩნდება მეტი გარანტია და საიმედოობის შეგრძნება, რადგანაც ის კეთილსინდისიერია პოტენციური მომხმარებლის მიმართ და არ აქვს მოლოდინი, რომ

¹⁵⁰ Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/ECC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/ECC and Directive 97/7/EC of the European Parliament on the Council, Preamble, recital (35).

¹⁵¹ Kunnecke A., New Standards in EU Consumer Rights protection? The new Directive 2011/83/EU, European Scientific Journal, 2014, vol. 1, 432.

ინფორმაციის მიუწოდებლობა გახდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მოშლის მიზეზი. ხელშეკრულების ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადებისას ინფორმაციის მიწოდების მომენტს არსებითი მნიშვნელობა აქვს.

„მომხმარებელთა უფლებების შესახებ“ დირექტივის მიხედვით მომხმარებელს მოვაჭრის მიერ შეთავაზებულ საქონელსა თუ მომსახურებაზე ძირითადი ინფორმაცია ხელშეკრულების დადებამდე უნდა მიწოდდეს. ინფორმაციის ხელშეკრულების დადებამდე მიწოდების ვალდებულება პოტენციურ მომხმარებელს აძლევს საშუალებას და უტოვებს არჩევანის შესაძლებლობას შევიდეს ან უარი თქვას სახელშეკრულებო ურთიერთობაზე. თუ საქონლის ან მომსახურების შესახებ ინფორმაცია მხარეს მას შემდეგ მიწოდდება, როცა ის დადებს ხელშეკრულებას, ეს გარემოება მომავალში ხშირი უთანხმოებისა და დავის წარმოშობის საფუძველი გახდება. სწორედ ამიტომ, მომხმარებელს აქვს უფლება ხელშეკრულების დადებამდე მიიღოს სრული ინფორმაცია შესაძენი საქონლის ან მომსახურების შესახებ და მხოლოდ მას შემდეგ მიიღოს გადაწყვეტილება.

„მომხმარებელთა დაცვის შესახებ“ დირექტივის პრეამბულა სწორედ ზემოხსენებულ წესს განამტკიცებს და ხელშემკვრელი სახელმწიფოებისათვის მოვაჭრის ვალდებულებას ადგენს, მომხმარებელს, სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლამდე ცხადად და გასაგებად მიაწოდოს ინფორმაცია. საქონლის მახასიათებლისა თუ სხვა ინფორმაციის მიწოდებისას მოვაჭრემ უნდა გაითვალისწინოს პოტენციური მომხმარებლის ფსიქიკური, ფიზიკური თუ მენტალური მდგომარეობა, ასევე მათი ასაკი და მზაობა შევიდეს სახელშეკრულებო ურთიერთობაში.¹⁵² მართალია მოვაჭრე ვალდებულია მომხმარებელს გასაგებად მიაწოდოს ინფორმაცია ხელშეკრულების ობიექტისა თუ მისი ადგილსამყოფელის შესახებ, თუმცა ის აღარაა პასუხისმგებელი იმ ფაქტზე რეალურად გააცნობიერა თუ არა მიღებული ინფორმაციის შინაარსი მომხმარებელმა. საკმარისია მოვაჭრემ შეასრულოს ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, ხოლო ფაქტზე შეძლო თუ არა მომხმარებელმა ინფორმაციის გააზრება, მტკიცების ტვირთი თავად მომხმარებელს აკისრია.¹⁵³

ცხადია მოვაჭრის მიერ ვერ მოხდება მომხმარებლის გონებრივი თუ მენტალური მდგომარეობის ინდივიდუალურად შეფასება და ყველა შემთხვევაში ინფორმაციის სხვადასხვა მეთოდით მიწოდება. სწორედ ამიტომ უნდა მოხდეს ინფორმაციის მარტივად გასაგებ ენაზე მიწოდება, რათა ის პირთა ფართო წრისთვის იყოს გასაგები.

მოვაჭრემ მომხმარებელს, პრეტენზიებისა და საჩივრების თავიდან აცილების მიზნით არ უნდა მიაწოდოს არასწორი ან არაზუსტი ინფორმაცია

¹⁵² Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/ECC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/ECC and Directive 97/7/EC of the European Parliament on the Council, Preamble, recital (34).

¹⁵³ *Schulze, Dörner, Ebert, Hoeren, Kemper, Saenger, Scheuch, Schreiber, Schulte-Nölke, Staudinger, Wiese*, Bürgerliches Gesetzbuch Handkommentar, Nomoskommentar Aufl.9, 2017, 507, Rn. 3.

მისი ადგილსამყოფელის ან საქმიანობის შესახებ. მოვაჭრემ არ უნდა გამოიყენოს ხელშეკრულების უსამართლო პირობები. რეკლამირება და მარკეტინგი უნდა იძლეოდეს მოვაჭრის იდენტიფიცირების საშუალებას. განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა იქნეს გამოჩენილი იმგვარი პროდუქციის რეკლამირებისას, რომლის პოტენციურ მომხმარებელს ბავშვები, ღრმად მოხუცები ან ისეთი დაავადების მქონე პირები წარმოადგენენ, რომლებსაც არ აქვთ საშუალება სრულად გააანალიზონ მათთვის მიწოდებული ინფორმაცია.¹⁵⁴ ასეთ შემთხვევაში გამოყენებული ლექსიკა შესაძლოა იყოს იმაზე მარტივი, ვიდრე სხვაგვარი პროდუქციის წარმოებისას იქნებოდა.

„მომხმარებელთა დაცვის შესახებ“ დირექტივის მიზნებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია მომხმარებელს ელექტრონული საშუალებით ხელშეკრულების დადებამდე, ჰქონდეს შესაძლებლობა სრულად გაეცნოს და წარმოდგენა იქონიოს ხელშეკრულების ძირითად საკითხებზე. ინფორმაციაზე წვდომა მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ მხარემ გააცნობიეროს რა ვალდებულებები წარმოეშობა მას, ხელშეკრულების დადების შემდეგ.¹⁵⁵ ინტერნეტ-გვერდები, რომლებიც ეწევიან სამეწარმეო საქმიანობას ვალდებულნი არიან ნათლად და მკაფიოდ მიუთითონ ხომ არ არსებობს პროდუქტის ან მომსახურების მომხმარებლისათვის მიწოდების შემზღვევა ან დამაბრკოლებელი გარემოებები, ასევე გადახდის მეთოდები.¹⁵⁶ ასეთი გარემოებების არსებობის შემთხვევაში კი უნდა მოხდეს მისი თვალსაჩინო ადგილას მითითება. „მომხმარებელთა უფლებების შესახებ“ დირექტივის მიხედვით მომხმარებლისათვის ინფორმაცია შესაძლოა მიწოდებული იქნეს მყარი მატარებლის მეშვეობით - იმგვარად, რომ ინფორმაციაზე წვდომა შესაძლებელი იყოს დროის გარკვეულ მონაკვეთში და პერიოდში მოვაჭრეს არ ჰქონდეს მისი შეცვლის, მოდიფიცირების შესაძლებლობა.

ერთიანი ევროპული სამოქალაქო კოდექსის შემუშავების მიზნით შექმნილ ევროპულ მკვლევართა ჯგუფის მიერ მომზადებულ ნაშრომში – ევროპული კერძო სამართლის პრინციპები, დეფინიციები და მოდელური წესები, საუბარია ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებაზე, როგორც ხელშეკრულების დადების მნიშვნელოვან ფაქტორზე. მეცნიერთა ჯგუფის მოსაზრებით, მიწოდების ხელშეკრულების დადებამდე, მხარე ვალდებულია, მეორე მხარეს მიაწოდოს ინფორმაცია, რომელიც ეხება საქონლის თვისებებსა და მის ხარისხს. ზოგადად, ხელშეკრულების მონაწილე მხარეებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა ფლობდნენ ფაქტობრივ და სამართლებრივ ინფორმაციას შესაძენი საქონლის ან მომსახურების შესახებ.

¹⁵⁴ Guidelines for Consumer Protection in the Context of Electronic Commerce, OECD Publication Service, Paris, 2002, 14-15.

¹⁵⁵ Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/ECC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/ECC and Directive 97/7/EC of the European Parliament on the Council, Preamble, recital (39).

¹⁵⁶ იქვე, (38).

ბუნებრივია ეს პრინციპი არ გულისხმობს დეტალური და ამომწურავი ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას.¹⁵⁷

„მომხმარებელთა დაცვის შესახებ“ დირექტივის მე-6 მუხლის თანახმად, სანამ მომხმარებელი ელექტრონული საშუალებით ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს იკისრებს, მოვაჭრემ მას მკაფიოდ და გასაგებად უნდა მიაწოდოს ამომწურავი ინფორმაცია, არაერთი მიმართულებით.

უპირველეს ყოვლისა ინფორმაცია უნდა ეხებოდეს საქონლის ან მომსახურების ძირითად მახასიათებლებს; მართალია ამ ინფორმაციის მიწოდება, მომხმარებელს ვერ შეუქმნის ამომწურავ წარმოდგენას ხელშეკრულების ობიექტის შესახებ, თუმცა მისი მიუწოდებლობა სრულად გამორიცხავს მომხმარებლის უფლების დაცვის მინიმალური სტანდარტის დაკმაყოფილებას.

მოვაჭრის ვინაობა, საწარმოს სახელწოდება ასევე უნდა იყოს მხარისათვის ცნობილი. მომხმარებელს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა საჭიროების შემთხვევაში გადაამოწმოს ხელშეკრულების მეორე მხარის ვინაობა. ის ასევე უნდა ფლობდეს ინფორმაციას იმ გეოგრაფიული ადგილმდებარეობის შესახებ, სადაც მოვაჭრე ახორციელებს საქმიანობას, ტელეფონისა და ფაქსის ნომერს, ელექტრონულ მეილს, რომლებზედაც მომხმარებელს ექნება შესაძლებლობა დროულად დაუკავშირდეს მოვაჭრეს; გეოგრაფიული ადგილსამყოფელი/მისამართი, თუ მოვაჭრის, ან მისი სახელით მოქმედი პირის ადგილსამყოფელი განსხვავდება უშუალოდ მოვაჭრის მიერ მითითებულისგან, სადაც მომხმარებელს შეუძლია გაგზავნოს ხელშეკრულებასთან დაკავშირებული საჩივრები;

ბუნებრივია მომხმარებელი უნდა იყოს ინფორმირებული საქონლის ან მომსახურების სრული ფასის შესახებ, მათ შორის ყველა სახის გადასახადის გათვალისწინებით; თუ ხელშეკრულება იდება იმგვარ საგანზე ან მომსახურებაზე, რომელზეც წინასწარ შეუძლებელია ზუსტი ფასის განსაზღვრა, დაახლოებითი ფასისა და მისი გაზრდის შესაძლებლობის შესახებ; ინფორმაცია დამატებითი საფასურის შესახებ, მათ შორის მიწოდებისა და საფოსტო მომსახურების ხარჯები; ამ პუნქტში იგულისხმება იმგვარი საქონელი, რომლის ფასი ბაზარზე მერყეობს და მისი წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია. გადასახდელი თანხის სრული ოდენობის მითითება მოვაჭრის ერთ-ერთი ძირითადი ვალდებულებაა. თუ არსებობს ხელშეკრულების დასადებად ელექტრონული საშუალებების გამოყენების საფასური, ამის თაობაზე მხარე წინასწარ უნდა იყოს ინფორმირებული.

მასვე უნდა ჰქონდეს ინფორმაცია საფასურის გადახდის, მიწოდებისა და შესრულების მეთოდების და მიწოდების ვადების შესახებ, შესაძლებლობის შემთხვევაში ინფორმაცია, მოვაჭრის მიმართ პრეტენზიების წარდგენის წესის შესახებ;

¹⁵⁷ Bar Von Ch., Clive E., Schulte-Nölke H., Study Group on a European Civil Code, Principles, Definitions and Model Rules of European Private Law: Draft Common Frame of Reference (DCFR), Munich, GmbH European Law Publishers, 2009, 245.

ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადებული ხელშეკრულების ერთ-ერთი უმთავრესი უფლების - ხელშეკრულებიდან გასვლის თაობაზე უნდა მოხდეს პირი ინფორმირება, როცა ეს შესაძლებელია, ამ უფლებით სარგებლობის ვადა და პირობები, ასევე ხელშეკრულების მოშლის ფორმა. ამგვარი ფორმა მკაცრად არ არის დადგენილი ევროპელი კანონმდებლის მიერ შესაბამისად, მხარეს შეუძლია საკუთარი სურვილის მიხედვით შეადგინოს ის, ამგვარი ფორმისათვის წარდგენილი მთავარი მოთხოვნა გახლავთ მხარის მიერ ხელშეკრულების მოშლის შესახებ ნების გამოვლენა. ისეთი გარემოება რაც წარმოშობს დამატებით ფინანსურ ხარჯს, მხარეს უნდა ეცნობოს წინასწარ. ამგვარი შემთხვევა შესაძლოა იყოს როდესაც ხელშეკრულებაზე უარის თქმა იწვევს დამატებით ხარჯს, როგორცაა ნივთის უკან დაბრუნების საფასური იმ შემთხვევაში, თუ საგანი, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, არ შეიძლება გაიგზავნოს ფოსტის მეშვეობით; ასევე ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფასურის შესახებ, თუ უარის თქმა მოთხოვნის შემდეგ განხორციელდა¹⁵⁸ („მომხმარებელთა უფლებების შესახებ“ დირექტივის მე-8 (8) მუხლით¹⁵⁹ გათვალისწინებულ პირობებში).

ხელშეკრულებაზე უარის თქმის გამომრიცხავი გარემოებების შესახებ ასევე უნდა ეცნობოს მომხმარებელს; ეს უფლება არ არის აბსოლუტური ხასიათის, არსებობს კონკრეტული გარემოებები, როდესაც ის ამ უფლებით ვერ ისარგებლებს. ნივთზე გარანტიის არსებობის შემთხვევაშიც უნდა ეცნობოს მომხმარებელს, ასევე შეძენის შემდეგ მომხმარებლისათვის სერვისის გაწევის ან ფინანსური გარანტიის პირობების შესახებ;

„მომხმარებელთა დაცვის შესახებ“ დირექტივის მიხედვით, მხარე ასევე უნდა ფლობდეს ინფორმაციას ქცევის კოდექსის შესახებ,¹⁶⁰ რომელიც მოცემულია 2005/29/EC დირექტივის მე-2 (f)¹⁶¹ მუხლში.

¹⁵⁸ Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/ECC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/ECC and Directive 97/7/EC of the European Parliament on the Council, art. 6.

¹⁵⁹ ევროპარლამენტისა და საბჭოს „მომხმარებლის უფლებების შესახებ“ დირექტივა, მუხლი 8 (8): დისტანციური ხელშეკრულებებისას მოვაჭრეს შეუძლია 6(1) მუხლში მითითებული ინფორმაცია მიაწოდოს ან მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომი გახადოს ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, მარტივი და გასაგები ენით. მაშინ როცა მომხმარებელს სურს სერვისის მიღება ან წყლის, გაზის ან ელექტროენერჯის მარაგის მიღება, როდესაც ეს საქონელი შეზღუდული რაოდენობის ან ხარისხის მიხედვით არ არის გამოტანილი გასაყიდად ხელშეკრულების მოშლის ვადა აითვლება 9(2) მუხლის მიხედვით, მოვაჭრეს შეუძლია მომხმარებლისგან მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლის სურვილის დაფიქსირება.

¹⁶⁰ Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/ECC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/ECC and Directive 97/7/EC of the European Parliament on the Council, art. 6.

¹⁶¹ Directive 2005/29/EC of the European Parliament and of the Council of 11 May 2005 concerning unfair business-to-consumer commercial practices in the internal market and amending Council Directive 84/450/EEC, Directives 97/7/EC, 98/27/EC and 002/65/EC of the European Parliament and of the Council and Regulation (EC) No 2006/2004 of the European Parliament and of the Council (Unfair commercial Practices Directive) მუხლი 2 (f) ქცევის კოდექსი ნიშნავს შეთანხმებას ან წესების ერთობლიობას, რომელიც არ გამომდინარეობს მონაწილე სახელმწიფოს, იმ კანონიდან, რეგულაციიდან ან ადმინისტრაციული დანაწესიდან, რომლებიც განსაზღვრავს მოვაჭრის ქმედებას, რომელიც კოდექსით არის შეზღუდული ბიზნეს სექტორში ან კომერციულ საქმიანობაში.

თუ ხელშეკრულება იდება განსაზღვრული ვადით, მოვაჭრემ უნდა აცნობოს მომხმარებელს ხელშეკრულების მოქმედების ვადის შესახებ, საჭიროების შემთხვევაში ასევე უნდა მოხდეს განუსაზღვრელი ან ავტომატურად განგრძობადი ვადის მითითება; ხელშეკრულების მხარეებისათვის ცნობილი უნდა იქნეს დროის რა მონაკვეთით არიან ვალდებული ხელშეკრულების მეორე მხარის მიმართ. ამ დათქმიდან გამომდინარეობს მოვაჭრის მიერ მომხმარებლისათვის საკუთარი ვალდებულებების არსებობის ხანგრძლივობის შესახებ ცნობის მიწოდება.

გარკვეულ შემთხვევაში, მხარეს ასევე შესაძლოა მიეწოდოს ინფორმაცია დეპოზიტის ან სხვა ფინანსური გარანტიის შესახებ, რომელიც მომხმარებლის მიერ, მოვაჭრის მოთხოვნის შემთხვევაში უნდა იქნეს გადახდილი. აღნიშნული ინფორმაცია მხარეს შესაძლოა მოეთხოვოს სესხის ხელშეკრულების დადების შემთხვევაში.

თუ შეძენილი საქონელის ფუნქციონირება და გამოყენება საჭიროებს სპეციალურ ინსტრუქციას, მოვაჭრე ვალდებულია მომხმარებელს მიაწოდოს აღნიშნული ინფორმაცია. ასევე საჭიროების შემთხვევაში, მხარემ უნდა იცოდეს ციფრული შინაარსის მატარებელი საგნის როგორც კომპიუტერის აპარატურა, ისე პროგრამულ სისტემებთან, სათანადო ფუნქციონალური თავსებადობის შესახებ ინფორმაცია. ასეთის არსებობის შემთხვევაში მომხმარებელი უნდა ფლობდეს ინფორმაციას სასამართლოსათვის მიმართვის გარეშე მიღებულის უკან დაბრუნების მოთხოვნისა და მიმართვის უფლების თაობაზე;¹⁶²

ზემოთ ჩამოთვლილი თითოეული გარემოება ემსახურება მომხმარებლის დაცვას და მათ მიზანია ეფექტური გახადოს ელექტრონული საშუალების გამოყენებით ხელშეკრულების იმ მხარეთა მონაწილეობა, რომლებსაც ამგვარ ურთიერთობაში შესვლის საკმარისი ცოდნა და გამოცდილება არ აქვთ.

ელექტრონული საშუალებით დადებული ხელშეკრულების მომხმარებლისთვის მიწოდებული ინფორმაცია უნდა იყოს ცხადი, ნათელი და გარკვევით ჩამოყალიბებული, არ უნდა იწვევდეს გაუგებრობას და სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას; გამოყენებული ლექსიკა უნდა იყოს მარტივი და გასაგები; ტექნიკური ხასიათის ტერმინების გამოყენება მაქსიმალურად უნდა იქნეს თავიდან აცილებული, მაგრამ თუ ამგვარი ტერმინოლოგიის გამოყენება სავალდებულოა, ის უნდა იქნეს ადეკვატურად განმარტებული.¹⁶³

¹⁶² Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/ECC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/ECC and Directive 97/7/EC of the European Parliament on the Council, art. 6.

¹⁶³ *Bar Von Ch., Clive E., Schulte-Nölke H.*, Study Group on a European Civil Code, Principles, Definitions and Model Rules of European Private Law: Draft Common Frame of Reference (DCFR), Munich, GmbH European Law Publishers, 2009, 245.

თუ მოვაჭრის შესახებ ინფორმაციის მიწოდება არის სავალდებულო, მაშინ მხარეს უნდა ეცნობოს საწარმოს დასახელება, სავაჭრო ნიშანი, საწარმოს რეგისტრაციის ნომერი და დამარეგისტრირებელი ორგანოს დასახელება. ასევე მითითებული უნდა იყოს საწარმოს მისამართი, საკონტაქტო ინფორმაცია და კომპანიის წარმომადგენლის ვინაობა;¹⁶⁴ აღნიშნული ინფორმაციის მიწოდებისათვის სავალდებულო ხასიათის მინიჭება იქნებოდა გაცილებით ეფექტური, ვიდრე მისი შეზღუდვა გარკვეული პირობებით. მოვაჭრე, რომელსაც არ სურს მისი საქმიანობა, თუნდაც ხელშეკრულების დადების შემდეგ, შეამოწმოს მომხმარებელმა ან მის მიერ გაგზავნილმა სხვა პირმა, დამალავს ადგილსამყოფელის შესახებ ცნობას, რაც საბოლოოდ არ მოემსახურება ინფორმაციის გამჭვირვალობისა და ღიაობის იდეას.

მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ გაეროს სახელმძღვანელოს მიხედვით, მოვაჭრის მიერ საქონლის ან მომსახურების შესახებ მომხმარებლისთვის მიწოდებული ინფორმაცია უნდა იყოს ზუსტი და არა ორაზროვანი, ის უნდა მოიცავდეს სრულ ფასს, იმისათვის, რომ მომხმარებელს წინასწარ შეექმნას წარმოდგენა საკუთარი ვალდებულებების შესახებ და გააკეთოს მისთვის სასურველი არჩევანი. მოვაჭრის მიერ მიწოდებული ინფორმაცია უნდა იყოს თვალსაჩინო და იოლად შესამჩნევი.¹⁶⁵ მომხმარებელს ინფორმაციის მიღების მიზნით არ უნდა უწევდეს სხვადასხვა ქმედების განხორციელება და დამატებითი რესურსის გახარჯვა. თუ ხელშეკრულების დადება ელექტრონული ფორმით ხდება, ინფორმაციაც ელექტრონულად უნდა იქნეს მიწოდებული. მოვაჭრემ, პოტენციურ მომხმარებლისათვის მაქსიმალური კომფორტი უნდა უზრუნველყოს და მას პირდაპირ თუ არაპირდაპირ არ შეუქმნას დაბრკოლებები.

საქმეში „ი.დ. სს სადაზღვეო კომპანია „ჯ.ჰ.-ს“ წინააღმდეგ მოპასუხე კომპანია აპელირებდა იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელე პირი დაზღვევის ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს, სესხის ხელშეკრულების გაფორმებისას - თ.ბანკში გაეცნო და მიუხედავად იმისა, რომ მას ხელი არ მოუწერია პირობების გაცნობის შესახებ დოკუმენტზე, სადაზღვეო კომპანიამ მიიჩნია, რომ მის მიერ დაცულ იქნა ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, იმ საფუძველით, რომ მოსარჩელე ი.დ.-ს სურვილის შემთხვევაში შესაძლებლობა ჰქონდა ხელშეკრულების საერთო პირობებს ონლაინ რეჟიმში გაცნობოდა. თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებმა არ გაიზიარეს მოპასუხის ეს არგუმენტი და აღნიშნეს, რომ საქმეში არ დასტურდებოდა დამზღვევისათვის ხელშეკრულების პირობების ხელმისაწვდომობა და გაცნობა. სასამართლოს მიერ ხაზი გაესვა იმ ფაქტსაც, რომ ხელშეკრულების სტანდარტული პირობების აღქმადობა და ხელშეკრულების მხარისათვის გაცნობა განსხვავებულად განხორციელდა.¹⁶⁶

¹⁶⁴ Bar Von Ch., Clive E., Schulte-Nölke H., Study Group on a European Civil Code, Principles, Definitions and Model Rules of European Private Law: Draft Common Frame of Reference (DCFR), Munich, GmbH European Law Publishers, 2009, 263.

¹⁶⁵ UN Guideline on Consumer Protection, New York and Geneva, 2016, 9.

¹⁶⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 3 ივნისის (ნას-368-349-2015) განჩინება, 6.

ამ განმარტებიდან და ზოგადად ევროპული კანონმდებლობიდან გამომდინარე, უმჯობესი იქნება ინფორმაციის მიწოდებისას მოვაჭრემ არ გამოიყენოს სხვადასხვაგვარი მეთოდი და თუ პროდუქციის შესახებ ინფორმაციას მხარეს თვალსაჩინოდ, მარტივად და გასაგებად აწვდის, მისი საფასურის ან დამატებითი ხარჯების შესახებ ცნობა არ უნდა იქნეს მითითებული იმგვარად, რომ მომხმარებლისთვის გაჭირდეს, ან შეუძლებელი გახდეს მისი მოძიება.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის 246-ე მუხლი მთლიანად ეთმობა, დისტანციურად ხელშეკრულების დადების შემთხვევაში, ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას. კანონის მიხედვით, მეწარმემ მომხმარებელს დროულად, კერძოდ ხელშეკრულების დადებაზე ნების გამოვლენამდე, მათ მიერ დისტანციური კომუნიკაციისას გამოყენებული ფორმით, ნათლად და გასაგებად უნდა მიაწოდოს ინფორმაცია, მათ შორის მეწარმის დასახელება, საწარმოს წარმომადგენლის დასახელება იმ წევრ სახელმწიფოში, სადაც მომხმარებელს აქვს საცხოვრებელი ადგილი, ხელშეკრულების მინიმალური ხანგრძლივობა, საქონლის ან მომსახურების მთლიანი (ჯამური) ფასი, მასში შემავალი სხვადასხვა ღირებულებისა და მეწარმის მიერ გადახდილი სხვა გადასახადების ჩათვლით, ნების უკან გახმობის ან ნივთის უკან დაბრუნების უფლების არსებობის და ასევე ამ უფლების განხორციელების პირობების, განსაკუთრებით კი იმ პირის სახელის და მისამართის მითითებით, რომლის მიმართაც უნდა განხორციელდეს იგი.

ამავე კანონის თანახმად, ფინანსური მომსახურების შესახებ ხელშეკრულების დადებისას მეწარმემ მომხმარებელს დროულად უნდა მიაწოდოს შემდეგი სახის ინფორმაცია:

- საწარმოს ძირითადი საქმიანობის და მისი საქმიანობის ლიცენზირებაზე შესაბამისად უფლებამოსილი ზედამხედველობის ორგანოს შესახებ;

- საჭიროებისამებრ მითითება, რომ ფინანსური მომსახურება მიმართულია ისეთ ფინანსურ ინსტრუმენტებზე, რომლებიც თავიანთი სპეციფიკური ნიშნებიდან ან განსახორციელებელი პროცედურებიდან გამომდინარე სპეციფიკური რისკების მატარებელია ან რომელთა ფასზეც პირდაპირ გავლენას ახდენს ფინანსური ბაზრის რყევები.

- ხელშეკრულების მოშლის პირობები შესაძლო პირგასამტეხლობის ჩათვლით;

- ჩანაწერი საჭიროების შემთხვევაში მოქმედ კანონმდებლობაზე ან განსჯად სასამართლოზე.¹⁶⁷

„დისტანციური ხელშეკრულებისას მომხმარებელთა ფინანსური მომსახურების შესახებ“ ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივა, მიმწოდებელს გაცილებით მეტი ინფორმაციის მიწოდებას ავალდებულებს. გსკ შესავალი კანონის ჩანაწერის მსგავსად, დირექტივა მიმწოდებელს ავალდებულებს დეტალური ინფორმაცია მიაწოდოს მომხმარებელს საწარმოს საქმიანობის, ადგილმდებარეობის, მათ შორის წევრ სახელმწიფოში

¹⁶⁷ Einführungsgesetz zum Bürgerlichen Gesetzbuche, art. 246.

წარმომადგენელთა ადგილსამყოფელის შესახებ, საწარმოს რეგისტრაციის ნომერი, ფინანსური მომსახურების აღწერას, მომხმარებლის მიერ ჯამურად გადასახდელი თანხის (მათ შორის ყველანაირი დამატებითი თუ გვერდითი გადასახადების შესახებ), მითითებას იმის შესახებ, რომ შესაძლოა მომხმარებელს მოუწიოს ისეთი დამატებითი ხარჯის გაწევა, რაც არ მომდინარეობს მიმწოდებლისაგან, შეთანხმებას გადახდის ფორმისა და პირობების შესახებ, ასევე დროის მონაკვეთის მითითებას რომლის ფარგლებშიც ამ ინფორმაციას გააჩნია მოქმედების ძალა. გარდა ამისა, მხარეს უნდა ჰქონდეს წვდომა ხელშეკრულების მომხმარებლის უფლებისა და პირობებისა შესახებ.¹⁶⁸

როგორც ზემოხსენებული ნორმები ცხადყოფს, ფინანსური მომსახურების შესახებ ელექტრონული საშუალებით ხელშეკრულების დადებისას, მოვაჭრეს გაცილებით მეტი ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება აკისრია, რაც იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ საკითხისადმი მკაცრი მიდგომა არსებობს, როგორც საერთაშორისო ისე ევროპის ქვეყნების ეროვნული კანონმდებლობებით.

ამ მხრივ, საინტერესოა საქართველოში ბოლო წლებში დამკვიდრებული ე.წ. „ონლაინ-სესხების“ გაცემის პრაქტიკის მიმოხილვა. გამომდინარე იქედან, რომ ზემოხსენებული სესხის ხელშეკრულების დადება დისტანციურად ხდება, ის ელექტრონული საშუალებით დადებულ ტიპიურ ხელშეკრულებას წარმოადგენს. როგორც არაერთხელ აღინიშნა, საქართველოში არ არსებობს არანაირი საკანონმდებლო ნორმა, რომელიც ამგვარი ხელშეკრულების დადებისა თუ შემდგომში მხარეთა უფლება-მოვალეობებს მოაწესრიგებდა. თუმცა ეს გარემოება ხელშეკრულების დადებამდე არც მოვაჭრეთათვის და არც მომხმარებელთათვის არ წარმოადგენს დაბრკოლებას.

საქართველოში დღეისათვის არსებული არც ბანკები და არც მიკრო-საფინანსო ორგანიზაციები, რომლებიც ე.წ. „ონლაინ-სესხს“ გასცემენ, მომხმარებელთა სიმწირით არ გამოირჩევიან.

2016 წლის მონაცემებით, ქვეყანაში 41 მიკრო-საფინანსო ორგანიზაცია გასცემდა სესხს ინტერნეტის მეშვეობით. მხოლოდ 4 წლის განმავლობაში კომპანიების მიერ კრედიტის სახით გაცემული თანხის საერთო ოდენობამ 4 მილიონ ლარს მიაღწია.¹⁶⁹ 2017 წელს, მათთვის გარკვეული რეგულაციების დაწესების შემდეგ, ბევრი მათგანი ბაზრიდან გავიდა, თუმცა თემა კვლავ აქტუალური და პრობლემურია. 2018 წლის მეოთხე კვარტალში მიკრო-საფინანსო ორგანიზაციების მიერ 215 788 ონლაინ-სესხი გასცეს, რამაც თანხობრივად 105,2 მილიონი ლარი შეადგინა.¹⁷⁰

¹⁶⁸ Directive 2002/65/EC of the European Parliament and of the Council of 23 September 2002 concerning the distance marketing of consumer financial services and amending Council Directive 90/619/EEC and Directives 97/7/EC and 98/27/EC.

¹⁶⁹ <http://moneymen.ge/news/საქართველოში-გაცემულია-4-მილიონი-ონლაინ-კრედიტი>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 25.06.2018.

¹⁷⁰ <https://commerciant.ge/ge/post/mikrosafinanso-organizaciebis-mier-gacemuli-kreditis-272-lombardul-sesxebze-modis> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 08.06.2019.

იმ ფინანსური მომსახურების შესახებ, რასაც აღნიშნული კომპანიები სთავაზობენ პირებს, ინტერნეტ-გვერდები არათუ ამომწურავ, ხშირ შემთხვევაში საბაზისო ცნობასაც კი არ იძლევიან სამომავლო ვალდებულებების შესახებ. „ფინანსური მომსახურების შესახებ“ დირექტივის რეგულაციებისგან განსხვავებით, მომხმარებელს, არათუ დამატებითი, ხელშეკრულების ძირითადი პირობების შესახებ, ინფორმაციის მიღების მიზნითაც კი, ესაჭიროება მაქსიმალური გულისყურის გამოჩენა, ტექნიკური და ფინანსური ტერმინოლოგიის ცოდნა, სხვადასხვა ბმულზე გადასვლა და ამ გზით მისთვის სავალდებულო ინფორმაციის მიღება. კვლევის პროცესში შესწავლილი „ონლაინ-სესხის“ გამცემი არც ერთი ინტერნეტ-გვერდი არ აწვდის მომხმარებელს სამომავლო ვალდებულებების შესახებ ნათელ და მარტივ ინფორმაციას, რომ აღარაფერი ვთქვათ ჯამურად დასაფარი თანხის ოდენობაზე, პირგასმატებლოსა თუ დარიცხული პროცენტის შესახებ; მართალია ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სესხის აღების შემთხვევაში პირველი თვე თითქოსდა უპროცენტოა, ყველა ვებ-გვერდის თავფურცელზე თვალსაჩინოდაა მითითებული, თუმცა თუ რა ფინანსური ვალდებულებები წარმოიშობა მომდევნო თვეებში, ამ საკითხზე ამომწურავი ინფორმაციის მიღება ან შეუძლებელია ან მომხმარებლებისგან მოითხოვს დიდ ყურადღებასა და მსგავს საკითხებში გარკვეული გამოცდილების ქონას. ეს მაშინ, როდესაც „ონლაინ-სესხების“ მომხმარებელთა უმეტესობას წარმოადგენენ საპენსიო ასაკს მიღწეული პირები, სტუდენტები ან პირები, რომლებიც არ ფლობენ ზემოხსენებული პროცედურების მარტივად გავლის უნარებს.

აღსანიშნავია, რომ მიკრო-საფინანსო ორგანიზაციებისაგან განსხვავებით, ბანკებისათვის არსებობს საკანონმდებლო რეგულაცია, რაც მათ ავალდებულებს ინფორმაციის მიწოდებას იმგვარად, რომ მომხმარებელი არ აღმოჩნდეს არასახარბიელო მდგომარეობაში.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 13 მაისის #35/04 ბრძანების 1-ლი მუხლი ავალდებულებს კომერციულ ბანკებს კრედიტის გაცემისა და სადეპოზიტო მომსახურების გაწევის დროს, სრული, აუცილებელი, გასაგები, უტყუარი და თავისდროული ინფორმაციის მიწოდებას.¹⁷¹

მომხმარებლისთვის მხოლოდ სათანადო ფორმით, ინფორმაციის მიუწოდებლობა არ წარმოადგენს „ონლაინ-სესხების“ გამცემთა მხრიდან საერთაშორისო ნორმებისა და სტანდარტების სრული უგულებელყოფისა და დარღვევის ერთადერთ ფაქტს. მიუხედავად ამისა, უმეტესად სასამართლოსადმი მიმართვის ფაქტები ფიქსირდება არა მომხმარებლის არამედ სწორედ იმ საფინანსო კომპანიების მიერ, რომლებიც საკანონმდებლო

¹⁷¹ იხ. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 13 მაისის #35/04 ბრძანებით დამტკიცებული კომერციული ბანკების მიერ საბანკო მომსახურების გაწევისას მომხმარებლისათვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდების წესის 1-ლი მუხლი.

რეგულაციების არ არსებობის გამო თავად არღვევენ მომხმარებელთა უფლებებს.

საგულისხმოა, რომ საქართველოში მომხმარებელი საკმაოდ პასიურია და სასამართლოსადმი მის მიერ მიმართვის მაჩვენებელი ძალზე დაბალია, მცირე რაოდენობის საჩივარი შეიტანება იმ არასამთავრობო ორგანიზაციებშიც, რომლებიც სწორედ მომხმარებელთა უფლებების დაცვაზე მუშაობენ.¹⁷² ქართველი მომხმარებელი ყოველთვის ამჯობინებს, სასამართლოს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მიმართოს, რადგან სასამართლოს გადატვირთულობის, დამატებითი ხარჯებისა და რესურსის გაწევის გამო, პირს ურჩევნია დავა მოაგვაროს სხვაგვარად, ან საერთოდაც უარი თქვას დარღვეული უფლებისათვის სამართლებრივ ბრძოლაზე. მართალია თბილისის საქალაქო სასამართლო არ აწარმოებს სტატისტიკას „ონლაინ-სესეხებიდან“ წარმოშობილი დავების მიმართვიანობის თაობაზე, თუმცა პრაქტიკა ცხადჰყოფს, რომ ამგვარი დავები საკმაოდ ბევრია.¹⁷³

მომხმარებელი სასამართლოსათვის მიმართვისაგან თავს იკავებს იმ პირობებში, როდესაც მისთვის ზიანის მიყენების ძირითადი მიზეზი უმეტესად სწორედ საქონლის ან მომსახურების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობაა.¹⁷⁴ ამ პრობლემის მეტ-ნაკლებად აღმოსაფხვრელად საჭიროა სახელმწიფომ ხელი შეუწყოს მომხმარებელთათვის ცნობიერების ამაღლებას, რაც შესაძლოა მოიცავდეს მათთვის იმ უფლებების შესახებ განმარტებას, რაც უკავშირდება ხელშეკრულების მხარის თავისუფლად არჩევის უფლებას, საგანს, ობიექტს, პირობებს, ასევე მომხმარებლის უფლებას ფლობდეს ინფორმაციას იმ სარგებლის ან ღირებულების შესახებ რაც შესაძლოა მიიღოს ხელშეკრულებით. მსგავს საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობა უნდა მიიღოს როგორც სახელმწიფო, ისე არასახელმწიფო აქტორებმა, სამოქალაქო საზოგადოებამ და თავად მომხმარებელმა.¹⁷⁵ მომხმარებლისათვის, ხელშეკრულების ძირითადი პირობების გასაცნობად, დამატებითი დაბრკოლებების შექმნის ნაცვლად, მათზე ორიენტირებული მომსახურებისა და პრაქტიკის დამკვიდრება უნდა წარმოადგენდეს დემოკრატიული სახელმწიფოს მიზანს.

¹⁷² საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო, რეგულირების გავლენის შეფასება საქართველოს კანონის პროექტზე „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“, 2016, 9, ხელმისაწვდომია: <http://www.economy.ge/?page=reforms&s=21> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 21.06.2018.

¹⁷³ ნაშრომზე მუშაობის პროცესში, თბილისის საქალაქო სასამართლოდან, 2019 წლის იანვარში გამოთხოვილ იქნა სტატისტიკური ინფორმაცია. მიღებული პასუხიდან ირკვევა, რომ სასამართლო ამგვარ სტატისტიკას არ აწარმოებს.

¹⁷⁴ საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო, რეგულირების გავლენის შეფასება საქართველოს კანონის პროექტზე „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“, 2016, 9, ხელმისაწვდომია: <http://www.economy.ge/?page=reforms&s=21> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 21.06.2018.

¹⁷⁵ United Nations Guidelines for Consumer Protection, UN, New York, 2003, col. 35.

„მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ კანონპროექტის მიხედვით, მოვაჭრე ვალდებულია გასცეს საქონლის ან მომსახურების დასახელების, მწარმოებლის და არსებითი მახასიათებლების შესახებ უტყუარი და სრული ინფორმაცია, რომელიც ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.¹⁷⁶

ელექტრონული საშუალების გამოყენებით, დადებული ხელშეკრულებისას, მხარეს ასევე უნდა მიეწოდოს ინფორმაცია იმ ტექნიკური ხასიათის საკითხების შესახებაც, რაც ხელშეკრულების დადებას უსწრებს წინ. ხელშეკრულების ფორმის სპეციფიკიდან გამომდინარე, მომხმარებელს ინფორმაცია უნდა მიეწოდოს ხელშეკრულებაში დაშვებული შეცდომების გასწორების მეთოდების შესახებ. ეს ინფორმაცია მხარეს უნდა მიეწოდოს აქცეპტის გაკეთებამდე.

მხარეს ასევე უნდა მიეწოდოს ინფორმაცია იმ ენის შესახებ, რომელზედაც იდება ხელშეკრულება, ასევე განმარტებული უნდა იქნეს ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები.¹⁷⁷

საკონტაქტო ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება გამომდინარეობს მომხმარებლისათვის საჭიროების შემთხვევაში დროულად და მარტივად მოვაჭრესთან/საწარმოსთან დაკავშირების შესაძლებლობის მინიჭებიდან. საკონტაქტო ინფორმაცია შესაძლოა იყოს, საწარმოს სახელწოდება, მისი ადგილმდებარეობა, ინტერნეტ-გვერდი ან ელექტრონული ფოსტა, ტელეფონის ნომერი ან სახელმწიფოს მიერ მინიჭებული სარეგისტრაციო ნომერი;¹⁷⁸

„მომხმარებელთა დაცვის შესახებ“ დირექტივის შესაბამისად, მეწარმის მიერ მიწოდებული ინფორმაცია უნდა შეესაბამებოდეს სულ მცირე მინიმალურ სტანდარტს და თუ ტექნიკური მიზეზების გამო, ინფორმაციის ერთ გვერდზე თავმოყრა შეუძლებელია, აუცილებლად უნდა იქნეს მითითებული სხვა ბმული, რომელზეც იქნება ამომწურავი ინფორმაცია და მომხმარებელს აღარ მოუწევს დამატებით სხვა გვერდებზე გადასვლა და მიმოფანტული ინფორმაციის გაცნობა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ფასთან ერთად, მომხმარებელს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია იმ საქონლის ჩამონათვალის შესახებ, რომლის უკან დაბრუნებაც დაუშვებელია.¹⁷⁹

¹⁷⁶ იხ. კანონპროექტი „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“, მუხლი 7, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/113040> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 13.06.2019.

¹⁷⁷ *Bar Von Ch., Clive E., Schulte-Nölke H.*, Study Group on a European Civil Code, Principles, Definitions and Model Rules of European Private Law: Draft Common Frame of Reference (DCFR), Munich, GmbH European Law Publishers, 2009, 258.

¹⁷⁷ *Bar Von Ch., Clive E., Schulte-Nölke H.*, Study Group on a European Civil Code, Principles, Definitions and Model Rules of European Private Law: Draft Common Frame of Reference (DCFR), Munich, GmbH European Law Publishers, 2009, 258.

¹⁷⁸ UN Guideline on Consumer Protection, New York and Geneva, 2016, 12.

¹⁷⁹ Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/ECC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/ECC and Directive 97/7/EC of the European Parliament on the Council preamble recital (36).

ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების ფარგლებში, საყურადღებოა მისი მიწოდების ფორმა. ელექტრონული საშუალებით დადებული ხელშეკრულების საგნისა თუ ფასის შესახებ ინფორმაცია, მომხმარებელს უნდა მიეწოდოს წერილობითი ან სხვა ისეთი ფორმით რომ მას შეეძლოს სასურველ დროს გაეცნოს მიღებულ ინფორმაციას.¹⁸⁰ გარდა ამისა, ინფორმაცია მარტივად ხელმისაწვდომი უნდა იყოს. საქმეში ჰინესი ოვერსტოკის წინააღმდეგ, სასამართლომ დაადგინა, რომ კომპანია ოვერსტოკი ვალდებული იყო მომხმარებლისთვის არა მხოლოდ მიეწოდებინა ინფორმაცია არამედ ის ინტერნეტ-გვერდის ისეთ ნაწილში განეთავსებინა, რომ მომხმარებელს არ დაჭირვებოდა მისი მოძიება ან სხვა გვერდზე გადასვლა და მარტივად შეემჩნია და გაეცნობიერებინა ის ვალდებულებები, რაც ხელშეკრულების დადების შემდეგ წარმოეშობოდა. მომხმარებელმა ოვერსტოკის ინტერნეტ-გვერდზე შექმნილი მტვერსასრუტის უკან დაბრუნება გადაწყვიტა, ნების გამოვლენის შემდეგ ინტერნეტ-მაღაზიამ მას დამატებით 30 აშშ დოლარის გადახდა მოსთხოვა. ჰინესმა უარი განაცხადა თანხის გადახდაზე, ვინაიდან ის არ ფლობდა ინფორმაცია შექმნილი საგნის უკან დაბრუნების შემთხვევაში დამატებითი ხარჯის შესახებ. მოვაჭრე - ოვერსტოკი კი იმ გარემოებაზე აპელირებდა, რომ მას ინფორმაცია ვებ გვერდზე ჰქონდა მითითებული. სასამართლო განხილვისას დაადგინდა, რომ მოვაჭრეს აღნიშნული ინფორმაცია მითითებული ჰქონდა ვებ გვერდის ქვედა კუთხეში, თუმცა ნიუ-იორკის საოლქო სასამართლომ არ გაიზიარა ეს პოზიცია და აღნიშნა, რომ მოვაჭრეს ინფორმაცია განთავსებული არ ჰქონდა ადვილად შესამჩნევ ადგილას და მომხმარებელს მის გასაცნობად სპეციალური ქმედების განხორციელება ესაჭიროება.¹⁸¹

გამომდინარე იქედან, რომ ელექტრონული საშუალებით ხელშეკრულების დადებისას, მომხმარებელი უმეტეს შემთხვევაში ვალდებულია გადაიხადოს არა მხოლოდ უშუალოდ საგნისა თუ მომსახურების საფასური, ასევე მისი შეფუთვის, გაგზავნისა თუ მიწოდების ღირებულებაც, მოვაჭრე ვალდებულია ხელშეკრულების დადებამდე მკაფიოდ მიუთითოს დამატებითი ფინანსური ვალდებულების შესახებ, რათა მომხმარებლისათვის ამ გარემოებამ მოგვიანებით არ წარმოშოს გარკვეული შეფერხებები.¹⁸² მათ შორის მოვაჭრეს ეკისრება ვალდებულება მხარეს მიაწოდოს ინფორმაცია ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში საგნის უკან დაბრუნებისას გასაწევი ხარჯის შესახებ. ხარჯის მაქსიმალური ოდენობა უნდა იქნეს მითითებული იმ შემთხვევაში, როდესაც უკან დაბრუნება სტანდარტული საფოსტო გზავნილით არ არის შესაძლებელი.¹⁸³

¹⁸⁰ Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/ECC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/ECC and Directive 97/7/EC of the European Parliament on the Council, art. 8 (5).

¹⁸¹ Hines v. Overstock.com Inc. United States District Court, New York, September 2009, <https://www.coursehero.com/file/20057285/Hines-v-Overstockcom/> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 01.07.2018.

¹⁸² Solmecke Ch., Handel im Netz, Berlin, CPI books GmbH, Leck, 2014, s.101 Rn. 79-80.

¹⁸³ Erman, Bürgerliches Gesetzbuch Handkommentar mit AGG, EGBGB (Auszug), ErbbauRG, LPartG, ProdHaftG, UklAG, VbVG, VersAusglG und WEG, Band 1., neu bearbeitete Aufl. 15, Köln 2017, 1372, 24.

მართალია, ინტერნეტ ვაჭრობისას, მომხმარებელი უნდა აცნობიერებდეს რომ საქონლის მიწოდება დაკავშირებულია დამატებით ხარჯთან, თუმცა ეს გარემოება მოვაჭრეს არ ათავისუფლებს ტრანსპორტირების საფასურის მითითების ვალდებულებისგან.¹⁸⁴ უფრო მეტიც, ეს არ არის მოვაჭრის კეთილ ნებაზე დამოკიდებული, მას აკისრია ვალდებულება იმგვარად მიაწოდოს ინფორმაცია მომხმარებელს, რომ მან შეკვეთის განთავსებამდე შეძლოს სრულად წაიკითხოს და გაიაზროს ხელშეკრულების ძირითადი ელემენტები. მომხმარებელმა ასევე უნდა შეძლოს გააცნობიეროს რა მომენტიდან წარმოემოზა ფინანსური ვალდებულება. ამასთან, მხარის ყურადღება სპეციალურად უნდა იქნეს გამახვილებული ნათლად ფორმულირებულ ცნობაზე, რომ შეკვეთის განთავსება იწვევს მოვაჭრისადმი ფინანსური ვალდებულების წარმოშობას.¹⁸⁵

- **მაგალითი:** ელექტრონულ მაღაზიაში საქონლის ფასად მითითებული იყო 150 აშშ დოლარი, ტრანსპორტირების საფასურის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი არ იყო. გელა დიდი ხანი ელოდა კონკრეტული ნივთის ხელსაყრელ ფასად შეძენას და ანგარიშზეც მხოლოდ 160 დოლარი ჰქონდა. სასურველი ზომისა და ფერის შერჩევის შემდეგ მან თითი დააჭირა შესყიდვის ღილაკს და ჩათვალა, რომ დადო ნასყიდობის ხელშეკრულება. რამდენიმე საათის შემდეგ, გელამ მიიღო შეტყობინება, რომ ბარათზე საკმარისი თანხის არქონის გამო არ შესრულდა მისი დავალება. ინტერნეტ-მაღაზიაში განმეორებით შესულმა გელამ აღმოაჩინა, რომ საგნის საფასურს, ხელშეკრულების დადების შემდეგ დაემატა ტრანსპორტირების თანხა 15 აშშ დოლარი, რაც მას გათვალისწინებული არ ჰქონდა, სწორედ იმ მიზეზის გამო, რომ მოვაჭრე ამ ინფორმაციას მხოლოდ მას შემდეგ აცნობებდა პირს, როცა ხელშეკრულება უკვე დადებული იყო.

მომხმარებლისათვის მსგავსი დაბრკოლების თავიდან ასარიდებლად, მოვაჭრემ სასურველია დამატებითი ხარჯების შესახებ საგნის ღირებულებისგან განცალკევებით მიუთითოს ტრანსპორტირების საფასური. ეს ინფორმაცია უმჯობესია განთავსებული იყოს მარტივად შესამჩნევ ადგილზე.¹⁸⁶

უფრო მეტიც, მოვაჭრე ვალდებულია მიუთითოს საგნის წონა, იმისათვის, რომ მომხმარებელს შესაძლებლობა ჰქონდეს თავად გამოიანგარიშოს ტრანსპორტირების საფასური სასურველი საგნის წონის მიხედვით.¹⁸⁷

¹⁸⁴ Klein D., E-Commere Law in Germany, München, C.H. Beck, 2015, 35-36, Rn. 33.

¹⁸⁵ Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/ECC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/ECC and Directive 97/7/EC of the European Parliament on the Council preamble, recital (39).

¹⁸⁶ Klein D., E-Commere Law in Germany, München, C.H. Beck, 2015, 36, Rn. 33.

¹⁸⁷ იქვე, 36, Rn. 34.

მხარეს ასევე წერილობითი ფორმით უნდა განემარტოს საკუთარი უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ. ეს განმარტებაც უნდა იყოს ნათელი და ადვილად გასაგები.¹⁸⁸

ხელშეკრულებიდან გასვლა, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უფლებაა ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადებული ხელშეკრულებების დროს. როგორც არაერთხელ აღინიშნა, მომხმარებელი ერთგვარ არახელსაყრელ ვითარებაში იმყოფება ხელშეკრულების დადების მომენტში, შესაბამისად, მას აუცილებლად უნდა ჰქონდეს ხელშეკრულების მოშლის უფლება.¹⁸⁹ გამომდინარე იქედან, რომ ხელშეკრულების მოშლას, მის საფუძვლებს, ვადებს და შემდგომ სამართლებრივ ურთიერთობებს სადისერტაციო ნაშრომის ცალკე თავი ეთმობა, ეს საკითხი ამ თავში არ იქნება ვრცლად განხილული.

რაც შეეხება მომხმარებელს, მისი ერთადერთ მოვალეობას წარმოადგენს საქონლისა თუ გაწეული მომსახურების საფასურის დაფარვა, გადაზიდვის ხელშეკრულების დროს ასევე საქონლის მიღების (ჩაბარების) ვალდებულება.¹⁹⁰ ცხადია მომხმარებელი ასევე ვალდებულია სწორად მიუთითოს მისი ადგილსამყოფელი და ის პერსონალური მონაცემები, რაც სავალდებულოა სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესასვლელად.

გადაზიდვის ხელშეკრულების დროს მხარეს იმგვარად უნდა მიეწოდოს ინფორმაცია საქონლისა თუ სხვა ქონების შესახებ, რომ მას საკმარისი წარმოდგენა შეექმნას შესაძენი პროდუქტის შესახებ. ბუნებრივია მიმწოდებელს არ უნდა დაეკისროს ისეთი ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, რომელსაც ის თავადაც არ ფლობს, მაგრამ თუ მას გააჩნია ამგვარი ინფორმაცია, შემდგომი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით უმჯობესია გაუზიაროს ის ხელშეკრულების მონაწილე სხვა პირებსაც.

ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, სამოქალაქო სამართლის ევროპულ მკვლევართა ნაშრომის მიხედვით აქვს მხოლოდ მოვაჭრეს და ძირითადად ეს ეხება გადაზიდვის ხელშეკრულების მონაწილე პირებს¹⁹¹.

ინფორმაციის მიწოდების სავალდებულობაზე ასევე საუბარია „მომხმარებლის უფლებების შესახებ“ დირექტივაში. მე-8 მუხლის თანახმად, ხელშეკრულების დადებამდე მომხმარებელს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია საქონლის ძირითადი მახასიათებლების შესახებ, ფასის, სხვა დამატებითი გადასახადების, გადახდის მეთოდისა და არსებობის შემთხვევაში

¹⁸⁸ Bar Von Ch., Clive E., Schulte-Nölke H., Study Group on a European Civil Code, Principles, Definitions and Model Rules of European Private Law: Draft Common Frame of Reference (DCFR), Munich, GmbH European Law Publishers, 2009, 261.

¹⁸⁹ Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/ECC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/ECC and Directive 97/7/EC of the European Parliament on the Council, preamble, recital (37).

¹⁹⁰ Explanatory note by the UNCITRAL Secretariat on the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods, New York, United Nations Publications, 2010, 38.

¹⁹¹ Bar Von Ch., Clive E., Schulte-Nölke H., Study Group on a European Civil Code, Principles, Definitions and Model Rules of European Private Law: Draft Common Frame of Reference (DCFR), Munich, GmbH European Law Publishers, 2009, 245.

ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების შესახებ; მოვაჭრე ასევე ვალდებულია განუმარტოს მომხმარებელს ფასის ცვლილების შესახებ.¹⁹²

გამომდინარე იქედან, რომ ელექტრონული საშუალების გამოყენებით ხელშეკრულების დადებისას მომხმარებელს ხელშეკრულების საგნის წინასწარ დათვალიერების, მისი რეალური მოცულობის, ხარისხის ან სტრუქტურის შემოწმების შესაძლებლობა არ აქვს, ის იმ პირებთან შედარებით, რომლებიც ტრადიციული გზით არჩევენ ხელშეკრულების დადებას, არასახარბიელო მდგომარეობაში იმყოფება. ამ ვითარებაში მომხმარებლისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია, გაუჩნდეს ნდობა იმ ელექტრონული მაღაზიისა თუ კომპანიის მიმართ, რომელიც მას სთავაზობს სხვადასხვა პროდუქტს. შესაბამისად, ელექტრონული საშუალების გამოყენებით, ხელშეკრულების დადებისას, მხარისათვის საქონლის შესახებ ზოგადი ინფორმაციის მიწოდებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ბუნებრივია, მოვაჭრე, რომლის მიზანიცაა მომგებიანად გაყიდოს მისი პროდუქტი ან მომსახურება, მაქსიმალურად ცდილობს წარმოაჩინოს გასაყიდი პროდუქციის დადებითი მხარეები, მაგრამ ეს ხშირ შემთხვევაში საკმარისი არ არის.

ევროპელ მკვლევართა ნაშრომში ცალკე თავი აქვს დათმობილი ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას დისტანციურად დადებული ხელშეკრულებებისას. კვლევის მიზნებისთვის დისტანციურ ხელშეკრულებებში იგულისხმება ტელეფონის, ინტერნეტის ან სხვა საკომუნიკაციო საშუალების გამოყენებით დადებული მხოლოდ ისეთი ხელშეკრულებები, როდესაც მხარეებს შორის უშუალო კონტაქტი დგება, საუბრის მეშვეობით და მათ აქვთ ინფორმაციის ზეპირსიტყვიერად გაცვლის შესაძლებლობა. ეს დათქმა არ გამოიყენება ისეთ შემთხვევაში, როდესაც მხარეებს შორის არ შედგება საუბარი.¹⁹³

ამგვარ შემთხვევებს ცალკე თავი აქვს დათმობილი. ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადებული ხელშეკრულების დროს, უნდა მოხდეს მხარის მიერ ოფერტის მიღებამდე. მიწოდებული ინფორმაცია უნდა იყოს ცხადი, ნათელი და გარკვევით ჩამოყალიბებული, არ უნდა იწვევდეს გაუგებრობას და სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას;

დისტანციურად დადებული ხელშეკრულების დროს, მხარეს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია საქონლის ფასის, მისამართისა და დამამზადებლის ვინაობის შესახებ.¹⁹⁴

ფასის შესახებ ინფორმაცია გულისხმობს არა მხოლოდ კონკრეტული თანხის მითითებას, არამედ გადახდის მეთოდებისა და დამატებითი გადასახადების შესახებ ინფორმირებას. თუ გადახდა ხორციელდება

¹⁹² Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/ECC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/ECC and Directive 97/7/EC of the European Parliament on the Council, art. 8 (1).

¹⁹³ *Bar Von Ch., Clive E., Schulte-Nölke H.*, Study Group on a European Civil Code, Principles, Definitions and Model Rules of European Private Law: Draft Common Frame of Reference (DCFR), Munich, GmbH European Law Publishers, 2009, 256.

¹⁹⁴ იქვე, 261.

ეტაპობრივად, ინფორმაცია უნდა იქნეს მითითებული გადახდის თარიღის შესახებაც.¹⁹⁵ პროდუქტის ფასის არ მითითებამ, ან არასწორად მითითებამ შესაძლოა მოვაჭრის საქმიანობაზე უარყოფითი გავლენა იქონიოს. ამ შემთხვევის ნათელი მაგალითია კომპანია „კოდაკის“ მიერ დაშვებული ტექნიკური ხასიათის შეცდომა, რომელმაც კომპანიას 460 000€-მდე ზარალი მიაყენა; 2002 წელს საკუთარ ინტერნეტ-გვერდზე „კოდაკმა“ ფოტოკამერის ფასად 329€-ის ნაცვლად 100€ მიუთითა. დაშვებული ხარვეზის აღმოფხვრამდე, ძვირადღირებული კამერის შეღავათიან ფასად შეძენის მსურველთა რაოდენობამ 2000 მომხმარებელს მიაღწია. მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ მათგანს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით დაუდასტურდა ხელშეკრულების დადება, კომპანიამ უარი განცხადა ფოტოკამერების გადაცემაზე, იმ საფუძველით, თითქოსდა არ მომხდარა ხელშეკრულების დადება, რადგან საქონლის ღირებულება სწორად არ იყო მითითებული და რეალური ფასი ბევრად აღემატებოდა ინტერნეტ-გვერდზე შეცდომით მითითებულს. მას შემდეგ რაც არაერთმა მომხმარებელმა სასამართლოს მიმართა „კოდაკის“ წინააღმდეგ და მოვაჭრისგან მოითხოვა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, კომპანია იძულებული გახდა დაეკმაყოფილებინა მომხმარებელთა მოთხოვნა და მათთვის მიეწოდებინა შეძენილი ფოტოკამერები.¹⁹⁶

თუ მოვაჭრის შესახებ ინფორმაციის მიწოდება არის სავალდებულო, მაშინ მხარეს უნდა ეცნობოს საწარმოს დასახელება, სავაჭრო ნიშანი, საწარმოს რეგისტრაციის ნომერი და დამარეგისტრირებული ორგანოს დასახელება. ასევე მითითებული უნდა იყოს საწარმოს მისამართი, საკონტაქტო ინფორმაცია და კომპანიის წარმომადგენლის ვინაობა;¹⁹⁷

თუ მხარეების მიერ დაცული არ იქნება განხილული ვალდებულებები, ეს ჩაითვლება ხელშეკრულების პირობების დარღვევად. ინფორმაციის მიუწოდებლობად ასევე ჩაითვლება, მხარისათვის არასწორი ან არასაკმარისი ინფორმაციის მიწოდება.

დიდი ბრიტანეთის „სამომხმარებლო ხელშეკრულების რეგულაციის“ მე-13 პუნქტის მიხედვით, მოვაჭრემ ელექტრონული საშუალების გამოყენებით ხელშეკრულების დადებისას, მომხმარებელს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია ღიად და გასაგებად, ის უნდა მოიცავდეს ასევე ინფორმაციას ხელშეკრულებიდან გასვლის ან მისი მოშლის უფლების შესახებ.¹⁹⁸

ხელშეკრულების მოშლის უფლების შესახებ, ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც მომხმარებელი გარკვეულწილად არასახარბიელო მდგომარეობაში იმყოფება.

¹⁹⁵ Bar Von Ch., Clive E., Schulte-Nölke H., Study Group on a European Civil Code, Principles, Definitions and Model Rules of European Private Law: Draft Common Frame of Reference (DCFR), Munich, GmbH European Law Publishers, 2009, 262.

¹⁹⁶ <https://www.out-law.com/page-2331> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 05.04.2019.

¹⁹⁷ Bar Von Ch., Clive E., Schulte-Nölke H., Study Group on a European Civil Code, Principles, Definitions and Model Rules of European Private Law: Draft Common Frame of Reference (DCFR), Munich, GmbH European Law Publishers, 2009, 263.

¹⁹⁸ The Consumer Contracts (Information, Cancellation and Additional Charges) Regulations, Consumer Protection 2013 No.3134, art.13.

ასეთ დროს ხელშეკრულების მოშლის უფლების შესახებ, ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც მომხმარებელი გარკვეულწილად არასახარბიელო მდგომარეობაში იმყოფება. ასეთ დროს მხარის ხელშეკრულებიდან გასვლის პერიოდის ათვლა დაიწყება იმ მომენტიდან, როდესაც მას სრულად, ამომწურავად მიეწოდა ინფორმაცია, როგორც ამ უფლების ისე სხვა სავალდებულო ნორმების შესახებ. თუ მოვაჭრე ვალდებული იყო მხარისათვის განემარტა ხელშეკრულების მოშლის უფლება და მან ეს არ გააკეთა, მას ეკისრება პასუხისმგებლობა იმ ზარალისთვის, რაც მხარეს მიადგა ინფორმაციის არ ქონის გამო.¹⁹⁹

ნაშრომში, ევროპული კერძო სამართლის პრინციპები, დეფინიციები და მოდელური წესები, ასევე მიმოხილულია ევროპის სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა ინფორმაციის მიწოდების შესახებ. ესტონეთის სამოქალაქო კოდექსის მიხედვითაც ინფორმაცია უნდა იყოს ცხადი და მარტივი ენით მიწოდებული. ის შესაძლოა იყოს წერილობითი ან სხვა იმგვარი ფორმით მიწოდებული, რომ მომხმარებელს ამ ინფორმაციის გაცნობის შესაძლებლობა ექნეს არა მხოლოდ უშუალოდ ხელშეკრულების დადების მომენტში არამედ დროის ისეთ მონაკვეთში, რაც მას შესაძლებლობას მისცემს გააცნობიეროს მიღებული ინფორმაცია.

ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება სლოვაკეთის რამდენიმე კანონშია მოცემული. მათ შორის არის სამოქალაქო კოდექსი, კანონი ელექტრონული ვაჭრობის შესახებ და კანონი მომხმარებელთა დაცვის შესახებ.²⁰⁰

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მოვაჭრეს ეკისრება ვალდებულება კეთილსინდისიერება გამოიჩინოს არა მხოლოდ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების პროცესში, არამედ პატივის სცეს მომხმარებელთა უფლებებს მაშინაც კი, როდესაც მას არ ჰყავს ერთი კონკრეტული მხარე და მის მიერ გაკეთებული მოწვევა ოფერტზე გათვლილი არის საზოგადოების ფართო მასებისათვის.

¹⁹⁹ *Bar Von Ch., Clive E., Schulte-Nölke H.*, Study Group on a European Civil Code, Principles, Definitions and Model Rules of European Private Law: Draft Common Frame of Reference (DCFR), Munich, GmbH European Law Publishers, 2009, 264.

²⁰⁰ იქვე, 261.

3.2.2. ინფორმაციის მიწოდებისას პერსონალური მონაცემების დაცვის ვალდებულება

ელექტრონული საშუალების გამოყენებით ხელშეკრულების დადებისას, მხარეთათვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, ერთი შეხედვით სრულიად უსაფრთხო და გონივრული დათქმავა, თუმცა პრაქტიკაში არსებობს გარკვეული რისკები, რომლებიც შესაძლოა წარმოიშვას, როგორც მომხმარებლის ისე მოვაჭრის მიერ პერსონალური მონაცემების ინტერნეტ-გვერდზე განთავსების შემდეგ. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, ელექტრონული ხელშეკრულების დადებისას, უკავშირდება მომხმარებელსა და მოვაჭრეს შორის ნდობის ჩამოყალიბებას. იმისათვის რომ მომხმარებელმა მოვაჭრეს გაუზიაროს ისეთი მნიშვნელოვანი ცნობები, როგორცაა მაგალითად მისი საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები, საკმაოდ სარისკო და საყოყმანო საკითხია. ამ პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი გზა შესაძლოა იყოს მოვაჭრის საქმიანობის რეპუტაციის სისტემა, როდესაც ადამიანთა ჯგუფი, რომლებსაც უკვე აქვთ მხარესთან საქმიანი ურთიერთობის გამოცდილება ახდენენ მის შეფასებას, დადებითი და უარყოფითი ასპექტების მითითებას და სხვა პირთათვის გამოცდილების გაზიარებას.²⁰¹ მიუხედავად იმისა, რომ მომხმარებელთა უმეტესობას არ აქვთ სურვილი, დრო ან საჭირო უნარ-ჩვევები ყურადღებით გაიარონ ხელშეკრულების დადების ყველა ეტაპი, თუნდაც გამოცდილი მომხმარებლების მცირე ოდენობის მიერ გაკეთებული ადეკვატური შეფასებები, ბიზნესს კონკურენტუნარიანს ხდის. მოვაჭრემ სწორად უნდა დაინახოს ის სიგნალი, რასაც მომხმარებელი შეფასების გზით გზავნის, რათა მან არ დაკარგოს სხვა პოტენციური მომხმარებელი.²⁰²

ინტერნეტ-გვერდის რეპუტაციას, კონტროლის განმახორციელებელ მესამე მხარეს უწოდებენ. თუ ინტერნეტ-გვერდს ბევრი მომხმარებელი და ე.წ. მიმდევარი ჰყავს, რომლებიც შეფასებებს წერენ ან სხვაგვარად გამოხატავენ მომსახურებით კმაყოფილებას, ეს გარემოება შესაძლოა სხვა პოტენციური მომხმარებლისთვის ნდობის ჩამოყალიბების წინაპირობად იქცეს.²⁰³

ციფრული რევილუციის ერთ-ერთ პრობლემურ საკითხს, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი ეფექტი იქონიოს კერძო სამართლებრივ ურთიერთობებზე, პერსონალური მონაცემების დაცვა წარმოადგენს. ელექტრონული საშუალებების გამოყენებისას არსებობს პერსონალური მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების შესაძლებლობაც, მათ შორის კონკრეტული პირების შესახებ ინფორმაციის, ასევე ცნობების მათ მიერ განხორციელებული ქმედებების და ამ ქმედების განსახორციელებლად გამოყენებული ხელსაწყოების შესახებ მონაცემების დამუშავების რისკი.²⁰⁴

²⁰¹ Herrmann P., Tavakolifard M., Special Issue on Trust and Privacy in Electronic Commerce, Electronic Commerce Research, Springerlink, 2010, 236.

²⁰² Hillman A.R., Rachlinski J.J., Standard-Form Contracting in the Electronic Age, Cornell Law Faculty Publications, 2002, No. 5, 14.

²⁰³ Calliess Graf P., Transnational Consumer Law: Co-Regulation of B2C-E-Commerce, Responsible Business: Self-Governance in Transnational Economic Transaction, Oxford, Hart Publishing, April, 2008, 12-13 <https://ssrn.com/abstract=988612> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 23.06.2018.

²⁰⁴ Franceschi A.D., European Contract Law and the Digital Single Market, The Implications of the Digital Revolution, Cambridge, UK, publisher Intersentia, 2016,40.

პერსონალურ მონაცემთა დაცვა, ელექტრონული საშუალების გამოყენებით ხელშეკრულების დადებისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. ამა თუ იმ ინტერნეტ-გვერდზე რეგისტრაციის მომენტში, მომხმარებელი საკმაოდ დეტალურ პერსონალურ ინფორმაციას ხდის სხვა პირთათვის ხელმისაწვდომს. მას შემდეგ რაც მომხმარებელთა დიდი რაოდენობა მოახდენს ზემოხსენებული ინფორმაციის გაზიარებას, არსებობს მონაცემთა გამჟღავნებისა და კანონსაწინააღმდეგოდ გამოყენების საფრთხე.²⁰⁵ მკვლევართა ყურადღებას ასევე იქცევს პერსონალური მონაცემების გამჟღავნების რისკი იმ შემთხვევაში, როდესაც, მაგალითად ხდება მობილურ ტელეფონებში სხვადასხვა უფასო აპლიკაციის გადმოწერა. მომხმარებელი, საფასურის გადახდის ნაცვლად, ეთანხმება აპლიკაციის ფუნქციონირებისათვის პერსონალური მონაცემების შეგროვებასა და დამუშავებას, რა დროსაც შესაძლოა მომხმარებელი ვერც აცნობიერებდეს, რომ უფასო აპლიკაციის მომწოდებელს რეალურად ეძლევა პერსონალურ მონაცემებზე წვდომის შესაძლებლობა. ამ ვითარებაში, მკაფიოდ განსაზღვრული არ არის აპლიკაციის წაშლის გზით, ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში ხდება თუ არა მომხმარებლის მიერ, მოვაჭრისათვის მიწოდებული პერსონალური მონაცემების წაშლა.²⁰⁶

„ფიზიკური პირების პერსონალური მონაცემების დაცვა მათი დამუშავების პროცესში და ასეთი მონაცემების მიმოქცევის შესახებ ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2016 წლის 27 აპრილის 95/46/EC დირექტივის“ მიზნებისათვის, პერსონალური მონაცემი ნიშნავს ნებისმიერ ინფორმაციას, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს; იდენტიფიცირებადია ისეთი პირი, ვინც შესაძლოა პირდაპირ ან არაპირდაპირ იქნეს იდენტიფიცირებული, კერძოდ ისეთი მახასიათებლების მითითებისას, როგორცაა სახელი, საიდენტიფიკაციო ნომერი, ადგილსამყოფელი, ფიზიკური პირის ფიზიკური, ფსიქოლოგიური, გენეტიკური, მენტალური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური მახასიათებელი თვისება.²⁰⁷ ელექტრონული ხელშეკრულების მონაწილე მხარე, ვალდებულია მიუთითოს სახელი, გვარი, მისამართი, საბანკო ანგარიშის ნომერი ასევე გარკვეულ შემთხვევებში პირადი ან პასპორტის ნომერი, თითოეული ეს მონაცემი კი პერსონალურს განეკუთვნება და მათი დაცვის საჭიროება წარმოიშობა.

პერსონალური მონაცემების დამუშავება უნდა მოხდეს სათანადო პრინციპების დაცვის გზით. ინფორმაციის გადამუშავების პრინციპებია: კანონიერება, სამართლიანობა და ღიაობა (გამჭირვალობა), ინფორმაციის მოძიება უნდა ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს, უნდა იყოს დამუშავების მიზნის პროპორციული და რელევანტური, ინფორმაცია დაცულ უნდა იქნეს

²⁰⁵ *Carey P.*, *The Internet and E-Commerce*, London, Thorogood Publishing, 2001, 44.

²⁰⁶ *Franceschi A.D.*, *European Contract Law and the Digital Single Market, The Implications of the Digital Revolution*, Cambridge, UK, publisher Intersentia, 2016,41.

²⁰⁷ Regulation (EU) 2016/679 of European Parliament and of the Council of 27 Aprils 2016 on the protection of natural persons with regards to the processing of personal data on the free movement of such data, and repealing Directive 95/46/EC (General Data Protection Regulation) art. 4(1).

იმგვარად, რომ მისი გამოყენება არ იყოს შესაძლებელი იმ მიზნის მიღწევის შემდეგ, რასაც ემსახურებოდა ინფორმაციის მოძიება.²⁰⁸ ამ შემთხვევაში ისევ მოვაჭრეს ეკისრება ვალდებულება უზრუნველყოს მომხმარებლის მიერ გასაჯაროებული პერსონალური მონაცემების განადგურება, მას შემდეგ რაც ეს უკანასკნელი საბოლოოდ მიიღებს შესრულებას და გაუშვებს ხელშეკრულებიდან გასვლის დადგენილ ვადას.

პერსონალური მონაცემები თავის თავში მოიცავს ინფორმაციის მეტ-ნაკლებად ახალ კატეგორიას განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემებს, ამ უკანასკნელს განეკუთვნება ინფორმაცია პირის რასობრივი ან ეთნიკური კუთვნილების, რელიგიური მრწამსის, პოლიტიკური შეხედულების, პროფესიული კავშირის წევრობის, სექსუალური ცხოვრების, ფიზიკური ან მენტალური მდგომარეობის, ნასამართლობის შესახებ.²⁰⁹ ზემოხსენებული პრინციპების დაცვით ინფორმაციის გადამუშავებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მაკონტროლებელს, რომელიც 95/46/EC დირექტივის მიზნებისთვის არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, საჯარო დაწესებულება, სააგენტო ან სხვა ორგანო, რომელიც უშუალოდ ან სხვასთან ერთობლივად განსაზღვრავს პერსონალური მონაცემის დამუშავების მიზანს.²¹⁰ თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ელექტრონული საშუალების გამოყენებით ხელშეკრულების დადებისას მომხმარებლისთვის განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების შესაბამის გრაფაში მითითება ვერ იქნება მიზნის პროპორციული, რადგან რთულად წარმოსადგენია რა საფუძვლით შეიძლება დაჭირდეს მოვაჭრეს, მომხმარებლის ეთნიკური, რასობრივი კუთვნილებისა თუ რელიგიური მრწამსის და ა.შ. მითითება და იმის მტკიცება, რომ ამგვარი მონაცემების მიუთითებლობის შემთხვევაში გართულდება ან შეუძლებელი გახდება სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება.

მობილური ტელეფონის მეშვეობით ხელშეკრულების დადებისას, წარმოიშობა კიდევ უფრო მეტი პერსონალურ მონაცემის გამჟღავნების რისკი. მობილური ტელეფონებს, რომლებიც ე.წ. მე-3 ან მე-4 თაობის ინტერნეტ მხარდაჭერით სარგებლობენ, ჩართული აქვთ ადგილმდებარეობის დადგენის ფუნქცია. რა თქმა უნდა სასიამოვნო და ხშირ შემთხვევაში მეტად საჭიროა მაგალითად უახლოესი რესტორნის შესახებ ინფორმაციის მიღება, ან სასურველ ადგილამდე მისასვლელი მარშრუტის ეკრანზე გამოჩენა, თუმცა ამავდროულად უნდა ყურადღება უნდა მიექცეს რომ ასეთ დროს ხდება პირის ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებაც.²¹¹

²⁰⁸ Regulation (EU) 2016/679 of European Parliament and of the Council of 27 April 2016 on the protection of natural persons with regards to the processing of personal data on the free movement of such data, and repealing Directive 95/46/EC (General Data Protection Regulation) მუხლი 5(1).

²⁰⁹ Carey P., The Internet and E-Commerce, London, Thorogood Publishing, 2001, 47.

²¹⁰ Regulation (EU) 2016/679 of European Parliament and of the Council of 27 April 2016 on the protection of natural persons with regards to the processing of personal data on the free movement of such data, and repealing Directive 95/46/EC (General Data Protection Regulation) art. 5(2).

²¹¹ Carey P., The Internet and E-Commerce, London, Thorogood Publishing, 2001, 54.

ტელეკომუნიკაციის საშუალებების გამოყენებისას, პერსონალური მონაცემების დაცვას ეხება ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 1997 წლის 15 დეკემბრის 97/66/EC დირექტივა, „ტელეკომუნიკაციის სექტორში პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და პირადი ცხოვრების დაცვის შესახებ“. 97/66/EC დირექტივა სერვისის მიმწოდებელს ავალდებულებს გაატაროს ყველა საჭირო ტექნიკური და საორგანიზაციო ღონისძიება, იმისათვის რომ უზრუნველყოს სერვისის უსაფრთხოება და დაცულობა. ასეთი ინფორმაციის გამჟღავნების რისკის წარმოშობის შემთხვევაში, სერვისის მიმწოდებელი ვალდებულია დაუყონებლივ შეატყობინოს მომხმარებელს.²¹² ამავე დირექტივის მე-5 მუხლი ხელმომწერ სახელმწიფოებს ავალდებულებს, ტელეკომუნიკაციის საშუალებების გამოყენებისას დაიცვან კონფიდენციალურობა, რაც გულისხმობს საუბრის მოსმენის, ჩაწერის ან სხვაგვარად ჩარევის აკრძალვას.²¹³

ექვის შემთხვევაში ნებისმიერ პირს შეუძლია მიმართოს მაკონტროლებელს და მოითხოვოს მის შესახებ კონკრეტულ ვებ-გვერდზე გაზიარებული პერსონალური მონაცემის დაცულობის გადამოწმება. მაკონტროლებელი ვალდებულია შეამოწმოს ხომ არ მოხდა მომხმარებლის პერსონალური მონაცემის არამიზნობრივი გამოყენება.²¹⁴

„პერსონალური მონაცემების შესახებ“ საქართველოს კანონი 2012 წლის 1 მაისს შევიდა ძალაში. კანონი მონაცემთა სუბიექტს აძლევს უფლებას პერსონალური მონაცემების არამიზნობრივი ან მართლსაწინააღმდეგოდ გამოყენების შემთხვევაში მიმართოს სასამართლოს. აღნიშნული ნორმა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შესაძლოა იყოს იმ შემთხვევაში, როდესაც ხდება პირის ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება, რასაც შესაძლოა შედეგად მოჰყვეს ფინანსური ზიანი. 2015 წლის შემოდგომაზე, საქართველოში, არაერთ პირს მიადგა ფინანსური ზარალი, მას შემდეგ რაც მოხდა ინტერნეტ-გვერდებზე განთავსებული პერსონალური მონაცემების დანაშაულებრივი გზით გატეხვა და დაუდგენელ საბანკო ანგარიშებზე თანხის გადარიცხვა. აღნიშნულ საქმეზე დაწყებული გამოძიება წლების განმავლობაში უშედეგოდ მიმდინარეობდა. სწორედ ამ გარემოებების გათვალისწინებით აუცილებელია ხელშეკრულების მხარეები დაცულნი იყვნენ მათი პერსონალური მონაცემების კანონსაწინააღმდეგო გამჟღავნებისა და ამგვარად მათი უფლებების დარღვევისაგან.

„პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღება წინგადადგმული ნაბიჯია ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვის კუთხით, თუმცა ახალი საკანონმდებლო აქტების მიღების პარალელურად უნდა მოხდეს მისი შესაბამისობა სხვადასდხვა სიახლეებთან. მათ შორის შესაძლოა აღინიშნოს „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი, რომელიც არანაირ დათქმას არ შეიცავს მომხმარებლის პერსონალური მონაცემების დაცვის თაობაზე.

²¹² Directive 97/66/EC of European Parliament and of the Council of 15 December 1997 concerning the processing of personal data and the protection of privacy in the telecommunications sector, art. 4.

²¹³ იქვე, art. 5.

²¹⁴ Carey P., *The Internet and E-Commerce*, London, Thorogood Publishing, 2001, 51.

ბუნებრივია კანონის ძალაში შესვლის შემდეგ მოვაჭრეს ექნება ვალდებულება დაიცვას მომხმარებლის ინტერესები პერსონალური მონაცემების გაუმჟღავნებლობის კუთხით, თუმცა პროექტში ამ ვალდებულების მითითება დაამკვიდრებს უფლების დაცვის უფრო მაღალ სტანდარტს.

3.3. ელექტრონული საშუალებებით დადებული ხელშეკრულების საგანი

იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს ელექტრონული საშუალებით დადებული ხელშეკრულების საგნის განსაზღვრა, თავდაპირველად უმჯობესი იქნება მოხდეს ზოგადად ხელშეკრულების საგნის განმარტება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ ადგენს კონკრეტული ხელშეკრულების საგნის დეფინიციას. ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან ვერცერთი კოდექსი და ვერც სხვა საკანონმდებლო აქტი ვერ მოახდენს მხარეთა მიერ შეთანხმებული ხელშეკრულების სავარაუდო საგნის განმარტებას. ზოგადი წესის თანახმად პირს შეუძლია დადოს ნებისმიერი ხელშეკრულება, მათ შორის ისეთიც, რომელიც პირდაპირ არ არის გათვალისწინებული სამოქალაქო კოდექსით, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას. ამგვარი ხელშეკრულების თვალსაჩინო ნიმუშს სწორედ ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადებული ხელშეკრულება წარმოადგენს, რადგან ეს ურთიერთობა საკანონმდებლო დონეზე დღეისათვის მოწესრიგებული არ არის.

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ხელშეკრულების საგანი პირდაპირ არ არის მითითებული ხელშეკრულების არსებით პირობად, თუმცა ბუნებრივია, თუ მხარეები ვერ თანხმდებიან ხელშეკრულების საგანზე მაშინ სახეზე არც ხელშეკრულება არ გვაქვს. შესაბამისად ხელშეკრულების საგანი ისევე წარმოადგენს მის არსებით პირობას, როგორც მხარეები, ვადები, შესრულება და ა.შ.

დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს არა ქმედების განხორციელება არამედ კონკრეტული ნივთი, ან მომსახურება, რომელზედაც იდება ხელშეკრულება. მაგალითად, ხელშეკრულების საგნად შესაძლოა მითითებული იყოს რომ მოვაჭრე კისრულობს ვალდებულებას შეძენილი საქონელი გადასცეს მომხმარებელს, მომხმარებელი კი კისრულობს ვალდებულებას მიიღოს შესრულება. თუ ხელშეკრულების საგნად მივიჩნევთ კონკრეტულ ნივთს მაშინ ამ მაგალითის მიხედვით, ნასყიდობა არის ხელშეკრულების ობიექტი, ხოლო წიგნი ან სხვა ნებისმიერი ნივთი - საგანი. აღსანიშნავია, რომ ამ საკითხზე მეცნიერთა შეხედულება არ არის ერთგვაროვანი.

ავტორთა გარკვეული ჯგუფის შეხედულებით ვალდებულების საგანი თავის თავში მოიცავს იმ ნივთს, მომსახურებას, რომლის მიღების მიზნითაც მხარეთა შორის მყარდება სამართლებრივი ურთიერთობა და რომელიც ვალდებულების ძალით მოვალემ უნდა გადასცეს, კრედიტორს, ხოლო მეორეს მხრივ ობიექტი არის ის ქმედება, რომლისკენაც ურთიერთობა არის

მიმართული (მაგ. ნივთის გადაცემა).²¹⁵

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ცალკე არ განმარტავს არც ხელშეკრულების საგნის და არც ხელშეკრულების ობიექტის ცნებას, თუმცა ადგენს კერძო სამართლის ობიექტს. სსკ-ს მე-7 მუხლის თანახმად, კერძოსამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი შეიძლება იყოს ქონებრივიან არაქონებრივი ღირებულების მატერიალური და არამატერიალური სიკეთე, რომელიც კანონით დადგენილი წესით ბრუნვიდან არ არის ამოღებული.

მოყვანილი მუხლი მკაფიოდ ადასტურებს, რომ ობიექტი არის ქონება, სსკ-ის 147-ე მუხლიდან გამომდინარე კი ქონება არის ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე.²¹⁶

სამეცნიერო სახელმძღვანელოების ნაწილი, როგორც აღინიშნა, ვალდებულების ობიექტად მიიჩნევს ქმედებას.²¹⁷ მსგავს შინაარსს ატარებს პოლონეთის სამოქალაქო კოდექსის 353-ე მუხლიც. ობიექტი პოლონეთის სამოქალაქო სამართლით, ხელშეკრულების სავალდებულო ელემენტია და ის წარმოადგენს ქმედებას, ე.ი. ერთი მხარის მიერ ვალდებულების შესრულებას, რომელიც მეორე მხარის მიერ შეიძლება იქნეს მოთხოვნილი.²¹⁸

ხშირად ტერმინების - საგნისა და ობიექტის გამოყენება ერთსა და იმავე კონტექსტში ხდება, რაც ერთის მხრივ ბუნებრივია, რადგან ორივე ტერმინი მიანიშნებს სწორედ მხარეთა სურვილს მიიღონ კონკრეტული სარგებელი. ტერმინების - საგანი და ობიექტი, ფართო და არა ვიწრო კერძოსამართლებრივ ჭრილში განმარტება ცხადჰყოფს, რომ ისინი თითქმის იდენტური ცნებებია. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, საგანი არის ყოველგვარი მატერიალური მოვლენა - ნივთი, გარკვეული ფორმის უსულო საგანი; ობიექტი კი გახლავთ - მოვლენა, საგანი, პირი, რომლისკენაც არის მიმართული ვისიმე მოქმედება.²¹⁹

ვინაიდან ხელშეკრულების საგნისა და ობიექტის ერთმანეთისაგან გამიჯვნა ცდება წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის კვლევის ფარგლებს, ამასთან საკითხზე არსებობს არაერთი განსხვავებული მიდგომა, არ მოხდება თემის სიღრმისეული ანალიზი, თუმცა უნდა აღინიშნოს რომ ხელშეკრულების საგანი და ობიექტი ვერ იქნება იდენტური შინაარსის მატარებელი ცნებები, რადგან პირველი მათგანი მიუთითებს ქმედებისაკენ,

²¹⁵ *ახვლედიანი ზ.*, ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, გამომც. სამართალი, 1999, 44.

²¹⁶ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 147: ქონება, ამ კოდექსის მიხედვით, არის ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა ფლობაც, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომელთა შექმნაც შეიძლება შეუზღუდავად, თუკი ეს აკრძალული არ არის კანონით ან არ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს.

²¹⁷ *ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ.*, სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, გამომც. მერიდიანი, 2014, 46.

²¹⁸ *Bar Von Ch., Clive E., Schulte-Nölke H.*, Study Group on a European Civil Code, Principles, Definitions and Model Rules of European Private Law: Draft Common Frame of Reference (DCFR), Munich, GmbH European Law Publishers, 2009, 304.

²¹⁹ *ჩიქობავა ა.*, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, 1986, 384, 361.

მაშინ როცა ობიექტი ფართო გაგებით გულისხმობს კონკრეტულ ნივთს, ქონებას (როგორც მატერიალურს, ისე არამატერიალურს - სსკ-ის 147-ე მუხლის შესაბამისად).

„მომხმარებელთა დაცვის შესახებ“ დირექტივის მიზნებისათვის, ელექტრონული საშუალების გამოყენებით შესაძლოა დადებულ იქნეს ნასყიდობის, დაზღვევის, ფინანსური ან სხვაგვარი მომსახურების ხელშეკრულება.

უმეტეს შემთხვევებში ელექტრონული საშუალებით საქონლის ნასყიდობის ან მომსახურების მიწოდების ხელშეკრულება იდება, თუმცა გაბატონებული ადგილი საქონლის ნასყიდობის ხელშეკრულებას უკავია.

ნასყიდობის ხელშეკრულება „მომხმარებელთა დაცვის შესახებ“ დირექტივის მიზნებისათვის არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც იდება მოვაჭრის საკუთრებაში არსებული ნივთის მომხმარებლისათვის გადაცემის გზით, როდესაც მომხმარებელი მიღებული სიკეთისათვის იხდის, ან იღებს ვალდებულებას გადაიხადოს საფასური.²²⁰

მომსახურების ხელშეკრულება არის ნასყიდობის გარდა ნებისმიერი სხვა ხელშეკრულება, რომლითაც მოვაჭრე აწოდებს ან ვალდებულებას იღებს მიაწოდოს მარაგი მომხმარებელს, რომელიც იხდის შესაბამის საფასურს.²²¹

დაზღვევისა და ფინანსური მომსახურების, მათ შორის სესხის ხელშეკრულების ელექტრონული საშუალებით დადება წარმატებით ხორციელდება საქართველოშიც. ამ ხელშეკრულებათა დადებით და უარყოფით მახასიათებლები მიმოხილული ნაშრომის შესაბამის ნაწილში.

არც „მომხმარებლის უფლებების შესახებ“ დირექტივა და არც სხვა საკანონმდებლო აქტი არ იძლევა იმ საქონლის ან მომსახურების ამომწურავ ჩამონათვალს, რაც შესაძლოა გახდეს ხელშეკრულების ობიექტი. სამართლებრივი სახელმწიფოს მიზნების, ზნეობის ნორმებსა და საზოგადოების პატივისცემაზე დაფუძნებული პრაქტიკის გათვალისწინებით, ივარაუდება, რომ ელექტრონული საშუალების გამოყენებით შესაძლებელია ნასყიდობის ხელშეკრულება დაიდოს ყველა იმ მოძრავ ნივთზე თუ მომსახურებაზე რაზეც თანყოფი პირებიც შეძლებდნენ შეთანხმების მიღწევას.

ელექტრონული ფორმით ნასყიდობის ხელშეკრულება შესაძლოა დაიდოს მხოლოდ მოძრავ ნივთზე, ამ საკითხს არეგულირებს „მომხმარებლის უფლებების შესახებ“ დირექტივა. საკანონმდებლო აქტი განმარტავს თუ რა მოიაზრება დირექტივის მიზნებისათვის საქონელში (ობიექტში). დირექტივის მე-2 მუხლის მიხედვით, საქონელი არის ნებისმიერი მატერიალურად მოძრავი ნივთი, რომლის გასხვისებაც კანონმდებლობით არ არის შეზღუდული.

²²⁰ Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/ECC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/ECC and Directive 97/7/EC of the European Parliament on the Council, art. 2 (5).

²²¹ იქვე, მუხლი 2, (6).

წყალი, გაზი და ელექტროენერჯიაც უნდა იქნეს მიჩნეული მოძრავ ნივთად, როდესაც დასაშვებია მათი შეზღუდული ოდენობის ან განსაზღვრული ხარისხის გასხვისება.²²²

ანალოგიურად, მხოლოდ მოძრავ ნივთებზე მიიჩნევა შესაძლებლად ელექტრონული ფორმით ხელშეკრულების დადებას ევროპარლამენტისა და საბჭოს 2019 წლის 20 მაისის 2019/771 დირექტივა საქონლის ნასყიდობის ხელშეკრულებებთან დაკავშირებით. 2019/771 დირექტივა ახდენს იმ საქონლის კლასიფიკაციას, რომელიც შესაძლოა იყოს ნასყიდობის ობიექტი. დირექტივის მე-2 მუხლის თანახმად საქონელი არის ნებისმიერი მატერიალური მოძრავი ნივთი; ამავე დირექტივის მიზნებისთვის საქონელს წარმოადგენს ასევე გაზი და ელექტროენერჯიაც, რომელიც შეზღუდული ოდენობით შესაძლოა იყოს ნასყიდობის ობიექტი; ნებისმიერი მატერიალური მოძრავი ნივთი, რომელიც იმგვარად არის ჩართული ან დაკავშირებული ციფრულ შემცველობასთან ან მომსახურებასთან, რომ ამ უკანასკნელთა არ არსებობის შემთხვევაში გამოირიცხება ნივთის ფუნქციონირება.²²³

საერთაშორისო მიდგომის მსგავსად, „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის მესამე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი ტერმინში -საქონელი, მოიაზრებს ნებისმიერ მოძრავ ნივთს, მათ შორის მასში განთავსებულ ან ელექტრონული ფორმით გავრცელებულ არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს.²²⁴

„მომხმარებლის უფლებების შესახებ“ დირექტივის მე-3 მუხლი უთითებს იმ ურთიერთობებს, რომლებზეც არ ვრცელდება დისტანციურად დადებული ხელშეკრულებების მოქმედება, მათ შორის ერთ-ერთი არის უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების შექმნა ან გადაცემა.²²⁵

როგორც „მომხმარებლის უფლებების შესახებ“ დირექტივის შინაარსიდან ირკვევა, ელექტრონული საშუალების გამოყენებით ხელშეკრულება შესაძლოა დაიდოს მხოლოდ მოძრავ ნივთზე ან ციფრულ მონაცემზე. ეს გარემოება არ არის გასაკვირი, ვინაიდან დისტანციური ხელშეკრულების არსი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ის მხარეთა ფიზიკური დასწრების გარეშე იდება. თუ მხარეები ხელშეკრულების დადების შემდეგ, მაგრამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით შეხვდნენ ერთმანეთს ამგვარი გარიგება არ ჩაითვლება ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადებულ გარიგებად.

²²² Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/ECC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/ECC and Directive 97/7/EC of the European Parliament on the Council, art. 2, (4).

²²³ Directive (EU) 2019/771 of the European Parliament and of the Council of 20 May 2019 on certain aspects concerning for the sale of goods, amending Regulation (EU) 2017/2394 and Directive 2009/22/EC, and repealing Directive 1999/44/EC, art.2 (5).

²²⁴ იხ. კანონპროექტი „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“, მუხლი 3, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/113040> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 13.06.2019.

²²⁵ Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/ECC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/ECC and Directive 97/7/EC of the European Parliament on the Council, art. 3 (3) (h).

„მომხმარებლის უფლებების შესახებ“ დირექტივა ხელშემკვრელ სახელმწიფოებს იმპერატიულად არ უდგენს ნორმებს და მათ შესაძლებლობა აქვთ შიდა კანონმდებლობის შესაბამისად დაარეგულირონ სახელშეკრულებო სამართლის ისეთი საკითხები, რაც დირექტივით არ არის მოწესრიგებული.²²⁶ მითითებული დათქმის შესაბამისად, სახელმწიფოს შეუძლია დაადგინოს ელექტრონული საშუალების გამოყენებით ხელშეკრულების დადების ისეთი საკითხები, რაც წინააღმდეგობაში არ მოვა დირექტივასთან. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, უძრავი ქონების შესყიდვის შესაძლებლობა ვერც დირექტივით და ვერც შიდა კანონმდებლობით ვერ იქნება დადგენილი.

ელექტრონული საშუალებით დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება შესაძლოა დაიყოს სამ ფორმად, ესენია: ციფრული ფორმით დაცული დოკუმენტის პერსონალურ კომპიუტერში ჩამოტვირთვის შემთხვევა, ინტერნეტის მეშვეობით შეკვეთის განხორციელება და ელექტრონული-აუქციონი.

ჩამოტვირთვის გზით ხელშეკრულების დადების დროს მომხმარებელი იძენს „ციფრულ ობიექტს“, რომელიც მის საკუთრებად იქცევა ხელშეკრულების დადებისთანავე.²²⁷ ამის მაგალითად შესაძლოა მიეთითოს კომპიუტერული პროგრამის, სამეცნიერო სტატიის, ვიდეოსა თუ მუსიკის შექმნა, როდესაც ისინი მხარეს არა მატერიალური სახით, არამედ საკუთარ კომპიუტერში გადმოწერის გზით მიეწოდება.

ინტერნეტის მეშვეობით შეკვეთის დროს მოვაჭრე მომხმარებელს სასურველ ნივთზე ხელმისაწვდომობის შესაძლებლობას აძლევს მხოლოდ მის ვებ-გვერდზე. ამის მაგალითად შესაძლოა მოყვანილ იქნეს გამომცემლობა ან ელექტრონული ბიბლიოთეკა. ასეთ შემთხვევებში მომხმარებელს ეძლევა არა წიგნის ჩამოტვირთვის არამედ მხოლოდ მოვაჭრის ვებ-გვერდზე მასზე წვდომის შესაძლებლობა.

ინტერნეტ-აუქციონი კი ელექტრონული საშუალებით ნასყიდობის ხელშეკრულების ყველაზე გავრცელებული ფორმაა. ასეთ შემთხვევაში მომხმარებელი ვებ-გვერდზე არჩევს სასურველ ნივთს ან მომსახურებას და დებს ნასყიდობის ხელშეკრულებას.²²⁸ ე.წ. ონლაინ აუქციონი წარმოადგენს ელექტრონული ვაჭრობის მეტ-ნაკლებად გავრცელებულ ნაირსახეობას. უნდა აღინიშნოს ევროპარლამენტისა და საბჭოს 97/7 დირექტივა, დისტანციურ ხელშეკრულებებში მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ, რომელიც 2011 წლამდე (ახალი დირექტივის მიღებამდე) მოქმედებდა და რომელიც არ ავრცელებდა დირექტივის მიერ დადგენილ წესებს ონლაინ აუქციონზე. დირექტივის მე-3 მუხლში აღნიშნული იყო: დირექტივის მოქმედება არ ვრცელდება ხელშეკრულებებზე, რომელიც იდება აუქციონის გზით. მოგვიანებით, 2011 წლის დირექტივამ, ამგვარი დათქმა გააუქმა, თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არც დირექტივა და არც მისი დამხმარე სახელმძღვანელო

²²⁶ იქვე, Preamble, recital (14).

²²⁷ Hörmann M., Der Internethandel und die neue Richtlinie über die Rechte der Verbraucher, München, C.H. Beck, 2014, 8-9.

²²⁸ იქვე.

(მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ დირექტივის განმარტებით დოკუმენტი, მომზადებული ევროკომისიის მიერ) ცალკე არაფერს ამბობს ონლაინ აუქციონის შესახებ. იგულისხმება, რომ მასზე ვრცელდება იგივე წესები და რეგულაციები რაც ელექტრონული კომერციის სხვა გზით განხორციელებულ ქმედებებს შეეხება.

საჯარო აუქციონისგან განსხვავებით, (რაც მხარეთა ფიზიკური მონაწილეობით იმართება) ონლაინ აუქციონის თაობაზე ასევე არაფერს ამბობს „მომხმარებელთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი.

ელექტრონული აუქციონის ჩატარების ინსტიტუტს ქართული კანონმდებლობაც იცნობს. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის“ 1-ლი მუხლის 1¹ პუნქტის თანახმად ელექტრონული აუქციონის საფუძველზე სახელმწიფო ქონების პრივატიზება, სარგებლობის ან მართვის უფლებით გადაცემა შეიძლება განხორციელდეს უპირობოდ ან პირობებით. უპირობო აუქციონისას სახელმწიფო ქონების შემძენის/სარგებლობის/მართვის უფლებით მიმღები პირის ვალდებულება არის საპრივატიზებო ან სარგებლობაში გადაცემის საფასურის გადახდა, ხოლო პირობებიანი აუქციონისას სახელმწიფო ქონების შემძენის/სარგებლობის/მართვის უფლებით მიმღები პირის ვალდებულება არის საპრივატიზებო ან სარგებლობაში გადაცემის საფასურის გადახდა და პრივატიზების განმახორციელებელი/სარგებლობის/მართვის უფლებით გამცემი პირის მიერ განსაზღვრული სხვა საპრივატიზებო, სარგებლობაში ან მართვის უფლებით გადაცემის პირობების შესრულება. მოყვანილი ნორმა, ცხადჰყოფს, რომ ელექტრონული აუქციონის გზით შესაძლებელია მოხდეს უძრავი ქონების სარგებლობაში გადაცემა, რაც ნიშნავს იმას, რომ ელექტრონული საშუალების გამოყენებით შესაძლებელია დაიდოს უძრავ ქონების სარგებლობაში გადაცემის ხელშეკრულება. რაც შეეხება საკუთრების შეძენას სსკ-ს 306⁵ მუხლს, ის გამორიცხავს საკუთრების შეძენის ელექტრონულ შესაძლებლობას. მოყვანილი მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, აუქციონზე ქონების შემძენს გადაეცემა სპეციალისტის შესაბამისი განკარგულება, რომელშიც უნდა აღინიშნოს შეძენილი ქონება, აუქციონზე ქონების შემძენი, ფასი და აუქციონის პირობები. აუქციონთან დაკავშირებულ განკარგულებებზე სპეციალისტის ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება სავალდებულოა.

განკარგულებაზე სპეციალისტის ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო ფორმით დასადასტურების შემდეგ ის საჯარო რეესტრში რეგისტრაციას ექვემდებარება.²²⁹

²²⁹ *ჭეჭელაშვილი ზ.*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ-კომენტარი, gcc.ge, 21.12.2015, მუხლი 306⁵, ველი 2, <http://www.gccc.ge/წიგნი-მეორე/კარი-მესამე/თავი-მეექვსე/ii-იპოთეკა/მუხლი-306-5/> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 29.05.2018.

შესაბამისად იგულისხმება, რომ პირმა, თუნდაც ელექტრონული საშუალების გამოყენებით აუქციონის გზით შეიძინოს ქონება, ვერ ჩაითვლება, რომ მის მიერ დადებულ იქნა ელექტრონული ხელშეკრულება, ვინაიდან ქონების გადაცემის დადასტურება სავალდებულოდ უნდა მოხდეს რთული სანოტარო წესით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოში დღეს მოქმედი კანონმდებლობა გამორიცხავს უძრავ ქონებაზე ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადებას.

თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება მოიცავს არა მხოლოდ წმინდა გაგებით მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების მოპოვებას, არამედ ციფრული ფორმით დაცულ დოკუმენტსა და ობიექტზე წვდომასაც.

ამგვარად, ელექტრონული საშუალებით დადებული ხელშეკრულების ობიექტი შესაძლოა იყოს გარკვეული ციფრული მონაცემი. აღნიშნულის ყველაზე მარტივ განმარტებას წარმოადგენს ელექტრონული ხელსაწყო მემუვობით წაკითხვადი დაშიფრული ინფორმაცია. ციფრული მონაცემი შესაძლოა მიწოდებული იყოს სხვადასხვა გზით, მათ შორის ელექტრონულად განთავსებული საიტზე, ჩაწერილი დისკზე (ე.წ. CD-disk), ან მეხსიერების ბანკზე (ე.წ. flash drive).

ციფრული შინაარსის მქონე ინფორმაცია ნიშნავს:

ა) მონაცემებს, რომლებიც შექმნილი და დაცულია ციფრული ფორმით, მაგალითად ვიდეო, აუდიო აპლიკაცია, ციფრული თამაშები ან სხვა კომპიუტერული პროგრამა;

ბ) მომსახურება, რომელიც იძლევა მონაცემთა ციფრული ფორმით შექმნის, დამუშავებისა და შენახვის შესაძლებლობას, როდესაც ეს მონაცემები მომხმარებლის მიერ არის მოწოდებული,

გ) მომსახურება, რომელიც იძლევა მონაცემთა გაზიარების ან სხვაგვარად ჩარევის შესაძლებლობას, სერვისის სხვა მომხმარებელთა მიერ.²³⁰

თუ ნასყიდობის ხელშეკრულების ობიექტი არის ციფრული მონაცემი, ის მიიჩნევა საგნად და არა მომსახურებად. ეკონომიკური თვალსაზრისით, საგანი მისი გამოყენებადობით განისაზღვრება, სამართლებრივ ჭრილში კი უპირველეს ყოვლისა უნდა დადგინდეს შესაძლებელია თუ არა ესა თუ ის საგანი გახდეს საკუთრების უფლების ობიექტი.²³¹

ანალოგიურად, თუ ელექტრონული ნასყიდობის ხელშეკრულება იდება მაგალითად სერვისის ინსტალირებაზე, „მომხმარებელთა დაცვის შესახებ“ დირექტივის 50-ე მუხლის მიხედვით, ხელშეკრულების ობიექტად მიიჩნევა ნივთი და არა მომსახურება.²³²

²³⁰ Franceschi A.D., European Contract Law and the Digital Single Market, The Implications of the Digital Revolution, Cambridge, UK, publisher Intersentia, 2016, 55.

²³¹ იქვე, 56.

²³² DG Justice Guidance Document concerning Directive 2011/83/EU of the European Parliament and the Council of 25 October 2011 on the consumer rights, amending, Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council, 50.

მობილური ტელეფონის ან პირადი კომპიუტერის მეშვეობით ისეთი ციფრული მონაცემის ჩამოტვირთვა, რომელზეც ვრცელდება საავტორო უფლებები უნდა მოხდეს იმგვარად რომ დაცულ იქნეს ავტორის უფლება კონკრეტულ ნაწარმოებზე, ნაშრომზე, ფოტოზე თუ გრაფიკულ გამოსახულებაზე. საავტორო უფლების დაცვაში იგულისხმება ავტორის ან საამისოდ უფლებამოსილი პირის ნებართვის გარეშე ნაწარმოების გავრცელება, გამრავლება ან ავტორის მითითების გარეშე მისი გამოყენება.

საავტორო უფლებები დაცული უნდა იქნეს ელექტრონული საშუალების გამოყენებით ნაწარმოების, სამეცნიერო ნაშრომის, კომპიუტერული პროგრამის, ფოტოს ან სხვა გრაფიკული გამოსახულების, აუდიოვიზუალურ და აუდიო ნაწარმოების, ცხრილების, დიაგრამების, ტექნიკური ხასიათის გამოგონების ან ინტელექტუალური საკუთრების უფლებით დაცული სხვა ობიექტის შემენის შემთხვევაში.²³³

მართალია „მომხმარებლის უფლებების შესახებ“ დირექტივა, არ უთითებს კონკრეტულ მომსახურებას, რომელიც შესაძლოა გახდეს ელექტრონული საშუალებით დადებული ხელშეკრულების საგანი, თუმცა უთითებს იმ კონკრეტულ სფეროებს, რომელზეც ვერ გავრცელდება მისი მოქმედება. მათ შორისაა: სოციალური მომსახურების სერვისები, ბავშვზე ზრუნვა, მუდმივი ან დროებითი საჭიროების მქონე ოჯახების და პირების მხარდაჭერა, ჯანდაცვა, აზარტული თამაშების, ლოტოს, კაზინოს თამაშებიდან და სანაძლეოდან წარმოშობილ ურთიერთობაზე, ფინანსური სერვისები, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ურთიერთობები, მშენებლობის ან უკვე არსებული შენობის კონსერვაციის, ქირავნობის ან განთავსების მიზნები, საბჭოს 1990 წლის 13 ივნისის 90/314/EEC დირექტივით გათვალისწინებული მოგზაურობის, დასვენების და ტურების პაკეტებზე, მგზავრთა ტრანსპორტირებაზე, ხელშეკრულებებზე, რომელიც დადებულია ავტომატურ სავაჭრო აპარატთან.²³⁴

ამგვარად უნდა აღინიშნოს, რომ ელექტრონულ ხელშეკრულებას წარმოადგენს მხოლოდ მოძრავ ნივთზე ნასყიდობის, დაზღვევის, ფინანსური მომსახურების და ა.შ. ხელშეკრულება, რომელიც თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე არ მოითხოვს მხარეთა უშუალო შეხვედრას. მხარეთა მიერ საკუთარი უფლება-მოვალეობების კეთილსინდისიერად შესრულებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, კერძოდ კი ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას, რაც თანმიოფ პირებს შორის ხელშეკრულების დადების დროს შესაძლოა ნაკლებ მნიშვნელოვანი იყოს, ვინაიდან ასეთ დროს პირს თავად აქვს შესაძლებლობა შეამოწმოს ხელშეკრულების საგანი. მოვაჭრე ვალდებულია დაიცვას და სხვა პირთათვის ხელმისაწვდომი არ გახადოს ის პერსონალური მონაცემები, რასაც მომხმარებელი ხელშეკრულების დადების პროცესში უზიარებს მოვაჭრეს.

²³³ Bräutigam P., Rücker D., E-Commerce, München, C.H. Beck, 53.

²³⁴ Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/ECC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/ECC and Directive 97/7/EC of the European Parliament on the Council, art. 3 (3).

თავი IV. ელექტრონული საშუალებებით დადებული ხელშეკრულების ბათილობის საფუძვლები და შედეგები

„ოდესღაც ყველაფერი უნდა დასრულდეს“ - ამერიკელი მწერლის ფრენკ ბაუმის²³⁵ ეს ფრაზა ზუსტად ესადაგება როგორც ცხოვრებისეულ, ისე ნებისმიერ სამართლებრივ ურთიერთობას.

მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის დასასრული და მისი შედეგები, ისეთივე მნიშვნელოვანი და საყურადღებო ეტაპია, როგორც მასზე შეთანხმება, მომზადება და დადება.

გამომდინარე იქედან, რომ მხარეები ხელშეკრულებას სწორედ იმ შედეგის მიღწევის მიზნით დებენ, რაზეც შეთანხმდნენ, მისი დასრულების ყველაზე ლოგიკური და მოსალოდნელი გზა მისი შესრულებაა, თუმცა ხშირად მხარეთა შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობა, მხოლოდ შესრულებით არ წყდება. ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ურთიერთობის დასასრული შეიძლება დავეყოთ პოზიტიურ და ნეგატიურ შედეგებად.

პოზიტიურ შედეგს ბუნებრივია წარმოადგენს მხარეთა მიერ, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების კეთილსინდისიერი და ჯეროვანი შესრულება. სსკ-ს 427-ე მუხლიც სწორედ ამ იდეას განამტკიცებს, - „ვალდებულებითი ურთიერთობა წყდება კრედიტორის სასარგებლოდ ვალდებულების შესრულებით.“

ელექტრონული საშუალებით დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება იწვევს კონკრეტული ურთიერთობის დასასრულს.

- **მაგალითი:** სალომემ, მეგობრების მოულოდნელი სტუმრობის გამო, ტელეფონის მეშვეობით პიცა შეუკვეთა. მხარეები შეთანხმდნენ ხელშეკრულების საგანზე, ფასზე, გადახდის მეთოდსა და შესრულების დროსა და ადგილზე. დათქმულ დროს სალომეს პიცერიის თანამშრომელმა, სახლში მიუტანა შეკვეთა, მან კი შეთანხმებისამებრ გადაიხადა საფასური. შესაბამისად სალომესა და პიცერიას შორის შესრულების გზით დასრულდა სახელშეკრულებო ურთიერთობა.

მხარის მიერ იმ მიზნის მიუღწევლობა, რომლის განსახორციელებლადაც მან ხელშეკრულება დადო, ყოველთვის არ ნიშნავს, რომ მან დაარღვია შეთანხმება.

- **მაგალითი:** თუ პირმა თეატრთან ნასყიდობისა და მომსახურების ხელშეკრულება სპექტაკლზე დასწრების მიზნით დადო, მაგრამ მოგვიანებით გეგმები შეცვალა და სადამო სხვაგვარად გაატარა, ბუნებრივია ამგვარი ვითარება არ ჩაითვლება ხელშეკრულების

²³⁵ „ოზის საოცარი ჯადოქარი“, ლიმან ფრენკ ბაუმი (1856-1919).

პირობის შეუსრულებლობად და არ გამოიწვევს სამართლებრივ შედეგს.²³⁶

რაც შეეხება, ურთიერთობის დასრულების ნეგატიურ შედეგს ეს შესაძლოა სახეზე იყოს მაშინ, როდესაც ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე განზრახი ან გაუფრთხილებელი ქმედებით არღვევს შეთანხმების პირობას. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა, ყოველთვის არ ნიშნავს, რომ ის აუცილებლად ერთი ან ორივე მხარის ბრალეული ქმედების შედეგია და საჭიროა „დამნაშავის“ ძებნა. მხარეთა სურვილის მიუხედავად შესაძლოა, მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ იქნეს მიღწეული ის შედეგი, რაც მათ დაისახეს მიზნად.

- **მაგალითი:** ტურისტული კომპანია მომხმარებელს სთავაზობდა საზღვაო კურორტზე დასვენებას. მას შემდეგ რაც მომხმარებელსა და კომპანიას შორის გაფორმდა ხელშეკრულება, სტიქიური უბედურების გამო საკურორტო ზონა დაიხურა. მართალია, მხარეებს შორის უკვე გაფორმებული იყო ხელშეკრულება, თუმცა მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ მოხდა მისი შესრულება.

მხარეთა ნებით შეთანხმების პირობების შეუსრულებლობა, შესაძლოა გამოიხატოს ხელშეკრულებაზე უარის თქმაში, მოშლაში ან შეწყვეტაში.

ხელშეკრულების დასრულების თითოეული ფორმა წარმოიშობა სხვადასხვა წინაპირობების არსებობის შემთხვევაში და იწვევს სხვადასხვა სამართლებრივ შედეგებს.

ხელშეკრულების ბათილობა, სახელშეკრულებო ურთიერთობის სხვაგვარად დასრულების ფორმებისაგან განსხვავდება იმით, რომ ასეთი შედეგის დადგომა აუქმებს ყველა წინარე ქმედებასა და მას არ აქვს არანაირი სამართლებრივი ძალა.

მართალია ოფერტისა და აქცეპტის გაცხადება ხელშეკრულების დადებამდე ხდება, თუმცა ვინაიდან ხელშეკრულების ბათილობა სწორედ ნების ნაკლის გამოვლენის შედეგია, ამიტომ აღნიშნულის კვლევა შემოთავაზებულია სწორედ წინამდებარე თავში. აქვე წარმოჩინდება ელექტრონული ხელშეკრულების დადებისას ოფერტის გამოვლენისა და აქცეპტის გაკეთების თავისებურებები.

4.1. ნების გამოვლენის ნაკლი, როგორც ელექტრონული საშუალებებით დადებული ხელშეკრულების ბათილობის საფუძველი

სამოქალაქო სამართალი, კერძო პირთა თანასწორუფლებიანობასა და თავისუფლებაზე დამყარებული სამართლის დარგია. მას საფუძვლად უდევს პირთა ნების გამოვლენის თავისუფლება. მხარეთა კერძო ავტონომიის

²³⁶ Mckendrick E., Contract Law, New York, Oxford University Press, 2008, 720.

გამოხატულებაა ხელშეკრულების დადების თავისუფლება, საკუთრების თავისუფლება, საცხოვრებელი ადგილის არჩევის თავისუფლება და ა.შ.²³⁷

ნებისმიერი ხელშეკრულების დადების უპირველესი წინაპირობა მხარეთა თავისუფლებაა. ამგვარ თავისუფლებაში იგულისხმება, როგორც ხელშეკრულების საგნის, ობიექტის თუ ფორმის, ასევე მხარის არჩევის თავისუფლება. ხელშეკრულების დადების თავისუფლების პრინციპი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია არა მხოლოდ თანამედროვე სახელშეკრულებო, არამედ ზოგადად სამოქალაქო სამართალში.

ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი, სსკ-ს 319-ე მუხლით არის გარანტირებული – კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. მათ შეუძლიათ დადონ ისეთი ხელშეკრულებებიც, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას.

ხელშეკრულების დადებით მხარეები ნებაყოფლობით და ორმხრივად იღებენ ვალდებულებას შეასრულონ კონკრეტული ვალდებულებები. ვინაიდან ამ ქმედებით ხელშეკრულების მონაწილენი საკუთარი ნებით იბოჭავენ თავს, ამ შემთხვევას სახელშეკრულებო თვითბოჭვა ეწოდება.²³⁸

ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი უპირველეს ყოვლისა უნდა ემსახურებოდეს მასში მონაწილეთა ინტერესების დაცვას.²³⁹ ხელშეკრულების თავისუფლება მოიცავს ხელშეკრულების დადების თავისუფლებასა და ხელშეკრულების შინაარსის თავისუფლად განსაზღვრის შესაძლებლობას. ხელშეკრულების დადების თავისუფლება, პირს აძლევს საშუალებას, მისი სურვილის შესაბამისად დადოს ან არ დადოს ხელშეკრულება. ბუნებრივია საგამონაკლისო შემთხვევებში ამგვარი თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს. რაც შეეხება ხელშეკრულების შინაარსის თავისუფლებას, ეს მხარეებს აძლევს საშუალებას, საკუთარი სურვილისამებრ განსაზღვროს ხელშეკრულების პირობები, მათ შორის დადონ ისეთი ხელშეკრულებები, რომლებიც კანონით პირდაპირ არაა გათვალისწინებული.²⁴⁰

ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი გადაჯაჭვულია, ასევე უმნიშვნელოვანეს პრინციპთან – მხარეთა კერძო ავტონომიასთან.²⁴¹ ადამიანები ყოველდღიურად ამყარებენ ერთმანეთთან ურთიერთობებს, დებენ ხელშეკრულებებს და ხშირად ვერც კი აცნობიერებენ ამ ფაქტის იურიდიულ თუ ფაქტობრივ მნიშვნელობას. სწორედ ამგვარ ქმედებას ეწოდება მხარეთა კერძო ავტონომია და ის ყველაზე უკეთ ყოველდღიურ

²³⁷ *ჰანტურია ლ., ჯორბენაძე ს., ახვლედიანი ზ., ზოიძე ბ.*, ნინიძე თ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, თბილისი, გამომც. სამართალი, 2002, წიგნი პირველი, 1-2.

²³⁸ *ჰანტურია ლ.*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, გამომც. „სამართალი“, 2011, 91.

²³⁹ *ჰანტურია ლ., ზოიძე ბ.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, თბილისი, გამომც. სამართალი, 2001, წიგნი მესამე, 59.

²⁴⁰ იქვე, 61.

²⁴¹ *ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ.*, სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, გამომც. მერიდიანი, 2014, 55.

ცხოვრებაში გარიგებების დადებაში გამოიხატება.²⁴² მხარეთა ავტონომია გულისხმობს პირის უფლებას თავად გადაწყვიტოს, თუ ვისთან სურს შევიდეს სახელშეკრულებო ურთიერთობაში.²⁴³ ეს პრინციპი ასევე გულისხმობს უფლებას მხარემ აარჩიოს პირი, რომელთანაც არ სურს ხელშეკრულების დადება. თუმცა, მხარეთა ავტონომია არ არის შეუზღუდავი უფლება.²⁴⁴ მხარეთა ავტონომიისა და ასევე ხელშეკრულების დადების თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს ისეთ შემთხვევებში, როდესაც საქონლის ან მომსახურების მოწოდება ხდება ბაზარზე გაბატონებული პირის მიერ და მასთან ხელშეკრულების დადება წარმოადგენს ვალდებულებას. ამგვარ შეზღუდვას კონტრაქტების იძულების პრინციპი ჰქვია.²⁴⁵

მაგალითად, პირს კერძო ავტონომიის პრინციპით, არ შეუძლია აირჩიოს ელექტროენერჯის მიმწოდებელი კომპანია, თუ მას სურს მიეწოდებოდეს ელექტროენერჯია ის ვალდებულია ხელშეკრულება დადოს ბაზარზე გაბატონებულ კომპანიასთან.

კერძო ავტონომია ასევე შესაძლოა შეიზღუდოს სახელმწიფო ინტერესების სასარგებლოდ, კერძოდ სახელმწიფო უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე. მაგალითად სახელმწიფომ დაადგინოს ამკრძალავი ან შეზღუდავი რეგულაციები იარაღის შეძენის მსურველთათვის. ცხადია, ეს გარემოება ვერ იქნება კერძო ავტონომიის შეზღუდვა, რადგან თუ სახელმწიფო არ ჩაერეოდა ცეცხლსასროლი იარაღით ვაჭრობის პროცესში, სხვადასხვა რეგულაციის დადგენის გზით, საზოგადოებრივი წესრიგი და საჯარო მართლწესრიგი საფრთხის ქვეშ დადგებოდა.

ელექტრონული საშუალების გამოყენებით, ხელშეკრულების დადებისას, მხარე ბუნებრივია არ იზღუდება ამგვარი ვალდებულებით, უფრო, მეტიც, მას სახლიდან გაუსვლელად შეუძლია, უამრავი შეთავაზებიდან აირჩიოს მისთვის სასურველი პროდუქცია და მხოლოდ შემდეგ დადოს ან არ დადოს ხელშეკრულება.

ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი განმტკიცებულია, როგორც საქართველოს, ისე ყველა ევროპული ქვეყნის კონსტიტუციასა და სამოქალაქო სამართალში.

გერმანიის კონსტიტუციის მეორე მუხლის თანახმად, ყველა ადამიანს აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, იმგვარად, რომ არ მოხდეს სხვათა უფლებების დარღვევა, ან კონსტიტუციისა თუ მორალის ნორმების შელახვა.²⁴⁶ მსგავს ნორმებს შეიცავს საბერძნეთის, დანიის, ლუქსემბურგისა და ბელგიის კონსტიტუციები. ავსტრალიის

²⁴² თუმანიშვილი გ., გარიგებანი, თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2012, 7.

²⁴³ ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, გამომც. მერიდიანი, 2014, 55.

²⁴⁴ Bar Von Ch., Clive E., Schulte-Nölke H., Study Group on a European Civil Code, Principles, Definitions and Model Rules of European Private Law, Munich, GmbH European Law Publishers, 2009, 176.

²⁴⁵ ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, თბილისი, გამომც. სამართალი, 2001, წიგნი მესამე, 60.

²⁴⁶ იხ. გერმანიის კონსტიტუცია, მუხლი მეორე.

კანონმდებლობის მიხედვით, ხელშეკრულების თავისუფლება კონსტიტუციური პრინციპია და განმტკიცებულია სსკ-ის 859-ე მუხლით.²⁴⁷

ნებისმიერი სახის ხელშეკრულება წარმოადგენს მხარეთა შეთანხმების საფუძველზე დადგენილ წესების ერთობლიობას. როგორც წესი, მხარეთა მიერ ხელშეკრულების დადების უპირველეს პირობას სწორედ, ნების გამოვლენა წარმოადგენს.

ხელშეკრულების დადება, ძირითადად მხარეთა მიერ ხელშეკრულების პირობებზე შეთანხმების შემდეგ ხდება, თუმცა ელექტრონული საშუალების გამოყენებით ხელშეკრულების დადებისას, არ შეიძლება ვიხელმძღვანელოთ ხელშეკრულების დადების ზოგადი ნორმებით. რასაკვირველია ისეთი ძირითადი პირობები, როგორცაა მხარეთა შეთანხმება, ხელშეკრულების ფორმა, მასზე უარის თქმისა ან/და გასვლის უფლება, დაცული უნდა იქნეს ნებისმიერი ხელშეკრულების დადების დროს.

ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადებული ხელშეკრულების, სხვა ფორმით დადებული ხელშეკრულებებისაგან მთავარი განმასხვავებელი ნიშანი გახლავთ ის, რომ ამგვარი ხელშეკრულების დადება ხდება მხარეთა უშუალო შეხვედრის გარეშე. აქედან გამომდინარე, ხელშეკრულების პირობებზე შეთანხმება ხდება საკომუნიკაციო საშუალების – ტელეფონის, ინტერნეტის, ფაქსის გამოყენებით.

ოფერტი, აქცეპტი

ხელშეკრულება დადებულად ითვლება თუ მხარეები მიაღწევენ შეთანხმებას და იკისრებენ გარკვეულ უფლებებსა და ვალდებულებებს. მსგავსი კონსესუსი მიიღწევა ერთი მხარის მიერ მეორესათვის შეთავაზებით და თანხმობის მიღებით.²⁴⁸

ოფერტი და აქცეპტი ტრადიციულად, ხელშეკრულების დადების ცენტრალურ ნაწილს წარმოადგენს. ევროკავშირის ქვეყნების კანონმდებლობა და ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები - ხელშეკრულებას დადებულად მიიჩნევენ ოფერტისა და აქცეპტის საშუალებით.²⁴⁹

სამოქალაქო სამართლის ზოგადი წესის თანახმად, ხელშეკრულების დადების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობად ოფერტისა და აქცეპტის განხორციელება ითვლება. ოფერტისა და აქცეპტის ცნებებისა და მათი, როგორც ხელშეკრულების დადების სტადიების დაყოფა, მომდინარეობს არათანმყოფი პირების მიერ, დისტანციურად, დადებული ხელშეკრულებებიდან.²⁵⁰ ოფერტი (ხელშეკრულების დადების შეთავაზება) და

²⁴⁷ Bar Von Ch., Clive E., Schulte-Nölke H., Study Group on a European Civil Code, Principles, Definitions and Model Rules of European Private Law, Munich, GmbH European Law Publishers, 2009, 176.

²⁴⁸ ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, გამომც. მერიდიანი, 2014, 107..

²⁴⁹ Schulze R., Zoll F. European Contract Law, Oxford, UK, Hart Publishing, 2018, 118, para 18.

²⁵⁰ ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, თბილისი, გამომც. სამართალი, 2001, წიგნი მესამე, 85.

აქცეპტიც (შეთავაზების მიღება) წარმოადგენს ნების გამოვლენას, თუმცა სამართლებრივი შედეგი მხოლოდ მაშინ დგება, თუ სახეზე ერთდროულად გვაქვს ორივე.²⁵¹

ოფერტისა და აქცეპტის, როგორც ხელშეკრულების დადების ერთ-ერთი წინაპირობის გამოყენება ხდება არაერთი ევროპული ქვეყნის მიერ. გამონაკლისს არც საქართველოს კანონმდებლობა წარმოადგენს. ოფერტი, სსკ-ის 329-ე მუხლის თანახმად, არის ერთი ან რამდენიმე პირისადმი, ხელშეკრულების დადების მიზნით, გაცხადებული შეთავაზება.²⁵² თუ ოფერტი მიღებული არ იქნება მეორე პირის მიერ, ის დამოუკიდებლად ვერ წარმოშობს სამართლებრივ ურთიერთობას. ოფერტზე თანხმობის გაცხადებას აქცეპტი ეწოდება. თუ აქცეპტანტი არ დაეთანხმება ოფერტს, არც ხელშეკრულება იარსებებს. თავის მხრივ ოფერანტი აქცეპტის მიღების შემთხვევაში მზადაა ხელშეკრულებით შეიბოჭოს თავი.²⁵³ პირის მიერ გაკეთებული ნებისმიერი შეთავაზება, თუნდაც ის მიმართული იყოს გარკვეული ხელშეკრულების დადებისაკენ, არ შეიძლება ჩაითვალოს ოფერტად. ის იმგვარად უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რომ სავარაუდო აქცეპტანტს შეძლებისდაგვარად აძლევდეს ამომწურავ ინფორმაციას, შეთავაზებულ პროდუქტზე ან მომსახურებაზე. იმ შემთხვევაში, როდესაც ოფერტი კეთდება არა ერთი ან რამდენიმე პირის, არამედ პირთა განუსაზღვრელი წრის მიმართ, ეს ოფერტზე მოწვევად იწოდება.²⁵⁴

იმისათვის რომ შეთავაზება ჩაითვალოს ოფერტად, სავალდებულოა ის იმგვარად იყოს ფორმულირებული, რომ აქცეპტის მიღებისთანავე შესაძლებელი იყოს ხელშეკრულების დადება და ასევე შეიცავდეს იმ პირობებს რაც ერთმნიშვნელოვნად სავალდებულოა ხელშეკრულების დადებისას.²⁵⁵

ინტერნეტი ყოველთვის არ არის ოფერტის გამგზავნისა და ადრესატს შორის პირდაპირი კომუნიკაციის დამყარების საშუალება. გზავნილის გაკეთება და მიღება რამდენიმე ეტაპად არის დაყოფილი, ის არ ხორციელდება დროის ერთ კონკრეტულ მონაკვეთში. ოფერტის მიღებისა და აქცეპტის დროის ზუსტად განსაზღვრის საკითხი ძალზედ მნიშვნელოვანია, რადგან ის პირდაპირ უკავშირდება მხარეთა უფლება-მოვალეობებს.²⁵⁶

ნების გამოვლენის ფაქტი, ბუნებრივია საკმარისი არ არის, მნიშვნელოვანია მოხდეს ნების მიღება ადრესატის მიერ, ამ პროცესს ნების მიღების თეორია ეწოდება. ადრესატის თანხმობას მნიშვნელობა არ აქვს,

²⁵¹ ბურდული ი., გაწერელია ა., დარჯანია თ., ეგნატაშვილი დ., ზოიძე ბ., ზუბიტაშვილი ნ., კვანტალიანი ნ., კორძია თ., მახარობლიშვილი გ., რუსიაშვილი გ., სვანაძე გ., ტაკაშვილი ს., ჩაჩავა ს., ჭანტურია ლ., ჯორბენაძე ს., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, თბილისი, 2017, 312.

²⁵² იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 329.

²⁵³ ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, თბილისი, გამომც. სამართალი, 2001, წიგნი მესამე, 121.

²⁵⁴ ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, გამომც. მერიდიანი, 2014, 118.

²⁵⁵ Bar Von Ch., Clive E., Schulte-Nölke H., Study Group on a European Civil Code, Principles, Definitions and Model Rules of European Private Law, Munich, GmbH European Law Publishers, 2009, 316.

²⁵⁶ Jain S., Electronic Contracts: Nature, Types and Legal Challenges, Dehli, 2016, 7.

მთავარი არსი მდგომარეობს ნების ადრესატამდე მისვლაში და არა მის მიერ ნების დადასტურებაში.²⁵⁷

არათანმყოფ პირებს შორის გაკეთებული ოფერტის ნამდვილობის მომენტის დადგენას პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ერთი გეოგრაფიული არეალიდან მეორემდე ინფორმაციის, თუნდაც ელექტრონული საშუალების გამოყენებით მიწოდებას, მცირე, მაგრამ დრო სჭირდება. საკითხის გასარკვევად უნდა დადგინდეს როგორც ოფერტის გაგზავნის, ისე მისი მიღების დროც. ოფერანტს შეუძლია დამატებით სთხოვოს პირს დაადასტუროს ოფერტის მიღების ფაქტი (მაგალითად ელექტრონული ფოსტის მიღების შემთხვევაში პირმა, ვის მიმართაც განხორციელდა ოფერტი, დაადასტუროს ელექტრონული ფოსტის მიღების ფაქტი), ბუნებრივია ამგვარი თხოვნა არ წარმოშობს არანაირ ვალდებულებას, შესაბამისად მხარეს შეუძლია არც ოფერტის მიღების ფაქტი არ დაადასტუროს და ცხადია არც ოფერტი მიიღოს. როგორც აღინიშნა ოფერტი აქცეპტის გარეშე არ წარმოადგენს სამართლებრივი ძალის მქონე ქმედებას.

ოფერტი აღარ წარმოადგენს შეთავაზებას მას შემდეგ რაც გავა აქცეპტის მიღების დრო. შესაძლოა კონკრეტული ვადა კანონმდებლობით განსაზღვრული არ იყოს, თუმცა ამ შემთხვევაში ვადის განსაზღვრა უნდა მოხდეს გონივრულად. ვადა შესაძლოა დამოკიდებული იყოს შედეგის დადგომის მიმართ მხარეთა ინტერესზე. ოფერენტი დროის მცირე მონაკვეთით არის დაინტერესებული მომხმარებელს შესთავაზოს კონკრეტული ობიექტი, რადგანაც ის შეზღუდულია სხვადასხვა გარემოებებით (მაგალითად ბაზარზე ფასის ცვლილებით). ოფერტის ადრესატისთვის კი უპირატესია ჰქონდეს რაც შეიძლება ბევრი დრო, რათა გააზრებულად მიიღოს გადაწყვეტილება.²⁵⁸

ელექტრონული საშუალების გამოყენებით ხელშეკრულების დადების შემთხვევაში ოფერტიც დისტანციურად ხორციელდება. მომხმარებელმა შესაძლოა ელექტრონული ფოსტის, ტელეფონის მეშვეობით ან მოკლე ტექსტური შეტყობინებით მიიღოს ოფერტი. თუ ეს ოფერტი მიმართული არ არის უშუალოდ მომხმარებლისადმი, მაშინ ამგვარი შეთავაზება შესაძლოა რეალურად წარმოადგენდეს არა ოფერტს, არამედ მოწვევას ოფერტზე.

მოწვევა ოფერტზე (INVITATIO AD OFFERENDUM)

სსკ-ს 329-ე მუხლის თანახმად, „წინადადება, რომელიც მიმართულია პირთა განუსაზღვრელი წრისადმი, წარმოადგენს მოწვევას ოფერტზე“²⁵⁹ ასეთ შემთხვევაში, ოფერტზე მომწვევი პირი სხვა პირებს სთავაზობს წარმოადგინონ ოფერტი, რომელსაც ის დაეთანხმება ან უარს იტყვის მასზე.

²⁵⁷ ბურდული ი., გაწერელია ა., დარჯანია თ., ეგნატაშვილი დ., ზოიძე ბ., ზუბიტაშვილი ნ., კვანტალიანი ნ., კორძია თ., მახარობლიშვილი გ., რუსიაშვილი გ., სვანაძე გ., ტაკაშვილი ს., ჩაჩავა ს., ჭანტურია ლ., ჯორბენაძე ს., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, თბილისი, 2017, 297.

²⁵⁸ Kötz H., Europäisches Vertragsrecht, Tübingen, Aufl. 2, 2015, 31.

²⁵⁹ იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 329.

თუ ოფერტზე მომწვევი გაკეთებულ ოფერტს დაეთანხმება, ის გახდება აქცეპტანტი.²⁶⁰

ორგანიზაციის ასეთ შემთხვევაში ოფერტზე მომწვევები უშუალოდ, მობილური ტელეფონის მეშვეობით, უკავშირდებიან კონკრეტულ პირებს, აწვდიან ინფორმაციას მათი პროდუქციისა თუ მომსახურების შესახებ და ამგვარად სთავაზობენ მომხმარებელს მათთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლას, მაგრამ მიუხედავად ამისა, ეს ქმედებაც უნდა შეფასდეს ოფერტზე მოწვევად და არა ოფერტად. თუ პირი არ დაინტერესდება მიღებული ინფორმაციით და არ გადადგამს შემდგომ ნაბიჯს, ოფერტზე მოწვევა დარჩება მხოლოდ შეთავაზებად და მას არ მოჰყვება არანაირი სამართლებრივი შედეგი. საინტერესოა ასევე ისეთი შემთხვევები, როდესაც კომპანიები, მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნისას იყენებენ პერსონალურ მონაცემებს, ადრესატებს მიმართავენ სახელით.

- **მაგალითი:** ქრისტინა, რომელიც სათხილამურო სპორტით არის გატაცებული, მობილური ტელეფონის მეშვეობით იღებს შეტყობინებას, ტექსტით: „ქრისტინა, ეს შეთავაზება შენთვისაა, თუ შენ დღესვე შეიძენ სათხილამურო კოსტუმს, შენ მიიღებ ფასდაკლებას ნებისმიერ სათხილამურო აქსესუარზე“. ეს შეთავაზება შესაძლოა ერთი შეხედვით გავდეს ოფერტს, ვინაიდან მიმართულია კონკრეტული პირის, ქრისტინას მიმართ და მასში მკაფიოდაა განსაზღვრული პირობები, თუმცა ის მაინც ოფერტზე მოწვევაა, რადგანაც დაინტერესების შემთხვევაში შეთავაზებული პირობები გავრცელდება არა მხოლოდ ქრისტინაზე, არამედ ნებისმიერ სხვა პირზე.

ელექტრონული საშუალების გამოყენებით ხელშეკრულების დადებისას, ინტერნეტ-მაღაზიასა თუ მობილურის მეშვეობით მიღებული შემოთავაზებები ითვლება ოფერტზე მოწვევად და ის არ წარმოშობს არავითარ ვალდებულებას, მანამ სანამ კონკრეტული პირი არ გამოხატავს სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლის სურვილს.

ოფერტზე მოწვევა, გაცხადებული უნდა იქნეს იმგვარად, რომ მასზე მხოლოდ აქცეპტის გაკეთება იყოს საკმარისი ხელშეკრულების დასადებად. მსგავსი საკანონმდებლო მოთხოვნებია გათვალისწინებული გერმანიის, იტალიის, ავსტრიისა და არაერთი ევროპული სახელმწიფოს სამოქალაქო კოდექსში.²⁶¹

საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ გაეროს კონვენციის (United Nations Convention for the International Sale of Goods) მე-14 მუხლის თანახმად, შეთავაზება, თუ ის გაკეთებულია ორი ან მეტი პირის მიმართ, მხოლოდ მაშინ

²⁶⁰ *ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, გამომც. მერიდიანი, 2014, 124.*

²⁶¹ *Bar Von Ch., Clive E., Schulte-Nölke H., Study Group on a European Civil Code, Principles, Definitions and Model Rules of European Private Law, Munich, GmbH European Law Publishers, 2009, 318.*

წარმოადგენს ოფერტზე მოწვევას, თუ ის საკმარისად მკაფიოდ გამოხატავს ხელშეკრულების დადების მზაობას, აქცეპტის გაკეთების შემთხვევაში.²⁶²

ოფერტის მიღებისა და აქცეპტის ვადა

როგორც არაერთხელ აღინიშნა, ელექტრონული საშუალების გამოყენებით ხელშეკრულების დადება არათანმყოფი პირების მიერ ხდება. სსკ-ის 330-ე მუხლის მეორე ნაწილი ადგენს არათანმყოფი პირის მიერ ოფერტის მიღების ვადას და ის ბუნებრივია განსხვავდება თანმყოფი პირისათვის დადგენილი ვადისაგან. თუ მაგალითად, პირებს შორის ხელშეკრულების პირობებზე მოლაპარაკება მიმდინარეობს ტელეფონის მეშვეობით (მათ შორის იმართება საუბარი), ითვლება რომ ისინი არიან თანმყოფი პირები და მათზე ვრცელდება სსკ-ის 330-ე მუხლის პირველი ნაწილის მოქმედება.²⁶³ რაც შეეხება არათანმყოფ პირებს, ასეთი ვითარების არსებობის დროს, ხელშეკრულების დადება არ ხდება მხარეების არც ფიზიკური და არც სატელეფონო კომუნიკაციის შედეგად. მაგალითად, თუ პირი ელექტრონული ფოსტის მეშვეობით სთავაზობს მეორე პირს სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლას იგულისხმება, რომ ისინი არ არიან თანმყოფი პირები, შესაბამისად მხარეს უნდა მიეცეს ვადა იმისათვის რომ მიიღოს ან უარი თქვას ოფერტზე.²⁶⁴

არათანმყოფ პირებს შორის ხელშეკრულების დადებისას ოფერტის გაგზავნისა და მიღების დრო ხელშეკრულებიდან წარმოშობილი სხვადასხვა ვადის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანი საკითხია. „საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ გაეროს კონვენციაში გამოყენებული ტერმინები „მიღება“ და „მიღწევა“ იხმარება იმ პირის მიმართ, ვისაც გაუგზავნეს ოფერტი ან ინფორმაცია, ხოლო თავად გამგზავნის მიერ განხორციელებული ქმედებები მოხსენიებულია ტერმინებით „გაგზავნა“ და „მიცემა“. კონვენციის მეორე თავში კი ტერმინი „მიღწევა“ განმარტებულია იმგვარად, როდესაც ოფერტი ან აქცეპტი ან ხელშეკრულების დადებაზე მზაობის სხვაგვარი გამოვლინება მიაღწევს ადრესატამდე, ზეპირად გამოვლენილი ნების შემთხვევაში მომენტალურად, ხოლო ელექტრონული საშუალების გამოყენებისას კი მას შემდეგ, როდესაც ინფორმაცია ადრესატამდე მივა ელექტრონული ფოსტის ან სხვა საშუალების გამოყენებით.²⁶⁵

ნების მისვლის მომენტის განსაზღვრა უნდა მოხდეს იმის გათვალისწინებით, თუ ზოგადად რა დრო ჭირდება ნების ადრესატამდე მისვლას. მას შემდეგ რაც ნება ადრესატის ზემოქმედების სფეროში

²⁶² United Nations Convention for the International Sale of Goods, art. 14.

²⁶³ *კანტურია ლ., ზოიძე ბ.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, თბილისი, გამომც. სამართალი, 2001, წიგნი მესამე, 129.

²⁶⁴ იქვე, 131.

²⁶⁵ *Martin Charles H.*, The Electronic Contracts Convention, the CISG, and New Sources of E-Commerce Law, *Tulane Journal of International & Comparative Law*, vol.16, No.2 2008, 480-481, <https://ssrn.com/abstract=1120333> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.08.2018.

აღმოჩნდება, მას უნდა მიეცეს საშუალება ნორმალურ ვითარებაში გაეცნოს მიღებულ ნებას.²⁶⁶

თანმყოფი პირისათვის დადგენილ ვადისგან განსხვავებული პირობების შემოღება განპირობებულია იმით, რომ ელექტრონული საშუალების გამოყენებით ოფერტის გაგზავნას და ადრესატამდე მისვლას იმაზე მეტი დრო სჭირდება ვიდრე თანმყოფ პირებს შორის შემდგარი მოლაპარაკებისას გაკეთებულ ოფერტს.²⁶⁷

ტექნიკური თვალსაზრისით, შესაძლოა აღინიშნოს, რომ ელექტრონული ფოსტის გაგზავნასა და მის ადრესატამდე მისვლას სულ რამდენიმე წუთი სჭირდება, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ სავარაუდო აქცეპტანტმა მაშინვე უნდა მოახდინოს რეაგირება შეთავაზებაზე. შესაძლოა პირმა ელექტრონული ფოსტა, თუნდაც სხვა დროის სარტყელში ყოფნის გამო, მხოლოდ რამდენიმე საათის შემდეგ შეამოწმოს.

ინტერნეტ-ვაჭრობის დროს ოფერტი გაკეთებულად ითვლება მაშინ, როდესაც მომხმარებელი სასურველი ნივთის შეკვეთის მიზნით, ელექტრონულად გაივლის ყველა საფეხურს და ხელს დააჭერს „შეძენის“ ღილაკს. ამ მომენტიდან ის ცხადად აფიქსირებს სურვილს შევიდეს სახელშეკრულებო ურთიერთობაში და ამასთან ამ ინფორმაციას გზავნის აქცეპტანტთან. შედარებით პრობლემატურია იმის გარკვევა თუ როდიდან ითვლება აქცეპტი მიღებულად - როდესაც მოხდება შეკვეთის დადასტურება, შეტყობინების ელექტრონული ფორმით გამოგზავნა, თუ თავად შეკვეთის გამოგზავნის დროს. ამ შეკითხვაზე ცალსახა პასუხი არ არსებობს და ყველა შემთხვევაში უნდა გადაწყდეს ინდივიდუალურად. ამ მიზნით, ის ელექტრონული შეტყობინებები, რასაც მოვაჭრე აგზავნის მომხმარებელთან უნდა შემოწმდეს და განიმარტოს ყურადღებით.²⁶⁸

გამომდინარე იქედან, რომ ოფერანტსა და აქცეპტანტს შორის ურთიერთობა, შეუთანხმებლობის შემთხვევაში არ წარმოშობს სამართლებრივ ვალდებულებებს, არც აქცეპტანტია ვალდებული მიიღოს ოფერტი და არც ოფერანტია ვალდებული უსასრულოდ ელოდოს პასუხს აქცეპტანტისგან.²⁶⁹

- **მაგალითი:** დათომ გადაწყვიტა მის ტრტრამეულღეს დაბადების დღის აღსანიშნავად აჩუქოს კაბა. ამ მიზნით ის შედის ინტერნეტ-მაღაზიის ვებ-გვერდზე, რომლის დიდი ხნის მომხმარებელიცაა, არჩევს სასურველ კაბას და ხელს აჭერს ყიდვის ღილაკს. მან იცის, რომ ნივთის ტრანსპორტირება უნდა მოხდეს იმავე ან მომდევნო

²⁶⁶ ბურდული ი., გაწერელია ა., დარჯანია თ., ეგნატაშვილი დ., ზოიძე ბ., ზუბიტაშვილი ნ., კვანტალიანი ნ., კორძია თ., მახარობლიშვილი გ., რუსიაშვილი გ., სვანაძე გ., ტაკაშვილი ს., ჩაჩავა ს., ჭანტურია ლ., ჯორბენაძე ს., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, თბილისი, 2017, 297.

²⁶⁷ ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, თბილისი, გამომც. სამართალი, 2001, წიგნი მესამე, 132.

²⁶⁸ Solmecke Ch. *Handel im Netz*, Berlin, CPI books GmbH, Leck, 2014, 93-94 Rn. 49-51.

²⁶⁹ ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, თბილისი, გამომც. სამართალი, 2001, წიგნი მესამე, 133.

დღეს. ყიდვის დილაკზე ხელის დაჭერით დათო მაღაზიის მიმართ აკეთებს ოფერტს და ის ვალდებულია დაელოდოს აქცეპტს, რაც როგორც წესი რამდენიმე წუთში მაღაზიიდან მიღებული შეტყობინებით დასტურდება. დათოს შეტყობინება არ მიუვიდა არც იმ დღეს და არც მომდევნო სამი სამუშაო დღის განმავლობაში. ის ითვალისწინებს ტრანსპორტირების ვადებს და ხვდება, რომ საჩუქარი მეუღლის დაბადების დღისთვის ისევ არ იქნება გამოგზავნილი. ამ მიზეზით მას აღარ სურს ნივთის გამოწერა და აუქმებს ოფერტს.

ამგვარი სიტუაციის თავიდან აცილების მიზნით, შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ვადის დათქმის პრაქტიკა. თუ ოფერანტი გააცხადებს, რომ ის აქცეპტს ელოდება კონკრეტული თარიღის ჩათვლით, იგულისხმება, რომ შემდგომში გაკეთებული აქცეპტი არის ოფერტი.²⁷⁰ თუ კონკრეტული თარიღი მითითებული არ არის, მაშინ პირმა გონივრულ ვადაში უნდა მოახდინოს აქცეპტის გაკეთება. გონივრული ვადა შესაძლოა განსხვავებული იყოს იმის მიხედვით, თუ რა სახის ხელშეკრულებაზეა საუბარი. ისეთ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულება იდება ფართო მოხმარების საგანზე და მასზე ფასი მერყეობს, ბუნებრივია აქცეპტი უნდა გაკეთდეს დროის მცირე მონაკვეთში, მაგრამ თუ ხელშეკრულება იდება ნაგებობის აშენების შესახებ, მას უფრო დიდი დრო დასჭირდება.²⁷¹

აქცეპტის მიღებამდე, ოფერანტს უფლება აქვს გაიხმოს მისი შეთავაზება. გახმობის სურვილის შესახებ ინფორმაცია, აქცეპტის გაკეთებამდე უნდა მიეწოდოს პირს, რომლის მიმართაც გაკეთდა ოფერტი. თუმცა ოფერტის გახმობა არ შეიძლება ისეთ შემთხვევაში, როდესაც მსგავსი დათქმა გათვალისწინებული არ არის. უფრო მეტიც, ოფერტის გახმობა დაუშვებელია მაშინაც, თუ ოფერტის ადრესატს ჰქონდა საფუძვლიანი ნდობა (ვარაუდი) იმისა, რომ ოფერტი არ იქნებოდა გახმობილი.²⁷²

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის თანახმად, დადგენილია ოფერტისა და აქცეპტის გამოყენების წესები. გსკ-ს 145-ე მუხლის თანახმად, ის ვინც სხვას სთავაზობს ხელშეკრულების დადებას შეზღუდულია ამ ოფერტით. გამომდინარე იქედან, რომ გერმანელი კანონმდებელი პირდაპირ ადგენს ხელშეკრულების დისტანციურად დადების წესს, მისგან გასვლისა თუ მოშლის საფუძვლებს, მომხმარებლის მიერ აქცეპტის გაკეთების ვადასაც განსაზღვრავს. გსკ 147-ე მუხლის მეორე პარაგრაფის თანახმად, არათანმყოფი პირისათვის გაკეთებული ოფერტი შეიძლება მხოლოდ იმ მომენტამდე იქნეს მიღებული, როდესაც ოფერანტს ჩვეულებრივი გარემოებების არსებობისას შეუძლია დაელოდოს პასუხს.²⁷³

²⁷⁰ Bar Von Ch., Clive E., Schulte-Nölke H., Study Group on a European Civil Code, Principles, Definitions and Model Rules of European Private Law, Munich, GmbH European Law Publishers, 2009, 326.

²⁷¹ იქვე, 344.

²⁷² UNCITRAL Model Law on Electronic Commerce with Guide to Enactment, New York, United Nations Publication, 1999, 37.

²⁷³ იხ. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 147.

ოფერტი და აქცეპტი ხელშეკრულების დადების ერთ-ერთი, მაგრამ არა ერთადერთი წინაპირობაა. ნებისმიერი ხელშეკრულების დადების უპირობო საფუძველი მაინც მხარეთა შეთანხმება – კონსენსუსია. ხელშეკრულების დადების მიზანს, მხარეთათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის მიღწევა წარმოადგენს.²⁷⁴

ელექტრონული საშუალების გამოყენებით ხელშეკრულების დადებისას, მხარეების მიერ უმეტესად არ ხდება გარიგების პირობებზე წინასწარი შეთანხმება. ხელშეკრულების დადების მიზნით ელექტრონული საშუალების გამოყენებისას, მხარეები ერთმანეთს არ ხვდებიან, შესაბამისად ისინი შესაძლოა არც წერილობით და არც სიტყვიერად არ გამოხატავდნენ ხელშეკრულების დადების სურვილს. ასეთ შემთხვევაში მხარის მიერ ნების გამოხატვას ადასტურებს კონკრეტული მოვაჭრის მიერ დადგენილი წესების მიღება. არათანმიოფი პირების მიერ ხელშეკრულების დადების ნების გამოვლენად ითვლება ერთის მხრივ ოფერტზე მოწვევა, ხოლო მეორეს მხრივ ოფერტის მიღება და აქცეპტის გაკეთება.

- **მაგალითი:** ინტერნეტ-მაღაზია „სქაილაინი“ მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში მცხოვრებ ადამიანებს სხვადასხვა სახის საყოფაცხოვრებო ნივთების ფართო არჩევანს სთავაზობს – ახდენს ოფერტზე მოწვევას. იმისათვის რომ მომხმარებელმა შეძლოს სასურველი პროდუქციის გამოწერა, საჭიროა დარეგისტრირდეს ვებგვერდზე. მას, მხოლოდ რეგისტრაციისათვის საჭირო პროცედურების გავლის შემდეგ, ეძლევა საშუალება შეარჩიოს და შეიძინოს შემოთავაზებული ნივთი ან მომსახურება და ამ გზით გახდეს ხელშეკრულების მხარე.

ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადებული ხელშეკრულების ნამდვილობისათვის საჭიროა კუმულატიურად არსებობდეს რამდენიმე წინაპირობა. მათ შორის უმთავრესი ხელშეკრულების დადებაზე სათანადო უფლებამოსილების მქონე პირების არსებობაა.

4.2. ელექტრონული საშუალებებით დადებული ხელშეკრულების ბათილობა

ნების გამოვლენა და მისი მიღება საკმარისი არ არის იმისათვის რომ მოხდეს ნების ნამდვილობის დადგენა. პროფესორი ფრიდრიხ სავინი ნების ნამდვილობას სამ კომპონენტად ჰყოფს, ესენია: თავად ნება, მისი გამოვლენა და ნებისა და მისი გამოვლენის ურთიერთშეთანხმება.²⁷⁵ ამ სამი ეტაპიდან ერთ-ერთის ნაკლი განაპირობებს ნების არარსებობას ან არანამდვილობას. თუ ნება გამოვლენილი არ არის იმგვარად, რომ მისი ობიექტურად შეცნობა იყოს

²⁷⁴ *ჟანტურია ლ., ზოიძე ბ.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, თბილისი, გამომც. სამართალი, 2001, წიგნი მესამე, 87.

²⁷⁵ *Savigny F.*, System des heutigen römischen Rechts, Band III, §114, 1840, 99, http://dlib-pr.mpijpr.mpg.de/m/kleioc/0010/exec/bigpage/%22199246_00000105.gif%22 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 24.04.2019.

შესაძლებელი, მაშინ ის სამართლებრივად არ არსებობს, ხოლო თუ ნების გამოვლენა არის მოჩვენებითი ან მართლსაწინააღმდეგო, ნების გამოვლენა სახეზეა, თუმცა ის არ არის ნამდვილი.²⁷⁶

ორ მხარეს შორის დადებულია ხელშეკრულებამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს იმ პირებზეც, რომლებიც არ არიან მისი მონაწილეები. ეს გავლენა შესაძლოა უარყოფითი იყოს და წარმოშვას გარკვეული სირთულეები, როგორც ეკონომიკურ, ისე სამართლებრივ ჭრილში. კანონსაწინააღმდეგო შეთანხმებები, როგორცაა აკრძალული საქონლით ვაჭრობა, მექრთამეობა, კორუფცია საზოგადოებრივი ინტერესის საწინააღმდეგო გარიგებების მცირე მაგალითს წარმოადგენენ. შეთანხმებები, რომლებსაც საზოგადოებაზე უარყოფითი ეფექტი აქვს, არის მორალისა და საზოგადოებრივი წესრიგის საწინააღმდეგო, არ გააჩნია სავალდებულო ხასიათი და ის დადების მომენტიდან არის ანულირებული, ბათილი.²⁷⁷

გარიგების ბათილობა გულისხმობს ისეთ შემთხვევას, როცა მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობა მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს და მას არანაირი სამართლებრივი ძალა ან შედეგი თან არ სდევს.

ბათილი გარიგება არსებობის ვერც ერთ ეტაპზე ვერ წარმოშობს რაიმე სამართლებრივ ურთიერთობას ან შედეგს. როდესაც გარიგება არის ბათილი, მისგან გამომდინარე შედეგი არ მიიჩნევა დამდგარად. გარიგების ბათილობისას გამოვლენიული ნება არ მიიჩნევა ნამდვილად არსებითი და გამოუსწორებელი ნაკლის გამო, რაც გამორიცხავს სამართლებრივი შედეგის დადგომას.²⁷⁸

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ბათილი გარიგების რამდენიმე სახეს გამოარჩევს, ესენია: უცილოდ ბათილი გარიგება, ნაწილობრივ ბათილი გარიგება, მერყევად ბათილი გარიგება, ფარდობითად ბათილი გარიგება, საცილო გარიგება; ეს უკანასკნელი ბათილი, შეცილების შემთხვევაში, დადების მომენტიდან ხდება.²⁷⁹

უცილოდ ბათილი გარიგება დადებისთანავე ბათილია და არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგს. ამგვარ გარიგებას ნამდვილად ვერ აქცევს ვერც მხარეთა სხვაგვარი მოქმედება, ვერც სახელმწიფოს მხრიდან მოწონება ან სასამართლოს მიერ განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება. მოქმედი კანონმდებლობა არ უშვებს ბათილი გარიგების გამოსწორების შესაძლებლობას. ხელშეკრულების ბათილად ცნობისათვის რაიმე

²⁷⁶ კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, გამომც. ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2009, 261.

²⁷⁷ Ganuza J., Pomar Gomez F., The Strategic Structure of Contract Law, Univeristy of Pompeu Fabra, Barcelona, 47, <https://www.scribd.com/document/228415029/Strategic-Structure-Contract-Law> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 21.07.2018.

²⁷⁸ კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, გამომც. ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2009, 263-264.

²⁷⁹ ბურდული ი., გაწერელია ა., დარჯანია თ., ეგნატაშვილი დ., ზოიძე ბ., ზუბიტაშვილი ნ., კვანტალიანი ნ., კორძაია თ., მახარობლიშვილი გ., რუსიაშვილი გ., სვანაძე გ., ტაკაშვილი ს., ჩაჩავა ს., ჭანტურია ლ., ჯორბენაძე ს., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, თბილისი, 2017, 338.

პროცედურების დაცვა საჭირო არ არის. უცილოდ ბათილი გარიგება დადების მომენტიდანვე ბათილია.²⁸⁰

ვინაიდან პირის მიერ გამოვლენილი ნების ბათილად ცნობა უკიდურესი ზომაა, კანონმდებლობით ასევე დაშვებულია გარიგების კონვერსია. სსკ-ის მე-60 მუხლის თანახმად, თუ ბათილი გარიგება აკმაყოფილებს სხვა გარიგებისათვის გათვალისწინებულ მოთხოვნებს, გამოიყენება ეს უკანასკნელი, თუკი გარიგების ბათილობის შეტყობისას მხარეებს სურთ მისი ნამდვილობა. კონვერსიის მიზანს გარიგების ბათილობისაგან გამოწვეული უარყოფითი შედეგებისაგან მხარეთა დაცვა წარმოადგენს. კონვერსიის წინაპირობა გარიგების ბათილობაა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გარიგება უნდა იყოს ბათილი, სხვა შემთხვევაში ვერ მოხდება მისი კონვერსია. ბათილი ხელშეკრულების მიუხედავად, მხარეები მიზნად უნდა ისახავდნენ მართლზომიერ შედეგს, სხვა შემთხვევაში კონვერსია გამორიცხულია.²⁸¹

კონვერსიისაგან განსხვავდება სსკ-ის 59-ე მუხლით დადგენილი საცილოდ ბათილი გარიგება. მუხლის თანახმად საცილო გარიგება ბათილია მისი დადების მომენტიდან, თუკი იგი შეცილებული იქნება. საცილოდ ბათილი გარიგება მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება ბათილი, თუ მოხდება შეცილება, სხვა შემთხვევაში ხელშეკრულება ითვლება ნამდვილად. შეცილება იწვევს არსებული სამართლებრივი მდგომარეობის შეცვლას, შესაბამისად ის წარმოადგენს ცალმხრივად განმსაზღვრელ ნების გამოვლენას.²⁸² საცილოდ ბათილი გარიგებისთვის საკმარისია დაინტერესებული პირის მიერ ადრესატის მიმართ განხორციელდეს შეცილება. გარიგების შეცილებისათვის სასამართლოსთვის სარჩელით მიმართვა საჭირო აღარ არის.²⁸³

შეცილების საფუძველი შესაძლოა გახდეს შეცდომა გარიგების შინაარსში, საფუძვლებში, კონტრაქტის პიროვნებაში, საგნის ძირითად თვისებებში, უფლებაში მოტივში და ა.შ. გარიგების შეცილების საფუძველი შესაძლოა ასევე გახდეს მოტყუებით ან იძულებით გამოხატული ნება.

შეცდომის შემთხვევაში პირს მცდარი წარმოდგენა აქვს შემთხვევის შემადგენლობაზე და მის მიერ გამოვლენილი ნება არ ესადაგება მის რეალურ ნებას.²⁸⁴

უნდა აღინიშნოს, რომ ყველანაირი შეცდომა ვერ გახდება შეცილების საფუძველი. თუ მაგალითად პირი დაუდევრობის ან არასერიოზული

²⁸⁰ იქვე, 314.

²⁸¹ *ბურდული ი., გაწერელია ა., დარჯანია თ., ეგნატაშვილი დ., ზოიძე ბ., ზუბიტაშვილი ნ., კვანტალიანი ნ., კორძაია თ., მახარობლიშვილი გ., რუსიაშვილი გ., სვანაძე გ., ტაკაშვილი ს., ჩაჩავა ს., ჭანტურია ლ., ჯორბენაძე ს.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, თბილისი, 2017, 356-357.

²⁸² *კერესელიძე დ.*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, გამომც. ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2009, 270.

²⁸³ *ბურდული ი., გაწერელია ა., დარჯანია თ., ეგნატაშვილი დ., ზოიძე ბ., ზუბიტაშვილი ნ., კვანტალიანი ნ., კორძაია თ., მახარობლიშვილი გ., რუსიაშვილი გ., სვანაძე გ., ტაკაშვილი ს., ჩაჩავა ს., ჭანტურია ლ., ჯორბენაძე ს.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, თბილისი, 2017, 318.

²⁸⁴ იქვე, 411.

დამოკიდებულების გამო უშვებს შეცდომას გარიგებაში, ამ ვითარებამ არ უნდა დააზარალოს ხელშეკრულების მეორე მხარე, რომელიც კეთილსინდისიერად მოქმედებდა და მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულების მოლოდინი გააჩნდა. შეცდომა საცილო შესაძლოა გახდეს იმ შემთხვევაში, თუ ის არსებითია.

არსებითია შეცდომა, როდესაც პირი, რომელმაც შემთხვევით გამოავლინა ნება, ობიექტური გარემოებების შესახებ ჭეშმარიტი ვითარების აღქმის შემთხვევაში არ გამოავლენდა ასეთ ნებას ან სხვაგვარად გამოხატავდა სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლის სურვილს.²⁸⁵ იმისათვის რომ დადგინდეს არსებითია თუ არა შეცდომა, უნდა მოხდეს როგორც ობიექტური ისე სუბიექტური კრიტერიუმების გათვალისწინება, უნდა შეფასდეს მსგავს ვითარებაში, საქმის ჭეშმარიტი მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ფლობის შემთხვევაში როგორ იმოქმედებდა გონიერი ადამიანი.²⁸⁶

ელექტრონული საშუალებით დადებული ხელშეკრულება შესაძლოა შეცდომის გამო იქცეს ბათილად. აღნიშნული შესაძლოა გამოწვეულ იქნეს შეცდომით გარიგების შინაარსში, საფუძველში და ა.შ. შეცდომა შესაძლოა ასევე სახეზე იყოს მაშინ, როდესაც მექანიკურად ხდება ნების გამოვლენა ხელშეკრულების დადების თაობაზე. ელექტრონული ვაჭრობის დროს შესაძლოა მომხმარებელს რამდენიმე ბმულზე გადასვლა მოუწიოს, რა დროსაც მექანიკურად გამოავლინოს ნება ისეთი საგნის ან მომსახურების შექენაზე, რაც არ წარმოადგენს მის რეალურ ნებას.²⁸⁷ იმისათვის, რომ არ მოხდეს მომხმარებელთა გამოუცდელით ბოროტად სარგებლობა და თავიდან იქნეს აცილებული მექანიკური შეცდომების დაშვება, „მომხმარებლის უფლებების შესახებ“ დირექტივა, ისევე როგორც ყველა საკანონმდებლო აქტი, რომელიც ელექტრონულ ვაჭრობასა თუ მომხმარებელთა უფლებებს არეგულირებს, მოვაჭრეს ავალდებულებს მომხმარებელს თვალსაჩინოდ და ამომწურავად მიაწოდოს ინფორმაცია ხელშეკრულების თაობაზე. მომხმარებელს ელექტრონული ხელშეკრულების დადების დროს არ უნდა უწევდეს სხვადასხვა ბმულებზე გადამისამართება და ინფორმაციის იმგვარი ფორმით მიღება, რაც მას ხელს შეუშლის ნამდვილი ნების გამოვლენაში.

მომხმარებლის მხრიდან შეცდომა ასევე შესაძლოა გამოწვეულ იქნეს ე.წ. მოულოდნელობის ეფექტის გამო, რაც თან სდევს სატელეფონო მარკეტინგს. იგულისხმება შემთხვევა, როდესაც მოვაჭრე ტელეფონის მეშვეობით უკავშირდება მომხმარებელს, რომელსაც მხოლოდ ზეპირსიტყვიერად მიეწოდება ინფორმაცია ხელშეკრულების საგნის თაობაზე. ამ გარემოებამ

²⁸⁵ ბურდული ი., გაწერელია ა., დარჯანია თ., ეგნატაშვილი დ., ზოიძე ბ., ზუბიტაშვილი ნ., კვანტალიანი ნ., კორძია თ., მახარობლიშვილი გ., რუსიაშვილი გ., სვანაძე გ., ტაკაშვილი ს., ჩაჩავა ს., ჭანტურია ლ., ჯორბენაძე ს., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, თბილისი, 2017, 412.

²⁸⁶ ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, გამომც. „სამართალი“, 2011, 366

²⁸⁷ ლაკერბაია თ., ხელშეკრულების უარყოფის უფლება: ქართული და ევროპული სახელშეკრულებო სამართლის შედარებითი ანალიზი, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2016, 170.

შესაძლოა გამოიწვიოს მხარის ნების შეცდომით გამოვლენა, რომელიც რეალურად არ შეესაბამება მის ნამდვილ ნებას. მოულოდნელობის ეფექტი ასევე ახასიათებს ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებას. მოვაჭრე, როგორც წესი, მომხმარებელს მოულოდნელ ვითარებაში სთავაზობს სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლას, რაც პირს უზღუდავს შესაძლებლობას განსაჯოს რეალურად სურს თუ არა ხელშეკრულების დადება. ამ ვითარებაში მომხმარებელს არ აქვს საშუალება გააკეთოს სათანადო არჩევანი იმის შესახებ, შეთავაზებული საქონელი აკმაყოფილებს თუ არა მის მოთხოვნებს.²⁸⁸

სსკ-ის 81-ე მუხლის თანახმად, თუ პირი გარიგების დადების მიზნით მოატყუეს, იგი უფლებამოსილია მოითხოვოს ამ გარიგების ბათილობა. ეს ხდება მაშინ, როცა აშკარაა, რომ მოტყუების გარეშე გარიგება არ დაიდებოდა. შეცდომისგან განსხვავებით, მოტყუების დროს, ნების ნაკლი გამოიწვეულია არა თავად ნების გამომვლენი პირის, არამედ გარიგების მეორე მხარის მიერ. მოტყუება გარიგების მხარის შეგნებული, გასაკიცხი ქმედებაა. მოტყუებით დადებული გარიგების ბათილად ცნობა არ საჭიროებს დამატებითი გარემოებების გათვალისწინებასა თუ გადახედვას, დაზარალებულ მხარეს ყოველთვის აქვს უფლება მოითხოვოს ხელშეკრულების ბათილობა და მიყენებული ზიანის ანაზღაურება.²⁸⁹

გარიგების ბათილობისთვის მოტყუების საფუძველს მნიშვნელობა არ აქვს, შეეხება იგი გარიგების საგანს თუ სხვა გარემოებებს რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს ხელშეკრულების მხარის მიერ გამოვლენილ ნებაზე.²⁹⁰

როგორც მუხლის შინაარსიდან ირკვევა, გარიგება ბათილია იმ შემთხვევაში „როცა აშკარაა, რომ მოტყუების გარეშე გარიგება არ დაიდებოდა“. მოყვანილი დანაწესის მიხედვით, თუ გარიგება მოტყუების გარეშე დაიდებოდა, მაშინ ტყუილი ვერ იქნება გარიგების ბათილობის საფუძველი, თუმცა მოტყუებულ მხარეს შეუძლია მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება.²⁹¹

როგორც არაერთხელ აღინიშნა, ელექტრონული საშუალების გამოყენებით ხელშეკრულების დადებისას მოვაჭრე ვალდებულია მომხმარებელს მიაწოდოს სწორი ინფორმაცია როგორც ხელშეკრულების ობიექტის ისე პირობების შესახებ. თუმცა ხშირია შემთხვევები, როდესაც მოვაჭრის მიერ განზრახ ხდება მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა. თუ მოვაჭრე არასწორ ინფორმაციას აწვდის მომხმარებელს ხელშეკრულების საგნის მახასიათებლის შესახებ, რაც არსებითად შეუსაბამოა იმ წარმოდგენასთან, რაც მომხმარებელს შეექმნა, მას წარმოემობა შეცილების უფლება. მოტყუებით დადებული გარიგება, მას შემდეგ რაც

²⁸⁸ *Loos M.*, Rights of Withdrawal. Centre for the Study of European Contract Law Working Paper Series No. 2009/04. SSRN: <https://ssrn.com/abstract=1350224> or <http://dx.doi.org/10.2139/ssrn.1350224>
უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 12.05.2019

²⁸⁹ *ჭანტურია ლ.*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, გამომც. „სამართალი“, 2011, 377.

²⁹⁰ იქვე, 378.

²⁹¹ *ზოიძე ბ.*, *ჭანტურია ლ.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, თბილისი, გამომც. სამართალი, 2002, წიგნი პირველი, 240.

მომხმარებლისათვის ცნობილი გახდება ამ გარემოების შესახებ და მოხდეს შეცვლა, იქცევა ბათილად.

მხოლოდ ფაქტების გაზვიადება, ან შეთავაზებული პროდუქტის გადაჭარბებული დახასიათება არ მიიჩნევა მოტყუებად. მოვაჭრე ყოველთვის არის დაინტერესებული სარფიანად გაყიდოს საქონელი, ამისათვის ის მიმართავს რეკლამასა და სხვა სახის აქციებს, რაც ვერ იქნება აღქმული არაკეთილსინდისიერ ქმედებად.²⁹²

მომხმარებლის უფლებების დაცვას აბსოლიტური ხასიათი არ გააჩნია, შესაბამისად არ უნდა მოხდეს განოზგადება და იმგვარი ბარიერების შეცდომად, ან მოტყუებად მიჩნევა, როგორცაა მაგალითად მომხმარებლის მიერ იმ ენის არ ცოდნა, რომელიც მოვაჭრემ გამოიყენა მომხმარებლისათვის სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდებისათვის. ბუნებრივია ამ გარემოებამ შესაძლოა დაბრკოლება შეუქმნას მომხმარებელს ინფორმაციის აღქმაში, თუმცა მსგავსი შემთხვევა არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც მოვაჭრის მიერ მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა ან მოტყუება და გახდეს გარიგების ბათილობის წინაპირობა.

იძულებით დადებული გარიგება წარმოადგენს ნების ნაკლის შედეგად დადებული გარიგების ყველაზე მძიმე ფორმას. თუ მოტყუების დროს სახეზეა შეცდომა, იძულების დროს გარიგება მხარის ნების საწინააღმდეგოდ იდება. იძულების დროს, მხარე სრულად აცნობიერებს არსებულ გარემოებას, არ სურს ამგვარ გარიგებაზე ნების გამოვლენა, თუმცა მოკლებულია შესაძლებლობას იმოქმედოს სხვაგვარად. იძულების დროს პირს ექმნება წარმოდგენა, რომ მას ან მის ქონებას რეალური საფრთხე ექმნება.²⁹³ იმისათვის რომ მხარის მიერ არ მოხდეს მუქარის ცნების განოზგადება და უფლებით ბოროტად სარგებლობა, სსკ-ის 88-ე მუხლი აზუსტებს იძულების ფარგლებს - იძულებად არ ჩაითვლება ისეთი მოქმედებები, რომლებიც არ ხორციელდება არც მართლსაწინააღმდეგო მიზნით და არც მართლსაწინააღმდეგო საშუალებების გამოყენებით. ზემოხსენებულის გათვალისწინებით, თუ მხარე რომელიმე ვერ მიიღო ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულება და მეორე მხარეს მიუთითებს მის წინააღმდეგ სამართლებრივი ზომების გამოყენებაზე, არ არღვევს კანონის მოთხოვნებს და ამგვარი ქმედება ვერ იქნება იძულების მაგალითი.

იძულება გარიგების დადების მიზნით შესაძლოა მომდინარეობდეს როგორც ხელშეკრულების მეორე მხარის ისე მესამე პირისგან. ზოგადი წესის თანახმად მტკიცების ტვირთი ეკისრება იმ მხარეს, რომელიც აცხადებს, რომ მასზე განხორციელდა იძულება. თუმცა განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა იქნეს გამოჩენილი ისეთ შემთხვევებში, როდესაც გარიგების ერთი მხარე სახელმწიფო, ხოლო მეორე ფიზიკური ან იურიდიული პირია. სახელმწიფოს მონაწილეობით იძულებით დადებულ გარიგებებში, მტკიცების ტვირთი სახელმწიფოს ეკისრება. აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს

²⁹² ზოიძე ბ., *ქანტურია ლ.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, თბილისი, გამომც.

სამართალი, 2002, წიგნი პირველი, 240.

²⁹³ *ქანტურია ლ.*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, გამომც. „სამართალი“, 2011, 381.

უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ „სახელმწიფოს მონაწილეობით დადებული გარიგების მიმართ, თუკი მოსარჩელე კონკრეტულ ფაქტებზე მითითებით აცხადებს, რომ მასზე განხორციელდა იძულება (ფიზიკური ან ფსიქოლოგიური), პრეზუმირებულია, რომ იძულება განხორციელდა და სახელმწიფოს უბრუნდება მტკიცების ტვირთი, რომ იძულებას ადგილი არ ჰქონია. მანვე უნდა დაამტკიცოს, რატომ არის შეუძლებელი ამგვარი პრეზუმფციის დაშვება, რაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გარიგების შინაარსის დეტალურ კვლევასა და გაანალიზებას მოითხოვს“.²⁹⁴

ელექტრონული საშუალებით დადებული ხელშეკრულების იძულების მაგალითი იქნება სახელმწიფოს მხრიდან კონკრეტული პირის იძულება ელექტრონულ აუქციონზე გასაყიდად გამოიტანოს ან შეისყიდოს კონკრეტული ქონება, რაც რეალურად არ წარმოადგენს მხარის ნებას, თუმცა მასზე განხორციელებული მუქარის ან იძულების გამო არ აქვს სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა.

ხელშეკრულების დადების სავალდებულო ფორმის დაუცველობაც მისი ბათილობის ერთ-ერთი პირობაა. მაგალითად, თუ მხარეებმა უძრავ ქონებაზე ნასყიდობის ხელშეკრულება ზეპირი ფორმით გააფორმეს, იგულისხმება რომ მათ შორის სამართლებრივი ურთიერთობა არ წარმოშობილა.

სსკ-ს 54-ე მუხლის თანახმად, ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს.

გარიგება, თუ ის ეწინააღმდეგება კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს ბათილად ითვლება დადების მომენტიდან და არა ამ ფაქტის გამოვლენის ან კონკრეტული შედეგის დადგომისას. მაგალითად, თუ პირმა შეიძინა კანონით აკრძალული საგანი, ეს გარიგება ბათილად ჩაითვლება არა მას შემდეგ რაც გამოვლინდება, რომ პირი ფლობს კანონსაწინააღმდეგო საგანს, არამედ იმ მომენტიდან, როდესაც მან ეს ქმედება განახორციელა.

ბათილი ხელშეკრულება სამართლებრივ ძალას ვერ შეიძენს იმ შემთხვევაშიც კი თუ მხარეები სასამართლო გზით შეეცდებიან მის აღიარებას ან ბათილობის საფუძვლების აღმოფხვრას. გარიგების ბათილად ცნობისათვის უნდა არსებობდეს კანონის ან დადგენილი სამართლებრივი სისტემის უხეში უგულებელყოფა.²⁹⁵

საჯარო წესრიგის საწინააღმდეგოდ შესაძლოა მიჩნეულ იქნეს გარიგება, რომელიც არღვევს არა კონკრეტული პირის არამედ სახელმწიფო ინტერესებს, რადგან ეწინააღმდეგება ამ კონკრეტულის მიერ დადგენილ წესრიგს.²⁹⁶

²⁹⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2017 წლის 15 მაისის განჩინება (№ას-212-201-2017), 26, <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 12.05.2019.

²⁹⁵ *Withen K.L., Plitcha K., Yunayev R., Swenson G., Antonialli D., Blair K., Hoffman B.*, An Introduction to Contract Law in Timor-Leste, The Asia Foundation, Stanford Law School, 2013, 110-111.

²⁹⁶ *ბურდული ი., გაწერელია ა., დარჯანია თ., ეგნატაშვილი დ., ზოიძე ბ., ზუბიტაშვილი ნ., კვანტალიანი ნ., კორძაია თ., მახარობლიშვილი გ., რუსიაშვილი გ., სვანაძე გ., ტაკაშვილი ს., ჩაჩავა ს., ჭანტურია ლ., ჯორბენაძე ს.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, თბილისი, 2017, 341.

საჯარო წესრიგის საწინააღმდეგო გარიგება იქნება, მაგალითად უნივერსიტეტის მიერ სტუდენტისათვის სასწავლო პროცესში მონაწილეობის მიღების პირობად, ქვეყნის ტერიტორიაზე უძრავი ქონების ფლობის მოთხოვნა.

მსგავსად საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა, გსკ-ს 138-ე მუხლი ბათილად ცნობს გარიგებას, რომელიც ეწინააღმდეგება ზნეობის ნორმებს.²⁹⁷

ზნეობის განმარტებას არც სამოქალაქო კოდექსი და არც სხვა საკანონმდებლო აქტი არ გვთავაზობს. შესაბამისად იმის გარკვევა თუ რა არის ზნეობა ან მისი საწინააღმდეგო შეთანხმება განმარტების საგანს წარმოადგენს, რაც ხშირად სასამართლო სისტემის მოვალეობაა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის გადაწყვეტილებაში პალატამ მიიჩნია, რომ „...სახელმწიფო მხარეთა მიერ ნების გამოვლენას გარიგებათა დროს აქცევს გარკვეულ ფარგლებში და მას სამართლებრივ ზღვარს უდებს. ამისი მაგალითია შემთხვევები, როდესაც კანონმდებლობა გარკვეული სახის გარიგებებს ბათილად მიიჩნევს...“ პალატამ სსკ-ს 54-ე მუხლის ფარგლებში მოახდინა ზნეობის განმარტება: „ზნეობის ნორმებში ყოველთვის იგულისხმება წესიერება, სამართლიანობა, კეთილსინდისიერება. სამართლიანობა გულისხმობს მხარეთა ნაკისრი ვალდებულებების თანაბრობის პრინციპის დაცვას. ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებები ყოველთვის შესატყვისი უნდა იყოს მეორე მხარის ვალდებულებებთან. ამ თანაფარდობის დარღვევა ყოველთვის ბადებს გარიგების მონაწილეებზე სხვადასხვაგვარი ზეგავლენის, შეცდომაში შეყვანის, ან სხვადასხვაგვარი ზემოქმედების ვარაუდს, რაც ხშირად იწვევს უსამართლობისა ან უწყობის განცდას... გარიგების ამორალურად მისაჩნევად აუცილებელი არ არის იმ გარემოებათა დადგენა-დადასტურება, რამაც განაპირობა ამ გარიგების დადება. საკმარისია, არსებობდეს დისპროპორცია ხელშეკრულების მხარეების მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შორის, რომ სასამართლომ იგი მიიჩნიოს ამორალურ გარიგებად.“²⁹⁸

ხელშეკრულების ბათილობის ზოგადი წესი, ბუნებრივია ვრცელდება ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადებულ ხელშეკრულებებზე. განსაკუთრებით კი კანონის საწინააღმდეგო გარიგებაზე. ამის ნათელი მაგალითია ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმება ინტერნეტ სივრცეში არსებული ე.წ. შავი ბაზარზე, სადაც მხარეთა შეხვედრისა და მათ შორის ფიზიკური კომუნიკაციის გარეშე შესაძლებელია ისეთი აკრძალული ნივთებისა თუ მომსახურების შეძენა, როგორცაა ნარკოტიკული საშუალებები, იარაღი, ასევე სხვადასხვა ვიდეოები, რომელთა კანონსაწინააღმდეგოდ შეძენით ირღვევა საავტორო უფლებები. ბუნებრივია ამგვარი ქმედება ისჯება სისხლის სამართლის კანონმდებლობით, თუმცა მას არც სამოქალაქო სამართლებრივი ძალა არ აქვს.

მომსახურებასა და ფასს შორის თვალშისაცემი არაპროპორციულობა შესაძლებელია მიჩნეულ იქნეს ზნეობის საწინააღმდეგო გარიგებად.

²⁹⁷ იხ. გსკ, მუხლი 138.

²⁹⁸ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 12 იანვრის N28/4259-14 განჩინება, 10-11.

ანალოგიურად, ამორალურად შეიძლება იქნეს მიჩნეული, ელექტრონული საშუალებით დადებული სესხის ხელშეკრულებისას, ისეთი საპროცენტო განაკვეთის დაწესება, რომელიც მხარეს კაბალურ პირობებს უდგენს.

ამ მხრივ პროგრესულია ქართული სასამართლო პრაქტიკა, რომელიც მევახშეობასთან მიმართებით ხშირად იყენებს სსკ-ს 54-ე მუხლს და არაპროპორციული საპროცენტო განაკვეთის დაწესებისას, ხელშეკრულებას მიიჩნევს ბათილად.

ბუნებრივია, თუ მომხმარებელი ინტერნეტის, ტელეფონის ან სხვა ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადებს კანონის საწინააღმდეგო ხელშეკრულებას, ის დადების მომენტიდან ჩაითვლება ბათილად და მხარეთა შორის არ წარმოშობს არანაირ სამართლებრივ ვალდებულებას. მიუხედავად იმისა, ხელშეკრულება დადებული იქნება ერთი ქვეყნის, თუ სხვადასხვა ქვეყნის ტერიტორიაზე, მხარეთა შეთანხმება მიჩნეულ იქნება კანონსაწინააღმდეგოდ.

ხელშეკრულების ბათილობა არ გულისხმობს, რომ მხარეებს ერთმევათ შესაძლებლობა დასახულ მიზანს კანონიერი გზით მიაღწიონ. იმ დაბრკოლებების აღმოფხვრის შემდეგ, რაც შეთანხმებას ბათილად აქცევს, მხარეებს შეუძლიათ მართლზომიერად დადონ ხელშეკრულება.²⁹⁹

სხვადასხვა სამართლებრივ სისტემაში ხელშეკრულება, რომელიც დადების მომენტისათვის ისეთ ვალდებულებებს აწესებდა, რომელთა შესრულება შეუძლებელია, წარმოადგენს აბსოლიტურად ბათილს. მათ შორის არის ავსტრალიის სამოქალაქო კოდექსი (რომლის §878-ე მუხლი მოიცავს შემთხვევებს, როდესაც ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სამართლებრივად შეუძლებელი და ფაქტობრივად აბსურდულია, მაგალითად სხვისი ქონების გაყიდვა), იტალიის, გერმანიის, საფრანგეთის, ბელგიისა და ლუქსემბურგის სამოქალაქო კოდექსები.³⁰⁰

გარიგების ბათილობაზე მსჯელობისას აუცილებელია განხილულ იქნეს უსაფუძვლო გამდიდრების საკითხი, რამაც შესაძლოა თავი იჩინოს ელექტრონული საშუალების გამოყენებით ხელშეკრულების დადების შემთხვევაში. უსაფუძვლო გამდიდრება, როგორც სამართლიანობის ზოგადი წესიდან გადახვევა, ჯერ კიდევ რომის სამართლიდან იღებს სათავეს. რომელი იურისტის პომპონიუსის მიერ დადგენილი პრინციპი - „სამართლიანობის ბუნებიდან გამომდინარე, არავის აქვს უფლება გამდიდრდეს სხვის ხარჯზე“ (Nam hoc natura aequum est neminem cum alterius detrimento fieri locupletioem), იმდენად მნიშვნელოვანი და ყურადსაღები აღმოჩნდა, რომ ის იუსტინიანეს მიერ დიგესტებში იქნა შეტანილი.³⁰¹

²⁹⁹ ბურდული ი., გაწერელია ა., დარჯანია თ., ეგნატაშვილი დ., ზოიძე ბ., ზუბიტაშვილი ნ., კვანტალიანი ნ., კორძია თ., მახარობლიშვილი გ., რუსიაშვილი გ., სვანაძე გ., ტაკაშვილი ს., ჩაჩავა ს., ჭანტურია ლ., ჯორბენაძე ს., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, თბილისი, 2017, 345.

³⁰⁰ Bar Von Ch., Clive E., Schulte-Nölke H., Study Group on a European Civil Code, Principles, Definitions and Model Rules of European Private Law, Munich, GmbH European Law Publishers, 2009, 482.

³⁰¹ Zimmermann R., The Law of Obligations, Roman Foundations of the Civilian Tradition, Oxford University Press, New York, 1996, 852.

„უსაფუძვლო გამდიდრება არის ქონების სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მიღების, ან დაზოგვის ფაქტი, რასაც მოჰყვება პირის ქონების გაზრდა, დაზოგვა, ან რაიმე სახით სარგებელი, რომელიც ქვემდებარება დაბრუნებას.³⁰² უსაფუძვლო გამდიდრების დროს, პირი, სამართლებრივი საფუძვლის გარეშე

შეიძენს ან დაზოგავს ქონებას. ვინაიდან გამდიდრება ხდება უსაფუძვლოდ, პირი, რომელიც გამდიდრდა ვალდებულია შეძენილი დაუბრუნოს უფლებამოსილ პირს. უსაფუძვლო გამდიდრების დროს კრედიტორის (პირი, რომლის ხარჯზეც გამდიდრდა სხვა) მოთხოვნის უფლება არ გამომდინარეობს მოვალის (პირი, რომელიც უსაფუძვლოდ გამდიდრდა) მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევიდან. ამგვარი მოთხოვნის უფლებას აბსტრაქტული ხასიათი გააჩნია; რომაული სამართლის გავლენით, უსაფუძვლო გამდიდრების შედეგად წარმოშობილი ვალდებულებები კონდიქციური ვალდებულებების სახელით არის ცნობილი.³⁰³

არსებითი მნიშვნელობა არ აქვს უსაფუძვლო გამდიდრება გამოწვეული იქნა მხარეთა მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების არ შესრულებით (როდესაც მხარეებმა ვერ შეძლეს შეესრულებინათ არსებული და უტყუარი ვალდებულებები) თუ ადგილი ჰქონდა არასწორ ქმედებას, როგორც შესაძლოა იყოს უფლებამოსილი პირის თანხმობის გარეშე საქონლის მიღება. ზოგადი წესი შეეხება უსაფუძვლო გამდიდრების ორივე შემთხვევას, როდესაც გამდიდრება გამოწვეულ იქნა იმ პირის მიერ რომელიც გამდიდრდა თუ ამავე პირის ჩარევის გარეშე.³⁰⁴

მართალია უსაფუძვლო გამდიდრება წარმოადგენს კანონისმიერ ვალდებულებას, თუმცა შესაძლებელია ის ასევე წარმოიშვას სახელშეკრულებო ურთიერთობიდან.

უსაფუძვლო გამდიდრებას შესაძლოა წინ უსწრებდეს სახელშეკრულებო ვალდებულება, რომელიც მხარეთა მიერ შესრულდა, თუმცა მოგვიანებით გარიგება ბათილად იქნა ცნობილი. ამ შემთხვევაში ქონება არ ჩაითვლება სამართლებრივი საფუძვლით გადაცემულად, ვინაიდან ბათილი გარიგების შემთხვევაში ყველა ქმედება რაც მხარეთა მიერ განხორციელდა მოკლებულია სამართლებრივ საფუძვლებს.³⁰⁵

„უსაფუძვლო გამდიდრების შედეგად წარმოშობილი ვალდებულებების უპირველესი ფუნქციაა კრედიტორის ადრინდელ ქონებრივ მდგომარეობაში აღდგენის სამართლებრივი უზრუნველყოფა.“

³⁰² *ჩიტოშვილი თ.*, ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე ვალდებულებათა შინაარსი და სახეები (ზოგადი დახასიათება) უსაფუძვლო გამდიდრება (ძირითადი საკითხები), გამომც. ბონა კაუზა, 2015, 78.

³⁰³ *შენგელია რ.*, *ავტორთა კოლექტივი*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, თბილისი, გამომც. სამართალი, 2001, წიგნი მეოთხე, 353.

³⁰⁴ *Bar Von Ch., Clive E., Schulte-Nölke H.*, Study Group on a European Civil Code, Principles, Definitions and Model Rules of European Private Law: Draft Common Frame of Reference (DCFR), Munich, GmbH European Law Publishers, 2009, 3668.

³⁰⁵ *ჩიტოშვილი თ.*, ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე ვალდებულებათა შინაარსი და სახეები (ზოგადი დახასიათება) უსაფუძვლო გამდიდრება (ძირითადი საკითხები), გამომც. ბონა კაუზა, 2015, 78.

დასახული მიზნის მიღწევა ქონებრივ ურთიერთობათა განვითარებას, სტაბილურობის შენარჩუნებასა და სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტის ინტერესების დაცვას ემსახურება.³⁰⁶

უსაფუძვლო გამდიდრების შემადგენლობისათვის რამდენიმე ელემენტის არსებობაა საჭირო. ესენია:

- პირის არსებობა, რომელიც არის მოვალე და „სხვა“ პირი, რომელიც უსაფუძვლო გამდიდრების შემთხვევაში კრედიტორია;
- გარკვეული სარგებელი, სიკეთე, რომელიც პოტენციურმა მოვალემ მიიღო;
- გამდიდრება სამართლებრივი საფუძვლის გარეშე;
- მიღებული სიკეთით მოვალის „გამდიდრება“;
- კრედიტორისათვის მიყენებული ზარალი;
- გამდიდრება უნდა წარმოადგენდეს მიყენებული ზარალის განუყოფელ ნაწილს;

თუ ზოგადი წესის ყველა ელემენტი სახეზეა, მოვალე კრედიტორის წინაშე ვალდებულია დააბრუნოს უსაფუძვლო გამდიდრების გზით მიღებული სარგებელი.³⁰⁷

უსაფუძვლო გამდიდრების ზოგადი წესი ითვალისწინებს ორი პირის არსებობას, რომელთაგან ერთმა უსაფუძვლოდ შეიძინა გარკვეული ქონება და მეორე, რომელმაც მოვალის გამდიდრებით ზარალი განიცადა. უსაფუძვლო გამდიდრების შემთხვევაში ორი მხარე ერთმანეთს სამართლებრივი ვალდებულებით უნდა დაუკავშირდნენ, როდესაც მოვალე ვალდებულია დააბრუნოს უსაფუძვლოდ მიღებული ქონება, ხოლო კრედიტორმა მიიღოს შესრულება. მხარეთა შორის წარმოშობილი მთავარი სამართლებრივი ვალდებულება უსაფუძვლოდ გამდიდრებამდე არსებული მდგომარეობის აღდგენაა, ვინაიდან მოვალე „გამდიდრდა“ სხვისი დაზარალების ხარჯზე და არა სამართლებრივი საფუძვლის შედეგად.³⁰⁸

უსაფუძვლო გამდიდრება ხშირ შემთხვევაში შესაძლოა გამოწვეული იქნეს კრედიტორის ან მესამე პირის შეცდომით, განმეორებითი ქმედებით (მაგ. ერთიდაიმავე ვალდებულების შესრულების მიზნით, თანხის ორჯერ გადახდა) რაც არ შეესაბამება ქმედების განმახორციელების ნებას. მოქმედების გარდა, უსაფუძვლო გამდიდრების საფუძველი ასევე შესაძლოა გახდეს ხდომილება, როცა გამდიდრება შედეგად მოჰყვა არა მოქმედებას არამედ ისეთ გარემოებას, რაც შესაძლოა ადამიანის ჩარევის გარეშე დადგეს. ხდომილების მაგალითად შესაძლოა განხილულ იქნეს შემთხვევა, როდესაც ძლიერი ქარის დროს, კრედიტორის კუთვნილი ძვირფასი ქურქი შეფრინდა მოვალის საცხოვრებელი სახლის აივანზე. მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევაში სახეზე არ გვაქვს ადამიანის ქმედება, მოვალე ვალდებულია კრედიტორის

³⁰⁶ შენგელია რ., *ავტორთა კოლექტივი*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, თბილისი, გამომც. სამართალი, 2001, წიგნი მეოთხე, 353-354;

³⁰⁷ Bar Von Ch., Clive E., Schulte-Nölke H., Study Group on a European Civil Code, Principles, Definitions and Model Rules of European Private Law: Draft Common Frame of Reference (DCFR), Munich, GmbH European Law Publishers, 2009, 3669.

³⁰⁸ იქვე, 3671.

დაუბრუნოს ქურქი, რომელიც მის მფლობელობაში აღმოჩნდა ხდომილების და არა სამართლებრივი საფუძვლის შედეგად.

უსაფუძვლო გამდიდრება შესაძლოა მოხდეს მაშინ, როდესაც პირი კონკრეტული ქმედების განსახორციელებლად იყენებს ელექტრონულ საშუალებას, მათ შორის ტელეფონს, პერსონალურ კომპიუტერს და ა.შ. საკმაოდ გავრცელებულია შემთხვევა, როდესაც მხარეთა შორის დისტანციურად ფორმდება ხელშეკრულება სადაც გარკვევით არის მითითებული სასურველი ქონების ოდენობა და გადახდილია შესაბამისი ღირებულებაც, თუმცა მოვაჭრის მიერ დაშვებული შეცდომის შედეგად ხდება ზედმეტი ოდენობის გაგზავნა. ასეთ შემთხვევაში, ელექტრონული ხელშეკრულების მხარე - მომხმარებელი იქცევა მოვალედ და ის ვალდებულია მოვაჭრეს დაუბრუნოს უსაფუძვლოდ მიღებული ქონება. მართალია მხარეთა შორის არსებობდა სახელშეკრულებო ურთიერთობა, თუმცა ეს ვალდებულება არ ვრცელდებოდა იმ ნივთზე, ქონებაზე, რაც დამატებით მიიღო პირმა. შესაბამისად ის „გამდიდრდა“ სამართლებრივი საფუძვლის გარეშე.

შეცდომის შედეგად ასევე შესაძლოა „გამდიდრდეს“ პირი, რომელიც კრედიტორთან არ არის დაკავშირებული რაიმე სახის სახელშეკრულებო ურთიერთობით. მაგალითად, პირი ინტერნეტ-ბანკის გამოყენებით ახდენს ვალის დაბრუნებას, რა დროსაც ის შემთხვევით თანხას რიცხავს არა კრედიტორის, არამედ მესამე პირის ანგარიშზე. ამ შემთხვევაშიც, ერთი პირის ხარჯზე მოხდა მეორე პირის ქონების უსაფუძვლოდ გაზრდა, შესაბამისად ის ვალდებულია დააბრუნოს ის რაც მიიღო.

განხილული შემთხვევა წარმოადგენს შესრულების კონდიციას, რა დროსაც პირის ქონება მცირდება შესრულების საფუძველზე. პირს ჰქონდა განზრახვა შეესრულებინა ვალდებულებით-სამართლებრივი ვალდებულება, თუმცა ის განახორციელა სხვა პირის მიმართ. შესრულების მიმღები კი გამდიდრა ისე, რომ მის წინაშე კრედიტორს არ გააჩნდა ვალდებულებით-სამართლებრივი ვალდებულება.³⁰⁹

შეუსრულებლობის კონდიციის შემთხვევაში შეუსრულებლობა არ მომდინარეობს კრედიტორის, მოვალისა (უსაფუძვლოდ გამდიდრებულის) თუ მესამე პირის მხრიდან. შეუსრულებლობის კონდიციას აქვს ადგილი იმ შემთხვევაშიც თუ უსაფუძვლო გამდიდრება დადგა სტიქიური შემთხვევის, იძულების ან მუქარის შედეგად.³¹⁰

დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებაც შეუსრულებლობის კონდიციას წარმოადგენს, ამ შემთხვევაში პირი ვარაუდობს, რომ კონკრეტული ქმედება მისი საქმეა და მის მიერ განხორციელებული ქმედებით ახდენს სხვა ადამიანის უსაფუძვლო გამდიდრებას. ამ შემთხვევაში მას

³⁰⁹ შნიტგერი კ., *მატერიალური ლ.*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ-კომენტარი, gccc.ge, მუხლი 976, ველი 6, www.gccc.ge/წიგნი-მესამე/კერძო-ნაწილი/კარი-ii-კანონისმიერი-ვალდე/თავი-iii-უსაფუძვლო-გამდიდრე/მუხლი-976/ უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 17.05.2019.

³¹⁰ *ჩიტოშვილი თ.*, ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე ვალდებულებათა შინაარსი და სახეები (ზოგადი დახასიათება) უსაფუძვლო გამდიდრება (ძირითადი საკითხები), გამომც. ბონა კაუზა, 2015,91.

შეუძლია რეგრესის წესით მოითხოვსო მოვალისგან შესრულებულის დაბრუნება.³¹¹

დისტანციური ხელშეკრულების მხარის მიერ დავალების გარეშე სხვისი საქმის შესრულების მაგალითი იქნება, თუ მომხმარებელი შეთავაზებული საქონლის ღირებულების გარდა, მოვაჭრის ანგარიშზე დამატებით ჩარიცხავს თანხას, საქონლის ტრანსპორტირების მიზნით, მაშინ როცა მოვაჭრე პოტენციურ მომხმარებელს უფასო საკურიერო მომსახურებას სთავაზობდა. როგორც აღინიშნა, მხარეს უფლება აქვს მოვაჭრისგან რეგრესის წესით მოითხოვოს ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნება.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადებული გარიგება შესაძლოა ბათილად იქნეს ცნობილი სხვადასხვა საფუძველით, მათ შორის, მოტყუების, შეცდომის, იძულების გამო. სამივე შემთხვევაში ადგილი აქვს ნების ნამდვილობის ნაკლს, რაც გამორიცხავს ხელშეკრულების არსებობას. ელექტრონული ხელშეკრულების ბათილობის შემთხვევაში უმეტესად, მომხმარებელმა უნდა მოახდინოს აპელირება გარიგების ბათილობის საფუძველებზე. თუ მომხმარებელი აცხადებს, რომ ნების ნაკლის გამო არ არსებობს ხელშეკრულება, მან უნდა მიუთითოს გარიგების ბათილობის კონკრეტული საფუძველი. თუ მხარეთა შორის დავა სასამართლოსათვის მიმართვის გზით უნდა გადაიჭრეს, მომხმარებელმა შესაძლოა სწორედ იმ ელექტრონული დოკუმენტის, მყარი მატარებლის ან სხვა საშუალებით ამტკიცოს ხელშეკრულების ბათილობის საფუძველი, რომელიც მის მიერ იქნა გამოყენებული გარიგების დადებისას.

³¹¹ ჩიტოშვილი თ., ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე ვალდებულებათა შინაარსი და სახეები (ზოგადი დახასიათება) უსაფუძვლო გამდიდრება (ძირითადი საკითხები), გამომც. ბონა კაუზა, 2015, 91.

**თავი V. ელექტრონული საშუალებებით დადებული ხელშეკრულების
მოშლის, უარის თქმისა და შეწყვეტის საფუძვლებისა და შედეგების
ურთიერთმიმართება**

მხარეთა შორის ხელშეკრულების დადების უმთავრეს მიზანს ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება წარმოადგენს. ხელშეკრულების ორივე მხარემ უნდა მიიღოს ის შედეგი, რის მისაღწევადაც მათ შორის დაიდო ხელშეკრულება. სხვაგვარი დათქმის, ან წინაპირობის არსებობა აზრს დაუკარგავდა ზოგადად ხელშეკრულების არსს. მხარეთა მიერ ხელშეკრულების ძალით ვალდებულების საკუთარი თავისთვის დაკისრებას თვითბოჭვა ეწოდება და სახელშეკრულებო ურთიერთობის განუყოფელი ნაწილია. ეს იმას ნიშნავს, რომ მხარეები საკუთარი ნებით იღებენ ვალდებულებას კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულონ სახელშეკრულებო ვალდებულება. თუმცა ეს როდის ნიშნავს, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობა მხოლოდ შესრულებით ამოიწურება.

ხელშეკრულების ერთ-ერთი მონაწილის მიერ მასზე დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობა სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების საფუძვლებს წარმოშობს. დღეს მოქმედი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის რედაქცია სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების ოთხ ცნებას იცნობს, ესენია: ხელშეკრულების ბათილობა, ხელშეკრულებიდან გასვლა (უარის თქმა), ხელშეკრულების მოშლა და ხელშეკრულების შეწყვეტა.³¹² ხელშეკრულების მხარეთა უფლება აღარ გააგრძელონ სახელშეკრულებო ურთიერთობა, შეზღუდულია და მას აუცილებლად ესაჭიროება გარკვეული წინაპირობები. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ მხარეებს ექნებოდათ შესაძლებლობა ნებისმიერ დროს დაუსაბუთებლად, სათანადო მიზეზის გარეშე აღარ შეესრულებინათ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, მაშინ სახელშეკრულებო ურთიერთობები მუდმივად არასტაბილური და არაპროგნოზირებადი იქნებოდა³¹³ რაც ერთის მხრივ დააზარალებდა თავად მხარეებს და მეორეს მხრივ უარყოფით გავლენას იქონიებდა ქვეყნის ეკონომიკასა და ფინანსურ განვითარებაზე.

მხარეთა შორის წარმოშობილი სახელშეკრულებო ურთიერთობა ბათილობის გარდა შესაძლოა ასევე დასრულდეს მოშლის, მასზე უარის თქმის ან შეწყვეტის გზით. თითოეული მათგანი სხვადასხვა საფუძვლით წარმოიშობა და შესაბამისად განსხვავებულ სამართლებრივ შედეგს იწვევს. ხელშეკრულების ბათილობას შეეხო ნაშრომის მეოთხე თავი. წინამდებარე ქვეთავებში მიმოხილულია ხელშეკრულების მოშლის, მასზე უარის თქმისა და მისი შეწყვეტის სამართლებრივი ასპექტები.

³¹² ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, გამომც. მერიდიანი, 2014, 517.

³¹³ ჭეჭელაშვილი ზ., სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, გამომც. ბონა კაუზა, 2014, 109.

5.1. ელექტრონული საშუალებებით დადებული ხელშეკრულების მოშლისა და მასზე უარის თქმის უფლება და შედეგები

ხელშეკრულების მოშლა, როგორც დამოუკიდებელი სამართლებრივი ინსტიტუტი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მუხლითაა გათვალისწინებული. ხელშეკრულების მხარეს უფლება აქვს გარკვეული წინაპირობების არსებობის შემთხვევაში მოშალოს ხელშეკრულება და ამისათვის მას კანონით პირდაპირ გათვალისწინებული მოთხოვნების გარდა დამატებითი ვალდებულებების შესრულება არ ეკისრება.

ტერმინი „ხელშეკრულების მოშლა“, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სხვადასხვა მუხლში იმგვარად არის გამოყენებული, რომ მისი გამოიყენება ხელშეკრულებიდან გასვლის (უარის თქმის) და შეწყვეტის უფლებისგან თითქმის შეუძლებელია. ეს გარემოება ტერმინთა აღრევასა და ერთგვარ გაუგებრობას იწვევს.

სამოქალაქო სამართლის სპეციალისტთა ნაწილი³¹⁴ მიიჩნევს, რომ ხელშეკრულებიდან გასვლა და მისი მოშლა ერთი და იმავე შინაარსის მატარებელი ცნებებია, ისინი ერთსა და იმავე სამართლებრივ შედეგს იწვევს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ხელშეკრულების მოშლა და მასზე უარის თქმა (გასვლა) არ არის იდენტური შინაარსის მატარებელი უფლება და საჭიროა მათი, როგორც სხვადასხვა სამართლებრივი შედეგის მომტანი ინსტიტუტის გამოიყენება.

ხელშეკრულებაზე უარი (ხელშეკრულებიდან გასვლა) თავისი ბუნებით, ცალმხრივი გარიგებაა, ანუ უფლების რეალიზაციისთვის ერთ-ერთი მხარის ნებაც საკმარისია, თუმცა ეს ნება აუცილებლად უნდა ეცნობოს მეორე მხარეს. ხელშეკრულებიდან გამსვლელ მხარეს არ ესაჭიროება სხვა პირის თანხმობა სახელშეკრულებო მდგომარეობის შეცვლის თაობაზე.³¹⁵ ამ უფლების ერთ-ერთი მაგალითი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 336-ე მუხლშია მოცემული, რომლის თანახმადაც, მომხმარებელსა და საკუთარი სარეწის ფარგლებში მოვაჭრე პირს შორის ქუჩაში, სახლის წინ და მსგავს ადგილებში დადებული ხელშეკრულება ძალაშია მხოლოდ მაშინ, თუ მომხმარებელი ერთი კვირის ვადაში ხელშეკრულებას წერილობით არ უარყოფს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ხელშეკრულების შესრულება ხდება მისი დადებისთანავე. როგორც ნორმის შინაარსიდან ჩანს მომხმარებლის უფლება უარყოს ხელშეკრულება წარმოადგენს ცალმხრივ ნებას და მას არ ესაჭიროება მოვაჭრის თანხმობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2018 წლის 8 ივნისის №ას-38-38-2018 გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ხელშეკრულების მხარეს უფლება აქვს გავიდეს ხელშეკრულებიდან და უარი თქვას ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე. ხელშეკრულების ერთ-ერთი მონაწილის შესაძლებლობას

³¹⁴ ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, გამომც. მერიდიანი, 2014, 516-517.

³¹⁵ ჭეჭელაშვილი ზ., სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, გამომც. ბონა კაუზა, 2014, 110.

კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში უარი თქვას ხელშეკრულების გაგრძელებაზე, ხელშეკრულებიდან გასვლა ეწოდება. ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება აღმჭურველი უფლებათა და განსხვავებით მოთხოვნის უფლებისაგან, მასზე არ ვრცელდება ხანდაზმულობა. სამოქალაქო კოდექსი და სხვა კერძო სამართლებრივი კანონმდებლობა შეიცავს აგრეთვე ისეთ ნორმებს, რომლებიც გამოიყენება მოთხოვნის საფუძვლით გათვალისწინებული წინაპირობების შემოწმებისას და ამდენად ასრულებს დამხმარე ფუნქციას. დამხმარე ხასიათის ნორმებს განეკუთვნება ასევე უშუალოდ სამართლებრივი შედეგის დამფუძნებელი უფლების ნორმები, ისინი პირს სამართლებრივი შედეგის მოდიფიცირების უფლებას ანიჭებს ხელშეკრულების მეორე მხარის თანხმობის არსებობის მიუხედავად. დამფუძნებელია უშუალო სამართლებრივი შედეგის წარმომშობი უფლება, რომელიც პირს ანიჭებს უფლებამოსილებას, ცალმხრივი ნების გამოვლენით წარმოშვას, შეცვალოს ან გააუქმოს სამართლებრივი შედეგი. დამფუძნებელი უფლების მარეგულირებელი ნორმების თავისებურება ისაა, რომ უფლებამოსილი პირის მიერ უფლება ხორციელდება ნამდვილი მიღებასავალდებულო ნების გამოვლენით. ასეთ დამფუძნებელ უფლებათა რიცხვს მიეკუთვნება ხელშეკრულებიდან გასვლა, რომელიც სსკ-ის 355-ე მუხლის თანახმად, ხდება ხელშეკრულების მეორე მხარისათვის შეტყობინებით. დამფუძნებელი უფლება განხორციელებულია ანუ შესაბამისი ნების გამოვლენა ნამდვილია იმ მომენტიდან, როდესაც იგი ხელშეკრულების მეორე მხარეს მიუვა, კერძოდ მოხვდება მიმღების ძალაუფლების სფეროში და ამ უკანასკნელს ექნება მისი შინაარსის რეალურად განხორციელების შესაძლებლობა.³¹⁶

ხელშეკრულებაზე უარის თქმის (გასვლის) უფლებამოსილება შეიძლება გამომდინარეობდეს ან მხარეთა შეთანხმებიდან ან უშუალოდ კანონიდან. მხარეებს თავად შეუძლიათ განსაზღვრონ ის შემთხვევები, როდესაც მათ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება წარმოეშობათ, უმეტესად ეს შემთხვევები ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობიდან გამომდინარეობს. სსკ-ის 359-ე მუხლი წარმოადგენს მხარეთა მიერ ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ შეთანხმების კანონისმიერ მაგალითს.³¹⁷ მითითებული ნორმის თანახმად თუ ხელშეკრულება დადებულია იმ დათქმით, რომ მოვალემ, ხელშეკრულებიდან გამომდინარე, უნდა დაკარგოს თავისი უფლებები, თუკი იგი თავის ვალდებულებებს არ შეასრულებს, მაშინ კრედიტორს ამ შემთხვევის დადგომისას შეუძლია გავიდეს ხელშეკრულებიდან.

ხელშეკრულებაზე უარის თქმისაგან განსხვავებით, სამოქალაქო კოდექსში ხელშეკრულების მოშლის პირობები ცალსახად არ არის რეგლამენტირებული. თუ ზოგიერთ შემთხვევაში კანონმდებელი ხელშეკრულების მოშლისათვის საპატიო მიზეზის არსებობას ითვალისწინებს, სხვა მუხლებით ამგვარი დათქმა მოცემული არ არის.

³¹⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2018 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება (№ას-38-38-2018), 92, <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx> უკანასკნელად იქნა გადმოწმებული 07.05.2019.

³¹⁷ *ჭეჭელაშვილი ზ.*, სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, გამომც. ბონა კაუზა, 2014, 116.

სსკ-ის 399-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულების ნებისმიერ მხარეს შეუძლია, პატივსადები საფუძვლიდან გამომდინარე, უარი თქვას გრძელვადიან ვალდებულებით ურთიერთობაზე ხელშეკრულების მოშლისათვის დაწესებული ვადის დაუცველად. პატივსადებია საფუძველი, როცა ხელშეკრულების მოშლელ მხარეს კონკრეტული ვითარების, მათ შორის, დაუძლეველი ძალისა და ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით, არ შეიძლება მოეთხოვოს სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელება შეთანხმებული ვადის ან ხელშეკრულების მოშლისათვის დაწესებული ვადის გასვლამდე.

როგორც მუხლის შინაარსიდან ირკვევა, ხელშეკრულების მოშლის შესაძლებლობა, ვადის დაცვის გარეშე ორივე მხარეს აქვს. მთავარია ხელშეკრულების მოშლის საფუძველი პატივსადები ინტერესიდან გამომდინარეობდეს. პატივსადები მიზეზი შესაძლოა იყოს დაუძლეველი ძალის მოქმედება, მხარეთა მიერ სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებისადმი ინტერესის დაკარგვა ან სხვა.³¹⁸

ხელშეკრულების მოშლისათვის, პატივსადები მიზეზის არსებობას სავალდებულოდ არ მიიჩნევს სსკ-ს 555-ე მუხლი, რომლის თანახმადაც საცხოვრებელი სადგომის დამქირავებელი უფლებამოსილია ქირავნობის ხელშეკრულება ვადადამდე მოშალოს, თუ იგი ერთი თვით ადრე გააფრთხილებს ამის შესახებ დამქირავებელს და შესთავაზებს მას გადახდისუნარიან და მისაღებ დამქირავებელს, რომელიც თანახმაა ქირავნობის დარჩენილ დროში იყოს დამქირავებელი. ანალოგიურად, სსკ-ის 589-ე მუხლის მიხედვით, თუ მიწის ნაკვეთის ან უფლების იჯარისას არ არის განსაზღვრული იჯარის ვადა, მაშინ ხელშეკრულების მოშლა დასაშვებია მხოლოდ საიჯარო წლის ბოლოსათვის.

მითითებული ნორმები არ ადგენს კონკრეტულ მიზეზს რა შემთხვევაში აქვს მხარეს უფლება მოშალოს ხელშეკრულება, შესაბამისად მას ხელშეკრულების მოშლის უფლება პატივსადები მიზეზის არსებობის მიუხედავად აქვს. შეიძლება აღინიშნოს, რომ სსკ-ის 555-ე მუხლიდან გამომდინარე ქირავნობის ხელშეკრულების მოშლის საფუძველს წარმოადგენს მხოლოდ ის გარემოება, რომ ასეთი მოშლის მსურველი მხარისათვის ხელშეკრულების შემდგომმა გაგრძელებამ დაკარგა იურიდიული ინტერესი. ამდენად ხელშეკრულების მხარეს მხოლოდ კრედიტორის ერთი თვით ადრე გააფრთხილებისა და გადახდისუნარიანი და მისაღები დამქირავებლის (რომელიც თანახმაა ჩაანაცვლოს წინა დამქირავებელი) შეთავაზების ვალდებულება ეკისრება.

სსკ-ს 352-ე და 405-ე მუხლები ერთობლივად იძლევა ხელშეკრულებაზე უარის თქმის ანუ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას და ის არსებობს მაშინ, როდესაც სახეზეა ვალდებულების დარღვევა. სსკ-ის 405-ე მუხლის თანახმად, თუ ხელშეკრულების ერთი მხარე არღვევს ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების

³¹⁸ ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, გამომც. მერიდიანი, 2014, 410.

მეორე მხარეს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. თუ ვალდებულების შესრულება ნაწილობრივ ხდება, მხარეს მაინც აქვს უფლება უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ დარჩენილი ნაწილის შესრულებამ კრედიტორისათვის აზრი დაკარგა.

სსკ-ის 405-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, თუ ერთი მხარის მიერ ხდება ვალდებულების დარღვევა (შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება) მეორე მხარეს წარმოეშობა ხელშეკრულებაზე უარის თქმის და არა მისი მოშლის უფლება. თუმცა მაგალითად, სსკ-ის 580⁵ მუხლი პირდაპირ მიუთითებს ლიზინგის ხელშეკრულების მოშლის შესაძლებლობაზე, თუ ლიზინგის მიმღები არსებითად არღვევს თავის ვალდებულებას. წინამდებარე ნორმა მხარეს ლიზინგის ხელშეკრულების მოშლის უფლების ფართოდ გამოყენების შესაძლებლობას ზღუდავს, ლიზინგის გამცემს მხოლოდ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არსებითად დარღვევის შემთხვევაში აქვს მისი მოშლის უფლება.³¹⁹ თუ სსკ-ის 405-ე მუხლის მიხედვით სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის დროს წარმოიშობა ხელშეკრულებაზე უარის თქმის და არა მისი მოშლის უფლება, მაშინ 580⁵ მუხლით მხარისათვის მინიჭებული უფლება არის არა მოშლის, არამედ მასზე უარის თქმის უფლება, რადგან ის სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების მიზეზად ცალსახად უთითებს ვალდებულების არსებით დარღვევას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, თუ სახეზე არ არის დარღვევა, მხარე მოკლებულია შესაძლებლობას უარი თქვას ხელშეკრულებაზე. უფრო მეტიც, ვალდებულების უმნიშვნელოდ დარღვევის შემთხვევაში, მხარე ვერ ისარგებლებს ამ უფლებით. მნიშვნელოვან დარღვევად შესაძლო მიჩნეულ იქნეს იმგვარი ქმედება, რაც უარყოფით გავლენას ახდენს შედეგზე.³²⁰

სამოქალაქო კოდექსის მიერ ხელშეკრულების მოშლისა და ხელშეკრულებიდან გასვლის ცნებების აღრევის მაგალითს წარმოადგენს ასევე სსკ-ის 491-ე მუხლი, რომლის თანახმადაც მყიდველს შეუძლია მოითხოვოს ნასყიდობის ხელშეკრულების მოშლა 352-ე მუხლით დადგენილი წესის მიხედვით, მაშინ როცა, თავად 352-ე მუხლი ხელშეკრულებაზე უარის თქმის შედეგებს, 405-ე მუხლით დადგენილი პირობების შესაბამისად ადგენს.³²¹

სსკ-ის 352-ე მუხლზე მითითებას აკეთებს 399-ე მუხლის მე-4 ნაწილიც, რომელიც გრძელვადიანი ვალდებულებითი ურთიერთობის მოშლის შემთხვევაში მიღებული შესრულების საკითხს ეხება. ნორმის თანახმად, თუ უკვე შესრულებული აღარ წარმოადგენს უფლებამოსილი პირისათვის რაიმე ინტერესს ხელშეკრულების მოშლის შედეგად, მაშინ ხელშეკრულების მოშლა

³¹⁹ *ირემაშვილი ქ.* სამოქალაქო კოდექსის ონლაინ-კომენტარი, gccc.ge, 14.03.2016, მუხლი 580⁵, ველი 1, <http://www.gccc.ge/წიგნი-მესამე/კერძო-ნაწილი/კარი-i-სახელშეკრულებო-სამ/თავი-iv-ლიზინგი/მუხლი-580-5/> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 17.06.2018.

³²⁰ *ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ.*, სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, გამომც. მერიდიანი, 2014, 506.

³²¹ იქვე, 502.

შეიძლება ამ შესრულებაზედაც გავრცელდეს. უკვე შესრულების დაბრუნების უზრუნველსაყოფად გამოიყენება შესაბამისად 352-354-ე მუხლები.

საყურადღებოა სსკ-ის 558-ე მუხლიც, რომელიც ხელშეკრულების მოშლას ეხება და გამჭირავებელს ამ უფლებით სარგებლობის შესაძლებლობას მხოლოდ დამჭირავებლის მიერ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში აძლევს: გამჭირავებელს შეუძლია ხელშეკრულება მოშალოს ვადამდე, თუ დამჭირავებელმა ქირა არ გადაიხადა სამი თვის განმავლობაში.

სსკ-ის 636-ე მუხლით შემკვეთს უფლება აქვს სამუშაოს დასრულებამდე ნებისმიერ დროს თქვას უარი ხელშეკრულებაზე, მაგრამ მან უნდა აუნაზღაუროს მენარდეს შესრულებული სამუშაო და ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი. მითითებულ ნორმაში, კანონმდებელი ხელშეკრულების დასრულების ერთსა და იმავე საფუძველს ორი სხვადასხვა ცნებით - ხელშეკრულებაზე უარითა და მისი მოშლით მოიხსნიებს.

ანალოგიურად, ტერმინები - ხელშეკრულებაზე უარის თქმა და ხელშეკრულების მოშლა ერთი და იმავე შინაარსის მატარებელია სსკ-ის 492-ე, 644-ე და 938-ე მუხლებში.³²²

პატივსაღები მიზეზის გარდა, ხელშეკრულების მოშლის წინაპირობად სამოქალაქო კოდექსი ასევე ადგენს მხარეთათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული გარემოებების შეცვლას, მაგალითად შესაძლოა მოყვანილ იქნეს სსკ-ის 807-ე მუხლი, როდესაც დამზღვევს შეუძლია ხელშეკრულების მოშლის ერთთვიანი ვადის დაცვით შეწყვიტოს ხელშეკრულება თუ მზღვეველმა გაადიდა სადაზღვევო შესატანი.

მართალია მითითებული ნორმების განხილვა ცხადჰყოფს, რომ სამოქალაქო კოდექსი ხელშეკრულების მოშლისა და მასზე უარის თქმის წინაპირობებს რიგ შემთხვევებში აიგივებს და ორივე მათგანის წარმოშობის წინაპირობად ვალდებულების დარღვევას მიუთითებს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო კოდექსის ნორმათა ანალიზის საფუძველზე ხელშეკრულებაზე უარის თქმის ან მოშლის უფლებით სარგებლობისათვის საჭიროა ერთ შემთხვევაში ადგილი ჰქონდეს ვალდებულების დარღვევას, ხოლო მეორე შემთხვევაში არსებობდეს პატივსაღები მიზეზი.

ხელშეკრულებაზე უარის თქმა და ხელშეკრულების მოშლა გარდა მათი წარმოშობის საფუძვლისა, ერთმანეთისგან შედეგების მიხედვითაც განსხვავდება.

მართალია, როგორც ხელშეკრულების მოშლა, ისე ხელშეკრულებიდან გასვლა იწვევს სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულებას, მაგრამ ხელშეკრულების მოშლის დროს არ წარმოიშობა მხარეთა მიერ უკვე მიღებული სარგებლის უკან დაბრუნების - რესტიტუციის ვალდებულება.³²³

ხელშეკრულებიდან გასვლა სრულად არ აუქმებს ხელშეკრულებას არამედ ხდება ხელშეკრულების შინაარსის ცვლილება. მის შედეგად წარმოშობილი გაუქმების სამართლებრივი ურთიერთობა

³²² ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, გამომც. მერიდიანი, 2014, 502

³²³ ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, თბილისი, გამომც. სამართალი, 2001, წიგნი მესამე, 234.

(Abwicklungsverhältnis) არის ცალმხრივი გარიგების შედეგად მიღებული თავდაპირველი სახელშეკრულებო ურთიერთობა.³²⁴ ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში მხარეები აბრუნებენ მიღებულ სარგებელს და ამ გზით აღადგენენ ხელშეკრულებამდე არსებულ ვითარებას (status quo ante).³²⁵

ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგს მხარეთა მიერ მიღებული შესრულების უკან დაბრუნება წარმოადგენს. პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა შესაძლოა სხვადასხვაგვარად გამოიხატოს, მათ შორის ნატურით დაბრუნება, ასეთის შეუძლებლობის შემთხვევაში ფულადი ზიანის ანაზღაურება ან ზიანის ანაზღაურება.³²⁶

თუ მხარეებმა ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებით, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებამდე ისარგებლეს, მაშინ შესრულების ვალდებულება აღარ არსებობს, მაგრამ თუ შესრულება უკვე განხორციელდა, მხარეები ვალდებულნი არიან ერთმანეთს დაუბრუნონ მიღებული შესრულება და აღადგინონ ხელშეკრულების დადებამდე არსებული მდგომარეობა. მხარეებმა ერთმანეთს ნატურით უნდა აუნაზღაურონ მიღებული, გარდა იმ შემთხვევისა, როცა შეძენილის ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია მისი ნატურით დაბრუნება, ან მიღებული საგანი ხელშეკრულების მხარემ მოიხმარა, გაასხვისა ან გადააკეთა, ან მიღებული საგანი განადგურდა, დაიღუპა, გაფუჭდა.³²⁷

თუ ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად, მხარეები ერთმანეთს უბრუნებენ ან უნაზღაურებენ უკვე მიღებულ შესრულებას ან მიყენებულ ზიანს და მათი სახელშეკრულებო ურთიერთობა აღარ გრძელდება, ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში, უფლებით სარგებლობისას, მხარეები ინარჩუნებენ მიღებულ შესრულებას (ე.ი. არ ხდება მისი დაბრუნება), მაგრამ სამომავლოდ აღარ აგრძელებენ ვალდებულებით ურთიერთობას.³²⁸ ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შესაძლებელია აღინიშნოს, რომ შედეგის თვალსაზრისით, თუ ხელშეკრულებაზე უარის თქმა წარსულში განხორციელებული ქმედებას ეხება, მისი მოშლა სამომავლო ურთიერთობაზე ახდენს გავლენას.

ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადებული ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებაზე მსჯელობისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ეს უკანასკნელი არ არის იმავე სამართლებრივი შინაარსის მატარებელი, რაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ხელშეკრულების მოშლაში ან მასზე უარის თქმაში მოიაზრება. მიუხედავად ამისა ამ უფლებას საერთო მახასიათებელი

³²⁴ *Palandt – Bürgerliches Gesetzbuch*, bearbeitet von Bassenge, Diedrichsen, Edenhofer, Heinrichs, Heldrich, Putzo, Thomas, 67. neubearbeitete Auflage, Verlag C.H. Beck, München, 2008, 542.

³²⁵ *რუსიაში* ვილი გ., სამოქალაქო კოდექსის ონლაინ-კომენტარი, gcc.ge, 24.05.2016, მუხლი 352, ველი 4, <http://www.gccc.ge/წიგნი-მესამე/ზოგადი-ნაწილი/კარი-პირველი/თავი-მეხუთე/მუხლი-352/>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 25.05.2018.

³²⁶ *ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ.*, სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, გამომც. მერიდიანი, 2014, 511.

³²⁷ *ჭეჭელაშვილი ზ.*, სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, გამომც. ბონა კაუზა, 2014, 117.

³²⁸ *ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ.*, სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, გამომც. მერიდიანი, 2014, 517.

აქვს, როგორც ხელშეკრულების მოშლასთან ისე მასზე უარის თქმასთან; სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ხელშეკრულების მოშლის უფლებისა და „მომხმარებლის უფლებების შესახებ“ დირექტივის ანალოგიურ უფლებას აერთიანებს ხელშეკრულების მხარის შესაძლებლობა, აღარ გააგრძელოს სახელშეკრულებო ურთიერთობა, მიუხედავად იმისა, რომ ადგილი არ აქვს ვალდებულების დარღვევას. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მუხლები, ვალდებულების კეთილსინდისიერად შესრულების შემთხვევაშიც იძლევა ხელშეკრულების მოშლის შესაძლებლობას (მუხლი 555, 562.3, 570), ანალოგიურად, „მომხმარებლის უფლებების შესახებ“ დირექტივის მიხედვით მხარეს უფლება აქვს უარყოს ხელშეკრულება ისე, რომ არ არსებობდეს მეორე მხარის მიერ ვალდებულების არაჯეროვანი ან არაკეთილსინდისიერი შესრულების ან დარღვევის ფაქტი. ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებასთან საერთო ნიშანს წარმოადგენს რესტიტუციის ვალდებულება - ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადებული ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან ერთმანეთს დაუბრუნონ მიღებული შესრულება, ასეთის შეუძლებლობის შემთხვევაში კი აანაზღაურონ ზიანი.

ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება, ელექტრონული საშუალებით დადებული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. მას უპირობო ხასიათი გააჩნია, რაც ნიშნავს იმას, რომ ამ უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა ხელშეკრულების ერთი ან ორივე მხარის კეთილ ნებაზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ კანონითაა გარანტირებული. ნებისმიერი საერთაშორისო აქტი, კონვენცია თუ დირექტივა, რომელიც სამომხმარებლო ხელშეკრულებას შეეხება, ერთხმად აღიარებს და მომხმარებლისთვის ხელსაყრელ პირობებს ადგენს ხელშეკრულების უარყოფის უფლებით სარგებლობისას.

ცალკე ყურადღება უნდა დაეთმოს ტერმინს - ხელშეკრულებაზე უარის თქმა. სხვადასხვა კონვენციასა და დირექტივაში, რომელიც ეხება ელექტრონული საშუალებით დადებულ ხელშეკრულებას, ევროპის სამართლებრივ დოქტრინასა თუ სასწავლო კომენტარებში, სახელშეკრულებო ურთიერთობის ზემოხსენებული გზით დასრულების ტერმინად გამოყენებულია „ხელშეკრულებაზე უარის თქმა“ (ინგ. – Withdraw - უკან გახმობა, გერმ. Widerruf - გამოწვევა), ამავე ტერმინს იყენებს „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი. რაც შეეხება „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონს, რომელიც დღეისათვის ძალადაკარგულადაა აღიარებული, ხელშეკრულებიდან გასვლის გამომხატველად იყენებდა ტერმინს ხელშეკრულების დარღვევა. ცხადია ეს ტერმინი ვერ იქნება მომხმარებლის მიერ ხელშეკრულების უარყოფის უფლების სწორი შესატყვისი, რადგან ტერმინი „ხელშეკრულების დარღვევა“ აღიქმება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობად, რაც წინააღმდეგობაში მოდის განსახილველი უფლების შინაარსთან. როგორც არაერთხელ აღინიშნა, მომხმარებელს ხელშეკრულების მოშლის უფლება წარმოეშობა იმის

მიუხედავად ჰქონდა თუ არა ადგილი მოვაჭრის მიერ ხელშეკრულების დარღვევას.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი მკვლევარი, დისტანციურ ხელშეკრულებებზე მსჯელობისას ასევე იყენებს ტერმინს უარყოფა, რაც ევროპული საკანონმდებლო აქტების გამოძახილია და ერთის მხრივ გამართლებულია. ტერმინი ხელშეკრულებაზე უარის თქმა სწორად გამოხატავს უფლების არსს. მომხმარებელი, ცალმხრივი ნების გამოვლენით უარს ამბობს უკვე დადებულ და შესაძლოა შესრულებულ ხელშეკრულებაზე.³²⁹

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება სწორედ მისი წარმოშობის საფუძველით განსხვავდება „მომხმარებლის უფლებების შესახებ“ დირექტივით აღიარებული ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებისაგან, ამ ინსტიტუტის განხილვისას უმჯობესი იქნება გამოყენებულ იქნეს სწორედ ტერმინი ხელშეკრულებაზე უარის თქმა. აქვე კიდევ ერთხელ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ „მომხმარებლის უფლებების შესახებ“ დირექტივით გათვალისწინებული მხარის უფლება, აღარ გააგრძელოს სახელშეკრულებო ურთიერთობა ზუსტად არ შეესაბამება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი არც ხელშეკრულების მოშლის და არც მასზე უარის თქმის ცნებებს.

ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადებული ხელშეკრულებაზე უარის დროს, კანონმდებელი ამ უფლებით სარგებლობისათვის ვადის გარდა არანაირ წინაპირობასა თუ მომხმარებლის დამატებით ვალდებულებას არ ადგენს. ხელშეკრულებაზე უარის თქმის დროს ასევე არ არის სავალდებულო ადგილი ჰქონდეს მოვაჭრის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობას.

სამომხმარებლო ხელშეკრულებიდან გასვლისას სახეზე შესაძლოა საერთოდ არ იყოს ვალდებულების დარღვევა და მხარემ, კონკრეტულად კი მომხმარებელმა, სახელშეკრულებო ურთიერთობაზე უარი თქვას იმის მიუხედავად, რომ მოვაჭრემ მასზე დაკისრებული ვალდებულება ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შეასრულა.

მომხმარებლისთვის ელექტრონული ხელშეკრულების უარყოფის უფლების მინიჭების არაერთ მიზეზთაგან უნდა გამოიყოს, ამ უკანასკნელის დაცვა აგრესიული სავაჭრო სტრატეგიისგან, მისი წახალისება შევიდეს დისტანციურ სახელშეკრულებო ურთიერთობაში, ამ მიზნით გამოიყენოს ინტერნეტი, როგორც ანგარიშსწორების მეთოდი და ასევე სრულად გააცნობიეროს ხელშეკრულების სირთულე და მისგან წარმოშობილი ვალდებულებები.³³⁰

³²⁹ ლაკერბაია თ., ხელშეკრულების უარყოფის უფლება: ქართული და ევროპული სახელშეკრულებო სამართლის შედარებითი ანალიზი, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2016, 60.

³³⁰ *Shahar B.O., Posner A.E., The Right to Withdraw in Contract Law, The Journal of Legal Studies, 2011, vol 40, No.1, 115-148;*

მომხმარებლისათვის ხელშეკრულების მოშლის უფლების მინიჭების ერთ-ერთ ძირითად მიზანს ასევე არახელსაყრელ პირობებში აღმოჩენისაგან მისი დაცვა წარმოადგენს. ვინაიდან მომხმარებელს, ხელშეკრულების დადებამდე არ აქვს საშუალება შეამოწმოს ხელშეკრულების საგანი, მას უნდა მიეცეს იმის შესაძლებლობა, ნივთის შემოწმების შემდეგ აღარ გააგრძელოს სახელშეკრულებო ურთიერთობა.³³¹

მომხმარებელთა ინტერესების დაცვის მაღალი სტანდარტის გამო, ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადებული ხელშეკრულებისას, მხარე ვალდებული არ არის არათუ დაასაბუთოს, არამედ იცოდეს მეორე მხარის პოზიცია ხელშეკრულების მოშლის თაობაზე.

ხელშეკრულების მოშლის უფლება მომხმარებელს თავდაპირველად 1985 წლის ქუჩაში დადებული ხელშეკრულების შესახებ დირექტივამ მიანიჭა, რომლის მე-5 მუხლის თანახმად, მომხმარებელს უფლება აქვს უარი თქვას ხელშეკრულებაზე, მეორე მხარისათვის შეტყობინების გაგზავნით, ხელშეკრულების დადებიდან შვიდი დღის ვადაში.³³²

მომხმარებელთა უფლებების ევროპული სტანდარტების თავიანთ შიდა კანონმდებლობაში ასახვა არამხოლოდ ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა, არამედ წევრობის მსურველმა ქვეყნებმაც მოახდინეს. მათ შორისაა მოლდოვას რესპუბლიკა, რომლის სამოქალაქო კოდექსის 749-ე მუხლის თანახმად, თუ მომხმარებელს კანონმდებლობით მინიჭებული აქვს სამომხმარებლო ხელშეკრულებაზე უარის თქმის (revocation) უფლება, ის აღარ არის ვალდებული შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, თუ მან უარი ხელშეკრულებაზე, მოვაჭრის მიმართ დროულად განაცხადა. ამავ მუხლის მეორე ნაწილით ხელშეკრულებაზე უარის თქმას არ ესაჭიროება რაიმე საფუძველი. ის გაცხადებული უნდა იქნეს წერილობითი ფორმით, ინფორმაციის მიწოდების (მყარი მატარებლის) სხვა საშუალებით, ან საქონლის დაბრუნებით ორი კვირის ვადაში.

ხელშეკრულების უარყოფის უფლების, შიდა კანონმდებლობით აღიარების შემდეგ, ევროპის ქვეყნებში საქონლის დაბრუნების რაოდენობის ზრდა მოჰყვა. კვლევებმა აჩვენეს, რომ ადგილზე გაყიდვის ოპერაციებში ამ უფლებით მომხმარებელთა 2-5%-მა, ხოლო ელექტრონული საშუალებით დადებული ხელშეკრულებისას კი 15-35%-მა ისარგებლა.³³³

მომხმარებელმა ელექტრონული საშუალებით დადებული ხელშეკრულებაზე უარი წერილობითი ფორმით უნდა დააფიქსიროს. ხელშეკრულების მოშლის ფორმის ნიმუში დანართის სახით ახლავს

³³¹ Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/ECC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/ECC and Directive 97/7/EC of the European Parliament on the Council, Preamble recital (37).

³³² Council Directive of 20 December 1985 to protect the consumer in respect of contracts negotiated away from business premises 85/577/ECC, art.5.

³³³ საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო, რეგულირების გავლენის შეფასება საქართველოს კანონის პროექტზე „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“, 19, დეკემბერი, 2016, ხელმისაწვდომია: <http://www.economy.ge/?page=reforms&s=21> (უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 21.06.2018).

„მომხმარებლის უფლებების შესახებ“ დირექტივას.³³⁴ აღნიშნული ფორმა არ არის სავალდებულო ხასიათის და მოვაჭრეს შეუძლია შინაარსობრივად შეცვალოს ან დამატებები შეიტანოს მასში, ანალოგიურად მომხმარებელს შეუძლია არ იხელმძღვანელოს ამ ფორმით, სხვაგვარად, მაგრამ წერილობითი ფორმით შეატყობინოს მოვაჭრეს ხელშეკრულებიდან გასვლის თაობაზე.

ინტერნეტ-მაღაზიაში დადებული ხელშეკრულებაზე უარის თქმის ფორმა შესაძლოა განსხვავებული იყოს „მომხმარებლის უფლებების შესახებ“ დირექტივის დანართისაგან. ეს შესაძლოა ერთის მხრივ განპირობებული იყოს მოვაჭრის მიერ მომხმარებლისათვის, ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ, დამატებითი ინფორმაციის მიღების მიზნით, მეორეს მხრივ კი, როგორც გამოცდილება და პრაქტიკა აჩვენებს, მომხმარებელთა და მოვაჭრეთა უმეტესობა კომუნიკაციის საშუალებად, მოვაჭრის ინტერნეტ-გვერდის გამოყენებას ამჯობინებს, ამ მიზნით კი მომხმარებლისათვის მოვაჭრის მიერ საკუთარ ინტერნეტ-გვერდზე ხელშეკრულებაზე უარის თქმის გრაფის შევსების შესაძლებლობის მიცემა იქნებოდა ეფექტური.³³⁵ ზემოხსენებულის გათვალისწინებით მომხმარებელს ექნება შესაძლებლობა და არა ვალდებულება მოკლედ მიუთითოს ხელშეკრულების მოშლის საფუძველი.³³⁶ აღსანიშნავია, რომ საქართველოში მომხმარებელთა უფლებების სათანადო დონეზე დაუცველობა, ბიზნეს სექტორს დაბალ სოციალურ პასუხისმგებლობისკენ უბიძგებს, რის ერთ-ერთ გამოხატულებას შეძენილი საქონლის უკან დაბრუნების სერვისის არარსებობა წარმოადგენს. დამკვიდრებული პრაქტიკით, ხშირად საქართველოში შეძენილი ნივთის დაბრუნების შესაძლებლობა მხარეს მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს, თუ მას წუნი ან დეფექტი აღმოაჩნდება, უფრო მეტიც მსგავს შემთხვევაში მოვაჭრე მომხმარებელს სთავაზობს ნივთის შეცვლას ან იმავე ღირებულების სხვა საქონელში გაცვლას, უკან დაბრუნება მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში არის შესაძლებელი.³³⁷

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებმა ასევე აჩვენა მოვაჭრეთა უარყოფითი დამოკიდებულება საქონლის უკან დაბრუნების სერვისის სავალდებულო ხასიათის შემოღების თაობაზე. მათთვის ეს დამატებით ადმინისტრაციულ

³³⁴ იხ. დანართი.

³³⁵ Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/ECC and Directive 97/7/EC of the European Parliament on the Council, Preamble, recital (45).

³³⁶ DG Justice Guidance Document concerning Directive 2011/83/EU of the European Parliament and the Council of 25 October 2011 on the consumer rights, amending, Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council, 40.

³³⁷ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, რეგულირების გავლენის შეფასება საქართველოს კანონის პროექტზე „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“, 6, დეკემბერი, 2016, ხელმისაწვდომია: <http://www.economy.ge/?page=reforms&s=21> (უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 21.06.2018).

ხარჯებს, ადამიანურ რესურსსა და დროის ფაქტორს უკავშირდება, რაც მათთვის ფინანსურად მომგებიანი არ არის.³³⁸

მომხმარებლების მიერ კი ამ უფლების მინიჭება პოზიტიურ მოვლენად აღიქმება. საქონლის უკან დაბრუნების შესაძლებლობა მომხმარებლებისათვის ზრდის ნდობას და ამცირებს დაზარალების ან სხვაგვარად არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩენის შესაძლებლობას.³³⁹

„მომხმარებლის უფლებების შესახებ“ დირექტივის, მე-9 მუხლის თანახმად, მომხმარებელს აქვს უფლება ყოველგვარი მიზეზისა და დამატებითი ხარჯების გაწევის გარეშე 14 დღის განმავლობაში უარი თქვას ხელშეკრულებაზე. „მომხმარებლის უფლებების შესახებ“ დირექტივის მიზნებისთვის, ვადის ათვლა იწყება ა) მომსახურების ხელშეკრულების შემთხვევაში ხელშეკრულების დასრულების დღიდან, ბ) ნასყიდობის ხელშეკრულებების შემთხვევაში, შეძენილი საქონლის მომხმარებლის ან მესამე პირის მიერ ფიზიკურად ჩაბარების დღიდან; თუ შეკვეთის მიწოდება ხდება რამდენიმე ნაწილად, ბოლო მიწოდების დღიდან; გ) წყლის, გაზის ან ელექტროობის მიწოდების შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი შეზღუდული მოცულობით ან განსაზღვრული ოდენობით, მატერიალური ფორმით არ იქნა შეთავაზებული, ხელშეკრულების დასრულების დღიდან; სხვა სიტყვებით რომ აღინიშნოს, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება წარმოიშობა ქმედების განხორციელების ან შედეგის დადგომის დღიდან და მომხმარებელს ამ უფლებით სარგებლობისთვის აქვს 14 დღე. შესაბამისად 14 დღეში იგულისხმება 14 კალენდარული დღე, რომლის ათვლაც იწყება ქმედების განხორციელების/შედეგის დადგომის დღეს.³⁴⁰

„მომხმარებლის უფლებების შესახებ“ დირექტივის მე-10 მუხლი, მე-9 მუხლისგან განსხვავებით, ხელშეკრულებაზე უარის თქმის თორმეტ თვიან ვადას ადგენს, იმ შემთხვევაში თუ მომხმარებელს არ მიეწოდა სრულყოფილი ინფორმაცია ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებისა და წესის შესახებ.³⁴¹

„მომხმარებლის უფლებების შესახებ“ დირექტივის მიზნებისათვის ვადის ათვლა ხდება კალენდარული დღეების მიხედვით და იწყება იმ მომენტიდან, როდესაც დადგა გარკვეული მოვლენა ან განხორციელდა ქმედება, დღე, რომლის განმავლობაშიც დადგა მოვლენა ან განხორციელდა ქმედება არ იანგარიშება. შესაბამისად დირექტივის მე-9 მუხლით დადგენილი 14 დღიანი ვადის ათვლა იწყება მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან.³⁴²

³³⁸ საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო, რეგულირების გავლენის შეფასება საქართველოს კანონის პროექტზე „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“, 17, დეკემბერი, 2016, ხელმისაწვდომია: <http://www.economy.ge/?page=reforms&s=21> (უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 21.06.2018).

³³⁹ იქვე, 33.

³⁴⁰ Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/ECC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/ECC and Directive 97/7/EC of the European Parliament on the Council, Art. 9.

³⁴¹ იქვე, Art.10.

³⁴² DG Justice Guidance Document concerning Directive 2011/83/EU of the European Parliament and the Council of 25 October 2011 on the consumer rights, amending, Council Directive 93/13/EEC and Directive

სახალხო დღესასწაულები და შაბათ-კვირა ითვლება ხსენებულ 14 დღიან ვადაში, თუმცა თუ მე-14 დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ მომდევნო სამუშაო დღე ჩაითვლება ვადის ბოლო დღედ,³⁴³ ვინაიდან ევროპარლამენტისა და საბჭოს #1393/2007 დოკუმენტების წარდგენის შესახებ რეგულაციის მე-3 (4) მუხლის თანახმად, როდესაც ვადის ბოლო დღე ემთხვევა სახალხო დღესასწაულს ან შაბათ-კვირას, მაშინ ბოლო დღედ ითვლება მომდევნო სამუშაო დღის უკანასკნელი სამუშაო საათი.³⁴⁴

- **მაგალითი:** აშშ-ს მოქალაქეს, რომელმაც გერმანიიდან გამოიწერა ნივთი, ხელშეკრულების მოშლის 14 დღიანი ვადა ეწურება 4 ივლისს. აშშ-ში 4 ივლისი წარმოადგენს სახალხო დღესასწაულს და შესაბამისად დასვენების დღეს. მიუხედავად იმისა, რომ ეს დღე გერმანიაში არის სამუშაო დღე, ამერიკაში მცხოვრები მომხმარებლისათვის ეს არ ჩაითვლება 14 დღიან ვადაში და მომხმარებელს შეუძლია მომდევნო დღეს - 5 ივლისს თქვას უარი ხელშეკრულებაზე.

თუ ხელშეკრულების საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, მიწოდება ხორციელდება რამდენიმე ქმედებით, ვადის ათვლა დაიწყება ბოლო მიწოდების მომდევნო დღიდან. ამგვარი დათქმა განპირობებულია იმით, რომ მომხმარებელმა მხოლოდ მას შემდეგ მიიღოს ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ გადაწყვეტილება, როდესაც მას სრულყოფილად ჩაბარდება შეკვეთა.³⁴⁵

- **მაგალითი:** გურამმა ინტერნეტ-მაღაზია www.ebay.com-იდან, აქციის ფარგლებში გამოიწერა ვიდეოკამერა. აქციის პირობების თანახმად, თუ პირი კონკრეტულ დღეს შეიძენდა ვიდეო კამერას, მას საჩუქრად მოჰყვებოდა შტატივი. გურამს ვიდეო კამერა მიაწოდეს 31 მარტს, ხოლო შტატივი მოგვიანებით - 7 აპრილს ჩაბარდა. გურამს ხელშეკრულებიდან გასვლის ვადა აეთვლება არა 1 აპრილიდან, არამედ შეკვეთის სრულად ჩაბარების მომდევნო დღიდან - 8 აპრილიდან.

იმგვარი შემთხვევებისათვის, როდესაც ხელშეკრულების რომელიმე მხარე არღვევს ან ხელს უშლის მასზე უარის თქმის უფლების რეალიზებას,

1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council, 37.

³⁴³ იქვე, 38.

³⁴⁴ Regulation (EC) No 1393/2007 of the European Parliament and of the Council of 13 November 2007 on the Service in the Member States of Judicial and Extrajudicial Documents in Civil or Commercial Matter (service of documents), and repealing Council Regulation (EC) No 1348/2000, Art. 3(4).

³⁴⁵ DG Justice Guidance Document concerning Directive 2011/83/EU of the European Parliament and the Council of 25 October 2011 on the consumer rights, amending, Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council, 39.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღონისძიებების პარალელურად ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული უნდა იქნეს ჯარიმა.³⁴⁶

„მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ კანონპროექტი არ ითვალისწინებს თუნდაც მცირედი ოდენობის ჯარიმას მხარეთა მიერ მათზე დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობისათვის, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ნორმის არაეფექტური ან სრული აღუსრულებლობა.

მიუხედავად იმისა, რომ „მომხმარებლის უფლებების შესახებ“ დირექტივის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს მომხმარებლის დაცვა წარმოადგენს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას ნებისმიერ დროს, ნებისმიერი ხელშეკრულებიდან აქვს გასვლის უფლება. ბუნებრივია მოვაჭრესაც აქვს რიგი უფლებები, მათ შორის დაცული იყოს მომხმარებელთა მიერ მათთვის მინიჭებული უფლების ბოროტად გამოყენებისაგან.

„მომხმარებლის უფლებების შესახებ“ დირექტივის მიხედვით, არსებობს შემთხვევები, როდესაც მხარე ვერ ისარგებლებს ამ უფლებით, ასეთ შემთხვევაში მოვაჭრეს აკისრია მხოლოდ დირექტივის მე-6(1)(k) მუხლში მითითებული ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, რაც გულისხმობს მომხმარებლის გაფრთხილებას იმის თაობაზე, რომ კონკრეტულ შემთხვევაში მხარეს არ აქვს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება.³⁴⁷ მაგალითად, თუ ნასყიდობის ხელშეკრულება დაიდო რძეზე ან სხვა საკვებ პროდუქტზე, მომხმარებელს არ აქვს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება, რადგან ხელშეკრულების საგანს მალფუჭებადი პროდუქტი წარმოადგენს.³⁴⁸

ელექტრონული საშუალებით დადებულ ხელშეკრულების უარყოფის გამომრიცხავი გარემოებები „მომხმარებლის უფლებების შესახებ“ დირექტივის მე-16 მუხლშია მოცემული. მომხმარებელი ვერ ისარგებლებს ამ უფლებით, თუ სახეზეა მომსახურების ხელშეკრულება, რომელიც მომხმარებელთან შეთანხმების საფუძველზე, უკვე სრულად იქნა შესრულებული, მომხმარებელი კი წინასწარი იქნა გაფრთხილებული შესრულების შემდგომ ამ უფლებით სარგებლობის დაუშვებლობის შესახებ. ამ უფლებას ასევე გამორიცხავს ისეთი საგნის შეძენა, რომლის ფასიც ფინანსურ ბაზარზე არის მერყევი და მოვაჭრეს არ შეუძლია მისი კონტროლი. საგანი დამზადებულია მომხმარებლის სპეციფიკური შეკვეთის საფუძველზე და მკვეთრად ინდივიდუალურია.³⁴⁹ მომხმარებლის შეკვეთის საფუძველზე

³⁴⁶ Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/ECC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/ECC and Directive 97/7/EC of the European Parliament on the Council, Preamble, recital (48).

³⁴⁷ იქვე, Art. 16.

³⁴⁸ Regulation (EC) No 1393/2007 of the European Parliament and of the Council of 13 November 2007 on the Service in the Member States of Judicial and Extrajudicial Documents in Civil or Commercial Matter (service of documents), and repealing Council Regulation (EC) No 1348/2000, Art. 3(4).

³⁴⁸ DG Justice Guidance Document concerning Directive 2011/83/EU of the European Parliament and the Council of 25 October 2011 on the consumer rights, amending, Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council, 41.

³⁴⁹ Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/ECC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and

დამზადებულ ნივთად მიიჩნევა საგანი, რომელიც განსხვავდება ამავე ნივთის სერიული გამოშვებისაგან და წარმოადგენს მომხმარებლის მკაფიოდ განსაზღვრული სურვილის შედეგს.³⁵⁰ ეს დათქმა ლოგიკურია და მისი არარსებობა გამოიწვევდა მხოლოდ მოვაჭრის ფინანსურ დაზარალებას, ვინაიდან, მომხმარებლის მიერ შესრულების მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაში, მოვაჭრე იძულებული გახდებოდა გაენადგურებინა ინდივიდუალური შეკვეთით დამზადებული ნივთი, ვინაიდან მას სხვა მსურველი არ გამოუჩნდებოდა.

მომხმარებელი ხელშეკრულებაზე უარს ვერ იტყვის იმ შემთხვევაშიც თუ მის მიერ მოხდა მალფუჭებადი საგნის შეძენა, ან რომელიც არ ექვემდებარება დაბრუნებას ჯანმრთელობისა და ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნებიდან გამომდინარე, ასევე საგნები, რომლებიც თავისი ბუნებიდან გამომდინარე, მომხმარებლისათვის მიწოდების შემდეგ ხდება სხვა საგნის განუყოფელი ნაწილი.³⁵¹ ჯანმრთელობის და ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით, საქონლის არასათანადო შენახვის ან გამოყენების ბუნდოვანი რისკის შემთხვევაშიც კი დაუშვებელია ხელშეკრულებაზე უარის თქმას.³⁵² აღნიშნული შეზღუდვა ერთის მხრივ მოვაჭრეს, ხოლო მეორეს მხრივ სხვა მომხმარებელს იცავს ჰიგიენისა და ჯანმრთელობის ნორმების დარღვევისაგან. პირადი მოხმარების ჰიგიენურ ნივთს, შესაძლოა არ ჰქონდეს ვარგისიანობის ვადა, თუმცა მისი უკან დაბრუნებისა და განმეორებით გაყიდვის შემთხვევაში, შესაძლოა საფრთხის წინაშე სხვა მომხმარებელი დადგეს.

სხვა საგნის განუყოფელი ნივთის მაგალითად შესაძლოა მოყვანილ იქნეს ნავთი ან ბენზინი, რომელიც მომხმარებელმა, მიწოდების შემდეგ უნდა მოათავსოს კონტეინერში, რომელშიც შესაძლოა სხვა დროს შეძენილი ანალოგიური საქონლის ნარჩენები იყოს, ახალი შენაძენის პირობებში კი მოხდეს მათი შერწყმა იმგვარად, რომ შეუძლებელი გახდეს გამიჯვნა.³⁵³ თუ თავდაპირველად კონტეინერში მოთავსებული იყო დაბალი ხარისხის საწვავი, ხოლო მოგვიანებით მას საუკეთესო ხარისხის სითხე შეერევა, ბუნებრივია მათი გაცალკევება შეუძლებელი გახდება; ხარისხი და შესაბამისად ღირებულება დაიკლებს.

ალკოჰოლური სასმელების შეძენის შემთხვევაში მომხმარებელი ვეღარ დააბრუნებს მას ვინაიდან მისი ღირებულება არის მერყევი და მიწოდების პერიოდში შესაძლოა მოხდეს ფასის ცვლილება.³⁵⁴ შესაძლოა საქონლის

of the Council and repealing Council Directive 85/577/ECC and Directive 97/7/EC of the European Parliament on the Council, Art. 16 (a), (b), (c).

³⁵⁰ Palandt O., Brudermüller H., Götz I., Herrler S., Thorn K., Weidlich D., Ellenberger J., Grüneberg, Ch., Sprau H., Weidenkaff W., Wicke H., Bürgerliches Gesetzbuch, München, C.H. Beck, 2018, Band 7, 525 Rn.4.

³⁵¹ Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/ECC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/ECC and Directive 97/7/EC of the European Parliament on the Council, Art. 16 (d), (e), (f).

³⁵² MüKoBGB/Wendehorst, 7. Aufl. 2016, BGB § 312g Rn.24.

³⁵³ იქვე, Rn.27.

³⁵⁴ Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/ECC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and

მიწოდებას 30 დღემდე პერიოდი დაჭირდეს, ალკოჰოლური სასმელის ფასი კი მუდმივად ცვალებადი და მერყევი და დამოკიდებულია ბაზარზე. მოვაჭრე ღირებულების ცვლილებაზე გავლენას ვერ ახდენს. დათქმის მიზანს წარმოადგენს მომხმარებლის მიერ მოვაჭრის სპეკულაციის თავიდან არიდება.³⁵⁵

ხელშეკრულებებში, სადაც მომხმარებელმა მოვაჭრეს მოთხოვა ადგილზე გადაუდებლად მისვლა და სასწრაფო ზომების მიღება დაზიანებული ნივთის შესაკეთებლად და მოვაჭრემ ვიზიტის ფარგლებში შეასრულა დამატებითი მომსახურება ან დამატებით, მომხმარებელს მიაწოდა სხვა საგნები, გარდა დაზიანებულის შესაცვლელად გამოყენებული საგნისა, მომხმარებლის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება გავრცელდება მხოლოდ დამატებით შესრულებაზე ან საგანზე.³⁵⁶ ტერმინ „გადაუდებლის“ შეფასებისას არ უნდა მოხდეს მისი მკაცრად განსაზღვრა, ობიექტური თვალსაზრისით, მნიშვნელობა არ აქვს ნივთის შეკეთება რეალურად იყო გადაუდებელი თუ არა. მოვაჭრე მზად უნდა იყოს შეასრულოს მომხმარებლის მიერ ხელშეკრულებით მისთვის დაკისრებული მოვალეობა, შესაბამისად თუ შეთანხმების საფუძველზე შეკეთება მიჩნეულია გადაუდებლად, მოვაჭრის მხრიდან არ უნდა მოხდეს შეფერხება. ბუნებრივია მოვაჭრეს არ შეუძლია ინდივიდუალურად განსაზღვროს გადაუდებლობის საჭიროება, თუმცა ყველა შემთხვევაში შეკეთება არ არის გადაუდებელი თუ ის შესაძლებელია განხორციელდეს 14 დღის შემდეგაც.³⁵⁷

შეფუთულ აუდიო, ვიდეო ჩანაწერზე ან კომპიუტერულ პროგრამაზე, რომლის მთლიანობაც შეკვეთის მიღების შემდეგ დარღვეულ იქნა ასევე არ გავრცელდება ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება.³⁵⁸ ეს დათქმა გამომდინარეობს იქედან, რომ საქონლის მთლიანობის დარღვევის შემდეგ, არსებობს სპეციალური ნებართვის გარეშე მონაცემთა ასლის ან ჩანაწერის დამზადების საფრთხე.³⁵⁹ შესაძლოა არაკეთილსინდისიერმა მომხმარებელმა შეფუთვის მთლიანობის დარღვევის გზით გადმოწეროს და მოგვიანებით გაავრცელოს უკანონოდ ის მასალა, რაც ჩაწერილია აუდიო, ვიდეო ან კომპიუტერულ პროგრამებზე და რაზეც ვრცელდება სხვა პირთა საავტორო უფლებები, შემდეგ კი დააბრუნოს შეძენილი ნივთი და ამით მისი გავრცელების პასუხისმგებლობა მოიხსნას.

of the Council and repealing Council Directive 85/577/ECC and Directive 97/7/EC of the European Parliament on the Council, Art. 16. (g).

³⁵⁵ *Dauner-Lieb B., Langen W.*, BGB Sculdrecht, Baden-Baden, Nomoskommentar 2016, 3, Auflage, Band2/1, 1101, Rn.23.

³⁵⁶ Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/ECC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/ECC and Directive 97/7/EC of the European Parliament on the Council, Art. 16 (h).

³⁵⁷ MüKoBGB/Wendehorst, 7. Aufl. 2016, BGB § 3 12g Rn.49.

³⁵⁸ Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/ECC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/ECC and Directive 97/7/EC of the European Parliament on the Council, Art. 16 (i).

³⁵⁹ MüKoBGB/Wendehorst, 7. Aufl. 2016, BGB § 312g Rn.32.

გაზეთების, პერიოდულ გამოცემებისა და ჟურნალების გამოწერის შემთხვევაში ხელშეკრულებაზე უარის თქმა არის დაუშვებელი, ასევე საჯარო აუქციონის გზით შეძენილ საქონელზე, განთავსების, ავტომობილის გაქირავების, საქონლის მიწოდების, მზა საკვების მიწოდების ან სხვა მსგავსი სერვისის მიწოდების ხელშეკრულებების დროს, როცა შესრულება კონკრეტული თარიღით არის განსაზღვრული. ასევე ციფრული შინაარსის მატარებელი საქონლის მომხმარებლის წინასწარი ნებართვით მიწოდებისას.³⁶⁰ მოვაჭრის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისას, მომხმარებელს უფლება აქვს მოითხოვოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება. დაზიანებული ან წუნდებული პროდუქტის მიწოდების შემთხვევაში, მას ცალსახად აქვს როგორც ზიანის ანაზღაურების, ისე ახალი პროდუქტის მიღების უფლება. ამ შემთხვევაში, ნივთის დაზიანების მტკიცების ტვირთი მომხმარებელს აწევს.³⁶¹ სსკ-ის 491-ე მუხლის ანალოგიურ დათქმას წარმოადგენს მომხმარებლის უფლება უარი თქვას სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებაზე, ელექტრონული საშუალების გამოყენებით შეძენილი ნივთის ნაკლის გამო. ვინაიდან მოვაჭრის მიერ ადგილი აქვს ვალდებულების არაჯეროვან შესრულებას, თუმცა სსკ მითითებულ მუხლს ხელშეკრულების მოშლის შინაარსით იცნობს, მხარეს წარმოემოზა მასზე უარის თქმის და არა მისი მოშლის საფუძველი.

ყოველივე ზემოაღნიშნული ცხადჰყოფს, რომ მომხმარებლის უფლება, ყოველგვარი დასაბუთებისა თუ პატივსადები მიზეზის არარსებობის მიუხედავად უარი თქვას ხელშეკრულებაზე ნებისმიერ დროს, მათ შორის შესრულების მიღების შემდეგ, წარმოადგენს ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადებული ხელშეკრულების მნიშვნელოვან მახასიათებელს. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის დროს, მხარეს შეუძლია უარი თქვას მასზე, სსკ-ის 405-ე მუხლით დადგენილი წესითა და პირობებით.

5.2. ელექტრონული საშუალებებით დადებული ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველები და წესი

ხელშეკრულება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად შესაძლოა სხვადასხვა საფუძველით შეწყდეს, მათ შორის სსკ-ს მიხედვით არის შესრულება (მუხლები 427-433), ნოვაცია (მუხლი 428), დეპონირება (მუხლები 434-441), ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა (მუხლი 442-447), ვალის პატიება (მუხლი 448-451), კონფუზია (მუხლი 452), მოვალის გარდაცვალება (მუხლი 453), იურიდიული პირის ლიკვიდაცია (მუხლი 454).

³⁶⁰ Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/ECC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/ECC and Directive 97/7/EC of the European Parliament on the Council, Art. 16 (j), (k), (l), (m).

³⁶¹ UNICITRAL Digest of Case Law on the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods, New York, 2016, col.10-14, 219.

ხელშეკრულების შეწყვეტა, გულისხმობს შეწყვეტის უფლების წარმოშობას, ისე, რომ მხარეებს უნარჩუნდებათ მიღებული შესრულება და სარგებელი.³⁶²

განსახილველი ხელშეკრულების დადების სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლოა სამოქალაქო კოდექსით ხელშეკრულების შეწყვეტის დადგენილი ყველა ფორმა ვერ იქნეს რეალიზებული. მაგალითად, ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადებული ხელშეკრულება ვერ შეწყდება დეოპონირების, კონფუზიის გზით.

ნაკისრი ვალდებულების ჯეროვანი და კეთილსინდისიერი შესრულების ერთ-ერთი პირობა მისი დროული შესრულებაა. ელექტრონული საშუალებით დადებული ხელშეკრულების შეწყვეტისას მნიშვნელოვანია კონკრეტული მომენტის განსაზღვრა, როდესაც დასრულდა სახელშეკრულებო ურთიერთობა. ეს მომენტი ხელშეკრულების საგნიდან გამომდინარე დგება სხვადასხვა დროს.

ელექტრონული საშუალებით დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებისას, მხარეები წყვეტენ სახელშეკრულებო ურთიერთობას იმ შედეგის მიღების მომენტისათვის, რის მიღწევასაც ისინი თავდაპირველად ისახავდნენ მიზნად. თუ მაგალითად, სუპერმარკეტში ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას მხარეები ერთდროულად იღებენ შეთანხმებულ სარგებელს (მოვაჭრე - საფასურს, მომხმარებელი - ნივთს), ხელშეკრულების დისტანციურად გაფორმების გამო, ბუნებრივია შედეგი მხარეთათვის ერთსა და იმავე დროს არ დგება.

თუ ხელშეკრულება კონკრეტული მხარისათვის წყდება იმ მომენტში, როდესაც მან მის მიერ ნაგულისხმევ შედეგს მიაღწია, გამოვიდოდა, რომ უმეტეს შემთხვევაში მომხმარებელი აღმოჩნდებოდა არასახარბიელო ვითარებაში, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში პირველად მოვაჭრე იღებს ხელშეკრულებით შეთანხმებულ სარგებელს. სწორედ ამიტომ, ხელშეკრულება წყდება მას მერე, რაც მომხმარებელი მიიღებს იმ საგანსა თუ მომსახურებას, რომლის მისაღებადაც ის სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე გახდა. მაგალითად ელექტრონული საშუალების გამოყენებით ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას, მომხმარებელი ახდენს ანგარიშსწორებას, რის შემდეგაც მოვაჭრე აგზავნის კონკრეტულ ნივთს მითითებულ მისამართზე, რასაც გარკვეული დრო სჭირდება. შესაბამისად ხელშეკრულება შეწყდება მას მერე, როდესაც მომხმარებელი მიიღებს ზემოხსენებულ ნივთს/მომსახურებას და არა მოვაჭრის მიერ სარგებლის მიღების მომენტიდანვე.

ვალდებულების შესრულების ვადის დადგენის შესახებ გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში, არსებობს ორგვარი მიდგომა. ვალდებულების შესრულების შემდეგ ვალდებულების შესრულების ხელშეკრულების დადების შესახებ მეცნიერთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ვალდებულების ფაქტობრივი შესრულების გარდა უნდა გაფორმდეს შესრულების

³⁶² ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, გამომც. მერიდიანი, 2014, 504.

ხელშეკრულება და განხორციელდეს შესრულება. მეორე მიდგომის თანახმად, გამართლებულია „რეალური შესრულების თეორია, რომელიც ადგენს ვალდებულების შესრულების მოქმედების შედეგად მხოლოდ შესრულების შედეგის მიღწევას“³⁶³

ელექტრონული საშუალებით დადებული სესხის ხელშეკრულების დროს, მის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების შემდგომ მოვალეს შესაძლოა წარმოეშვას სსკ-ს 431-ე მუხლით მინიჭებული სავალო საბუთის მოთხოვნის უფლება. ზოგადად სავალო საბუთის მოთხოვნის უფლება აქვს კრედიტორს, იმისათვის რომ დაცული იყოს მისი ქონებრივი ინტერესი და არ მოხდეს მისი ბოროტად გამოყენება ან უგულვებელყოფა.

თუმცა ვალდებულების შესრულების შემდეგ, მოვალეს უფლება აქვს კრედიტორს მოთხოვოს სავალო დოკუმენტის უკან დაბრუნება ან/და ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის გაცემა.³⁶⁴ კრედიტორი, ვალდებულია მოთხოვნის შემთხვევაში შესრულების მთლიანად ან ნაწილობრივ მიღების შესახებ გასცეს დამადასტურებელი დოკუმენტი. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა კრედიტორისთვის უარყოფით შედეგის მომტანი შესაძლოა გახდეს. სსკ-ის 433-ე მუხლის თანახმად, თუ კრედიტორი უარს აცხადებს აღნიშნული დოკუმენტის გაცემაზე, სავალო საბუთის დაბრუნებაზე ან მის გაუქმებაზე ანდა შესრულების შესახებ დოკუმენტში მისი დაბრუნების შეუძლებლობის აღნიშვნაზე ან იმის აღიარებაზე, რომ ვალდებულება შეწყვეტილია, მაშინ მოვალეს უფლება აქვს უარი თქვას შესრულებაზე. ასეთ შემთხვევაში კრედიტორი ჩაითვლება ვადის გადამცილებლად. კანონი მოვალეს კიდევ უფრო მეტად იცავს, კერძოდ სსკ-ის 429-ე მუხლით, თუ ვალის მიღების შესახებ დოკუმენტში არაფერია ნათქვამი პროცენტის შესახებ, ივარაუდება, რომ პროცენტიც გადახდილია და ფულადი ვალდებულება სრულად არის შეწყვეტილი.³⁶⁵

მოვალის მიერ ვალდებულების შესრულებისა და კრედიტორის მიერ ამ შესრულების ფაქტის დადასტურებასთან დაკავშირებით, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა. სამოქალაქო საქმეთა პალატამ განმარტა რომ შესრულების მთლიანად ან ნაწილობრივ მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა დამოკიდებულია მოვალის სურვილზე. მოვალეს შესრულების შესახებ დოკუმენტთან ერთად შეუძლია მოითხოვოს სავალო დოკუმენტის დაბრუნება ან გაუქმება. ასეთი დოკუმენტის გაცემის შეუძლებლობის შემთხვევაში, მოვალეს უფლება აქვს მოითხოვოს ოფიციალურად დამოწმებული ცნობა იმის თაობაზე, რომ ვალდებულება შეწყვეტილია. ყველა მითითებულ შემთხვევაში კანონი მოვალეს აღჭურვავს მთელი რიგი უფლებებით, რათა შეძლოს

³⁶³ *ქეჭელაშვილი ზ.*, სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, გამომც. ბონა კაუზა, 2014, 238-239.

³⁶⁴ *ჭანტურია ლ., ზოიძე ბ.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, თბილისი, გამომც. სამართალი, 2001, წიგნი მესამე, 525-526.

³⁶⁵ *ქეჭელაშვილი ზ.*, სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, გამომც. ბონა კაუზა, 2014, 239.

ვალდებულების შესრულების და კრედიტორის მიერ ამ შესრულების მიღების ფაქტის დადასტურება. ამ უფლების გამოუყენებლობა წარმოადგენს მოვალის რისკს და შეუძლებელს ხდის ზემოთმითითებული შესრულების ფაქტის დადასტურებას. პალატამ მიიჩნია, რომ ზემოაღნიშნულ ურთიერთობასთან მიმართებით მხოლოდ მოწმის ჩვენების საფუძველზე შეუძლებელია ვალდებულების შესრულების ფაქტის დადასტურება.³⁶⁶

სსკ-ის 431-ე მუხლს ელექტრონული საშუალებით დადებული სესხის ხელშეკრულების დროს ძალზედ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, როგორც კრედიტორისათვის ისე მოვალისთვის. როგორც წესი, სესხის გაცემის დროს პირს საბანკო ან სხვა საფინანსო ორგანიზაციის მიერ მოეთხოვება ე.წ. კარგი საკრედიტო ისტორიის ქონა, რაც გულისხმობს, მოვალის მიერ წარსულში ნაკისრი ვალდებულების ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შესრულების ფაქტის დადასტურებას. შესაბამისად თუ მოვალემ უკვე შეასრულა მასზე დაკისრებული ვალდებულება, მაგრამ ისევ დასჭირდა სესხის ხელშეკრულების გაფორმება, მის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების დამადასტურებლად დასჭირდება სავალო საბუთი, რომლის მოთხოვნის შემთხვევაში კრედიტორი ვალდებული იქნება დააბრუნოს ან გასცეს ახალი დოკუმენტი. მოვალეს აღნიშნული დოკუმენტი შესაძლოა ასევე დასჭირდეს სასამართლოში წარსადგენადაც. ასეთ შემთხვევაში ის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მესამე ნაწილით, ყველა შემთხვევაში ვალდებული იქნება ვალის არარსებობა დაადასტუროს სავალო საბუთით, რადგან საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

ტერმინი **ნოვაცია** განახლებას, ცვლილებას გულისხმობს. „ნოვაციის კლასიკური გაგებით, მხარეები ერთ სახელშეკრულებო ურთიერთობაში ანაცვლებენ სხვა შინაარსის სახელშეკრულებო ურთიერთობას.“³⁶⁷

ნოვაციის გზით ხელშეკრულების შეწყვეტა გულისხმობს კრედიტორსა და მოვალეს შორის არა ახალი ვალდებულების წარმოშობას, არამედ შესრულების ნაწილის შეცვლას. ასეთ შემთხვევაში მხარეები ხელშეკრულების პირობების შესრულებამდე უნდა შეთანხმდნენ სხვაგვარ შესრულებაზე.³⁶⁸ კრედიტორსა და მოვალეს ნებისმიერ დროს შეუძლიათ შეთანხმდნენ ვალდებულების შეცვლის ან შეჩერების თაობაზე. ამგვარი შეთანხმება სპეციალური ფორმით გამოხატვას არ საჭიროებს, მხარეებმა ცვლილების სურვილი შესაძლოა თავიანთი ქმედებით გამოხატონ. მაგალითად

³⁶⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სამოქალაქო საქმეთა პალატის განმარტება, ხელმისაწვდომია: <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ganmarteba19.pdf>

უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 16.05.2019.

³⁶⁷ *ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ.*, სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, გამომც. მერიდიანი, 2014, 351.

³⁶⁸ *ჭანტურია ლ., ზოიძე ბ.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, თბილისი, გამომც. სამართალი, 2001, წიგნი მესამე, 517.

სახელშეკრულებო ვალდებულების დასრულება შესაძლოა გამოიხატოს ახალი სახელშეკრულებო ურთიერთობის დაწყების გზით.³⁶⁹

სსკ-ს 428-ე მუხლის 2002 წლიდან მოქმედი რედაქციის მიხედვით ვალდებულებითი ურთიერთობა წყდება მაშინაც, როდესაც კრედიტორი ამ ვალდებულებით გათვალისწინებული შესრულების ნაცვლად იღებს სხვა შესრულებას.

ბელგიისა და საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსების მიხედვით ხელშეკრულების ნაწილის ცვლილების მიხედვით, მხარეებმა შესაძლოა მიიღონ განსხვავებული შედეგი რაც თავდაპირველად არ ჰქონდათ დასახული, თუმცა ცვლილების შედეგი შესაძლოა იყოს სხვა ხელშეკრულება (ნოვაცია), რომელიც შესაძლოა წყვეტდეს წინა ხელშეკრულებას ან ახდენდეს იმავე ხელშეკრულების მოდიფიცირებას.³⁷⁰ ფრანგული სამართლის მიხედვით, ნოვაციის დროს წყდება ძველი ვალდებულების უზრუნველყოფი აქცესორული უფლებაც. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის თანახმად ნოვაცია ხორციელდება თუ მოვალე კრედიტორთან დებს ხელშეკრულებას, რომლითაც დგინდება ახალი ვალი და რომელიც ცვლის წინა ვალს; თუ მოვალე იკავებს ძველი მოვალის ადგილს და ეს უკანასკნელი კრედიტორის მიერ თავისუფლდება ვალისგან; თუ ახალი ვალდებულების ძალით ახალი კრედიტორი ცვლის ძველ კრედიტორს, მოვალე თავისუფლდება ძველი კრედიტორის წინაშე ვალდებულებისაგან.³⁷¹

- **მაგალითი:** კომპანია „უნასმა“ დაარსების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებისათვის ტელეფონის მეშვეობით, რესტორანთან დადო საკვები პროდუქტებისა და სასმელის მიწოდების ხელშეკრულება. მხარეებს შორის, ელექტრონული ფორმით დაიდო ნასყიდობისა და მიწოდების ხელშეკრულება. მოგვიანებით, რესტორანმა ვედარ შეძლო პროდუქტის მიწოდების უზრუნველყოფა, რაც წინასწარ აცნობა კომპანიას და თანხის შემცირების სანაცვლოდ, მხოლოდ ნასყიდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება შესთავაზა. კრედიტორი დათანხმდა შეთავაზებულ ახალ პირობას.

დეპონირებით ხელშეკრულების შეწყვეტას ითვალისწინებს სსკ-ს 434-ე მუხლი, რომლის თანახმად, თუ კრედიტორი აყოვნებს შესრულების მიღებას, ან უცნობია მისი ადგილსამყოფელი, მოვალე უფლებამოსილია შესრულების საგანი შეინახოს სასამართლოსა ან ნოტარიატში, ხოლო ფული ან ფასიანი ქაღალდი შეიტანოს ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე. დეპონირებით მოვალე თავისუფლდება კრედიტორის წინაშე ვალდებულებისაგან.

როგორც მუხლის შინაარსიდან ირკვევა, დეპონირების საჭიროება მას შემდეგ წარმოიშობა, როდესაც მოვალეს, მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით არ აქვს შესაძლებლობა შეხვდეს ან დაადგინოს კრედიტორის

³⁶⁹ Bar Von Ch., Clive E., Schulte-Nölke H., Study Group on a European Civil Code, Principles, Definitions and Model Rules of European Private Law, Munich, GmbH European Law Publishers, 2009, 728.

³⁷⁰ იქვე, 729.

³⁷¹ *კეჟელაშვილი ზ.*, სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, გამომც. ბონა კაუზა, 2014, 242.

ადგილსამყოფელი. ვინაიდან ელექტრონული საშუალებით ხელშეკრულების დადებისას ორივე მხარე - მოვაჭრე და მომხმარებელი ვალდებული არიან ერთმანეთს მიაწოდონ ინფორმაცია საკუთარი ადგილსამყოფელის შესახებ, დეპონირებით ხელშეკრულების შეწყვეტის საჭიროება ამ შემთხვევაში არ წარმოიშობა, რადგანაც მხარეები ერთმანეთის მიმართ ნაკისრ ვალდებულებას ისედაც ფიზიკური კავშირის გარეშე ასრულებენ. აღსანიშნავია, რომ საკუთარი ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაციას, მომხმარებელი მოვაჭრეს ხელშეკრულების დადებამდე აწვდის. თუ მომხმარებელი საკუთარ მისამართს არ მიუთითებს, მაშინ ელექტრონული საშუალებით ხელშეკრულების დადება ვერ განხორციელდება. თუ მხარე არასწორ ან მცდარ მისამართს აწვდის კრედიტორს, ეს მისივე ინტერესებს აზიანებს;

რადგან ხელშეკრულება ორივე მხარისათვის ვალდებულებებს წარმოშობს, გარკვეულწილად ის სამართლებრივი ტვირთია. შესაბამისად მხარეები დაინტერესებულნი უნდა იყვნენ დროულად შეასრულონ ვალდებულება. ბუნებრივია დეპონირების დროს გამონაკლისს არც ელექტრონული საშუალებით დადებული ხელშეკრულების მხარე - მოვაჭრე წარმოადგენს. მასაც სურს შეძლებისდაგვარად დროულად შეასრულოს ვალდებულება, რომლიდანაც ის იმ მომენტიდან თავისუფლდება, როდესაც მხარის მიერ მითითებულ მისამართზე გაგზავნის შეძენილ საქონელს დამისი ჩაბარება დადასტურდება მომხმარებლის მიერ. თუ ჩაბარება მომხმარებლის განზრახი ან გაუფრთხილებელი ქმედებით ვერ ხერხდება, კრედიტორს არ წარმოეშობა ხელშეკრულების დეპონირების გზით დასრულების ვალდებულება. ვინაიდან ელექტრონული საშუალებით ხელშეკრულების დადებისას მხარეები ერთმანეთთან კომუნიკაციას ტელეფონის, ელექტრონული ფოსტის ან სხვა ელექტრონული საშუალებით ახორციელებენ, როგორც წესი მომხმარებელს პერიოდულად ამავე გზით ეცნობება შეძენილი ნივთის ადგილსამყოფელი, შესაბამისად ის ინფორმირებულია იმის შესახებ, რომ მოვაჭრე კეთილსინდისიერად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას და თუ მასაც სურს მიიღოს სარგებელი, მან პირველ ყოვლისა შესრულება უნდა მიიღოს.

სსკ-ს 442-ე მუხლის მიხედვით, სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტა ასევე შესაძლოა განხორციელდეს ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვით, რაც ნიშნავს, მხარეთა მიერ, ერთმანეთის მიმართ ნაკისრი ვალდებულებების გაქვითვას.

ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვისათვის საჭიროა რომ ორ პირს ერთმანეთის მიმართ ვალდებულების შესრულება ეკისრებოდეს, ანუ ერთმანეთისათვის ერთდროულად იყვნენ კრედიტორიც და მოვალეც.³⁷² თუმცა ასევე სავალდებულოა ერთი მხარის მიერ მეორისათვის შეტყობინების წარდგენა მოთხოვნათა გაქვითვის შესახებ. ხელშეკრულების ნებისმიერ

³⁷² ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, თბილისი, გამომც. სამართალი, 2001, წიგნი მესამე, 545.

მხარეს აქვს უფლება, ცალმხრივი ნების გამოვლენით, რომელიც აუცილებლად უნდა მიუვიდეს მეორე მხარეს, განახორციელოს მოთხოვნის გაქვითვა.³⁷³

გაქვითვის შემთხვევაში, მოთხოვნები იფარება და ისინი შეწყვეტილად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც ხდება გაქვითვისთვის ვარგისი მოთხოვნების ერთმანეთის მიმართ დადგენა.³⁷⁴

მხარეთა შეთანხმებისას, სახელშეკრულებო ურთიერთობა ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადებული ხელშეკრულების შემთხვევაშიც, შესაძლოა შეწყდეს ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვით.

- **მაგალითი:** ანანო ხელნაკეთ აქსესუარებს აწარმოებს და მათ სხვადასხვა ინტერნეტ-გვერდის მეშვეობით ყიდის. აქსესუარების დასამზადებელ მასალას ის ინტერნეტ-მაღაზია „www.basa.com“-იდან იწერს. თავის მხრივ ეს უკანასკნელი სწორედ ხელნაკეთი ნივთებითა და მათთვის საჭირო აქსესუარებით ვაჭრობს. ანანოს სურს თავის პროდუქციაც განთავსდეს მითითებულ ინტერნეტ-მაღაზიაში, რითაც ასევე დაინტერესებულია მოვაჭრე. მას შემდეგ რაც ანანო მაღაზიიდან იწერს 120 - აშშ დოლარის ღირებულების მასალას, ინტერნეტ-მაღაზია ანანოსგან ყიდულობს 7 ერთეულ აქსესუარს, რომელთა საერთო ღირებულება 120 აშშ დოლარია. ანანო, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით სთავაზობს ინტერნეტ-მაღაზიას ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვას, რაზედაც ეს უკანასკნელი სიამოვნებით თანხმდება.

მოყვანილ მაგალითში, ანანო და ინტერნეტ-მაღაზია ერთმანეთის მიმართ, ერთდროულად აღმოჩნდნენ მოვაჭრეებიც და მომხმარებლებიც, რამაც გამოიწვია ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის შესაძლებლობის წარმოშობა.

ვალის პატიების გზით ვალდებულების შეწყვეტისას არ ხდება კრედიტორის დაკმაყოფილება, მაგრამ ეს უკანასკნელი უარს ამბობს თავის მოთხოვნაზე.³⁷⁵ ვალის პატიება არ წარმოადგენს ცალმხრივ გარიგებას. მხოლოდ კრედიტორის ნება, მოვალეს აპატიოს ვალი საკმარისი არაა, ამისათვის აუცილებელი მოვალემ ანალოგიურად გამოხატოს ნება. მოვალის დუმილი ასევე შესაძლოა ჩაითვალოს კონკლუიდეტურ მოქმედებად - თანხმობად იმის თაობაზე, რომ მას ეპატიოს ვალი.³⁷⁶ სურვილისა და შესაბამისი ნების არსებობის შემთხვევაში, ონლაინ-სესხის გამცემმა კომპანიამ შესაძლებელია მომხმარებელთან სახელშეკრულებო ურთიერთობა შეწყვიტოს ვალის პატიებით, თუმცა აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაშიც საჭიროა მომხმარებლის თანხმობა. თუ მხარეს არ სურს, რომ მას ეპატიოს ვალი, მაშინ

³⁷³ *კეჭელაშვილი ზ.*, სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, გამომც. ბონა კაუზა, 2014, 245-246.

³⁷⁴ *კეჭელაშვილი ზ.*, სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, გამომც. ბონა კაუზა, 2014, 247.

³⁷⁵ *ჭანტურია ლ., ზოიძე ბ.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, თბილისი, გამომც. სამართალი, 2001, წიგნი მესამე, 558.

³⁷⁶ *კეჭელაშვილი ზ.*, სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, გამომც. ბონა კაუზა, 2014, 248.

მოვაჭრე, კეთილშობილური სურვილის მიუხედავად, ვერ შეძლებს ხელშეკრულების ამგვარად შეწყვეტას.

ვალის პატიების პრეცედენტი საქართველოში 2018 წლის დეკემბერში განხორციელდა, როდესაც სოციალური სოლიდარობის აქტის პროცესში ჩაერთო არაერთი ბანკი და საფინანსო ორგანიზაცია, რომლებმაც მილიონობით ლარის ოდენობის დავალიანება გაუნულა მოვალეებს.

ვალდებულებითი ურთიერთობა ორ პირს შორის წარმოშობილი ურთიერთობაა, რომლის დროსაც ერთ პირს აქვს შესრულების მოთხოვნის უფლება, მეორეს კი შესრულების ვალდებულება. თუ მოთხოვნა და ვალდებულება ერთი და იმავე პირის ხელში აღმოჩნდება, მაშინ ვალდებულება წყდება.³⁷⁷ კონფუზიის გზით ელექტრონული საშუალებით დადებული ხელშეკრულების შეწყვეტა პრაქტიკაში ძნელად წარმოსადგენია. სსკ-ს 452-ე მუხლით თუ მოვალე და კრედიტორი ერთი და იგივე პირი აღმოჩნდება, ვალდებულება წყდება. ამ მოვლენას სხვაგვარად კონფუზია ეწოდება. როგორც არაერთხელ აღინიშნა ელექტრონული საშუალებით ხელშეკრულება შესაძლოა დაიდოს ნასყიდობის, მიწოდების, ან სხვაგვარი მომსახურების შესახებ, უმეტესად, მაგრამ არა ყოველთვის, მოვაჭრე არის იურიდიული, ხოლო მომხმარებელი ფიზიკური პირი. შესაბამისი ფაქტობრივი მდგომარეობის არსებობის მიუხედავად, მომხმარებელი - ფიზიკური პირი, ვერ აღმოჩნდება მოვაჭრე - იურიდიული პირი.

- **მაგალითი:** გიორგი არის ონლაინ-სესხის გამცემი კომპანიის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი. გიორგის ქალიშვილი მარიამი გადაწყვეტს მამის კომპანიისგან ისესხოს გარკვეული თანხა. ვალდებულების შესრულებამდე გიორგიმ გადაწყვიტა შვილს გადასცეს კომპანიის მართვის უფლებამოსილება და მას ნიშნავს ხელმძღვანელის პოზიციაზე. მართალია, მარიამი თავად აღმოჩნდა იმ კომპანიის ხელმძღვანელი, რომლის წინაშეც მას აკისრია ფინანსური ვალდებულება, თუმცა ეს მაგალითი ვერ იქნება კონფუზიის ნიმუში, ვინაიდან მარიამი ვალდებული იყო არა მამის არამედ კომპანიის წინაშე და რადგან მან სამსახურებრივად ჩაანაცვლა მამა და არა კომპანია, ბუნებრივია მას ისევ ეკისრება შესრულების ვალდებულება.

ფიზიკური პირი მოვალის ან კრედიტორის გარდაცვალება ყველა შემთხვევაში ავტომატურად არ იწვევს სახელშეკრულებო ვალდებულების შეწყვეტას. ზემოხსენებული საფუძვლით სახელშეკრულებო ვალდებულება შეწყდება მხოლოდ მაშინ, თუ მოვალე მხოლოდ პირადად შეძლებდა ამ ვალდებულების შესრულებას და მის გარეშე დასახული მიზნის მიღწევა შეუძლებელია.³⁷⁸ ელექტრონული საშუალების გამოყენებით, სესხის

³⁷⁷ *ჟანტურია ლ., ზოიძე ბ.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, თბილისი, გამომც. სამართალი, 2001, წიგნი მესამე, 563.

³⁷⁸ *ჭეჭელაშვილი ზ.*, სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, გამომც. ბონა კაუზა, 2014, 251.

ხელშეკრულების დადების შემთხვევაში, თუ ვალდებულების სრულად ან ნაწილობრივ შესრულებამდე გარდაიცვალა მოვალე, მაშინ ვალდებულება შეწყდება სწორედ ზემოხსენებული საფუძვლით.

იურიდიული პირის ლიკვიდაციის შემთხვევაში წყდება სახელშეკრულებო ვალდებულება. თუმცა ელექტრონული საშუალების გამოყენებით ხელშეკრულების შეწყვეტა, იურიდიული პირის ლიკვიდაციის გამო პრაქტიკაში ნაკლებ სავარაუდოა, რადგან ტექნიკური თვალსაზრისით, თუ ხდება იურიდიული პირის ლიკვიდაცია, ის ინტერნეტის მეშვეობითაც ვეღარ განახორციელებს საქმიანობას და მომხმარებელიც ვერ შეძლებს მასთან ხელშეკრულების გაფორმებას. იურიდიული პირის ლიკვიდაციამდე ნაკისრი ვალდებულების შესრულება ცხადია მხარეს მაინც ეკისრება.

დასკვნა

სადოქტორო ნაშრომის კვლევის ძირითადი შედეგები შეიძლება ჩამოყალიბებულ იქნეს, შემდეგი დასკვნითი წინადადებების სახით:

1. ელექტრონული საშუალების გამოყენებით ხელშეკრულებას წარმოადგენს ორ არათანმყოფ პირს შორის დისტანციურად, უშუალო ფიზიკური შეხვედრის გარეშე დადებული გარიგება. მხარეთა არათანმყოფობა ურთიერთობის კუმულატიურ მოთხოვნას წარმოადგენს. ელექტრონული საშუალების გამოყენებით ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულებაც ხდება მხარეთა შეხვედრის გარეშე.
2. ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადებული ხელშეკრულების მხარეები ერთგვარად არათანაბარ პირობებში იმყოფებიან. მომხმარებელი, მოვაჭრესთან შედარებით არახელსაყრელ მდგომარეობაშია, ვინაიდან მოვაჭრისთვის ამ ფორმით სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლა არ წარმოადგენს უჩვეულო ან მოულოდნელ პროცესს. რაც შეეხება მომხმარებელს, მისთვის ელექტრონული ფორმით ხელშეკრულების დადება დაკავშირებულია სხვადასხვა დაბრკოლებასთან.
3. შემთხვევა, როდესაც მომხმარებელი სასურველი საქონლის შესახებ ინფორმაციას იღებს ელექტრონული საშუალების გამოყენებით, თუმცა მოვაჭრის ადგილსამყოფელზე მისვლით ამოწმებს შესაძენ ნივთს და მოგვიანებით ისევ ელექტრონული საშუალების გამოყენებით დებს გარიგებას, არ უნდა იქნას მიჩნეული ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადებულ ხელშეკრულებად. საწინააღმდეგოს მიჩნევით აზრს კარგავს მომხმარებელთა უფლებების პრიორიტეტულად დაცვის იდეა, ვინაიდან თუ მომხმარებელს ეძლევა სასურველი პროდუქციის პირადად შემოწმების შესაძლებლობა, მას აღარ უნდა მიენიჭოს თანმყოფი პირებისგან განსხვავებული პრივილეგია და ამგვარად არ უნდა მოხდეს განსხვავებული სტანდარტის დადგენა.
4. ელექტრონული საშუალების გამოყენებით ხელშეკრულების დადებისას შეფასების გაკეთების შესაძლებლობა პოტენციურ მომხმარებლებს აძლევს საშუალებას გაიზიაროს სხვების გამოცდილება და მხოლოდ მას შემდეგ მიიღოს სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლის გადაწყვეტილება, როცა დარწმუნდება, რომ ეს პროდუქცია ზუსტად შეესაბამება მის მოთხოვნებს. მოვაჭრისათვის კი მომხმარებელთა მიერ გაკეთებული შეფასება, სამომავლოდ წარმოებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და კონკურენტუნარიან ბაზარზე დამკვიდრების კარგი საშუალებაა.
5. ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადებული ხელშეკრულება შესაძლოა იყოს როგორც ზეპირი ისე წერილობითი ფორმის. სატელეფონო საუბრის შედეგად არათანმყოფ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება არის ზეპირი ფორმით დადებული. მოვაჭრის მიერ მომხმარებლისათვის ხელშეკრულების დადების წერილობით დადასტურება, რაც ხორციელდება ნებისმიერი ელექტრონული

საშუალების გამოყენებით, წარმოადგენს წერილობითი ფორმით დადებულ გარიგებას - ელექტრონული დოკუმენტის შედგენის შემთხვევაში სახეზეა წერილობით ფორმა. ასეთ შემთხვევაში ხელმოწერაც სრულდება ელექტრონული ფორმით, რასაც იგივე სამართლებრივი ძალა გააჩნია, რაც ცოცხლად შესრულებულ ხელმოწერას. ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადებული წერილობითი ხელშეკრულება, რომელიც იძლევა შემდგენის ვინაობისა და გამოვლენილი ნების დადგენის შესაძლებლობას, არის მარტივი წერილობითი ფორმით დადებული გარიგება.

6. არათანმყოფ პირებს შორის ხელშეკრულების დადების ადგილის განსაზღვრას გააჩნია პრაქტიკული მნიშვნელობა, ვინაიდან თუ ხელშეკრულება იდება სხვადასხვა ქვეყანაში მყოფ პირებს შორის, მათ შორის უთანხმოების შემთხვევაში უნდა დადგინდეს თუ რომელი ქვეყნის სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს მხარეთა შორის წარმოშობილი დავა. ელექტრონული საშუალების გამოყენებით ხელშეკრულების დადების ადგილის ზუსტად განსაზღვრის უმთავრესი მიზანი მხარეთა შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში გამოსაყენებელი სამართლისა და განსჯადი სასამართლოს არჩევაა.
7. არათანმყოფ პირებს შორის ხელშეკრულების დადების მომენტად ითვლება სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლის თაობაზე, მომხმარებლის მიერ გამოვლენილი ნება, რომელიც მოვაჭრის მიერ დადგენილი წესების მიღებას ადასტურებს. არათანმყოფი პირების მიერ ხელშეკრულების დადების ნების გამოვლენად ითვლება ერთის მხრივ ოფერტზე მოწვევა, ხოლო მეორეს მხრივ ოფერტის მიღება და აქცეპტის გაკეთება.
8. არასრულწლოვანი ან მხარდაჭერის მიმღები პირის მიერ ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადებული ხელშეკრულების ნამდვილობისათვის, უნდა მოხდეს მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის მიერ გარიგების მოწონება. წინააღმდეგ შემთხვევაში მოვაჭრის მიერ ვერ იქნება მოთხოვნილი ნაკისრი ვალდებულების შესრულება, მით უფრო თუ გარიგება არ არის არასრულწლოვანი ან მხარდაჭერის მიმღები პირის ინტერესების შესაფერისი და არ წარმოადგენს მათ ნამდვილ ნებას.

არასრულწლოვანი პირების მიერ არასწორი ინფორმაციის მიწოდების თავიდან არიდების მიზნით, მიზანშეწონილია მოვაჭრეს დაუწესდეს ვალდებულება მომხმარებელს მოსთხოვოს, როგორც დაბადების თარიღის დადასტურება, ისე სხვა მეთოდით შემოწმდეს მისი ქმედუნარიანობა. როდესაც საკითხი შეეხება სპეციფიური პროდუქციის შექმნას (მაგ. მედიკამენტი, იარაღი, სხვადასხვა ქიმიური ნივთიერებები და ა.შ) უმჯობესი იქნება მოვაჭრემ გამოიყენოს წინასწარ შემუშავებული კითხვარი, რაც მეტ-ნაკლებად გამორიცხავს არასრულწლოვანი ან მხარდაჭერის მიმღები პირის შესაძლებლობას გახდეს ხელშეკრულების მხარე. თუ შექმნილი საქონლის ადრესატისათვის მიწოდებაც

ხორციელდება მოვაჭრის მიერ, მან დოკუმენტურად უნდა გადაამოწმოს პირის ვიანობა, ასაკი და სხვა მონაცემები.

9. ელექტრონული საშუალების გამოყენებით ხელშეკრულება შესაძლოა დაიდოს მესამე პირის სასრგებლოდ. ასეთ შემთხვევაში მოვაჭრე ვალდებულია შესრულება განახორციელოს მესამე პირის და არა მომხმარებლის მიმართ, თუმცა ეს არ გამორიცხავს მომხმარებლის მიერ მისთვის კანონით მინიჭებული უფლებებით სარგებლობასა და ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.
10. ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადებული ხელშეკრულება მხარეთა სხვადასხვა უფლება-მოვალეობებიდან, ერთ-ერთი უმთავრესი მოვაჭრის მიერ მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდებაა. ინფორმაციის მიწოდების უფლების რეალიზება ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადებული ხელშეკრულების ნამდვილობისათვის არსებითად მნიშვნელოვანია. მომხმარებელს მოვაჭრის მიერ შეთავაზებულ საქონელსა თუ მომსახურებაზე ძირითადი ინფორმაცია ხელშეკრულების დადებამდე უნდა მიეწოდოს, რაც პოტენციურ მომხმარებელს აძლევს საშუალებას და უტოვებს არჩევანის შესაძლებლობას შევიდეს ან უარი თქვას სახელშეკრულებო ურთიერთობაზე.
მოვაჭრის მიერ მომხმარებლისთვის მოწოდებული ინფორმაცია უნდა იყოს მარტივად გასაგები, რათა ის აღქმადი იყოს მომხმარებელთა ფართო მასისთვის.
11. მომხმარებლისათვის მოვაჭრის ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაციის მიწოდების დავალდებულება გაცილებით ეფექტური და მიზნის პროპორციულია, ვიდრე მისი შეზღუდვა გარკვეული პირობებით. მოვაჭრე, რომელსაც არ სურს მისი საქმიანობა, თუნდაც ხელშეკრულების დადების შემდეგ, შეამოწმოს მომხმარებელმა ან მის მიერ გაგზავნილმა სხვა პირმა, დამალავს ადგილსამყოფელის შესახებ ცნობას, რაც საბოლოოდ არ მოემსახურება ინფორმაციის გამჭვირვალობისა და ღიაობის იდეას.
12. ინფორმაციის მარტივად მიწოდება გულისხმობს მის ხელმისაწვდომობას. მომხმარებელს ინფორმაციის მიღების მიზნით არ უნდა უწევდეს სხვადასხვა ქმედების განხორციელება და დამატებითი რესურსის გახარჯვა და მას უნდა ჰქონდეს საშუალება სასურველი საქონლის ან მომსახურების შესახებ ამომწურავი ინფორმაცია მიიღოს იმავე ინტერნეტ-გვერდზე, სადაც მოვაჭრემ განახორციელა მოწვევა ოფერტზე.
13. ელექტრონული საშუალების გამოყენებით ფინანსური მომსახურების გაწევისას, მოვაჭრეს ეკისრება გაცილებით მეტი და დეტალური ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება. აღნიშნული მიდგომა დამკვიდრებულია, როგორც საერთაშორისო ისე ევროპის ქვეყნების ეროვნული კანონმდებლობებით. საქართველოში დამკვიდრებული პრაქტიკა არ იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ მოვაჭრე ცდილობს მომხმარებელს მიაწოდოს ამომწურავი და დეტალური ინფორმაცია. დამკვიდრებული უარყოფითი პრაქტიკის აღმოფხვრის მიზნით,

უმჯობესი იქნება საკანონმდებლო დონეზე მოხდეს ფინანსური მომსახურების დროს ინფორმაციის მიწოდების ოდენობისა და შინაარსის ზღვარის დადგენა, არა მხოლოდ საბანკო სექტორისათვის, არამედ მიკრო-საფინანსო ორგანიზაციებისთვის, რომლებიც გასცემენ ონლაინ-სესხებს.

14. ელექტრონული საშუალების გამოყენებით ხელშეკრულების დადებისას, მხარეთათვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება გარკვეულ რისკებთან არის დაკავშირებული, როდესაც მხარეები (უმეტესად მომხმარებელი) ერთმანეთისათვის ხელმისაწვდომს ხდიან პერსონალურ მონაცემებს. ელექტრონული საშუალების გამოყენებით ხელშეკრულების დადებისას, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, უკავშირდება მომხმარებელსა და მოვაჭრეს შორის ნდობის ჩამოყალიბებას. მომხმარებლის მიერ მოვაჭრისათვის გაზიარებული ისეთი მნიშვნელოვანი ცნობები, როგორცაა მაგალითად საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები, მოვაჭრის მხრიდან ამ ინფორმაციის დაცვას და სხვა პირთათვის გაუზიარებლობას საჭიროებს.

ელექტრონული საშუალების გამოყენებით ხელშეკრულების დადებისას მომხმარებლისთვის განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების გაზიარების მოთხოვნა, ხელშეკრულების არსის მიუხედავად ვერ ჩაითვლება გონივრულად და ვერ იქნება მიზნის პროპორციული. პრაქტიკაში რთულად წარმოსადგენია ხელშეკრულების დადებისას რა საჭიროება შეიძლება არსებობდეს მომხმარებლის ეთნიკური, რასობრივი კუთვნილებისა თუ რელიგიური მრწამსის შესახებ ინფორმაციის მიწოდებაში.

15. სამართლებრივი სახელმწიფოს მიზნების, ზნეობის ნორმებსა და საზოგადოების პატივისცემაზე დაფუძნებული პრაქტიკის გათვალისწინებით, ივარაუდება, რომ ელექტრონული საშუალების გამოყენებით შესაძლებელია ნასყიდობის ხელშეკრულება დაიდოს ყველა იმ მოძრავ ნივთზე თუ მომსახურებაზე რაზეც თანმყოფი პირებიც შეძლებდნენ შეთანხმების მიღწევას.
16. სამომხმარებლო ხელშეკრულებები შესაძლოა დაიდოს მხოლოდ მოძრავ ნივთზე ან ციფრულ მონაცემზე. ელექტრონული საშუალების გამოყენებით ხელშეკრულების არსი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ის მხარეთა ფიზიკური დასწრების გარეშე იდება. ელექტრონული საშუალების გამოყენებით აუქციონის გზით უძრავი ქონების შეძენა, რასაც მოქმედი კანონმდებლობა ადგენს, ვერ ჩაითვლება ელექტრონულ ხელშეკრულებად, ვინაიდან ქონების გადაცემის დადასტურება სავალდებულოდ უნდა მოხდეს რთული სანოტარო წესით.
17. როდესაც ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადებული ხელშეკრულების ობიექტს წარმოადგენს საავტორო და მომიჯნავე უფლებები, დაცულ უნდა იქნეს საავტორო უფლებები კონკრეტულ ნაწარმოებზე, ნაშრომზე, ფოტოზე თუ გრაფიკულ გამოსახულებაზე. საავტორო უფლების დაცვაში იგულისხმება ავტორის ან საამისოდ უფლებამოსილი პირის ნებართვის გარეშე ნაწარმოების რეპროდუცირება, გამრავლება ან ავტორის მითითების გარეშე მისი გამოყენება.

18. ბოლო დროს ფართოდ გავრცელებული მოკლე ტექსტური შეტყობინებების გზით, სხვადასხვა მაღაზიებისა და პროდუქციის შესახებ ინფორმაციის მიწოდება ოფერტზე მოწვევას წარმოადგენს. მართალია, ასეთ შემთხვევაში მოვაჭრე უშუალოდ, მობილური ტელეფონის მეშვეობით, უკავშირდება კონკრეტულ პირებს, აწვდის ინფორმაციას პროდუქციისა თუ მომსახურების შესახებ და ამგვარად სთავაზობს მომხმარებლებს მასთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლას, მაგრამ მიუხედავად ამისა, ეს ქმედებაც უნდა შეფასდეს ოფერტზე მოწვევად და არა ოფერტად. თუ პირი არ დაინტერესდება მიღებული ინფორმაციით და არ გადადგამს შემდგომ ნაბიჯს, ოფერტზე მოწვევა დარჩება მხოლოდ შეთავაზებად და მას არ მოჰყვება არანაირი სამართლებრივი შედეგი.
19. ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადებული გარიგება ბათილია, რომელიც შეეხება უძრავი ქონების ნასყიდობას, ხელშეკრულების ობიექტს წარმოადგენს კანონსაწინააღმდეგო ნივთები, მათ შორის ნარკოტიკული საშუალებები, აკრძალული ნივთები ან მომსახურება, პროდუქტი, რომელის კანონსაწინააღმდეგო შემქნით ირღვევა საავტორო უფლებები. მომსახურებასა და ფასს შორის თვალშისაცემი არაპროპორციულობა შესაძლოა მიჩნეულ იქნეს ზნეობის საწინააღმდეგო გარიგებად. ანალოგიურად, ამორალურად შეიძლება იქნეს მიჩნეული, ელექტრონული საშუალებით დადებული სესხის ხელშეკრულებისას, ისეთი საპროცენტო განაკვეთის დაწესება, რომელიც მხარეს კაბალურ პირობებს უდგენს.
20. მომხმარებლის უფლება, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე და პატივსადები მიზეზის არარსებობისას უარი თქვას ხელშეკრულებაზე ნებისმიერ დროს, მათ შორის შესრულების მიღების შემდეგ, წარმოადგენს ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადებული ხელშეკრულების მნიშვნელოვან მახასიათებელს. ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადებულ ხელშეკრულებაზე უარის თქმა არ არის იმავე სამართლებრივი შინაარსის მატარებელი, რაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ხელშეკრულების მოშლაში ან მასზე უარის თქმაში მოიაზრება. მიუხედავად ამისა ამ უფლებას საერთო მახასიათებელი აქვს, როგორც ხელშეკრულების მოშლასთან ისე მასზე უარის თქმასთან;
- ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას უპირობო ხასიათი გააჩნია, რაც ნიშნავს იმას, რომ ამ უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა ხელშეკრულების ერთი ან ორივე მხარის კეთილ ნებაზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ კანონითაა გარანტირებული.
21. ნაკისრი ვალდებულების ჯეროვანი და კეთილსინდისიერი შესრულების ერთ-ერთი პირობა მისი დროული შესრულებაა. ელექტრონული საშუალებით დადებული ხელშეკრულების შეწყვეტისას მნიშვნელოვანია კონკრეტული მომენტის განსაზღვრა, როდესაც დასრულდა სახელშეკრულებო ურთიერთობა. ეს მომენტი ხელშეკრულების საგნიდან გამომდინარე დგება სხვადასხვა დროს. ელექტრონული საშუალებით

დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებისას, მხარეები წყვეტენ სახელშეკრულებო ურთიერთობას იმ შედეგის მიღების მომენტისათვის, რის მიღწევასაც ისინი თავდაპირველად ისახავდნენ მიზნად.

ევროკავშირთან საქართველოს ინტეგრაციის მიზნით, სახელმწიფო ხელისუფლებამ, არაერთი უმნიშვნელოვანესი ვალდებულება იკისრა, მათ შორის ერთ-ერთს სწორედ ელექტრონული საშუალების გამოყენებით - დისტანციურად დადებული ხელშეკრულებების შესახებ, ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივების ეროვნულ საკანონმდებლო ნორმებში ასახვა წარმოდგენს, სწორედ ამიტომ ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო და დეტალურად იქნა მიმოხილული ევროპარლამენტისა და საბჭოს „მომხმარებლის უფლებების შესახებ“ დირექტივა. საქართველომ 2018-2020 წლამდე უნდა მოახდინოს ამ მომხმარებელთა უფლებების დაცვის ნორმათა იმპლემენტაცია. ამ მიზნით, სასურველი იქნება, ევროპის ქვეყნების პრაქტიკისა და გაეროსა თუ ევროპარლამენტისა და საბჭოს გამოცდილების მაქსიმალურად გაზიარება, ქართულ რეალობასთან მორგების შემდეგ, მათი საკანონმდებლო ნორმებში ასახვა – სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების განხორციელების, ან/და შესაბამისი კანონის მიღება;

ფაქტია, რომ მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ შესაბამისი საკანონმდებლო აქტის მიღება საქართველოსთვის ძალზედ მნიშვნელოვანია, თუმცა მომავალში ცალკე განსჯის საგანი შესაძლოა გახდეს თუ რომელმა საკანონმდებლო აქტმა უნდა დაარეგულიროს აღნიშნული საკითხი, იქნება ეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თუ მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ კანონი.

ვინაიდან დღეის მდგომარეობით არ არსებობს მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ შესაბამისი საკანონმდებლო აქტი, ბევრი საკითხი არის დასახვეწი და დასამუშავებელი, ასევე მოვაჭრისა და მომხმარებლისათვის ბევრი ნოვაციის შემოტანა და დანერგვა გახდა აუცილებელი; ამისათვის შესაძლოა უმჯობესი იყოს ეს ურთიერთობა დარეგულირდეს არა მხოლოდ სამოქალაქო კოდექსში შესაბამისი მუხლის დამატებით, არამედ მომხმარებელთა უფლებების დაცვის კანონით ან სხვა საკანონმდებლო აქტით. ცალკე საკანონმდებლო აქტის მიღება, ერთის მხრივ შესაძლებელს გახდის ვრცლად და სრულყოფილად იქნას ამოწურული ყველა საკითხი და მეორეს მხრივ კი სახელმწიფოს მხრიდან მოხდება მომხმარებელთა უფლებების დაცვაზე მკვეთრი აქცენტის გაკეთება, რაც მომავალში პოზიტიურად აისახება ამ ურთიერთობებზე. კუმულატიურად - სსკ-ში განხორციელებული ცვლილება და კანონპროექტის დამტკიცება, იმგვარად რომ ადგილი არ ექნეს სამართლებრივ ნორმათა კოლიზიას და არც ერთი და იმავე სფეროს გადაფარვა, იქნება ყველაზე ოპტიმალური შემოთავაზება.

სხვადასხვა საკანონმდებლო აქტებში განსახორციელებელ ცვლილებებად შესაძლოა განხილულ იქნას შემდეგი შემოთავაზებები:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი:

„მომხმარებელთა უფლებების შესახებ“ კანონის პარალელურად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსს დაემატოს (336¹) მუხლი - ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადებული ხელშეკრულება, რომლის დეფინიციაც შესაძლოა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადებულად ითვლება ხელშეკრულება, რომელიც ორ არათანმყოფ პირს შორის დისტანციურად/ელექტრონული საშუალების გამოყენებით იდება.

განმარტებითი ბარათი:

ნორმის უპირველეს მიზანს წარმოადგენს საკანონმდებლო ნორმატიულ აქტით მოხდეს იმ კონკრეტული ტიპის ხელშეკრულების გათვალისწინება, რომლის დადებაც ბოლო წლების განმავლობაში გახდა ძალზედ გავრცელებული და გამოყენებადი. ცვლილებით ყურადღება გამახვილდება მომხმარებელთა უფლებების დაცვასა და ხელშეწყობაზე, ასევე მოხდება მოქმედი კანონმდებლობის დახვეწა და მეტ-ნაკლებად მიახლოება ევროპის არაერთი ქვეყნის კანონმდებლობასთან (მაგალითად გერმანიის სამოქალაქო კოდექსთან, რომელიც ცალკე მუხლს უთმობს შორ მანძილზე დადებულ ხელშეკრულებებს).

განხორციელებული ცვლილებით საქართველოს სამოქალაქო კოდექსს უნდა დაემატოს 336¹ მუხლი, რადგანაც, როგორც საერთაშორისო,³⁷⁹ ისე სხვადასხვა ქვეყნების საკანონმდებლო აქტებში (სამოქალაქო კოდექსი, მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ კანონი/რეგულაცია)³⁸⁰ ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადებულ ხელშეკრულებებს წინ უსწრებს ქუჩაში (ე.წ. შემოსასვლელ კართან) დადებული ხელშეკრულების მუხლი. ეს გარემოება განპირობებულია სწორედ მომხმარებლის დაცვის საერთო სტანდარტით, რადგან ორივე ხელშეკრულების დადების დროს მომხმარებელი იმყოფება არასახარბიელო მდგომარეობაში. ერთის მხრივ ქუჩაში დადებული ხელშეკრულებისას მომხმარებელი სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობაში შედის ისეთ დროსა და ადგილას, სადაც ის არ ელოდება ხელშეკრულების დადებას, ფსიქოლოგიურად არ არის მზად ამისთვის, მეორეს მხრივ კი ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადებული ხელშეკრულების მომხმარებელს არ აქვს საშუალება ფიზიკურად ნახოს, დაათვალიეროს ან შეაფასოს სასურველი ნივთი, მომსახურება.

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა ქვეყნები სხვადასხვა დასახელებას იყენებენ ამ ხელშეკრულებების მიმართ, თუმცა უმჯობესი იქნება საქართველოს სამოქალაქო კოდექსში გამოყენებულ იქნას ტერმინი

³⁷⁹ Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/ECC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/ECC and Directive 97/7/EC of the European Parliament on the Council.

³⁸⁰ გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, მომხმარებელთა შესახებ საფრანგეთის კანონი.

„ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადებული ხელშეკრულება“, რაც ცხადად და ამომწურავად გამოხატავს მის არსს და არ წარმოშობს ბუნდოვანებასა და დამატებითი განმარტების საჭიროებას. აღსანიშნავია, რომ ევროპარლამენტისა და საბჭოს სხვადასხვა დირექტივა³⁸¹ ამ ხელშეკრულების დასახელებად იყენებს ტერმინს დისტანციურს, თუმცა გაეროს კონვენციები³⁸² მათ ელექტრონულ ხელშეკრულებად იხსენიებს. ვინაიდან ტერმინი - დისტანციური არ არის ქართული წარმოშობის, ეტიმოლოგიური თვალსაზრისით უმჯობესი იქნება გამოყენებულ იქნას დასახელება ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადებული ხელშეკრულება ან ელექტრონული საშუალების გამოყენებით შორ მანძილზე დადებული ხელშეკრულება.

„მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ კანონპროექტი:

„მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ მომზადებული კანონპროექტი ძირითადად ეხება, ელექტრონული საშუალების გამოყენებით ხელშეკრულების დადებისას ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას, თუმცა მასში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ რა არის ამგვარი ხელშეკრულების საგანი, რაზეც შეიძლება ან არ შეიძლება დაიდოს დისტანციური ხელშეკრულება, მათ შორის რა მაქსიმალური ოდენობის თანხა შესაძლოა გაიცეს ელექტრონული საშუალების გამოყენებით სესხის ხელშეკრულების დადების დროს.

ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ შეიცავს ელექტრონული საშუალების გამოყენებით, დისტანციურად დადებული ხელშეკრულების განმარტებას, თუ კანონის მიღებამდე არ მოხდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსში შესაბამისი მუხლის დამატება, ამ შემთხვევაში კანონპროექტს ეკისრება ვალდებულება შემოგვთავაზოს

„მომხმარებლის უფლებების შესახებ“ დირექტივასა და ევროპის სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობით დადგენილ ელექტრონული ხელშეკრულებასთან მიახლოებული დახვეწილი და ქართულ რეალობასთან ახლოს მყოფი ცნება.

„მომხმარებლის უფლებების შესახებ“ დირექტივის მსგავსად, საქართველოს ხელისუფლებამ შესაბამისი საკანონმდებლო ნორმებით უნდა დაარეგულიროს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების რეალიზაციის გზები და მეთოდები, რათა მხარეთათვის ხელშეკრულების დადების შემდეგ ამ უფლების არსებობა არ იყოს მოულოდნელი და შესაბამისად ახალი დავის წარმოშობის საფუძველი. ამ მიზნის მისაღწევად, მომხმარებელს,

³⁸¹ ევროპარლამენტისა და საბჭოს „მომხმარებლის უფლებების შესახებ“ 2011 წლის 25 ოქტომბრის დირექტივა, „დისტანციური ხელშეკრულებისას მომხმარებელთა ფინანსური მომსახურების შესახებ“ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002 წლის 23 სექტემბრის დირექტივა.

³⁸² გაეროს კონვენცია საერთაშორისო ხელშეკრულებებში ელექტრონული კომუნიკაციების გამოყენების შესახებ.

დირექტივაში განმტკიცებული უფლების მსგავსად, იმპერატიულად უნდა მიენიჭოს უფლება და არა შესაძლებლობა ყოველგვარი დასაბუთებისა და დამატებითი ფინანსური ვალდებულებების გარეშე 14 დღის ვადაში უარი თქვას ხელშეკრულებაზე.

- „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი არ განმარტავს თუ რა შეიძლება იყოს ხელშეკრულების დადებისთვის გამოყენებული სხვა საშუალება, ასევე არ იყენებს ტერმინს - მყარი მატარებელი, რაც ევროპული კანონმდებლობისთვის კარგად ნაცნობი ცნებაა, უმჯობესი იქნება კანონპროექტში კონკრეტულად განიმარტოს მყარი მატარებლის არსი და შესაბამის მუხლში (8.4) მიეთითოს, რომ მოვაჭრესა და მომხმარებელს ერთმანეთთან ინფორმაციის გაცვლის ფორმად შესაძლოა გამოყენებულ იქნეს მყარი მატარებელი. კანონმდებელმა შესაძლოა არ მოახდინოს კონკრეტული მატარებლების ამომწურავი ჩამონათვალი, თუმცა ტერმინის განმარტების საჭიროება დღის წესრიგში დგას.
- სასურველია „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტში მითითებული იქნეს მოვაჭრის ვალდებულება უზრუნველყოს მომხმარებლის მიერ მისთვის გაზიარებული პერსონალური მონაცემების სათანადო დაცვა.
- „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტში მოხდეს სხვადასხვა ქვეყანაში მყოფ პირთა შორის წარმოშობილი დავის გასაჩივრების ზოგად წესზე მითითება, კერძოდ გამოსაყენებელი სამართლისა და განსჯადი სასამართლოს თაობაზე ჩანაწერის დამატება.
- კანონპროექტი ითვალისწინებს მომხმარებელთა ომბუდსმენის ინსტიტუტის შექმნას, რომელიც მომხმარებელთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას ზედამხედველობს, ხელს უწყობს დარღვეული უფლების აღდგენას, საჭიროების შემთხვევაში მხარეთა შორის წამოჭრილ დავას, მოგვარების ალტერნატიული საშუალების გამოყენებით აგვარებს.³⁸³ მომხმარებლის დარღვეული უფლების შესახებ განცხადების განხილვის შედეგად ომბუდსმენის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას აქვს მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათი, რაც მოვაჭრისათვის არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგს, ვერ უზრუნველყოფს მომხმარებლის ეფექტურად დაცვას. ამ მიზნის მისაღწევად კი უმჯობესი იქნება ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადებული ხელშეკრულებისას, მხარეთა მიერ

³⁸³ იხ. კანონპროექტი „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“, მუხლი 15, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/113040> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 13.06.2019.

ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების შეზღუდვის ან დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევის მიმართ გამოყენებულ იქნეს ფინანსური სანქცია. ნიშანდობლივია, რომ მომხმარებელთა დაცვის შესახებ დირექტივა წევრი ქვეყნებისათვის აწესებს ხსენებულ ფინანსურ ვალდებულებას.³⁸⁴

- მსგავსი ხარვეზები, ზემოთ ჩამოთვლილის გარდა, შესაძლოა გამოიხატოს არასრულწლოვანი მომხმარებლების დაცვაში ერთის მხრივ ისეთი ხელშეკრულებების დადებისგან, რაც მათთვის საზიანოა, მეორეს მხრივ მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის ნებართვის გარეშე დადებული ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულებებისგან. ამ საფრთხის აღმოფხვრისათვის შესაძლებელია კანონმდებელმა დაადგინოს დამატებითი დაცვის მექანიზმი, მაგალითად პირადი ნომრის მითითების ვალდებულება, გზავნილის ფოსტის მეშვეობით მომხმარებლისთვის ჩაბარების შემთხვევაში მისი ქმედუნარიანობის შემოწმება.
- არანაკლებ მნიშვნელოვანი და საჭირობოტოა, ელექტრონული საშუალებით დადებული ხელშეკრულების ორივე მხარისათვის საკუთარი უფლება-მოვალეობების შესახებ ცნობიერების ამაღლება, მათ შორის მომხმარებლის უფლება მიიღოს სრულყოფილი ინფორმაცია სასურველ ნივთზე ან მომსახურებაზე, ხელშეკრულების დადების მომენტში და მას შემდეგაც დაცული იყოს მისი პერსონალური მონაცემები და არ მოხდეს მისი ნების საწინააღმდეგოდ მათი გამჟღავნება; მოვაჭრის ვალდებულება ადვილად შესამჩნევ ადგილზე მიუთითოს გასაყიდი საგნის ღირებულება. ეს გარემოება იმ თვალსაზრისითაც არის პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე, რომ დღეისათვის ინტერნეტით მოვაჭრე ფიზიკური თუ იურიდიული პირები სრულად უგულებელყოფენ ამ ვალდებულებას და პოტენციურ მომხმარებელს არჩევანის გაკეთებისას უქმნიან დამატებით ბარიერს.

³⁸⁴ Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/ECC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/ECC and Directive 97/7/EC of the European Parliament on the Council, art. 24.

დანართი

ხელშეკრულებაზე უარის თქმის

ფორმა

ინფორმაცია ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების შესახებ:

ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, 14 დღის ვადაში, თქვენ უფლება გაქვთ უარი თქვათ ამ ხელშეკრულებაზე.

- ხელშეკრულებაზე უარის თქმის 14 დღიანი ვადა ამოიწურება ... დღეს.
- თუ გასურთ ისარგებლოთ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებით, ამისათვის უნდა გამოგვიგზავნოთ მკაფიო (არაორაზროვანი) შეტყობინება (მაგ. წერილი ფოსტის მეშვეობით, ფაქსი ან იმეილი). თქვენ შეგიძლიათ, მაგრამ ვალდებული არ ხართ წერილს თან დაურთოთ წინამდებარე ფორმა.
- ხელშეკრულებაზე უარის თქმის ვადის დაცვის მიზნით, მნიშვნელოვანია ამ უფლებით სარგებლობის შესახებ შეტყობინება გამოგზავნოთ ვადის ამოწურვამდე.

ხელშეკრულებაზე უარის თქმის შედეგები:

- თუ თქვენ უარს იტყვით ამ ხელშეკრულებაზე, ჩვენ ვალდებულნი ვართ სრულად დაგიბრუნოთ გადახდილი თანხა, მათ შორის გაგზავნის საფასური (გარდა იმ შემთხვევისა, თუ თქვენ აირჩიეთ არასტანდარული გაგზავნის მეთოდი), გაუმართლებელი შეფერხების გარეშე და ნებისმიერ შემთხვევაში არა უგვიანეს 14 დღისა, იმ დღიდან როდესაც ჩვენთვის ცნობილი გახდა თქვენი გადაწყვეტილების შესახებ, უარი თქვათ ამ ხელშეკრულებაზე. საფასურის უკან დაბრუნებება მოხდება გადახდის იმავე საშუალებით, რაც თქვენ მიერ იქნა გამოყენებული, თუ თქვენ შეტყობინებაში არ მიუთითებთ განსხვავებულ მეთოდს. ნებისმიერ შემთხვევაში, საფასურის ანაზღაურების შედეგად, თქვენ არ მოგიწევთ დამატებითი ხარჯების გაღება.

შევსების ინსტრუქცია:

გამოტოვებულ გრაფაში მიუთითეთ ერთ-ერთი ტექსტი:

(ა) მომსახურების ხელშეკრულების შემთხვევაში, ან წყლის, გაზის, ან ელექტროობის მიწოდების ხელშეკრულების შემთხვევაში, როდესაც გასაყიდი პროდუქტი შემოთავაზებულია შეზღუდული რაოდენობით და ხარისხით:

„ხელშეკრულების დადების დღეს...”

(ბ) ნასყიდობის ხელშეკრულების შემთხვევაში, დღიდან, როდესაც თქვენ ან თქვენ მიერ მითითებული სხვა მესამე პირი, ფოსტის წარმომადგენლის გარდა, მოიპოვებთ შექმნილ ნივთზე მფლობელობას;

(გ) ხელშეკრულების შემთხვევაში, როდესაც მომხმარებლის მიერ ერთი შეკვეთით რამდენიმე საგანი იქნა შექმნილი და მიწოდება განხორციელდა ცალ-ცალკე, თქვენ ან თქვენ მიერ მითითებული სხვა მესამე პირის მიერ ყველაზე ბოლოს გამოგზავნილ ნივთზე მფლობელობის მოპოვების დღიდან.

(დ) ხელშეკრულების შემთხვევაში, როდესაც შეკვეთილი საგანი შედგება რამდენიმე ნაწილისგან, თქვენ ან თქვენ მიერ მითითებული სხვა მესამე პირის მიერ ყველაზე ბოლოს გამოგზავნილ ნაწილზე მფლობელობის მოპოვების დღიდან.

(ე) ხელშეკრულების შემთხვევაში, როდესაც გარკვეული დროის განმავლობაში, რეგულარულად უნდა მოხდეს მიწოდება, თქვენ ან თქვენ მიერ მითითებული სხვა მესამე პირის მიერ პირველად მიღებულ ნივთზე მფლობელობის მოპოვებისთანავე.

2 მიუთითეთ თქვენი სახელი, მისამართი, შესაძლებლობის შემთხვევაში ტელეფონის ნომერი, იმეილი, ან ფაქსი;

3 თუ მომხმარებელს საშუალება აქვს ელექტრონულად შეავსოს ხელშეკრულებაზე უარის თქმის ფორმა მოვაჭრის საიტზე, მიეთითოს შემდეგი: „თქვენ შეგიძლიათ ელექტრონული ფორმით შეავსოთ ხელშეკრულებაზე უარის თქმის ფორმა ან გააკეთოთ მკაფიო განცხადება ამ უფლებით სარგებლობის შესახებ [მიუთითეთ ინტერნეტ-გვერდის მისამართი]. თუ თქვენ შეავსებთ ამ ფორმას, ჩვენ შეუფერხებლად დაგიკავშირდებით და დაგიდასტურებთ ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ ინფორმაციის მიღებას.

4 ნასყიდობის ხელშეკრულების შემთხვევაში, თუ თქვენ არ მიგითითებიათ შექმნილი საგნის უკან დაბრუნების საჭიროების შესახებ, განმარტეთ: „ჩვენ მიერ ფინანსური ანგარიშსწორება მოხდება მას შემდეგ, როდესაც მივიღებთ თქვენ მიერ გამოგზავნილ ნივთს, ან სანდო მტკიცებულებას, რომ ნივთი ნამდვილად იქნა გამოგზავნილი.

5 თუ მომხმარებელმა ხელშეკრულების მიხედვით უკვე მიიღო ნივთი

(ა) მიუთითეთ:

- ჩვენ თავად უზრუნველყოფთ საგნის უკან წაღებას;
- თქვენ უნდა გამოგზავნოთ შექმნილი ნივთი ან მოგვაწოდოთ ... [მიუთითეთ თქვენი გეოგრაფიული მისამართი, შესაძლებლობის შემთხვევაში საგნის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი] შეფერხების გარეშე და ნებისმიერ შემთხვევაში ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესახებ ჩვენთვის შეტყობინების გამოგზავნიდან არაუმეტეს 14

დღისა. ვადა დაცულად ჩაითვლება, თუ თქვენ შეძენილ ნივთსაც 14 დღის ვადაში დააბრუნებთ უკან.

(ბ) აღნიშნეთ

- ჩვენ დავფარავთ საგნის უკან წაღების ხარჯს;
- თქვენ უნდა დაფაროთ საგნის უკან გაგზავნის პირდაპირი ხარჯი;
- ელექტრონული ხელშეკრულების შემთხვევაში თუ მოვაჭრეს არ მიუთითებია ისეთი საგნის უკან დაბრუნების საფასურის გადახდის წესი, რომელიც თავისი ბუნებით არ შეიძლება გაგზავნილ იქნას ფოსტით, მიეთითება: „საგნის უკან დაბრუნების პირდაპირი ხარჯი გეკისრებათ თქვენ ... EUR [მიეთითება ოდენობა]; ან თუ ოდენობის წინასწარ დათვლა შეუძლებელია მიუთითებთ: „საგნის უკან დაბრუნების პირდაპირი ხარჯი გეკისრებათ თქვენ. საფასურის ოდენობა ყველაზე მეტი შესაძლოა იყოს EUR [მიეთითება ოდენობა];

(გ) მიუთითეთ, „თქვენ პასუხისმგებელი ხართ მხოლოდ ნივთის იმგვარ შემცირებულ ღირებულებაზე, რაც გარდაუვალია მისი მიწოდების შემთხვევაში, საქონლის ბუნების მახასიათებლისა და ფუნქციონირების გათვალისწინებით.

6 მომსახურების ხელშეკრულების შემთხვევაში, ან წყლის, გაზის, ან ელექტრობის მიწოდების ხელშეკრულების შემთხვევაში, როდესაც გასაყიდი პროდუქტი შემოთავაზებულია შეზღუდული რაოდენობით და ხარისხით: „თუ თქვენ მოითხოვეთ შესრულების დაწყება მომსახურების ან წყლის, გაზის, ან ელექტრობის მარაგის მიწოდება ხელშეკრულებაზე უარის თქმის პერიოდში, თქვენ ვალდებული ხართ გადაიხადოთ მიღებული სერვისის პროპორციული საფასური, რაც მოწოდებულ იქნა თქვენ მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესახებ ინფორმაციის მიღებამდე.

გამოყენებული ლიტერატურა:

სამეცნიერო ლიტერატურა ქართულ

ენაზე:

ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, გამომც. სამართალი, 1999.

ბურდული ი., გაწერელია ა., დარჯანია თ., ეგნატაშვილი დ., ზოიძე ბ., ზუბიტაშვილი ნ., კვანტალიანი ნ., კორძაია თ., მახრობლიშვილი გ., რუსიაშვილი გ., სვანაძე გ., ტაკაშვილი ს., ჩაჩავა ს., ჭანტურია ლ., ჯორბენაძე ს., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, თბილისი, 2017.

ზამბახიძე თ., ელექტრონული ვაჭრობის სამართლებრივი რეგლამენტაციის საფუძვლები (პრობლემები და პერსპექტივა), ქართული სამართლის მიმოხილვა, 8/2005-1/2.

თუმანიშვილი გ., გარიგებანი, თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2012 წელი..

კროფჰოლერი ი. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, თბილისი, GIZ, 2014 წელი.

ლაკერბაია თ., ხელშეკრულების უარყოფის უფლება: ქართული და ევროპული სახელშეკრულებო სამართლის შედარებითი ანალიზი, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2016 წელი.

მესხიშვილი ქ., სამოქალაქო კოდექსის ონლაინ-კომენტარი.

მეტრეველი ვ. რომის სამართალი, თბილისი, გამომც. მერიდიანი, 2002 წელი.

რუსიაშვილი გ., სამოქალაქო კოდექსის ონლაინ-კომენტარი.

რეგულირების გავლენის შეფასება საქართველოს კანონის პროექტზე „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2016 წელი.

ჩიქობავა ა., ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, 1986 წელი.

ჩიტოშვილი თ., ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე ვალდებულებათა შინაარსი და სახეები (ზოგადი დახასიათება)

უსაფუძვლო გამდიდრება (ძირითადი საკითხები), გამომც. ბონა კაუზა, 2015.

შენგელია რ., ავტორთა კოლექტივი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი,თბილისი, გამომც. სამართალი, 2001, წიგნი მეოთხე.

ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, გამომც. „სამართალი“, 2011

ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, თბილისი, გამომც. სამართალი, წიგნი მესამე, 2001 წელი.

ჭანტურია ლ., ჯორბენაძე ს., ახვლედიანი ზ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, თბილისი, გამომც. სამართალი, 2002 წელი.

ჭანტურია ლ., ჯორბენაძე ს., ახვლედიანი ზ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, თბილისი, გამომც. სამართალი, 2001 წელი.

ჭეჭელაშვილი ზ., სახელმეკრულებო სამართალი, თბილისი, გამომც. ბონა კაუზა, 2014 წელი.

ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელმეკრულებო სამართალი, თბილისი, გამომც. მერიდიანი, 2014 წელი.

სამეცნიერო ლიტერატურა უცხო ენაზე:

Bar Von Ch., Clive E., Schulte-Nölke H., Study Group on a European Civil Code, Principles, Definitions and Model Rules of European Private Law: Draft Common Frame of Reference (DCFR), Munich, GmbH European Law Publishers, 2009.

Behr V., Rome I Regulation A Mostly Unified Private International Law of Contractual Relationships Within Most of the European Union, *Journal of Law and Commerce*, 2011.

Bierekoven Ch., Bazin Ph., Kozlowski T., Electronic Signatures in German, French and Polish Law Perspective. *Digital Evidence and Electronic Signature Law Review*, 2004.

Briggs A., *The Conflict of Laws*, Oxford University press, Oxford, 2013.

Bräutigam P., Rücker D., *E-Commerce*” München, C.H. BECK, 2017.

Browne O., Reform of the Brussels Regulation. Developments in Questions of Jurisdiction and the Recognition and Enforcement of Judgements Across the European Union, *The London Disputes Newsletter*, October, 2012.

Calliess Graf P., *Transnational Consumer Law: Co-Regulation of B2C-E-Commerce, Responsible Business: Self-Governance in Transnational Economic Transaction*, Oxford, Hart Publishing, April, 2008.

Carey P., The Internet and E-Commerce, London, Thorogood Publishing, 2001.

Christensen Sh., Formation of Contracts by Email – Is it Just the Same as the Post? Queensland University of Technology & Justice Journal, 2001.

Cortés P., Online Dispute Resolution for Consumers in the European Union, USA and Canada, Taylor & Francis e-Library, 2010.

Dauner-Lieb B., Langen W., BGB Schuldrecht, Baden-Baden, Nomoskommentar 2016.

DG Justice Guidance Document concerning Directive 2011/83/EU of the European Parliament and the Council of 25 October 2011 on the consumer rights, amending, Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council, June, 2014.

Donnie L.K, Jr. Daughtrey W.H. Jr., Adapting Contract Law to Accommodate Electronic Contracts: Overview and Suggestions, Rutgers Computer and Technology Law Journal, 2000.

Erman, Bürgerliches Gesetzbuch Handkommentar mit AGG, EGBGB (Auszug), ErbbauRG, LPartG, ProdHaftG, UklaG, VBVG, VersAusglG und WEG, Band 1., 15, neu bearbeitete Aufl., Köln 2017.

Explanatory Note by the UNICITRAL Secretariat on the United Nations Convention on contracts for the International Sale of Goods.

Executive Summary of the Study on the application of the Consumer Rights Directive 2011/83/EU.

Franceschi A.D., European Contract Law and the Digital Single Market, Cambridge, UK, 2016.

Ganuza J., Pomar Gomez F., The Strategic Structure of Contract Law, Univeristy of Pompeu Fabra, Barcelona.

Gisler M., Stanoevska-Slabeva K., Greunz M., Legal Aspects of Electronic contracts, Infrastructures for Dynamic Business-to-Business Service Outsourcing, Stokholm, June 2000.

Goode R., Kronke H., Mckendrick E., Transnational Commercial Law, OUP Oxford, United Kingdom, 2015.

Gofferjé E.F.S., Vertragsschluss und Vertragsbindung bei Verbraucherverträgen – Berlin, Duncker&Humblot, 2016.

Guidelines for Consumer Protection in the Context of Electronic Commerce, OECD Publication Service, Paris, 2002.

Hartley T., Dogauchi M., Convention of 30 June 2005 on Choice of Court Agreements, Explanatory Report, Netherlands 2005.

Herrmann P., Tavakolifard M., Special Issue on Trust and Privacy in Electronic Commerce, Electronic Commerce Research, Springerlink, 2010.

Hill J. E., The Future of Electronic Contracts in International Sales: Gaps and Natural Remedies under the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods, Northwestern Journal of Technology and Intellectual Property, 2003.

Hillman A.R., Rachlinski J.J., Standard-Form Contracting in the Electronic Age, Cornell Law Faculty Publications, 2002.

Hörmann M., Der Internethandel und die neue Richtlinie über die Rechte der Verbraucher, München, C.H. Beck. 2014.

Jain S., Electronic Contracts: Nature, Types and Legal Challenges, 2016.

Kerr I.R., Ensuring the Success of Contract Formation in Agent-Mediated Electronic Commerce, Electronic Commerce Research, 2001.

Kierkegaard M. S., E-Contract Formation: U.S. and EU Perspectives, Washington Journal of Law, 2007.

Klein D., E-Commere Law in Germany, München, C.H. Beck, 2015.

Kunnecke A., New Standards in EU Consumer Rights protection? The new Directive 2011/83/EU, European Scientific Journal, 2014.

Kötz H., Europäisches Vertragsrecht, Tübingen, Aufl. 2, 2015.

Loos M., Rights of Withdrawal. Centre for the Study of European Contract Law Working Paper Series.

Mason St., Electronic Signatures in Law, London, Institute of Advanced Legal Studies for the SAS Humanities Digital Library, 2016.

Martin Charles H., The Electronic Contracts Convention, the CISG, and New Sources of E-Commerce Law, Tulane Journal of International & Comparative Law, 2008.

McParland M., The Rome I Regulation on the Law Applicable to Contractual Obligations, Oxford University press, Oxford, 2015.

Mckendrick E., Contract Law, New York, Oxford University Press, 2008.

Moringiello J.M., Signals, Assent and Internet Contracting, Rutgers Law Review, 2005.

Murray D.A., Entering into Contracts Electronically.

Münchener Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch, Schuldrecht, Allgemeiner Teil. Aufl.7, 2016.

Palandt O., Brudermüller H., Götz I., Herrler S., Thorn K., Weidlich D., Ellenberger J., Grüneberg, Ch., Sprau H., Weidenkaff W., Wicke H., Bürgerliches Gesetzbuch, München, C.H. Beck, 2018.

Rawls A., Contract formation in an Internet Age, The Columbia Science and Technology Law Review, 2009.

Ross J.W., Vitale M.R., Weill P., From Place to Space: Migrating to Profitable Electronic Commerce Business Models, Center for Information System Research, Massachusetts, November 2001.

Sankalp J., Electronic Contracts: Nature, Types and Legal Challenges, May, 2016.

Savigny F., System des heutigen römischen Rechts, 1840.

Schulze, Dörner, Ebert, Hoeren, Kemper, Saenger, Scheuch, Schreiber, Schulte-Nölke, Staudinger, Wiese, Bürgerliches Gesetzbuch Handkommentar, Nomoskommentar Aufl.9, 2017.

Schulze R., Zoll F. European Contract Law, Oxford, UK, Hart Publishing, 2018.

Shahar B.O., Posner A.E., The Right to Withdraw in Contract Law, The Journal of Legal Studies, 2011.

Smith M., Facilitating Electronic Commerce Through the Development of Laws to Recognize Electronic Documents and Transactions, Parliament of Canada, Law and Government Division, November 2000.

Solmecke Ch. Handel im Netz, Berlin, CPI books GmbH, Leck, 2014.

ThurLOW W., Electronic Contracts in the United States and the European Union: Varying Approaches to the Elimination of Paper and Pen, ECJL, 2001.

Zimmermann R., The Law of Obligations, Roman Foundations of the Civilian Tradition, Oxford University Press, New York, 1996.

UNICITRAL Digest of Case Law on the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods, New York, 2016.

UNCITRAL Model Law on Electronic Commerce with Guide to Enactment, New York, United Nations Publication, 1999.

UNCITRAL Model Law on Electronic Signatures with Guide to Enactment, New York, United Nations Publication, 2002.

UN Convention of the Use of Electronic Communications in International Contracts, New York, United Nations Publication, 2007.

UN Guidelines for Consumer Protection, UN, New York, 2003.

Uniform Electronic Transactions Acts, National Conference of Commissioners on Uniform State Laws, Chigaco,1999.

Wang F.F., Internet Jurisdiction and Choice of Law, Cambridge University Press, 2010.

Withen K.L., Plitcha K., Yunayev R., Swenson G., Antonialli D., Blair K., Hoffman B., An Introduction to Contract Law in Timor-Leste, The Asia Foundation, Stanford Law School, 2013.

Zheng T. S., Xu L., Choice of Court Agreements in Electronic Consumer Contracts in China, Law and Technology, Australia, University of Queensland, 2016.

საკანონმდებლო აქტები ქართულ ენაზე:

ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის, 1/07/2016.

ელექტრონული დოკუმენტისა და სანდო მომსახურების შესახებ საქართველოს კანონი, 21/04/2017.

მოლდოვას რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსი, 06/07/2002.

მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ საქართველოს კანონის პროექტი.

მომხმარებელთა უფლებების შესახებ საქართველოს კანონი, 20/03/1996, ძალადაკარგულია 25/05/2012.

პოლონეთის სამოქალაქო კოდექსი, 23/04/1964.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 13 მაისის #35/04 ბრძანებით დამტკიცებული კომერციული ბანკების მიერ საბანკო მომსახურების გაწევისას მომხმარებლისათვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდების წესი.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის ბრძანება N71 „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე.

საქართველოს კონსტიტუცია, 24/08/1995.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 26/06/1997.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 14/11/1997.

საკანონმდებლო ნორმები უცხო ენაზე:

Bürgerliches Gesetzbuch Deutschlands, 18/08/1896.

Consumer Rights Act, United Kingdom, 2015.

Convention on Choice of Court Agreements.

Convention on the Law Applicable to Contracts for the International Sale of Goods.

Council Directive of 20 December 1985 to protect the consumer in respect of contracts negotiated away from business premises 85/577/ECC.

Directives 97/7/EC, 98/27/EC and 002/65/EC of the European Parliament and of the Council and Regulation (EC) No 2006/2004 of the European Parliament and of the Council (Unfair commercial Practices Directive).

Directive 97/66/EC of European Parliament and of the Council of 15 December 1997 concerning the processing of personal data and the protection of privacy in the telecommunications sector.

Directive 1999/93/EC of the European Parliament and of the Council of 13 December 1999 on a Community framework for electronic signatures.

Directive 2002/65/EC of the European Parliament and of the Council of 23 September 2002 concerning the distance marketing of consumer financial services and amending Council Directive 90/619/EEC and Directives 97/7/EC and 98/27/EC.

Directive 2005/29/EC of the European Parliament and of the Council of 11 May 2005 concerning unfair business-to-consumer commercial practices in the internal market and amending Council Directive 84/450/EEC.

Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/ECC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/ECC and Directive 97/7/EC of the European Parliament on the Council.

Directive (EU) 2019/771 of the European Parliament and of the Council of 20 May 2019 on certain aspects concerning for the sale of goods, amending Regulation (EU) 2017/2394 and Directive 2009/22/EC, and repealing Directive 1999/44/EC.

Einführungsgesetz zum Bürgerlichen Gesetzbuche, 18/08/1896.

Electronic Signatures in Global and National Commerce Act.

Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland.

Regulation (EU) 2016/679 of European Parliament and of the Council of 27 April 2016 on the protection of natural persons with regards to the processing of personal data on the

free movement of such data, and repealing Directive 95/46/EC (General Data Protection Regulation).

Regulation (EC) No 1393/2007 of the European Parliament and of the Council of 13 November 2007 on the service in the Member States of judicial and extrajudicial documents in civil or commercial matters (service of documents), and repealing Council Regulation (EC) No 1348/2000.

Regulation (EU) No 910/2014 of the European Parliament and of the Council of 23 July 2014 on Electronic Identification and Trust Services for Electronic Transactions in the Internal Market and Repealing Directive 1999/93/EC.

The Consumer Contracts (Information, Cancellation and Additional Charges) Regulations, Consumer Protection 2013 No.3134.

UNCITRAL Model Law on Electronic Signatures.

Uniform Electronic Transactions Act (1999), drafted by National Conference of Commissioners on Uniform State Laws.

United Nations Convention for the International Sale of Goods.

UN Guideline on Consumer Protection, New York and Geneva, 2016.

US Code.

სასამართლო გადაწყვეტილებები ქართულ ენაზე:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 12 იანვრის N28/4259-14 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2018 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება (N^ას-38-38-2018).

საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2017 წლის 15 მაისის განჩინება (N^ას-212-201-2017).

საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2015 წლის 29 ივნისის განჩინება (N^ას-1338-1376-2014).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 3 ივნისის განჩინება (N^ას-368-349-2015).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განმარტება (საქმე #1541-1547-2011).

სასამართლო გადაწყვეტილებები უცხო ენაზე:

Content Services Ltd v Bundesarbeitskammer, Court of Justice of the European Union, Judgment of the Court, C-49/11, 5/07/2012.

Hines v. Overstock.com Inc. United States District Court, New York, September 2009.

Finverto v Glassmobile, 22.04.2009, Court of Pabua, Italy.

Urteil Az. I ZR 102/05 BGH, 18 Oktober 2007.

ინტერნეტ რესურსები:

<http://www.cisg.law.pace.edu>

<https://www.coursehero.com>

<http://www.economy.ge>

<https://www.entrepreneur.com>

<http://europa.eu>

<http://www.gccc.ge>

<https://info.parliament.ge>

<http://www.mfa.gov.ge>

<http://moneyman.ge>

<http://old.leginet.eu>

<http://sas-space.sas.ac.uk>

<https://www.scribd.com>

<http://www.ssrn.com>

<https://www.statista.com>

<http://www.supremecourt.ge>

<https://www.trans-lex.org>

<http://unctad.org>